

# მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის  
კვლევის ცენტრის კრებული

3560  
2015 წ.

№3

## მილოცვა

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“ – მადლობას უხდის:

- „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა მასალის, კვლევისა და სტატიის ავტორს.
- „კვლევის ცენტრის“ მეცნიერკონსულტანტებს, ბატონებს – პროფესორებს: თეიმურაზ სურგულაძეს, ავთანდილ ნიკოლეიშვილს, ამირან ნიკოლეიშვილს, ომარ ძაგნიძეს, გურამ ყიფიანს, გურამ ლორთქიფანიძეს, უჩა დვალიშვილს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.
- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობას, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექციას, „კვლევის ცენტრის“ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და დახმარებისათვის.
- გულწრფელი მადლობა ბატონ ბეჟან ნაქაძეს, ბიზნესმენს, უშურველ პიროვნებას, რომლის ქველმოქმედებაც ცნობილია ვანის მუნიციპალიტეტისათვის. კრებულ „მატიანისადმი“ მუდმივი ზრუნვისა და წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის – კაცს, რომელსაც კარგად ესმის „კრებულ მათიანის“ ყადრიც და ფასიც დღევანდელი და მომავალი თაობის წინაშე.
- მადლობას ვუხდით „მბმ-პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და სტამბის ყველა მუშაკს „მატიანის“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

# ამირან ნიკოლეიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## ქართველთა წარმოგავლობის სათავეებთან (წერილი მესამე)

„მატიანის“ მეორე ნომერში დაბეჭდილი წერილი ჩვენ ატლანტისის ჩაძირვისა და წარღვნის თაობაზე თხრობით დავასრულეთ. შეძლებისდაგვარად მკითხველს მასში ისიც გავაცანით, თუ სად სჩანდა და რაში გამოიხატებოდა ქართული (პროტოქართული) კვალი განსახილველ პერიოდში.

ამჯერად, ჩვენი მიზანია, ზოგად შტრისებში იმ კულტურულ მიღწევებზე ვისაუბროთ, რაც ადამიანებმა ანთროპოგენეზიდან მოყოლებული თითქმის ძველი წელთაღრიცხვის დასრულებამდე შესძლეს და განვიხილოთ მათ მიერ შექმნილი ცივილიზაციები და გავარკვიოთ ვინ და სად შექმნა პირველად ისინი. ბუნებრივია, ამ განხილვის პროცესში, შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ პირველი ცივილიზაციები სულაც არ შეუქმნიათ არა კოლხ-შუმერებს, ეგვიპტელებსა და ბერძნებს და ისინი გაცილებით ადრე ამ მიწებზე ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს.

იმისათვის კი, მკითხველისათვის რომ უფრო თვალნათელი გახდეს, თუ საიდან დაიწყო ადამიანის ანთროპოგენი, განვითარების რა ეტაპები გაიარა მან, რომელ ეტაპზე ადამიანის რა ტიპი ცხოვრობდა და როდიდან გაჩნდა მატერიალური კულტურის პირველი ნიმუშები, საჭიროდ მივიჩნით ყოველივე ამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობათა ჩვენება, რაც ასეთ-ნაირად გამოიყურება:

4 მილიონი წლის წინათ დაიწყო ადამიანის ანთროპოგენი, 2,2 – 1,8 მილიონი წლები – ცხოვრობდა ჰომო ჰაბილი (მარჯვე ადამიანი), 1,7 მილიონი – 200 000 წლები – ცხოვრობდა ჰომო ერექტუსი, 200 000 – 40-35 000 წლები — ცხოვრობდა ნეანდერტალელი ადამიანი, 40-35 000 – 6000 წლები – ცხოვრობდა კრომანიონელი ადამიანი, იგივე ჰომო საპიენსი – გონიერი ადამიანი.

მატერიალური კულტურის პირველი ნიმუშები – ქვის იარაღები და სახლები (კარვები) ჰომო ჰაბილმა დაამზადა. მანვე ჩაუყარა საფუძველი პირველყოფილი ჯოგის, ანუ გვარამდელი საზოგადოების კულტურას, რომლის შემდგომში განვითარება ჰომო ერექტუსმა გააგრძელა. ამის გარდა, ჰომო ერექტუსმა აითვისა ცეცხლი და გამოიყენა ის გასათბობად და საკვების მოსამზადებლად, შექმნა ძვლისა და ხის შრომის იარაღები, მოახდინა ჯოგის შიგნით შრომის დანაწილება, შექმნა კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და ისწავლა დანაწევრებული მეტყველება. საქართველოში ჰომოერექტუსის არსებობის ყველაზე ადრინდელი სადგომი ნაპოვნია – დმანისში, ხოლო უფრო გვიანდლები – იაშთხვაში, კუდაროში, წონაში, ფარავანის ტბასთან და ა. შ.

კაცობრიობის კულტურული განვითარების მომდევნო ეტაპი ნეანდერტალელ ადამიანს უკავშირდება, რომლებმაც უკვე ლაპარაკი სხვადასხვა ენაზე დაიწყეს და გაჩნდა აბსტრაქტული განზოგადებული აზროვნება, დაკრძალვის რიტუალები და წესები (მანამდე გარდაცვლილებს დაუტირებლად ყრიდნენ), შექმნეს კაჟისა და ვულკანური მინის (ობსიდიანის) დანები, წვეტიანი მსუბუქი იარაღები, ხელშუბები, ტყავის ტანსაცმელი, დაიწყეს ცეცხლის გაჩენა კვესაბედით, ზამთრისათვის მცენარეული საკვების მარაგის შექმნა, ისწავლეს ოთხკუთხა ქოხებისა და თბილი სახლების შენება და კერიის მოწყობა. აიკრძალა მოუწესრიგებელი სექსი, ის აღარ შეიძლებოდა ახლო ნათესავეებს შორის, ნადირობისა და მცენარეული საკვების შეგროვების დროს, გაჩნდა სალოცავები, დათვისა და სხვა ცხოველებისადმი თაყვანისცემა, აღმოცენდა ხელოვნება, თუმცა ჯერ კიდევ არსებობდა კაციჭამიობა და საზოგადოების სათავეში უკვე იყო ქალი.

საქართველოში ამ დროის სადგომები აღმოჩენილია საკაჟიისა და ცუცხვათის გამოქვაბულებში და სხვაგანაც.

განვითარების კიდევ ერთ ეტაპს კრომანიონელი ადამიანის მიერ შექმნილი გვაროვნული თემის კულტურა წარმოადგენდა, რომელიც ნაწილობრივ გამყინვარებასაც ემთხვევა. მათ უკვე ჰქონდათ ძვლისა და ხის ტარიანი ქვის იარაღები და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი ბუნებაზე, სახლებს ათობდნენ ცეცხლით, ხოლო ანათებდნენ ქონით. გაჩნდა გვაროვნული თემი და ეგზოგამიური ქორწინება და აიკრძალა გვარს შიგნით ქორწინება. ჩამოყალიბდა დედის კულტი და მემკვიდრეობის

გადასვლაც დედის ხაზით დაიწყო. ასევე შეიქმნა მინის დასამუშავებელი ძვლის იარაღები, ყუნწიანი ნემსები და მახათები, შუბსატყორცნი, მშვილდისარი, ანკესი, ბარჯი, ფეხსაცმელი და ქუდი, ხოლო XII ათასწლეულის ბოლოს გაჩნდა ქონებრივი უთანასწორობაც. ჩაისახა ხელოვნებაც (მხატვრობა, ქანდაკება და ძვალზე გამოსახვა), რომელთაგან მხატვრობის ჩასახვა-განვითარებამ ოთხი საფეხური გაიარა: 1. ცხოველების ძვალსა და ქვაზე გრაფირება, 2. გამოქვაბულების მხატვრობა (25-19 000 წ.), 3. გამოქვაბულის ხელოვნების აყვავება (18-15 000 წ.) და 4. სიმბოლური ნიშნების დამკვიდრება (14-10 000 წ.).

გვაროვნულ თემთან ერთად გაჩნდა რელიგიაც და ჩამოყალიბდა წარმოდგენები სულეთზე და მცენარეებისადმი თაყვანისცემა, გაჩნდა ანიმიზმი, ტოტემიზმი, ფეტვიზმი, მაგია, ავგაროზები, შეიქმნა ლოცვები და შელოცვები და ა. შ.

დიდი ხნის შემდეგ, როცა გვაროვნული წყობა დაირღვა და გაჩნდა კლასები, ქალაქები და სახელმწიფოები, სახელმწიფო დამწერლობებით (მესოპოტამია-ეგვიპტე) დასრულდა კაცობრიობის ყველაზე დიდი ეტაპი კულტურული განვითარების ისტორიაში.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა მკვლევარები კულტურის ისტორიის პერიოდიზაციას ეხებიან, მათი ერთი ნაწილი თვლის რომ კულტურის ისტორია ადამიანის გაჩენასთან ერთად დაიწყო, ხოლო მეორე ნაწილი საწყისად ჰომო საპიენსის — გონიერი ადამიანის ანუ კრომანიონელის გამოჩენას იღებს. ჩვენ პირველ მოსაზრებას ვემხრობით და თუ რატომ ამის ახსნას აქვე შევეცდებით. მაშ ასე, მსოფლიოს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში კულტურის 3000-ზე მეტი განმარტება არსებობს. რათქმაუნდა ჩვენს მიზანს სულაც არ წარმოადგენს თითოეულის განხილვა, საკმარისია დავეყრდნოთ მის ყველაზე მეტად მიღებულ განმარტებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კულტურა ეს არის ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფის მიერ შექმნილი მატერიალური, სულიერი, სოციალური და ზნეობრივი ფასეულობანი, მიუხედავად იმისა, ველურებზეა საუბარი თუ ცივილიზებულ ადამიანებზე.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, ადამიანებს განა 4 მილიონი წლიდან მოყოლებული 40 000 წლამდე მართლა არაფერი არ შეუქმნიათ, თუნდაც მატერიალური კულტურის სფეროში? რათქმა უნდა შეუქმნიათ, რასაც ზემოთ მოხმობილი მაგალითებიც ადასტურებენ.

ახლა რაც შეეხება ცივილიზაციას, მეცნიერების დიდი ნაწილი თვლის, რომ საერთო საკაცობრიო ცივილიზაცია არც ყოფილა და არც იქნება, რადგან ის ცალკეული ცივილიზაციების ერთობლიობას წარმოადგენს. ცივილიზაცია იზრდება, სუსტდება და კვდება, ამ სრულ ციკლს დაახლოებით 1000 წლამდე სჭირდება. მოდით აქვე გავარკვიოთ, თუ რა არის ცივილიზაცია და რით განსხვავდება ის კულტურისაგან, რადგან ჩვენ ქვემოთ საუბარი გვექნება ზოგადად ცივილიზაციათა და კერძოდ, პროტოქართული ცივილიზაციის წარმოშობის თაობაზე, შევეცდებით დავადგინოთ, თუ სად და როდის აღმოცენდნენ პირველი და მომდევნო ცივილიზაციები, რომელი ხალხი (ხალხები) იყვნენ მათი შემქმნელები და სულ დედამიწაზე რამდენი იყო ცივილიზაციათა რაოდენობა.

შესაბამის ლიტერატურაში ცივილიზაციის შესახებაც უამრავი განმარტება არსებობს, მაგრამ მათგან ჩვენის აზრით უფრო ზუსტი და მისაღები ო. შპენგლერის მოსაზრებაა, რომელიც თვლის რომ ცივილიზაცია წარმოადგენს კულტურის განვითარების ზედა ზღვარს, რომელიც წერტილს უსვამს კულტურის არსებობას და დგება მაშინ, როცა კულტურა ამონურავს განვითარების ყველა შინაგან შესაძლებლობას და მთლიანად გამოავლენს თავისთავს ხალხთა, ენათა, რწმენა-წარმოდგენათა, ხელოვნებათა, სახელმწიფოთა და მეცნიერებათა სახით.

მეცნიერები დღემდე ცივილიზაციათა რაოდენობაშიც კი ვერ შეთანხმებულან. ერთ-ერთი დიდი მოაზროვნეატონი მიიჩნევს რომ დედამიწაზე სულ 21 ან 23 ლოკალური ცივილიზაცია არსებობდა და მათგან მხოლოდ 7 მათგანი არის დღეს ცოცხალი. ის არ გამორიცხავდა რა ცივილიზაციათა შორის მემკვიდრეობითობას, თვლიდა რომ დასავლეთის ცივილიზაცია ელი-

ნური ცივილიზაციის შვილი იყო (ელინური პერიოდი მოიცავს ძვ. წ. IV — II საუკუნეებს).

ნ. დანილევსკი მიიჩნევდა, რომ სულ 10 ცივილიზაცია არსებობდა: ეგვიპტური, ჩინური, ასურულ-ბაბილონურ-ფინიკიური, ინდური, ირანული, ებრაული, ბერძნული, რომაული, ახალსემიტური ან არამეული და გერმანულ-რომაული ან ევროპული. ამატებდა მეთერთმეტე-საც მექსიკურ-პერუულს, რომელმაც მისი აზრით განვითარების დასრულება ვერ მოასწრო. ნ. დანილევსკის აზრით ჩამოყალიბების სტადიაში არის სლავურ-რუსულიც.

ნ. დანილევსკი აქ რამდენიმე ძალზე პრინციპულ შეცდომას უშვებს: 1. თავის ათულში ისეთი ცივილიზაციები ჰყავს შეყვანილი, რომელთაც მეცნიერთა უდიდესი ნაწილი არ აღიარებს და 2. რატომღაც ამ ათულში ადგილი ვერ მოუნახა კონკრეტულად შუმერულ და წინაბერძნულ ცივილიზაციებს, მაშინ როცა იქ ადგილი სლავურ-რუსულისათვის კი გამოიძებნა.

ო. შპენგლერი თვლიდა, რომ ერთიანი მსოფლიო ისტორია არ არსებობდა და ის რვა ისტორიას (ცივილიზაციას) მოიცავდა: ანტიკურს, არაბულს, ბაბილონურს, ეგვიპტურს, ჩინურს, ინდურს, მაიას და დასავლურს. ამათგარდა ის ამატებდა ხეთებსა და სპარსელებს. მისი აზრით ჩანასახოვან კულტურებსაც. რათქმაუნდა, პრინციპულად მიუღებელია ო. შპენგლერის ეს ჩამონათვალიც, რადგან მასში არც შუმერულისა და არც წინაბერძნული ცივილიზაციებისათვის არ გამოიძებნა ადგილი, უფრო შორეულს თავიც რომ დავანებოთ.

რვა ცივილიზაციას გამოყოფდა ფ. ბეგბიცი: ბაბილონურს, ეგვიპტურს, ჩინურს, ინდურს, კლასიკურს (ბერძნულ-რომაულს), პერუულს (ინკების), ცენტრალურ-ამერიკულს (აცტიკები, მაია, ტოტლექები) და დასავლეთ ევროპულს. მას მისაღებად მიაჩნდა მეცხრეც — ახლოაღმოსავლური (ბიზანტია, ებრაელები, კოჭტები, მარიონეტები, მუსლიმური აღმოსავლეთი, ნესტორიანელები, სომხები და ფარსები). რათქმაუნდა, ფ. ბეგბის ჩამონათვალიც ძალზე შორს არის სრულყოფილებისაგან და თავი რომ დავანებოთ მის ჩამონათვალში გაუგებარი ვითომდა ე. წ. ცივილიზაციების შეტანას, იქ არ მოიძებნება შუმერული და წინა ბერძნული ცივილიზაციებიც კი.

კულტურისა და ცივილიზაციის შესახებ საუბარს ისევ ო. შპენგლერით დავასრელებ, რადგან ვეჭვობ მასზე ზუსტად და ამომწურავად მათი შედარებითი დახასიათება სხვამ მოახერხოს: „კულტურას თავისი ცივილიზაცია აქვს, ცივილიზაცია გარდაუვალი დასასრულია, მაგრამ ცივილიზაციად ქცეულმა კულტურამ შეიძლება კიდევასწლეულები იარსებოს. კულტურა სიცოცხლის ეტაპია, ცივილიზაცია სიკვდილის, კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია ინტელექტის, კულტურის ეტაპზე ღმერთის სიყვარულია, ცივილიზაციის საფუძველზე კი უღმერთობა ბატონობს. კულტურის საფეხურზე ადამიანი მიჯაჭვულია თავის მხარეს და პატრიოტია, ცივილიზაციის საფუძველზე კი ის მოხეტიალე კოსმოპოლიტია, კულტურის ეტაპზე ადამიანთა ენერგია მიმართულია შემოქმედებისაკენ, ცივილიზაციის ეტაპზე დაპყრობისაკენ და ადამიანი კარგავს ღირებულებას და ძირითადი ფასეულობა ხდება ფული. ადამიანის ადგილს იკავებს მანქანა, კულტურა ესაა სულიერების ცოცხალი სხეული, ხოლო ცივილიზაცია მუმიანა, კულტურები ისე ილუპებიან, რომ ერთმანეთს არაფერს არ გადასცემენ.“

ცივილიზაციათა წარმოქმნასთან დაკავშირებით დღეისათვის მეცნიერები სამ ჯგუფად იყოფიან, რომელთაგან ერთი თვლის, რომ პირველი ცივილიზაციები შუმერში (მესოპოტამიაში), ეგვიპტესა და აზიაში აღმოცენდნენ. შუმერში (მესოპოტამიაში შექმნილმა ცივილიზაციამ მეოთხე ათასწლეულის ბოლოდან ძვ.წ.VI საუკუნემდე იარსება და მისი შემქმნელები იმდროისათვის იმ ტერიტორიაზე მცხოვრები შუმერები, არამელები, ასირიელები, აქადელები, ბაბილონელები, ქალდეველები და ხურიტები იყვნენ.

იმავე IV-III ათასწლეულთა მიჯნას მიაკუთვნებენ ეგვიპტური ცივილიზაციის შექმნასაც, ხოლო ინდოეთში მოხენჯოდაროს ცივილიზაცია 3250 წლიდან 2750 წლამდე არსებობდა, მასთან პარალელურად 3200 წლიდან თანაარსებობდა პროტოქართველი დრავიდების მიერ იქ შექმნილი ჰარაპის ცივილიზაციაც. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან კი იქ ცივილიზაცია მისულმა არიელებმაც შექმნეს. მართალია ინდოეთის ტერიტორიაზე ეს სამი ცივილიზაცია კი არსებობდა, მაგრამ ახსნას არ ექვემდებარება მანსურის რაიონში აღმოჩენილი 10 000 წლის წინანდელი ასი შენობის არსებობა. იქნებ ეს შენობები მეცნიერებისათვის დღემდე უცნობი სხვა ცივილიზაციის რაღაც კვალს წარმოადგენს? რაც შეეხება ჩინეთს, იქ იანშაოს კულტურა (ცივილიზაცია) III ათასწლეულში არსებობდა.



ამ ჯგუფის მეცნიერები ცალკე ცივილიზაციებად მოიხსენიებენ აქეველურ, ებრაულ და ხეთურ ცივილიზაციებსაც, თუმცა ამას ბევრი მონინალმდეგეც ჰყავს და თანაც უფრო გვიანდელელებიც არიან.

მეცნიერთა მეორე ჯგუფს მიაჩნია, რომ ცივილიზაცია ბერძნებმა შექმნეს და პირველებმა მათ აჩვენეს ადამიანის გონების ძალა. თუმცა იქვე ვარდებიან წინააღმდეგობაში, როცა წერენ, რომ მათი კულტურული მიღწევების დიდი ნაწილის სათავე სხვა ცივილიზაციებში იძებნება (ე.ი. გამოდის რომ ცივილიზაციები (და არაცივილიზაცია — ა.ნ.) პირველებს მათ არ შეუქმნიათ რადგან ბერძნებიც კულტურული მიღწევების დიდი ნაწილის სათავე თურმე „სხვა ცივილიზაციებში იძებნება — ა.ნ.) ასევე მიაჩნიათ, რომ მათი ცივილიზაციის სიმაღლე და თვითმყოფადობა ეჭვსგარეშეა. კი მაგრამ, როგორაა თვითმყოფადობა ეჭვს გარეშე, თუკი მათივე თქმით, ბერძნები სანყის ეტაპზე უფრო მაღალ განვითარებული წინაბერძნული ცივილიზაციების ჩრდილში იყვნენ? აი, ეს კი არის უფრო ახლოს სინამდვილესთან, რადგან ბერძნების კრეტაზე, ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვის აუზში გამოჩენამდე იქ მართლაც ცხოვრობდა მაღალგანვითარებული ცივილიზაციის შემქმნელი ხალხი, რაზეც ქვემოთ უფრო დანვრილებით შევჩერდებით.

საქმე კი აი რაშია: ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების კუნძულებზე სახელმწიფოები პირველად III ათასწლეულის შუა ხანებში გაჩნდნენ, რომელთა განვითარება III ათასწლეულის ბოლოდან უკვე შეფერხდა, რადგან ეგეოსსა და ბალკანეთზე ბარბაროსი ბერძნები (აქეველები — იგივე დანიელები, როგორც ისინი თავიანთ თავს ეძახდნენ) გამოჩნდნენ.

იმ ეტაპზე ბერძნების შემოსევებს გადაურჩა კრეტა და სწორედ ამან გამოიწვია მისი დანაშურება. კუნძულზე III ათასწლეულის ბოლოს პირველი სახელმწიფოებიც გაჩნდა, რომლის ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი მინოსი იყო და სწორედ მისი სახელის მიხედვით უწოდდა ა. ევანსმა იქაური ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციას (ევროპის პირველ ცივილიზაციას) მინოსური. მინოსის შემდეგ, მალე კნოროსმა მთელი კუნძულიც კი გააერთიანა. ერთი სიტყვით ძვ.წ. XVIII—XV საუკუნეებში მინოსური კრეტა ეგეოსის ზღვის აუზში ჰეგემონს წარმოადგენდა, მაგრამ XV საუკუნეში ბერძნები (აქეველები) კრეტაზეც შეიჭრნენ და ის ხელთ იგდეს. XIV საუკუნეში შეჭრა განმეორდა და კრეტა მთლიანად მიკენური (ბერძნული) ცივილიზაციის ფარგლებში მოექცა (საკუთრივ ბერძნების მიერ შექმნილი პირველი ცივილიზაცია მიკენურად იწოდება და მან აღმავლობა XVI საუკუნეში დაიწყო. მიკენური ცივილიზაცია მისონური ცივილიზაციის უდიდეს გავლენას განიცდიდა).

XIV საუკუნიდან მიკენურმა საბერძნეთმა ჰეგემონია მთელს ეგეოსის ზღვის აუზშიც მოიპოვა. XIV საუკუნეშივე დაუპირისპირდნენ ისინი ხეთებსა და კოლხებსაც, როცა იოლკოსის სასახლიდან კოლხეთში არგონავტები გაემგზავრნენ.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვის აუზებში თავდაპირველად პროტოქართული (კოლხურ-პელაზგური)ცივილიზაცია ჩამოყალიბდა, რომელიც ევროპის პირველი ცივილიზაცია (კრეტული) იყო და მას მანამდე ეკავა გაბატონებული ადგილი, ვიდრე ბალკანეთსა და კუნძულებზე ძვ.წ. 2500 -1600 წლებში ინდოევროპელმა ბარბაროსმა ბერძნებმა არ შეაღწიეს და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ძვ.წ. XVII საუკუნიდან შეიქმნა მიკენური (ე.ი. ბერძნული) ცივილიზაცია, რომელმაც განვითარება კოლხურ-პელაზგური ცივილიზაციის საფუძველზე დაიწყო.

მაგრამ ეს პროცესი უფრო წარმატებული და სწრაფი რომ ყოფილიყო, თანაც თავიანთი თავის გასაკეთილშობილებლად და ბარბაროსობის დასაძლევად, ბერძნებმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ წმინდა გრაალი — ოქროს სანმისი, რომელიც კოლხეთში იყო დავანებული და იმ საიდუმლო ცოდნას ინახავდა, რაც სამყაროს კეთილდღეობისა და სიბრძნის სიმბოლოს წარმოადგენდა. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რადგან მანამდე ხომ ბერძნები, ავაზაკები, ბარბაროსები, ველურები და მძარცველები იყვნენ. გადმოცემის მიხედვით, ბერძნებმა ოქროს სანმისის მოსატაცებლად სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს და უპირველეს ყოვლისა ააგეს გემი „არგო“ — სწრაფი, რომლის ეკიპაჟში შედიოდნენ: უფლისწული იაზონი, ზევსის შვილები ჰერაკლე და თევზის (ათენის დამაარსებელი), ავაზაკებისა და ქურდების ღმერთ ჰერმესის შვილი ავთოლიკე, მედიცინის ღმერთი ასკლეპიოსი, პოეტთა პოეტი ორფეო-

სი, აპოლონის, დიონისეს, პოსეიდონის და კიდევ სხვა ღმერთთა შვილები, ავგეა, ანთეოსი, კენეუსი, ნაერტი, პოლიდევი, პროკრუსტი, სიზიფე და სხვები. წარმატების მისაღწევად საქმეში სხვა ძალიან სერიოზული ძალებიც იყვნენ ჩართულები და მედეას იაზონით მოხიბლვაში დაეხმარნენ სიბრძნის ღმერთი ათენა, რომელმაც „არგოს“ მშენებლობაშიც მიიღო მონაწილეობა, სიყვარულის ღმერთი აფროდიტე და მისი შვილი ეროსი, რომელმაც მედეას ისარი ესროლა, ქალღმერთი ჰერა და სხვები.

საქმე იმდენად სერიოზულად ითვლებოდა, რომ ჰერმესმა შვილს იმისი უფლებაც კი მისცა, რომ მიზნის მისაღწევად, თუ დასჭირდებოდა ტყუილზე მამაც დაეფიცებინა.

ერთი სიტყვით, ბერძნებმა მედეას დახმარებით ოქროს სანმისი მოიპარეს (მოიტაცეს) და ამით კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი ქურდობა ჩაიდინეს.

სწორედ ამის შემდეგ, ოქროს სანმისის ელადამი ჩატანით და მის სიბრძნეზე დაყრდნობით შესძლეს მათ ბერძნული (მიკენური) ცივილიზაციის რენესანსი და კოლხურ ცივილიზაციაზე დაყრდნობით შექმნეს ბერძნული ცივილიზაცია, რომლისგან შემდეგ შეიქმნა რომაული, ხოლო რომაულზე დაყრდნობით დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაცია, ე.ი ლოგიკურია ვთქვათ, რომ თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაცია ოქროს სანმისზე არის აღმოცენებული.

აქვე ძალიან მოკლედ, მაგრამ ცალკე უნდა შევეხოთ მედეას ფენომენს და აღვნიშნოთ, რომ ის არამარტო კოლხეთის მეფე აიეტის შვილი იყო, არამედ მედიის-მიდიის დამაარსებელიც იყო შვილთან ერთად. მედეას თავისი შვილები არ მოუკლავს და ისინი მას კორინთელებმა დაუხოცეს, შემდეგ კი მედეას დააბრალეს, რისთვისაც მათევერიპიდეს<sup>5</sup> ტალანტი ქრთამი მისცეს და დაანერინეს დრამა, რომელშიც მედეამ თავისი შვილები თვითონ დახოცა ქმრის ღალატის გამო, სინამდვილეში კი მედეამ იასონის ღალატის გამო (იასონმა კორინთოს მეფის შვილი ელენე შეიყვარა), მისი კორინთოელი საცოლვე – კორინთოს მეფის შვილი ელენე მოკლა.

ტროელმა პელაზგებმა (ე.ი ქართველებმა) მედეას შვილების მოკვლის გამო შური იძიეს კორინთელებზე და ელენე მოიტაცეს.

მედეას სახელთან სხვაც ბევრი რამაა დაკავშირებული, მაგალითად ლათინურად მედეა არის ქალღმერთი, მედეა – მედიცინა, მედიკა – ექიმი ქალი, მედიკუს – ექიმი კაცი, მედიკოსი – მედიცინის მუშაკი და ა.შ. მედეას სახელს უკავშირდება ტიბეტში იოგით მკურნალობის ჩამოყალიბებაც, რადგან ის სწორედ მედეას დროს გაჩნდა იქ (იოგა ქართული სიტყვაა და იოგებს ნიშნავს), მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ისაა, რომ მედეას სახელი ჯვრის პირველგამოსახულებასაც უკავშირდება. საქმე იმაშია, რომ ერთ-ერთ თიხის სურაზე გამოსახულ მედეას ხელთ უჭირავს ჯვრის ფორმის მტევნები, ვაზისავე ჯვრის ტოტით და თან კაბაზე „აი ია“ აწერია.

მეცნიერთა და მკვლევართა მესამე ჯგუფს (რომელთა რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება), რომელშიც შედიან: ივ.ჯავახიშვილი, ნ.ბერძენიშვილი, ს.ჯანაშია, ი.დანელი, ა.ტონინი, ო.შპენგლერი, ფ.ბეგბი, ნ.დანილევსკი, ი.ბრაუნი, კ.შმიდტი, ტ.ჰეიერდალი, ე.დობლჰოფერი, ი.ფრიდრიხი, გ.გიორგაძე, ნ.ხაზარაძე, თ.გამყრელიძე, რ.ერისთავი, კ.კოლხი, გ.კვამილავა, ბ.სოფია, გ.ოტობაია, ზ.ქაფიანიძე, თ.მიხაიანი, კ.შელია, ა.შონია, გ.ჭელიძე, მ.ჯანჯღავა, ა.ურუშაძე, ნ.ფოფხაძე, ბ.სართანია, ა.კილასონია, ა.ბალაშვილი, ვ.ალფენიძე, გ.ვაშაკიძე, ი.კვეკვესკირი, გ.კვარაცხელია და მრავალი სხვა, სხვებისაგან განსხვავებით მიაჩნია და ძალზე არგუმენტირებულადაც ამტკიცებს, რომ თავდაპირველი ცივილიზაციები არც ერთ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ხალხს არ შეუქმნია და მისი შემქმნელები ქართველთა წინაპრები, პროტოქართველები – იგივე იბერები (კოლხუები) და პელაზგები არიან. სწორედ ასე ფიქრობდნენ ჯერ კიდევ XV საუკუნის ფრანგი მეცნიერი და მისიონერი დე ბურბური და ესპანელი მეცნიერი ი. დონელი, რომ კოლხუამ შექმნა ატლანტიდური ცივილიზაცია და მისი ჩაძირვის შემდეგ მანვე გაავრცელა ის, მის მიერ აღმოჩენილ ამერიკის კონტინენტსა და ყველა იმ მიწაზე, სადაც დამკვიდრება მოუწიათ. მათი აზრით კოლხებმა სათავე მედიტენარულ კულტურასაც დაუდეს.

წინა სტატიაშიც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ დედამიწის პირველი ცივილიზაცია ატლანტისზე შეიქმნა. თუ იმასაც დავიჯერებთ, რომ ატლანტისის ძირითადი (ერთ-ერთი ძირითადი მაინც) მცხოვრებლები კოლხუები – იბერები ყოფილან, მაშინ გამოდის, რომ პირველი

ცივილიზაციის შემქმნელებიც ჩვენი შორეული წინაპრები არიან. მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ (და ეს რიცხვი სულ უფრო და უფრო იზრდება) ცივილიზებულიკაცობრიობის ისტორია წარღვნამდე იწყება და ის სათავეს ანუნაკისაგან იღებს, იმ ანუნაკისაგან, რომელიც ცივილიზაციასთან გაიგივებული ცნებაა და თან ციდან დაშვებულს ნიშნავს (ისევე ცა და ციდან დაშვებული). იქნებ და მართლა უნდა ვინამოთ ე.წ. მოსულობის თეორია და შევეგუოთ იმ აზრს, რომ დედამიწაზე ადამიანები მართლაც მოსულები და სტუმრები ვართ? გავიხსენოთ „წუთისოფლის სტუმრები ვართ რერო, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება რერო“ (წავალთო, კი არ მოვკვდებითო). ძველი შუმერების მიერ შესრულებულ ნახატებზეც, რომ უცხოპლანეტელები არიან გამოსახულები, ეს მაინც როგორ ავხსნათ? შუმერებმა ყველაფერი ანუნაკისაგან ისწავლესო – ჰოდა, ხომ შეიძლება ასეთი ვარაუდიც - ანუნაკმა ჯერ თვითონ მიიღო ციდან დაშვებული ცოდნა- ცივილიზაცია და ისწავლა რა ის მოსული უცხოპლანეტელებისაგან, შემდეგ სხვებს, ამ შემთხვევაში ატლანტისელებს (კოლხუებს) ასწავლა და გადასცა ეს ცოდნა? და იქნებ სწორედ ამიტომ იყვნენ კოლხუები (იბერები) სხვა ხალხებზე მეტად დანინაურებულნი და განვითარებულნი? ის კი არადა, ერთ-ერთი ცნობით, ატლანტისელებს თვითმფრინავებიც კი ჰყოლიათ.

ერთი სიტყვით, ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა კოლხუებმა (იბერებმა) ჯერ კიდევ ატლანტისზე შექმნეს ბრწყინვალე არქიტექტურა, ასტრონომია, დროის ანგარიში, კალენდარი, მზის კულტი, ოცობით თვლა, პირამიდები და ხელოვნება. უნდა ვივარაუდოთ, რომ იქვე შეიქმნა იდეოგრაფიული და იეროგლიფური დამწერლობებიც.

ხოლო როცა 11 000 წლის წინათ ატლანტისი ჩაიძირა და მისი გადარჩენილი მცხოვრებლები (ე.ი. კოლხუები (იბერები) მთელს მსოფლიოში მიმოიფანტნენ, მათ თავიანთი ეს ცოდნა (ცივილიზაცია) ყველგან მიიტანეს, სადაც კი ფეხი მოიკიდეს და დამკვიდრდნენ. მაგალითად, მათ ამერიკის კონტინენტამდეც მიაღწიეს და მაიას ხალხს გადასცეს თავიანთი ცოდნა (არის ასეთი ჰიპოთეზაც, რომ თითქოსდა მაია ამერიკაში ატლანტისიდან მივიდა დაყველა ცოდნაც თან მიიტანა). დიდი ალბათობით კოლხუების (იბერების) გავლენით შეიქმნა მექსიკის კულტურაც.

იქნებ ამით მაინც აიხსნას კოლხუების (იბერების) მთელს დედამიწაზე მიმოფანტვით ის უცნაური დამთხვევები, მაგალითად ბასკური და იაპონური ენები რომ ჰგვანან ერთმანეთს, აინების და აინური ენის მსგავსება ბასკებსა და ბასკურ ენასთან, ინდიელების, შუმერების, ეგვიპტელების, ძველი ევროპელებისა და წყნარი ოკეანის კუნძულთა იდეოგრამებისა და დამწერლობების ერთმანეთთან მსგავსებები და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით, ატლანტიდელები (ე.ი. კოლხუები (იბერები) სავარაუდოდ 11 000 წლის წინათ პირველად მცირე აზიაში მივიდნენ და თანმიიტანეს რა იქ თავიანთი ცოდნა (ცივილიზაცია), ააგეს (დიახ სწორედ 11 000 წ. წინათ, რაც ზუსტად ემთხვევა წარღვნის თარიღს) უამრავი ეკლესია და ტაძარი ზედ წარწერის მაგვარი ნიშნებით (ყველაფერი ეს გერმანელმა არქეოლოგმა შმიდტმა აღმოაჩინა თურქეთის გიობეკლ – ტეფეში). ამის თაობაზე სწორედ ასეთნაირად წერს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული „დღესასწაულთა წიგნიც“.

შემდეგი აუხსნელი მოვლენა ინდოეთში, მანსურის რაიონში აღმოჩენილი 10 000 წ. წინანდელი ასი შენობაა, რომლის წარმომავლობა დღემდე გაურკვეველია. არადა, როგორ თანხვედრაშია ქრონოლოგიურად ის ატლანტისის ჩაძირვასთან. ცდუნებას ვერ უძლებ იფიქრო, რომ ეს შენობებიც ჩაძირული ატლანტისიდან წამოსულმა ხალხმა ხომ არ ააგო და ხომ არ იყვნენ ისინიც კოლხუათა (იბერთა) წარმომადგენლები? მითუმეტეს, რომ ინდოეთშიც მოგვიანებით პროტოქართველი დრავიდები ცხოვრობდნენ?

მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ 8500 წლის წინათ პროტოიბერებმა დიდი ბრიტანეთის კუნძულების ათვისებაც დაიწყეს, რომელიც მანამდე დაუსახლებელი იყო.

8000 წლის წინათ დაიწყო პროტოიბერების მიერ სამხრეთ ევროპის (საფრანგეთის, სამხრეთ გერმანიის, ავსტრიის, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზების კუნძულთა – მათ შორის კრეტის) ათვისებაც. ამის თაობაზე უკრაინელი მეცნიერი ა. აბაკუმოვი წერს, რომ ქართული ცივილიზაცია ჯერ კიდევ 8000 წლის წინათ არსებობდა და ის ყველაზე ძველად მიჩნეულ შუმერულ (მესოპოტამურ) და ეგვიპტურ ცივილიზაციებს მთელი 2000 წლით უსწრებდა წინ. მისი აზრით, მაშინდელი ქართული ცივილიზაციის გავლენის კვალი დღემდე არის შემორჩენილი გერმანული და ჰოლანდიური ენების დიალექტებში.



ცნობილი გერმანელი მეცნიერი ფ.შლოცერი კი წერს, რომ სწორედ კავკასიელმა ხალხმა შექმნა და გამოიგონა ყველაფერი მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ყველაფერი გონიერი. კავკასიის ხალხია კაცობრიობის ბირთვი, ცენტრი და მის ირგვლივ ბრუნავს სამყაროს ისტორია.

ებრაელი მეცნიერი ლ.ვრანი წიგნში „ობ იბერიისკომ რასსელენნი“ წერს, რომ ძველი იბერიელების თავდაპირველი განსახლების სივრცე იყო ევრაზია.

მეორე ებრაელი მეცნიერი ი.მოსენსკისიც აღნიშნავს, რომ ქართველები იყვნენ ევრაზიული ცივილიზაციის სათავეებთან (მისი წიგნები „პირველ ცივილიზაციათა ქართული კვალი,“ ქართველები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს უძველესი მცხოვრებნი,“ „ქართველები ძველ ბრიტანეთში,“ ქართველები ძველი ეგვიპტური კულტურის შემქმნელები,“ „უცნობი ქართველური ენა და ქართული დინასტიის 600 წლიანი მმართველობა მესოპოტამიაში“).

კიდევ ერთი ებრაელი მეცნიერი ბ.გრენშპოლკიც წიგნში „არიელები და იბერიელები“ წერს, რომ დასავლეთ ევროპის თავდაპირველი ამთვისებლები ქართველები იყვნენ და მათ 4800 წ. წინათ ავსტრიაშიც შექმნეს ბადენის კულტურა. მისი აზრით, ქართველები იყვნენ ტროელებიც და ბრიტანეთის კუნძულებისა და საფრანგეთის პირველი ამთვისებლებიც, ხოლო ბასკები ძველი იბერიების (კოლხუების) ნარჩენები არიან.

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ პირველი კოლხური (იბერიული) ცივილიზაცია, რომელზეც შემდეგ სხვა ცივილიზაციებიც აღმოცენდნენ, 7000 წ. წინათ შეიქმნა. ამის თაობაზე არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ძველი ავტორებიც წერდნენ. მაგალითად, ჰ.მილეთელი მიიჩნევდა, რომ პირველი ცივილიზაცია იყო კოლხური და ის გავრცელებული იყო კავკასიაში, ჩრდილოეთ კავკასიის ნაწილში, მცირე აზიაში, ხმელთაშუაზღვის აუზსა და ინდოეთში. ერთი სიტყვით, არიან რა ჩვენი წინაპრები მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან, ეს სწორედ მათ შექმნეს მედიტერიანული კულტურა და ყველა სახის დამწერლობა კვირბებიდან მოყოლებული.

ქრონოლოგიურად ზემოთ აღწერილ ამბებთან თანხვედრაში მოდის მესოპოტამიაში მიმდინარე პროცესებიც, რადგან თუ ვირწმუნებთ, რომ წარღვნა და ატლანტისის ჩაძირვა 11 000 წ. წინათ მოხდა და მის შემდეგ ქ. ქიშში პირველად აღსდგა მეფობა და ცივილიზაცია, ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მოგვიანებით 8000 წ. წინათ იქ ჩასულმა ქართვებმა (კოლხუებმა – იბერებმა) ბანანურ (კოლხურ) ენაზე იქვე შექმნეს კოლხური (იბერიული) კულტურაც.

მეცნიერების ნაწილი იმაშიც არის დარწმუნებული, რომ სწორედ ამ დროს შეიქმნა პროტოქართული – კოლხური (იბერიული) ენაც, რომელსაც ბანანურ ენასაც უწოდებენ. ბანანურმა (კოლხურმა) ენამ უცვლელი სახით 2900 წ. 4700 წლამდე იარსება. ამ მეცნიერთა აზრით, ქვის ხანის გარდა, ყველა სხვა ხანის მიღწევები სწორედ ბანანურ (კოლხურ) ენაზე მოლაპარაკე ხალხის ნამოღვაწარის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. 4700 წლის წინათ კი როცა ბანანური (კოლხური) ენის დაშლის პროცესი დაიწყო, პირველი მას ბასკური ენა გამოეყო.

შუამდინარეთში სწორედ ქართვების (კოლხების - იბერების) გამოჩენის შემდეგ გაჩნდა ქვეყანა ენგური და ენგურელი ხალხი, რომელიც ბანანურ (კოლხურ) ენაზე ლაპარაკობდა. არ გეჩვენებათ ძალზე უცნაურ დამთხვევად ისიც, რომ სწორედ აქ და თანაც ბანანურ (კოლხურ) ენაზე შეიქმნა თქმულება წარღვნის შესახებ (ნამდვილად არ არის მოკლებული ლოგიკას თუ ვიტყვით, რომ თქმულება წარღვნაზე სწორედ იმ ხალხმა შექმნა, რომელმაც ეს მოვლენა თავის თავზე გამოსცადა).

ერთი სიტყვით, იქ (მესოპოტამიაში 6000 წლის წინ მომდევნო სახელმწიფო იბერ-სუბარებმაც შექმნეს და თან მათი განვითარების დონე იმდენად მაღალი იყო, რომ იეროგლიფური და ლურსმნული დამწერლობებიც კი შექმნეს და (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია „საქართველოს ისტორია“, 1948 წ. გამოცემა). შეიქმნა მესოპოტამიური პროტოიბერიული ცივილიზაცია, რომელთანაც ისეთი მოვლენებია დაკავშირებული, როგორცაა: პირველი კანონების შექმნა (6000 წლის წინ), ფერადი მინის დამზადება (4400 წლის წინ), „გილგამეშის“ დანერა (4300 წ. წინ), ჰამურაბის კანონების შექმნა (3800 წ. წინ), ბორბლის, წყლის ამოსაქაჩი ბორბლის და ბრინჯაოს გამოგონება, ასტრონომიის, მათემატიკის, მზისა და მთვარის კალენდრების და რუკების შექმნა, საათის შექმნა და მისი დაყოფა 60 წუთად, წრის 3600-ად დაყოფა, ოქროს დამუშავების წესის აღმოჩენა, დღეების შემოღება, მაღალი დონის მედიცინის შექმნა, ზოგადად მშენებლობის განვითარება, ქალაქების გამაგრებების მონყოფა, ტაძრებისა და პირ-

ამიდების აგება, ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორუფლებიანობის დამყარება და მათ შორის საქორწილო ხელშეკრულებების გაფორმება და მრავალი სხვა.

მესოპოტამიური (ე.ი. პროტოიბერიულ-კოლხური) ცივილიზაცია მოგვიანებით, იქ ისევ პროტოქართველმა აქადელებმა განავითარეს, თუმცა რატომღაც მას მეცნიერებმა ბაბილონური ცივილიზაცია უწოდეს.

ატლანტისიდან წამოსულმა კოლხებმა (იბერებმა) ცივილიზაცია ეგვიპტეშიც მიიტანეს და იქაც დაამკვიდრეს ასტრონომია, დროის ანგარიში, კალენდარი, მზის კულტი, პირამიდების აგების ცოდნა და წყლისა და მზის საათები. ასევე მიიტანეს ლითონისა და გამჭირვალე ქსოვილების წარმოება, ოქროს, ვერცხლისა და მინის მიღებისა და დამუშავების წესები, მაღალი დონის მედიცინა და მხატვრობა, მათემატიკა, ციფრები და იეროგლიფები. სწორედ ამას გულისხმობდა ი. მოსენსკესი, როცა წერდა, რომ ეგვიპტის ცივილიზაცია შეიქმნა პროტოქართულზე დაყრდნობითო (მისი წიგნი „ქართველები ეგვიპტის კულტურის შემქმნელები“).

გერმანელ მეცნიერ რიხტერს კი მიაჩნდა, რომ (და ეს გენეტიკური ანალიზითაც დამტკიცდა) ეგვიპტის ფარაონები გენეტიკურად კავკასიელები-იბერები (კოლხები) იყვნენ და ისინი იქ 7000 წ. წინათ გადასულან და დამკვიდრებულან.

ეგვიპტის კულტურაზე დიდი ზეგავლენა შემდგომი დროის კოლხურმა კულტურამაც მოახდინა და სწორედ მისგან გადაიღეს მინათმოქმედება, ღვთაებები და წამალთმცოდნეობა (ასე ფიქრობს გერმანელი მეცნიერი შპრენგელი), კოლხებმა დააარსეს ქ. ჰელოპოლისიც, სადაც შემდეგში ასტრონომიასა და ასტროლოგიას აიეცის ძმა აქციუსი ასწავლიდა. ეს ცოდნა კი აქედან შემდეგ დანარჩენ მსოფლიოშიც ვრცელდებოდა. ეგვიპტეში პროტოქართული მითანიდან ორთვალა საბრძოლო ეტლი და რკინის იარაღებიც შეიტანეს.

სიძველით შემდგომი არის ინდოეთში 5300 წ. წინათ პროტოქართველი დრავიდების მიერ შექმნილი ჰარაპის ცივილიზაცია, რომელსაც მოჰყვება 5000 წ. წინათ ჩინეთში შექმნილი იანშაოს კულტურა.

ასევე უძველესია პელაზგური და ტროას პროტოიბერიული (კოლხური) ცივილიზაციებიც, რომლებიც 4500 წ. წინათ შეიქმნა და ძვ.წ. XIII -ს-მდე იარსება. სწორედ პელაზგური კულტურა არის ბერძნული ცივილიზაციის საფუძველი, კრეტულ (მინოსურ) კოლხურ (იბერიულ) ცივილიზაციასთან ერთად, ბერძნული რომაულის და რომაული კი თანამედროვე მსოფლიოსი.

რუსი ა. ნოგოკიცინის აზრით, სწორედ პელაზგები იყვნენ ბერძენთა მასწავლებლები და დამწერლობაც მათგან აიღეს, რადგან ფინიკიური ალფაბეტი პელაზგური წარმოშობისაა.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ კიდევ ერთ პროტოქართულ ცივილიზაციასაც, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის სახელით უფრო არის ცნობილი. ის 5500 წლის წინათ დაიწყო და 4000 წლის წინათ დასრულდა, თუმცა მოასწრო დიდი წვლილის შეტანა მინათმოქმედების და ზოგადად მეურნეობის განვითარებაში, სპილენძის ფართოდ გამოყენებისა და პატრიარქატის დამკვიდრებაში და ა. შ.

ის, რომ პროტოიბერები (კოლხები) თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ ჯერ მცირე აზიაში და შემდეგ დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, პირენეის ნახევარკუნძულზე, ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზებში და შუამდინარეთში (მესოპოტამიაში), ნამდვილად აღძრავს საფიქრალს, რომ ისინი რაღაც გლობალურმა მოვლენამ აიძულა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან (ატლანტისიდან? – ა.ნ.) აყრილიყვნენ და მორიგი მუდმივი საცხოვრებელი მთელს დედამიწაზე ეძებნათ. მართლაც და ხომ არ იყო ეს გამონეული ატლანტისის ჩაძირვით?

არანაკლებ საფიქრალს აჩენს (და მასზე პასუხი მკითხველისათვის მიმინდვია) ის უცნაური დამთხვევები, რაზეც მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ, მაგალითად:ბასკებმა და მესოპოტამიელებმა ერთდროულად 6000წლის წინათ მიიღეს პირველი კანონები. ვფიქრობთ საჭიროა მათი შეპირისპირებითი ანალიზი, რაც გვიჩვენებს ჰგავს, თუ არა რაიმეთი ისინი ერთმანეთს და თუ ცოტათი მაინც ჰგავს, მაშინ რით ავხსნათ ათასობით კილომეტრით ერთმანეთზე დაცილებული ხალხების იდენტური დამოკიდებულება ცალკეული მოვლენებისა და სამართლებრივი ფაქტებისადმი? ასევე, ნუთუ ეჭვს არც ის უნდა იწვევდეს, ასე ერთდროულად თუ როგორ გაჩნდა მესოპოტამიასა და ეგვიპტეში (სხვაგანაც) ძალიან მაღალი დონის მედიცინა, მზის კულტი, დამწერლობები, კალენდრები, საათები, მინა, რუკები, ზღვაოსნობა, ასტრონო-

მია, ასტროლოგია, მათემატიკა, დაინყეს პირამიდების აგება და სხვა მრავალი? მართლა დავიჯეროთ, რომ ყველაფერი ეს ქვის ხანის ადამიანებმა შესძლეს? თუ ყოველივე ამისი ცოდნა (ცივილიზაცია) ანუნაკმა ზეციდან მიიღო მოსულებისაგან და შემდეგ ეს ცოდნა კოლხების (იბერების) საშუალებით მთელს დედამიწაზე გაავრცელა? ამაზე მე პასუხი არა მაქვს, თუმცა შინაგანი რწმენა მკარნახობს, რომ საქმე არც ისე მარტივადაა და ის მართლაც უკავშირდება რაღაც არამიწიერ ძალას, რომელმაც ყოველივე ეს (ცოდნა, ცივილიზაცია) ქვის ხანის ადამიანებს გადასცა. ამაზე ფიქრი ჩემო ძვირფასო მკითხველო თქვენთვის მომინდვია და თქვენც ისე გადანყვიტეთ, როგორც გონებამ გიკარნახოთ.

და ბოლოს გავაკეთოთ სტატიის ერთგვარი შეჯამება და ჩამოვთვალოთ მხოლოდ ნაწილი იმისა, რაც პროტოიბერებმა (კოლხებმა) პირველებმა გააკეთეს დედამიწაზე და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის კულტურასა და ცივილიზაციების განვითარებაში: მასმ ასე, მათ ააგეს = ტროა (მედეას შვილიშვილმა ილიოსმა)

აღმოაჩინეს = ამერიკა,

გამოიგონეს = ბორბალი,

ბურთი,

დღეების სახელები (კოლხებმა და ქასქებმა),

ოცობითი თვლა,

ფერადი მინა,

ციფრები,

წყლის საქაჩი ბორბალი,

გამოიყვანეს = პურის უძველესი ჯიშები: ემერი, ზანდური და მახა.

დააარსეს რომი = (აიეტის დის ცირცეას(ცირას) შვილიშვილმა, თუმცა რომის დაარსებაზე კიდევ ორი სხვა ვარიანტიც არსებობს და ორთავე ქართულია: 1. პელაზგების ნაწილი ბერძნებთან დამარცხების შემდეგ აპენინის ნახევარკუნძულზე გადავიდა და იქ 753 წელს პელაზგმა რომულუსმა დაარსა რომი, რითაც საფუძველი ჩაუყარა რომაულ ცივილიზაციას. 2. რომი 753 წელს ააშენეს და რომაულ ცივილიზაციას საფუძველი ჩაუყარეს ეტრუსკებმა.

დაინყეს = ბეჭვდა (ფესტოსის დისკო, 4000 წლის წინ),

გამჭირვალე ქსოვილების წარმოება,

დროის ანგარიში,

კერამიკის დამუშავება (და გამოიგონეს სამეთუნეო დანადგარი),

მაღალი დონის მშენებლობები,

მინის წარმოება, მინათმოქმედება (მაღალი დონის),

პირამიდების მშენებლობა,

საათის 60 წუთად დაყოფა,

ტაძრების აგება,

ქალაქების გამაგრებები,

წრის დაყოფა 360°.

იყვნენ = პირველი ასტროლოგები,

პირველი ასტრონომები,

პირველი გემთმშენებლები,

პირველი კარტოგრაფები,

პირველი მეზღვაურები.

მოიშინაურეს = ვაზი,

ცხენი.

შეიმუშავეს = ოქროსა და ვერცხლის მოპოვება – დამუშავების წესები.

შექმნეს = არქიტექტურა,

გვარები (ქასქებმა ძვ.წ. XV ს.),

დამწერლობები (რომელიც თითქმის ყველა პროტოქართულ ტომს ჰქონდა: იდეოგრაფიული და იეროგლიფური, კვირბები (40 000 წ. წინ). ლურსმნული, მაიას ანბანი, მიკენის მინოსური და ლემნოსური დამწერლობები, ოქროს დამწერლობა (ფესტოსის დისკო, 4000 წ. წინ), სურათებიანი ანუ ხატოვანი და ქართული ანბა-

ნური (რამდენიმე სახის).  
 კალენდრები (მზისა და მთვარისა),  
 ლიტერატურა,  
 მაღალი დონის მედიცინა,  
 მაღალი დონის მხატვრობა,  
 მაღალი დონის წამალთმცოდნეობა (საკმარისია მედეას დასახელებაც),  
 მედიტერიანული კულტურა,  
 მეტალურგია (ბრინჯაო, რკინა (II ათასწლეულის შუახანებიდან),  
 ფოლადი (ძველბერძნულად ხალიფი (ხალიბისაგან),  
 თითბერი (ძველბერძნულად მესინგ (მოსინიკისაგან)  
 ორთვალა ეტლი,  
 ორთვალა საბრძოლო ეტლი (მითანში),  
 პირველი კანონები (ბასკეთსა და მესოპოტამიაში 6000 წ.წინ და ჰამურაბის 3800 წ. წინ).  
 პირველი მონეტა (ფრიგიაში, მუშქებმა ძვ.წ. VII ს.),  
 პირველი რუკები (კირებზე არის ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი – ა.როდოსელი),  
 პირველი წიგნები („ანუნაკის“ ეფუთი (შეიძლება ითქვას პირველი „ბიბლია“, რადგან მასში იყო 10 მცნებაც), „მარგალითი“(ორთავე 7000 წ.წინ), „გილგამეშიანი“ (4300წ. წინ), „ტაბუ“, „ტოფმა“, „ოქროს სანმისი“, „ზღაპარი ამირანის შესახებ“ და „იბერიული ტაბულა“ (ყველა 3500 წ. წინ)  
 პოეზია,  
 რელიგიები,  
 რკინის იარაღები (საბრძოლო და სამუშაო),  
 საათები (კოლხური წყლის და მზის),  
 საგალობლები,  
 ღვთაებები,  
 ღმერთები,  
 ხელოვნება,  
 ცივილიზაციები (რამდენიმე, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ),

განახორციელეს ქალისა და მამაკაცის რეალური თანასწორუფლებიანობა და დაიწყეს მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებების დადება.

ჩემო მკითხველო, თუკი ამ ჩამონათვალის გაცნობის შემდეგაც თქვენ მაინც იმ მეცნიერებს მიემხრობით, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დედამიწაზე პირველი ცივილიზაციები შუმერებმა (არაკოლხმა შუმერებმა), ეგვიპტელებმა და ბერძნებმა შექმნესო, მე ისლა დამრჩენია საფუძვლიანი ეჭვი შევიტანო თქვენს ობიექტურობასა და განსჯის სისწორეში. თუკი ყოველივე ეს, რაც მე ზემოთ ჩამოვთვალე, არ არის ცივილიზაცია, მაშინ იქნებ სხვამ აგვიხსნას რა შექმნეს და გააკეთეს უფრო მეტი ცივილიზაციის შესაქმნელად შუმერებმა (არაკოლხმა შუმერებმა), ეგვიპტელებმა და ბერძნებმა?

„მატიანის“ მომდევნო ნომერში, თუკი თქვენი დაინტერესებაც იქნება, მოგიტხოვრებ, თუ რომელი ხალხები მიეკუთვნებოდნენ პროტოქართველებს, სად ცხოვრობდნენ ისინი და რა ენაზე (ენებზე) ლაპარაკობდნენ. არც ის იქნება უინტერესო, გავარკვიოთ, თუ რა წვლილი და რა დოზით შეიტანა თითოეულმა მათგანმა მსოფლიოს კულტურულ განვითარებასა და ცივილიზაციათა ჩამოყალიბებაში.



## რედაქციისაგან

2015 წლის 9 მაისს შესრულდა 70 წელი ევროპის კონტინენტზე მეორე მსოფლიო ომის საომარ მოქმედებათა შეწყვეტიდან. 2015 წლის 2 სექტემბერს გასრულდება 70 წელი ამ ომის დამთავრებიდან.

1939 – 45 წლების მეორე მსოფლიო ომიერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია კაცობრიობის ისტორიაში. იგი დასავლეთში გააჩალა ფაშისტურმა გერმანიამ, აღმოსავლეთში იაპონიამ და თავის ორბიტაში ჩაითრია მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა. ამ ომში პირდაპირ და არა-პირდაპირ ჩართული აღმოჩნდა პლანეტის მოსახლეობის 80%. საომარი მოქმედების ქვეშ მოექცა თითქმის მთელი ევროპა, აზიის უზარმაზარი ტერიტორიული სივრცე, წყნარი და ატლანტის ოკეანის აუზები, აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. გაგრძელდა იგი 6 წლის განმავლობაში, უზარმაზარი შეიარაღებით, იმ დროისათვის ბრძოლის უახლესი ტექნიკური საშუალებებით, 110 მილიონი ჯარისკაცითა და სამხედრო - სამეთაურო კორპუსით; მსოფლიოს მოუტანა კოლოსალური ადამიანური მსხვერპლი, მატერიალურ და კულტურულ სფეროში კატასტროფული ნგრევები.

მეორე მსოფლიო ომი ისე, როგორც პირველი, გახდა გადანაწილებული მსოფლიოს ახალი გადანაწილების, გასაღების ბაზრების მოპოვების გზაზე კაპიტალისტურ დაჯგუფებებს შორის უკომპრომისო დაპირისპირების შედეგი, იმ განსხვავებით, რომ ამ პერიოდისათვის მხოლოდ კაპიტალიზმი არ წარმოადგენდა მსოფლიო მოვლენების ტონის მიმცემს. არსებობდა მსოფლიოში ახალი, სოციალისტური სახელმწიფოც, თავისი იდეოლოგიითა და ეკონომიკურ - სოციალური მიდგომებით, მკვეთრად განსხვავებული კაპიტალიზმისგან. არაა შელამაზება საჭირო, რომ ზუსტად ამ სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე უდიდეს როლს აკისრებდნენ დასავლეთში ჰიტლერულ გერმანიას, აღმოსავლეთში — იაპონიას.

საომარი მოქმედების დაწყება დააჩქარა იმ ეკონომიკურ-სოციალურმა კრიზისმა, რომელიც აღმოცენდა აშშ-ში, მოიცვა დანარჩენი მსოფლიო და თითქმის დამანგრეველი გავლენა მოახდინა შესაბამისი ქვეყნების ეკონომიკაზე, როგორც ბაზისზე და აქედან მის ზედნაშენურ მიმართულებებზე, რის საფუძველზეც 1929 წელთან შედარებით სამრეწველო პოტენციალი აშშ-ში დაეცა 64%-მდე, ინგლისში - 88%, გერმანიაში - 65% საფრანგეთში - 88% - მდე. უმუშევართა მასამ აშშ-ში მიაღწია 14 მილიონს, გერმანიაში გასცდა - 5-ს, ინგლისში 2 მილიონს, საერთოდ, წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში 30 მილიონზე მეტს, ამას დაემატა იაპონიის აგრესია აღმოსავლეთში აშშ, ინგლის - საფრანგეთის კოლონიალური მფლობელობისა და ჰეგემონობის წინააღმდეგ, გერმანიის რადიკალური პრეტენზიები პირველი მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის ხასიათი, კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, აშკარად განსხვავდება ომის დაწყებასა და დამთავრებას შორის. იგი შეიცვალა სიტუაციათა მკვეთრი ცვლის შედეგად, რამაც ხელი შეუწყო ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნას მაშინდელი საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ინგლისის შემადგენლობით. ბრძოლამ მიიღო სამართლიანი და უკვე განმანთავისუფლებელი ხასიათი. ცხადია, ეს არ მომხდარა ერთბაშად, წინ უძღოდა კოლოსალური, პოლიტიკური - დიპლომატიური მუშაობა. ამის გამოც ომის დამთავრებაც და შედეგებიც განისაზღვრა ისე, როგორც არ იყო ჩადებული ომის დამწყებ მხარესა და მის წამქეზებელთა მოსაზრებებსა და გეგმებში.

ამ ომში, მაშინდელი საბჭოთა ქვეყნის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ერთად, ჩართული აღმოჩნდა საქართველოც, რომელმაც ყველა განზომილების მიხედვით თავისი წილი დადო საბოლოო გამარჯვების საქმეში. ომში მონაწილეობდნენ ჩვენი, ვანის რაიონის მკვიდრნიც, ფრონტებზეც და, ფრონტის ზურგში საქმიანობითაც. სკოლების მოსწავლეები - არასრულწლოვნებიც. ამის მაგალითებიც გვაქვს, ამიტომ კრებულ „მატიანის“ რედაქცია აქვეყნებს რა ზოგიერთ მასალას დაკავშირებულს ამ ომთან, დღევანდელობას შეახსენებს და მოუთხრობს ადამიანებზე, კონკრეტულად, ფრონტის წინა ხაზზე მდგომთა შესახებ, რითაც პატივს მივაგებთ ყველას, უმუშაოდ, ჩვენი სამშობლოდან, ვანის რაიონიდან, იარაღით ხელში მებრძოლსაც და ფრონტის ზურგში მომუშავეებსაც, მაშინდელ ახალგაზრდობას, ყველას, ვინაც თავიანთ მხრებზე ზიდეს ის სიმძიმე, რომელიც ამ უღმობელ ომს ახლდა.

## მერაბ კვარცია

საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის წევრი

### ვანელი დიდ სამამულო ომში

მეორე მსოფლიო ომი ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი იყო კაცობრიობის ისტორიაში. აზიაში ის სათავეს იღებს მეორე, იაპონია – ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისიდან, ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე – 1939 წლის 1 სექტემბერს. საომარი მოქმედებანი ევროპაში დასრულდა 1945 წლის 9 მაისს ვერმახტის – გერმანიის შეიარაღებული ძალების, სრული კაპიტულაციით, ხოლო აზიაში – 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

ომში მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, შეიარაღებულ ძალებში მობილიზებული იყო 110 მილიონი კაცი, ბრძოლები მიმდინარეობდა მსოფლიოს 40 ქვეყნის ტერიტორიაზე. როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მოსახლეობის მხრივ დაღუპულთა და დაჭრილთა რიცხვებმა მიაღწია 67 მილიონამდე. ნგრევითი მასშტაბები იყო განუზომლად დიდი. საქართველომ, რომელიც იმ დროისათვის შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ფრონტზე გაგზავნა 750- ათასი კაცი, საიდანაც დაიღუპა 350-ათასი, ხოლო მთლიანად საბჭოთა კავშირიდან სამოქალაქო მოსახლეობასთან ერთად მსხვერპლმა შეადგინა 27- მილიონი, გერმანიიდან 15- მილიონი, დიდი იყო მსხვერპლი ცალკეული ევროპულ სახელმწიფოებიდანაც. ამერიკის შეერთებული შტატების დანაკარგი იყო 380 000 კაცი. სამხედრო ხარჯებმა და ზარალმა მიაღწია 4- ტრილიონ დოლარს, აქედან 1,5 ტრილიონი დოლარი მოდიოდა საბჭოთა კავშირზე, რომლის ტერიტორიაც ამ ომის მთელ მანძილზე წარმოადგენდა ძირითადი საომარი მოქმედების პოლიგონს.

ვანის რაიონიდან, ამ არნახული მასშტაბის ომში (რომელიც მაშინდელი საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის დიდი სამამულო ომის სახელითაა ცნობილი) გაიწვიეს 7300 კაცი და მათ შორის, რამდენიმე ათეული ქალბატონიც. საომარი მოქმედების პროცესებში დაიღუპა 3600 ვანელი. რაიონში არიან ოჯახები, რომლებმაც ომში დაკარგეს მამაც და ორი შვილიც. განვეული კონტინგენტიდან 900-ზე მეტი მეომარი დაჭრილი ან ინვალიდი დაბრუნდა. არსებობს მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვანელთა მხრივ გულადობისა და მამაცობის მაგალითებს. დიდმა უმრავლესობამ სახელოვანი ბრძოლებიც გადაიხადა.

ვანელთაგან ორი, პავლე აბრამიძე და ვალერიან ძაბახიძე, გახდნენ გენერლები და ხელმძღვანელობდნენ დივიზიებს (ხოლო ვალერიან ძაბახიძე ომის დაწყებამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი), პოლკოვნიკი მიხეილ დიასამიძე მეთაურობდა პოლკს და ბრწყინვალედ განხორციელებული სამხედრო ოპერაციებისათვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. პოლკოვნიკი ანანია ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობდა სხვადასხვა მსხვილი საჯარისო დანაყოფების შტაბებს, პოლკოვნიკი ვასილ კვარცია გარკვეულ პერიოდში იყო დივიზიის უფროსის მოადგილე. პოდპოლკოვნიკი ვალერიან თვალაბეიშვილი მეთაურობდა 362-ე დივიზიის ერთ-ერთ ბატალიონს, იბრძოდა კავკასიის მისადგომებთან. პოლკოვნიკი გრიშა (გრიგოლ) ბურკაძე იყო დივიზიის მეთაურის მოადგილე, პოლკოვნიკი ლადო დვალი განსაკუთრებული პოლკის უფროსი, კაპიტნები გენადი ხარძეიშვილი და შოთა რამიშვილი მეთაურობდნენ ცალკეულ საჯარისო დანაყოფებს, აკაკი გიორგაძე ხელმძღვანელობდა სადესანტო პოლკის პოლიტგანყოფილებას, ნექტარიოზ თვალაბეიშვილი იყო უფროსი პოლიტხელმძღვანელი, შოთა ნამიჭეიშვილი და მიხეილ გაბუნია მეთაურობდნენ პარტიზანულ რაზმებს, უკანასკნელი ხუთი პიროვნება დაიღუპა ბრძოლის ველზე, ხოლო მიხეილ გაბუნია მიუნხენის სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით დახვრიტეს.

სახელოვან რიგით მეზობლებთან ერთად სხვადასხვა ფრონტის შემადგენლობაში იბრძოდნენ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც. პოეტი გიორგი ნაფეტვარიძე, ცნობილი პოეტი ლადო სულაბერიძე და სამოცდაათზე მეტი ვანელი ოფიცერი. მათ შორის ოთხი პოლკის უფროსი, თორმეტი - ასეულის მეთაური, სამი - ასეულის მეთაურის მოადგილე, სამი - ასეულის პოლიტნაწილის უფროსი, ორი საარტილერიო ბატარეის მეთაური, ორი მფრინავი, ერთი - კონტრდაზვერვის კაპიტანი. დანარჩენები მეთაურობდნენ სატანკო და მსროლელ ქვედანაყოფებს და ა.შ. ომიდან რაიონს დაუბრუნდა სამოცზე მეტი ოფიცერი და მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის აღმშენებლობით საქმიანობაში. ხსენებულ ოფიცერთაგან 18 - იბრძოდა ჩრ-

დილოეთ კავკასიის, 6 - უკრაინის პირველი, 5 - სამხრეთის, 5 - კავკასიის, 3 - დასავლეთის, 3 - უკრაინის მესამე, 2 - ვორონეჟის, 2 - ლენინგრადის, 2 - უკრაინის მეოთხე, 2 - ბალტიისპირეთის, 2 - ბელორუსიისპირველი, 2 - უკრაინის მეორე, რამდენიმე ბაიკალ-ამურის და ვოლხოვის ფრონტებზე. როგორც საქართველოდან ასევე ვანის რაიონიდან ფრონტზე განვეული კონტინგენტი შეიძლება დავეყოს სამ კატეგორიად: 1. მეომრები, რომლებიც დაიღუპნენ საბრძოლო მოქმედებებისას, 2. დაჭრილები, ინვალიდები, რომლებიც დაუბრუნდნენ რაიონს და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე შეუერთდნენ ომის შემდგომ აღმშენებლობით პროცესებს, 3. ჯანმრთელად დაბრუნებულნი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ფრონტზე თავისი სიტყვა თქვეს ვანელმა ექიმებმა, ბევრ მათგანს ჰქონდა მაღალი სამხედრო ჩინი დანიშნელოვანი წვლილი აქვე შეტანილიდაჭრილ მეომართა გადარჩენისა და გამოჯანმრთელების საქმეში.

პირობითად, ფრონტულ საქმიანობაში ჩართული აღმოჩნდა რაიონის მთელი მოსახლეობა, მათ შორის მოსწავლეებიც, ამ ადამიანებმა, როგორც ფრონტის ზურგის მუშაკებმა, უზარმაზარი წვლილი შეიტანეს საერთო გამარჯვების საქმეში. ურთულეს პირობებში ქმნიდნენ იმას, რაც აუცილებელი იყო ფრონტის საჭიროებებისათვის, დისციპლინირებულად, უდრტივნიველად განაგრძობდნენ რაიონის აღმშენებლობას და მიუხედავად გაჭირვებისა, რაც დამახასიათებელია მეომარი მხარისათვის, არ დაუშვიათ რაიონში ნგრევითი პროცესების განვითარება.

დღეს, ღირებულებათა უსისტემოდ და ზერელედ გადაფასების პირობებში არის მცდელობა იმისა შელახონ ამ ადამიანთა ღირსება, მიანებონ მათ ის იარაღები, რომლის მსგავსიც არ დაუმსახურებიათ, რაც უმადურობის გამოვლინებათარანგს უტოლდება. ამის მცდელობა იგრძნობა ჩვენს სამშობლოშიც და მან სტარტი აიღო XX საუკუნის 90-იანი წლებიდან.

როგორც ითქვა, ვანელმა რიგითმა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა, უფროს ოფიცერთა და გენერალთა შემადგენლობამ სიკვდილის პირისპირ გაიარეს ომის ურთულესი გზა, რისი სრულყოფილი გადმოცემა წინამდებარე მცირე სტატიით შეუძლებელია. მიმდინარე ნომერში კი გააცნობთ ზოგიერთ მათგანს, რითაც პატივი გვინდა მივაგოთმათ და საერთოდ ვანის რაიონიდან ომში დაღუპულთა და შემდეგში გარდაცვლილთა ხსოვნას, ხოლო დღეისათვის ცოცხლად დარჩენილ უმცირესობისადმი გამოვხატოთ ასევე ღრმა პატივისცემა და ვუსურვოთ მშვიდობა და ჯანმრთელი, ხანგრძლივი სიცოცხლე.

ამასთან, სტატიის ავტორი მადლობას უხდის პოლკოვნიკ გურამ ნიკოლაიშვილს, პოლკოვნიკ ანანია ნიკოლაიშვილის ვაჟს, ქალბატონ ნათელა ძაბახიძეს ვალერიან ძაბახიძის დისშვილს, ქალბატონ ეთერ კვაჩიძე-რაქვიაშვილს ვასილ კვაჩიძის ქალიშვილს, სტატიისათვის მნიშვნელოვანი მასალების მოწოდებისათვის.

მადლობას გამოვხატავთ ვანის მუნიციპალიტეტის სამხედრო განყოფილების თანამშრომლის ბატონ ამირან ნამიჭეიშვილის მისამართით, დახმარებისა და გვერდით დგომისათვის.

## ვალერიან ძაბახიძე – გენერალი

414-ე ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ვ.ჯანჯღავა იგონებს: 7 თებერვალი, დღის მეორე ნახევარია, კატაკომბაში ხმაურით შემოდისკ აცი. პოლიტგანყოფილების გასწვრივ გაიარა. ხუმრობს, იცინის: „არაფერს ვხედავ, სად მიგყავართ!“ „მიკვირს, როგორ თავისუფლად გარბის ეს კაცი, მე კი თვალდახუჭულივით მივდივარ.“ ხმაზე ვერ ვიცანი, ვინ იყო, ამიტომ პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორს კაპიტან გიორგი სევასტიანოვს გავეხუმრე კიდევ:

- ეტყობა, ამხანაგი კარგ გუნებაზეა, ალბათ ცოტა „გადაკრულიცაა.“
  - სულ მალე შტაბის ერთ-ერთი ოფიცერი გამომეცხადა და გადმომცა:
  - ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, დივიზიის ახალი მეთაური გთხოვთ.
  - ხომ არ იცით მისი გვარი? – ვკითხე ოფიცერს.
  - მგონი ძაბახიძეა, – თქვა და წავიდა.
- გამეხარდა, ძაბახიძეს ვიცნობდი, კარგი შეხედულებისაც ვიყავი მასზე.



უკვე დივიზიის მეთაურის „კაბინეტში“ ვარ, სიბნელეში ძლივს გავარჩიე დივიზიის ახალი მეთაური, მეგობრულად გადავეხვიეთ, ერთმანეთი მოვიკითხეთ.

ამის შემდეგ გენერალ დაბახიძეს რიგრიგობით რამდენიმე შეკითხვა დავუსვით იმის თაობაზე, თუ რა ამბავია საქართველოში, თბილისში, როგორია განწყობილება, რა კეთდება ფრონტზე დახმარებისათვის და ა. შ. ყველა კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი მივიღეთ.

უკვე საღამო იყო. ამიტომ გენერალმა წინა ხაზზე წასვლა და დათვალიერება მეორე დღისათვის გადადო და დივიზიის საერთო მდგომარეობის გაცნობას შეუდგა. იმ საღამოს არაერთი მოხსენება მოისმინა, დაწყებული დივიზიის შტაბის უფროსიდან, დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის ჩათვლით. უფროსი მეთაურების მუშაობას პირადად ეცნობოდა მთელი კვირის განმავლობაში. გენერალმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა კადრებისადმი. ძალიან გაუხარდა, როცა გაიგო, რომ პოლკებისა და ათასეულების მეთაურებსა და მოადგილეებს შორის იყვნენ მისი ნაცნობი ოფიცრები.

7 თებერვალს ღამით დაბახიძე და მე მარტონი დავრჩით. ბევრი რამ გავიხსენეთ. მოვიგონეთ 1937 წლის შემოდგომა, ჩვენი ერთად სამსახური 63-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში. დაბახიძე, მაშინ ჩინით კაპიტანი, დივიზიის მეთაურის მოვალეობას ასრულებდა.

– ვინ წარმოიდგენდა, – დაიწყო მან, რომ მე, ღარიბი გლეხის შვილი, სამხედრო აკადემიას დავამთავრებდი და დივიზიის მეთაური გავხდებოდი! წუთით შეჩერდა, გაიცინა, თავი გააქნია და დაასკვნა: – მე ეს რაღაც უცნაურად მეჩვენება.

– 7 თებერვალს აჯიმუშკაის კატაკომბაში სწორედ ეს სიტყვები გავახსენე დაბახიძეს.

ვალერიან სერგის ძე დაბახიძე დაიბადა 1903 წლის 10 მაისს ღარიბი გლეხის ოჯახში, ვანის რაიონის სოფელ ბზვანში. მამა 1917 წელს გარდაეცვალა, ამიტომ ვერ დაამთავრა თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც იგი ამ დროს სწავლობდა, დაბრუნდა სოფელში და მეურნეობას მოჰკიდა ხელი.

ვალერიან დაბახიძე 1921 წელს შევიდა კომკავშირში, მალე იგი კომკავშირის პირველადი უჯრედის მდივნად აირჩიეს.

1922 წელს წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. ამდროიდან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა არმიას. 1925 წელს ამთავრებს ქართულ სამხედრო გაერთიანებულ სკოლას და მუშაობას იწყებს ოცმეთაურად.

1928 წელს სამხედრო-პოლიტიკური კურსების დამთავრების შემდეგ ინიშნება ასეულის მეთაურად და პოლიტხელად. 1931-32 წლებში სწავლობდა ქალაქ ლენინგრადის ჯავშანსატანკო ჯარების მეთაურთა მოსამზადებელ კურსებზე.

1936 წელს წარჩინებით ამთავრებს მ.ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიას, იღებს პირველი ხარისხის დიპლომს და ატესტაციის რეკომენდაციით მისი მექანიზებული ბრიგადის შტაბის ოპერატიული ნაწილის უფროსის თანამდებობაზე დანიშვნის შესაძლებლობის შესახებ. მაგრამ იგი იგზავნება არა მექანიზებულ ბრიგადაში, არამედ 63-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში 203-ე სატანკო ათასეულის მეთაურად. ამ თანამდებობიდან იგი 1937 წლის აგვისტოს დაინიშნა 63-ე დივიზიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად.

ამიერკავკასიის სამხედრო საბჭომ, 1937 წლის 30 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის სახელზე გაგზავნა სპეციალური წარდგინება დაბახიძის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ კაპიტან დაბახიძეს, მართალია, არა აქვს საკმარისი სტაჟი, მაგრამ ამ თანამდებობაზე ინიშნება საგანგებო წესით. ამასთან, სამხედრო საბჭოს სავსებით მიზანშეწონილად მიაჩნია მისი დანიშვნა დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე, რადგან მან უკვე ამ მოკლე დროში, რაც დივიზიას მეთაურობს, იმედეები გაამართლა, სათანადო უნარი გამოავლინა. ამიტომ სამხედრო საბჭო ითხოვდა დაბახიძის დამტკიცებას დივიზიის მეთაურად და მისთვის მაიორის წოდების მინიჭებას.

ვალერიან დაბახიძე დივიზიის მეთაურის მოვალეობას სულ რამდენიმე თვეს ასრულებდა. 1937 წლის დეკემბერში იგი 187-ე მსროლელი პოლკის მეთაურად გადაიყვანეს, ხოლო 63-ე დივიზიის მეთაურად დაინიშნა ამავე დივიზიის საარტილერიო პოლკის მეთაური პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე.

1938-41 წლებში ვალერიან დაბახიძე იყო საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, ხოლო 1941 წლის აგვისტოში 394-ე მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა, შემდეგ მე-9 საბჭო-მსროლელ დივიზიას ხელმძღვანელობდა. 1942 წლის თებერვლიდან 17 მაისამდე, 224-ე



ქართულ დივიზიას ხელმძღვანელობდა და იბრძოდა ქერჩის ნახევარკუნძულზე, სადაც იგი დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ იყო მე-3 მსროლელი კორპუსის შტაბის უფროსი, 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური. ეს დივიზია იცავდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს. ვალერიან ძაბახიძე ენერგიულად ჩაუდგა სათავეში 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას. ამ დროს იგი მეტად ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი, აკადემიურად მომზადებული მეთაური იყო. ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ვოლგისპირეთის, დონისა და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქებში მაღალ სამეთაურო პოსტებზე. იყო საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. 1956 წლიდან გავიდა თადარიგში.

ვალერიან ძაბახიძე გარდაიცვალა 1986 წელს. დასაფლავებულია მშობლიური რაიონის სოფელ ბზვანში სამხედრო და სამოქალაქო პატივით.

## პავლე აბრამიძე – გენერალ-მაიორი

*იმის გამო, რომ გენერალ პავლე აბრამიძეზე მეტად მწირი მასალებია შემორჩენილი, ოჯახმაც ამ მხრივ ჯეროვანი დახმარებაც ვერ გაგვინია. „კრებულმატიანის“ რედაქცია დაეყრდნო ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში გამოქვეყნებულ მასალასა და გენერალ გიორგი ყურაშვილის ნაშრომს „სამშობლოს ერთგული შვილები“ (თბილისი 1965 წ. გვ. 117-122), რომელშიც შედარებით საფუძვლიანადაა გაშუქებული საბჭოთა პერიოდის პირველი ქართველი გენერლის მოღვაწეობა, რასაც მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ მკითხველსა და საზოგადოებას.*

პავლე აბრამიძეს ჯერ კიდევ 1940 წელს, 39 წლის ასაკში, მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. იგი საბჭოთა პერიოდის პირველი ქართველი გენერალია. დაიბადა 1901 წელს დაბა ვანში. ბავშვობა და ყრმობაც მშობლიურ რაიონში გაატარა.

სამშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1923 წელს პ. აბრამიძე თბილისში შედის ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლაში, რომელსაც 1926 წელს ამთავრებს, ენიჭება ოფიცრის წოდება და ინიშნება ოცეულის მეთაურად. სამხედრო საქმის ათვისებაში გამოჩენილი უნარისათვის დივიზიის პირადი შემადგენლობა მას იცნობდა, როგორც მოწინავე მეთაურს და წარმატებასაც მიაღწია. დივიზიის სარდლობამ პ. აბრამიძე დანაყოფის და ნაწილის საუკეთესო მომზადებისათვის რამდენჯერმე მოიხსენია, როგორც სამაგალითო მეთაური, რამაც განაპირობა მისი პოლკის მეთაურად დანიშნულება.

პ. აბრამიძის წარმატებები სარდლობამ მარშალ კლიმენტ ვოროშილოვს მოახსენა. ვოროშილოვისავე ბრძანებით პ. აბრამიძე მიიწვიეს მოსკოვში მთავარი სამხედრო საბჭოს სხდომაზე, რომ სხდომის მონაწილეთათვის გაეცნო საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მალაღალი შედეგების მიღწევისას გამოყენებული გზებისა და მეთოდების შესახებ. პ. აბრამიძემ ცნობილი მარშლის მადლობა დაიმსახურა.

სამხედრო მეთაურთა სკოლისა და სამხედრო აკადემიის დამთავრებიდან თორმეტ წელსაც არ გაუვლია, რომ 1938 წელს პ. აბრამიძე 72-ე სამთო მსროლელი დივიზიის მეთაური გახდა, ხოლო დივიზიის მიერ მიღწეული მაღალი საბრძოლო მაჩვენებლებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1939 წლის 23 თებერვლის ბრძანებულებით, იგი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

1939 წლის სექტემბერში, მეორე მსოფლიო ომის დაწყების მომენტში, როდესაც გერმანელებმა საომარი მოქმედებები პოლონეთის ტერიტორიაზე გაშალეს და კურსი აღმოსავლეთისაკენ აიღეს, პ. აბრამიძის დივიზია უკრაინაში იდგა, ხოლო მანამდე პ. აბრამიძის 72-ე დივიზიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის შემოერთებისათვის ბრძოლაში.

პ. აბრამიძის ხელმძღვანელობით დივიზიამ მაღალ დონეზე წარმართა სამხედრო ოპერაციები ქალაქ ბარშუვეში, ქ. სტანისლავის მისადგომებთან, ამის შემდეგ პ. აბრამიძე თავისი შენაერთის საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობდა თეთრფინელთა წინააღმდეგ. წარმატებული

იყო მისი ბრძოლები სარტავალას რაიონში. თვითონ პ. აბრამიძე საბრძოლო დავალებების კარგად შესრულებისათვის, შენაერთის ოსტატურად გაძლოლისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 25 მარტის ბრძანებულებით დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1940 წლის აპრილში პოლკოვნიკ პ. აბრამიძეს მიენიჭა გენერალ-მაიორის ჩინი. ამის შემდეგ პ. აბრამიძე ბრუნდება უკრაინაში, სადაც გააგრძელა თავისი დივიზიის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საქმე. იგი ითვლებოდა დივიზიის სამხედრო მომზადების ოსტატად და მეთოდისტად. ასეთი საბრძოლო გამოცდილების მქონე და ცოდნით აღჭურვილ დივიზიის მეთაურს, პ. აბრამიძეს მოუსწრო დიდი სამამულო ომის დაწყებამ. მას ბინაში შეატყობინეს მტრის მოულოდნელი თავდასხმის შესახებ. სასწრაფო, საჭირო ზომების მიღების შემდეგ დივიზიის შემადგენლობა გერმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა. თავადაც დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროს ნიკოლოზ კალაძესთან ერთად უკვე საკომანდო პუნქტზე იყო.

„22 ივნისი ისე გავიდა, რომ ჰიტლერელებმა პ. აბრამიძის დივიზიის უბანზე ვერც ერთი მიმართულებით ვერ მოახერხეს მიზნის მიღწევა. გენერალ-მაიორმა აბრამიძემ გადააჯგუფა დივიზიის ძალები და 23 ივნისის დილისათვის საბრძოლველად მოემზადა. გერმანელთა არტილერიამ და ნაღმსატყორცნებმა კვლავ განაახლეს შეტევა, გაჩაღდა საარტილერიო დუელი. 23 ივნისი გერმანელებისათვის არ აღმოჩნდა შედეგიანი. ასე გაგრძელდა სისხლისმღვრელი ბრძოლები რამდენიმე დღეს. ამის შემდეგ ფაშისტებმა ქალაქის ორივე მხრიდან ღრმად შემოვლის მანევრს მიმართეს. დივიზია ნახევარკალში მოქცეული, მონინააღმდეგის აქტიურ მოგერიებას განაგრძობდა, როდესაც გერმანელებმა ქალაქს ორივე მხრიდან შემოუარეს და მათი ნაწილები რამდენიმე ათეული კილომეტრით წინ წავიდნენ, გენერალ აბრამიძის დივიზია გააფრთხულ ბრძოლას განაგრძობდა ქალაქში, ვიდრე არ მიიღო არმიის სარდლობის ბრძანება დივიზიის ბრძოლიდან გამოყვანის შესახებ.

27 ივნისს, ღამით, გენერალი პ. აბრამიძე საკომანდო პუნქტში თავს უყრის ნაწილის მეთაურებს, აცნობს შტაბიდან მიღებულ ბრძანებას და მარშრუტს, ნაწილების ბრძოლიდან გასვლის შესახებ მოქმედების შენიღბვის, მტრის ყურადღების გაფანტვისა და მასში არეგ-დარევის შეტანის მიზნით დაიგეგმა მტერზე ძლიერი თავდასხმა. გაიცა განკარგულება დაჭრილების ევაკუირების შესახებ. დაიწყო დივიზიის ნაწილების ბრძოლიდან გეგმიური გასვლა. ამ ბრძოლისას დივიზიის მეზობლებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა და გამძლეობა გამოიჩინეს. გამთენიისას გენერალ-მაიორი პ. აბრამიძე თავისი დივიზიით მტრისაგან რამდენიმე კილომეტრით აღმოჩნდა მოცილებული. იგი პირადად ხელმძღვანელობდა არიერგადის ბრძოლებს, რომლის შემდეგაც იგი ქ. ლვოვთან ახლოს, არმიის სარდალთან გამოცხადდა და მოახსენა მისი დივიზიის ახალი დისლოკაციის ადგილის შესახებ. აქვე მიიღო საბრძოლო დავალება – დაეცვა ქ. ლვოვის მისადგომების გარკვეული უბანი. ბრძოლები რამდენიმე დღეს გაგრძელდა. დივიზია სასტიკ ბრძოლებში ჩაება ქალაქ დროგობიჩთან, სადაც თავმოყრილიყო ნავთის დიდძალი მარაგი. გენერალმა პ. აბრამიძემ სწორად შეაფასა შექმნილი მდომარეობა, საკომანდო პუნქტზე შეკრიბა პოლკის მეთაურები და დივიზიის მხარდამჭერ საშუალებათა უფროსები, მისცა კონკრეტული მითითებები მტრის სატანკო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე. გერმანელებმა შეტევა დაიწყეს დილის 7 საათზე, პავლე აბრამიძის დივიზიის ნაწილებმა გერმანელთა დაწყობებს გაბედული და შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც მტრის ტანკები პ. აბრამიძის დივიზიის ნაწილების ცეცხლის „ტომარაში“ მოჰყვნენ. დღის განმავლობაში მტრის რამდენიმე ტანკი მოსპეს და უამრავი ცოცხალი ძალა გაანადგურეს.

შეუპოვარი ბრძოლები გააჩაღა გენერალმა აბრამიძემ ვინიცაში, უმანში და კიევის დასავლეთით. კიროვოგრადათან აბრამიძის დივიზიის გმირული ბრძოლების ეპიზოდები არაერთხელ ყოფილა აღნიშნული საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში და არმიისა და ფრონტის სარდლების ბრძანებებში. თავგანწირულ ბრძოლებში იგი მძიმედ დაიჭრა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვეღარ შეძლო ფრონტზე დაბრუნება.

პ. აბრამიძე ომის შემდეგაც განაგრძობდა ენერგიულ საქმიანობას, მუშაობდა ოფიცერთა რეზერვის მომზადებაზე.

1947-1956 წლებში იყო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გამგე, დაჯილდოებულია 4- ორდენითა და 11- მედლით.

მიხეილ სტეფანეს ძე დიასამიძე დაიბადა 1913 წელს დღევანდელი ვანის რაიონის სოფ. გაღმა ვანში. მან ბავშვობა ობლობაში გაატარა. 12 წლიდან ის ქ. ბაქოში ბიძის, ამბროსი დიასამიძის ოჯახში იზრდებოდა, სადაც 1933 წელს დაამთავრა სამხედრო მეთაურთა სკოლა და ახალგაზრდა ლეიტენანტი დაინიშნა ქალაქ ნოვოროსიისკში 22-ე წითელდროშოვანი მსროლელი დივიზიის 65-ე პოლკის ქვედანაყოფის მეთაურად. 1937 წლიდან მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, სადაც 1941 წლამდე მეთაურობდა პოლკის სკოლას და ბატალიონს. 1938 წელს მონაწილეობდა იაპონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ხასანის ტბასთან. დიდი ვაჟკაცობისა და შესანიშნავი მხედრული მამაცობისათვის ლეიტენანტი მიხეილ დიასამიძე დააჯილდოვეს წითელი დროშის ორდენით.

მიხეილ დიასამიძის პოლკი, 1942 წლიდან სტალინგრადის ფრონტზე, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩართული. 1942 წლის 18 დეკემბერს ფრონტზე მ. დიასამიძის სახელზე მოვიდა უმაღლესი მთავარსარდლის ი.სტალინის შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვამაყობ თქვენი შეუპოვრობით, არც ერთი ნაბიჯი უკან, მებრძოლები და მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარმოადგინეთ მთავრობის ჯილდოზე.“

ხუთი დღე-ღამის განმავლობაში გერმანელთა სამხედრო ნაწილები ყოველ ოთხ საათში თავს ესხმოდნენ პოლკის პოზიციებს: პოლკის მებრძოლებმა 36 შეტევა გამირულად მოიგერიეს გაანადგურა მონაწილეების ორი ბატალიონის ქვეითი ჯარი და 40 ტანკი.

1942 წლის 22 დეკემბერს სტალინგრადის დაცვისას (მდინარე ვოლგაზე) გამართულ ბრძოლებში, პოლკის უნარიანი ხელმძღვანელობის, ვაჟკაცობისა და გამოჩენილი მამაცობისათვის პოლკოვნიკ მიხეილ დიასამიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მის საბრძოლო წარმატებას ვანის კულტურის სახლის ყოფილმა დირექტორმა ლევან გერსამიამ, მიხეილის განუყრელმა მეგობარმა ლექსი უძღვნა და მასზე შექმნილ სიმღერას წლების მანძილზე ასრულებდა კულტურის სახლთან არსებული სიმღერის ანსამბლი:

„არ შემხვედრიხარ გიცანი,  
მტერმაც გაიგო ვინა ხარ,  
სამშობლოს სადარაჯოზე  
პირგალესილი რკინა ხარ.  
სად იყავ, სად არ გივლია  
ობლის კარიდან კარამდე,  
სტალინგრადთან, რომ დაჰკარი  
ხმა ჩამოვიდა ვანამდე.“

1945 წლის გაზაფხულზე გერმანიასა და მის მოკავშირეებზე გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა კავშირის გმირის, მიხეილ დიასამიძის პოლკმა თავისი ლაშქრობა დაავიროვნა კუნძულ სახალინთან – იაპონელ სამურაებზე გამარჯვებით. ომის შემდგომ მიხეილ დიასამიძე 1957 წლამდე საჯარისო სამსახურში იყო, საიდანაც კურსკის ოლქის სამხედრო კომისრად გადაიყვანეს.

პოლკოვნიკი მიხეილ დიასამიძე წარდგენილი იყო გენერლის წოდებაზე, მაგრამ კურსკის ოლქში, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ნიკიტა ხრუშჩოვთან შეხვედრისას შეკამათების გამო, (საკითხი ეხებოდა სტალინის ღვანლს და დამსახურებას დიდი სამამულო ომის წლებში,) მას უარი უთხრეს გენერლის ჩინის მინიჭებაზე. უფრო მეტიც, ხრუშჩოვმა დაავალა ოლქის ხელმძღვანელებს, იგი გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან.

პარტიის საოლქო კომიტეტმა და საოლქო აღმასკომმა მიხეილ დიასამიძე, როგორც ღვანლ-მოსილი, ამაგდარი პიროვნება, კურსკის ოლქის ავტოტრანსპორტის სამმართველოს უფროსად დანიშნეს, ის სამოქალაქო სამსახურშიც წარმატებულ მუშაკად ითვლებოდა.

მიხეილ დიასამიძე, იქვე, ქალაქ კურსკში, გარდაიცვალა. სამხედრო და სამოქალაქო საზოგადოებამ მადლიერების გრძნობითა და სამხედრო პატივით, უკანასკნელ გზაზე გააცილა მისი ცხედარი.

### პროფესიონალ სამხედრო მფრინავთა დინასტია ვანის რაიონიდან

ანანია პარმენის-ძე ნიკოლაიშვილი<sup>1</sup> დაიბადა 1902 წლის მაისში სოფ. დაბა ვანში. დედა – ქრისტიანა ძაგნიძე იყო ოჯახის დიასახლისი, მამა – მენაღე. ოჯახში იზრდებოდა ხუთი ვაჟი და ერთი და.

ანანია 1921 წელს ამთავრებს ვანის სასწავლებელს. გამოირჩეოდა წარმატებული სწავლით, იტაცებდა მათემატიკური საგნები. ოცნებობდა გამხდარიყო ექიმი ვეტერინარი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და პოლიტიკურ სიტუაციათა შეცვლის შემდეგ, ანანია გაიწვიეს არმიაში და გაგზავნეს ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში საარტილერიო კურსებზე, რომელიც დაამთავრა 1922 წელს იგი ინიშნება მეორე ქართულ ლეგიონში საარტილერიო დანაყოფის (ოცეულის) მეთაურად.

1924 წელს ანანია ნიკოლაიშვილი მიავლინეს კიევის გაერთიანებული უმაღლესი სკოლის მსმენელად, რომლის დამთავრების შემდეგ იგი დაინიშნა კავკასიის პირველი საარტილერიო ლეგიონის დაზვერვის ოცეულის მეთაურად, ამ დროს აღნიშნული საარტილერიო ბატარეის

მეთაური იყო კონსტანტინე ლესელიძე (შემდეგში გენერალ-პოლკოვნიკი, მე-18 არმიის სარდალი), ანანია თანამიმდევრულად მსახურობდა დივიზიონის დაზვერვის, ბატარეის და მე-5 ქართული ლეგიონის საარტილერიო დივიზიონის მეთაურად. ამ პერიოდში იწყება ქვეყნის სამხედრო ავიაციის ფორმირება, რომელიც საჭიროებდა განათლებულ, მცოდნე კადრებს. შერჩევის საფუძველზეც ანანია ნიკოლაიშვილი სასწავლებლად გაიგზავნა ყუკოვსკის სახელობის სამხედრო საჰაერო აკადემიაში. 1933 წელს აკადემიის სამეთაურო-საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებული ანანია დაინიშნა 35-ე კრეისერულავიაესკადრალის შტაბის უფროსად,

ხოლო ამის შემდეგ გადაჰყავთ ქ. ვასილკოვში გამანადგურებელი საავიაციო პოლკის შტაბის უფროსად, სადაც მსახურობდნენ ახალგაზრდა ქართველი მფრინავები. მათ შორის გვარდიის მაიორი ჭიჭიკო ბენდელიანი, საბჭოთა კავშირის გმირი, რომელმაც პიროვნულ ბრძოლაში ჩამოაგდო – 12, ხოლო ჯგუფურ ბრძოლებში – 24 გერმანული თვითმფრინავი, ისინი მეგობრობდნენ და სადღესასწაულო დღეებში ხშირად სტუმრობდნენ თავიანთი მეთაურის ანანია ნიკოლაიშვილის ოჯახს. 1938 წელს ანანია იგზავნება გენერალური შტაბის აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად, თუმცა ამ მიზნის განხორციელებას ხელი შეუშალა ძმის დაპატიმრებამ.

ომის დაწყებამდე, ანანია პოდპოლკოვნიკის<sup>2</sup> ჩინით დაინიშნა 63-ე შერეული საავიაციო დივიზიის შტაბის უფროსად, ეს იყო საკმაოდ დიდი თანამდებობა, დივიზიაში შედიოდა გამანადგურებელი და სამტურმო პოლკები, 102 – თვითმფრინავი, 167 – მფრინავი. განლაგებული იყო ქ. დროგობიჩში, გერმანელთა საზღვართან.

ომის დაწყებისთანავე, 22 ივნისის 4 საათსა და 22 წუთზე ანანია ნიკოლაიშვილის დივიზია ჩაება

ბრძოლაში. მისმა ოჯახმა, რომელიც ცხოვრობდა ქალაქ ვასილკოვში, დილის 11 საათზე მიიღო შეტყობინება ანანიას დალუპვის შესახებ, თუმცა იმავე დღეს საღამოს 7 საათზე ოჯახს

დაუკავშირდა თვით ანანია. განსაკუთრებულად მკაცრი და ტრაგიკული გამოდგა ბრძოლები ქალაქ კიევისათვის, რომელიც გრძელდებოდა 1941 წლის სექტემბრამდე.

ამ ფრონტზე მოქმედებდა გერმანელთა დიდი დაჯგუფება. ა.ნიკოლაიშვილის დივიზიას ევალებოდა, გაენადგურებინა ამ მიმართულებაზე მოქმედი გერმანელთა მოტომექანიზირებული ნაწილები, ტანკები, ქვეითი დანაყოფები, გაემართათ საჰაერო ბრძოლები გერმანელ საჰაერო ძალებთან. ფრონტის შტაბის ინტერესებიდან გამომდინარე მოეხდინათ მოწინააღმდეგის სა-

<sup>1</sup> ანანია ნიკოლაიშვილი-ნიკოლეიშვილი. როგორც განსვენებული ანანია ამბობდა გვარისნიკოლეიშვილის ნიკოლაიშვილად გადაკეთება მოხდა ერთ-ერთი დიდი მოხელის მიერ საბუთების შევსებისას უნებურად, რომელშიდაც დაფიქსირდა ნიკოლაიშვილი და აქედან გამომდინარე დაფიქსირდა გვარის ამდაგვარი ტრანსფორმაცია.

<sup>2</sup> პოდპოლკოვნიკი – დღეს ვიცეპოლკოვნიკი



ჰაერო ძალების დაზვერვა. ამ ბრძოლებშიმონაწილეობისა და გონივრულად განხორციელებულ საბრძოლო მოქმედებებისათვის ანანია დააჯილდოვეს მედლით „კიევის დაცვისათვის“. 1941 წლის ოქტომბერში ა. ნიკოლაიშვილი გადაჰყავთ 50-ე არმიის სამხედრო საჰაერო ძალების მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად. არმია იბრძოდა მოსკოვის მისადგომებთან, ქ.ტულსთან. არმიას სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი ბოლდინი, ხოლო მოსკოვის დაცვას გ.კ. ჟუკოვი, 50-ე არმიის არტილერიას მეთაურობდა პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე. ამგვარად, ფრონტმა კვლავ შეახვედრა ერთმანეთს ორი მეგობარი კ. ლესელიძე და ა. ნიკოლაიშვილი. თუმცა ანანია, არა როგორც ყოფილი არტილერისტი, არამედ როგორც მფრინავი და არმიის საჰაერო ძალების ხელმძღვანელი. ეს იყო მოსკოვის დაცვის ურთულესი დღეები. 50-ე არმია, რომლის საჰაერო ძალების ხელმძღვანელიც ანანია ნიკოლაიშვილი იყო, ბრძოლაში ჩაება გერმანელთა მე-12 სატანკო არმიასთან, (ხელმძღვანელი გენერალ პოლკოვნიკი გუდერიანი), რომელიც შედიოდა გერმანელთა საარმიო ცენტრის შემადგენლობაში, ხოლო ამ დაჯგუფებას სარდლობდა გენერალი ფელდმარშალი ფონ ბოკი.

1941 წლის 5 დეკემბრისთვის საბჭოთა ჯარების მიერ განადგურებული იქნა გერმანელთა ცენტრის ჯარების დაჯგუფება, რითაც მოსკოვის საფრთხე ლიკვიდირებული იქნა. ამ ბრძოლისათვის კონსტანტინე ლესელიძე და ანანია ნიკოლაიშვილი მოსკოვის ფრონტის სარდლის გ.კ. ჟუკოვის გადაწყვეტილებით ჯილდოზე – „ნითელი დროშის ორდენის“ მისაღებად წარადგინეს ერთი და იმავე ბრძანებით, ანანია ნიკოლაიშვილს მიენიჭა პოლკოვნიკის მორიგი სამხედრო წოდებაც.

1942 წელს პირველი საჰაერო არმიის ფარგლებში ჩამოყალიბდა ავიოგამანადგურებელთა 203-ე დივიზია, რომლის შტაბის უფროსად, გადაჰყავთ პოლკოვნიკი ა. ნიკოლაიშვილი. დივიზია იბრძოდა ვორონეჟისა და სტეპის ფრონტების შემადგენლობაში და საბრძოლო დამსახურებისათვის მიენიჭა ზნამენსკის, ბოგდან ხმელნიცკის ორდენის კავალერის მე-12 გვარდიული ავიადივიზიის სახელწოდება.

1943 წლის ივლისში 203-ე ავიადივიზიის შტაბი მოჰყვა გერმანელთა მიერ განხორციელებულ საჰაერო დაბომბვაში. წელის არეში მიღებული კონტუზიით ანანია გამოიყვანეს ნანგრევებიდან, უჭირდა გადაადგილება, რის გამოც სარდლობის გადაწყვეტილებით სამკურნალოდ გაიგზავნა წყალტუბოში. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი გადაჰყავთ ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის მოადგილედ, სადაც მსახურობდა 1947 წლის მასამდე. 1947 წელს ანანია ნიკოლაიშვილს შესთავაზეს ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსობა (გენერლის თანამდებობა), თუმცა მან ითხოვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დატოვება. თხოვნა არ დააკმაყოფილეს ამის გამოც მოითხოვა არმიიდან დემობილიზება. 1948 წელს იგი მიიწვიეს და იწყებს მუშაობას ნებაყოფლობით ДОСАВ (добровольное общество содействия явнაციи) რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1956 წელსნ.ს. ხრუშჩოვის განკარგულების საფუძველზე თბილისში დემონსტრაციის დარბევის შემდეგ ანანია ნიკოლაიშვილი თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და საბოლოოდ გადადის ვანში – მშობლიურ რაიონში საცხოვრებლად. იგი აქტიურად ჩაერთო რაიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს-სახალხო მსაჯულად. განეული ღვანლისათვის ა.ნიკოლაიშვილი დაჯილდოებული იყო ოთხი ორდენითა და მრავალი მედლით. 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ვანში და დაასაფლავეს აქვე სამოქალაქო და სამხედრო პატივით.

რაც შეეხება პოლკოვნიკ ანანია ნიკოლაიშვილის შთამომავლობას: შვილებს – თენგიზ და გურამ ნიკოლაიშვილებს. უფროსი – თენგიზი, დაბადებული 1929 წელს, 8-კლასის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საბჭოთა კავშირის გმირის ქიქიკო ბენდელიანის სახელობის თბილისის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეციალურ სასწავლებელში, დაამთავრა იგი წარჩინებით და სწავლა გააგრძელა ქ. ბატაისკის საავიაციო სასწავლებელში, რომლის ნითელ დიპლომზე დასრულების შემდეგ, როგორც დახელოვნებული მფრინავი,დატოვეს აღნიშნულ სასწავლებელში ინსტრუქტორად, ემსახურებოდა სამხედრო მფრინავთა აღზრდის საქმეს. მათ შორის იყვნენ მომავალი კოსმონავტებიც. თენგიზმა პარალელურად დაამთავრა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტიც. სამსახურის პროცესში ჰქონდა არაერთი შეთავაზება, მათ შორის „ნებაყოფლობით“ ვიეტნამში სამსახურის გაგრძელება, მაგრამ შემთხვევის შედეგად თავი დააღწია ამ შეთავაზებას: საქმისაა, რომ სათანადო საბუთების

გასაფორმებლად მოსკოვში ჩასულ თ. ნიკოლაიშვილს, ვიდრე საბუთებს გააფორმებდა, შესაბამისი დანესებულების დერეფანში შეხვდა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი ი.მ. მოროზი, რომელიც გარკვეულ დროს იყო იმ სასწავლებლის უფროსის მოადგილე, რომელშიაც თ. ნიკოლაიშვილი სწავლობდა და კარგად იცნობდა მას. ამავდროულად გენერალ-პოლკოვნიკი მოროზი კარგად იცნობდა თენგიზის მამას, ანანია ნიკოლაიშვილს, რომელთანაც ერთად არაერთი ბრძოლა ჰქონდა გადამახადი. საქმის გარკვევის შემდეგ გენერალი გაჰყვა თენგიზ ნიკოლაიშვილს კადრების განყოფილებაში, სადაც მან ხელმძღვანელ პირებს განუმარტა, რომ „თენგიზი დიდი ხანია არ ყოფილა სამშობლოში,“ ამიტომ უკეთესი იქნება მისი დაბრუნება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. ამნაირად თენგიზი მიავლინეს ვაზიანის განსაკუთრებული საავიაციო პოლკის პოლიტგანყოფილების უფროსად და იმავდროულად ინიშნება ვაზიანის გარნიზონის პოლიტგანყოფილების უფროსადაც. 50 წლის ასაკის მიღწევამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში სხვადასხვა თანამდებობებზე. მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, დემობილიზებული იქნა 1984 წელს. მეუღლის ავადმყოფობის გამო საცხოვრებლად გადავიდა ქ. როსტოვში, გარდაიცვალა 2014 წელს, სამხედრო პატივით დასაფლავებულია იქვე, თენგიზის შვილები აგრძელებენ მოღვაწეობას ქ. როსტოვში.

მეორე ვაჟი – გურამ ნიკოლაიშვილი... რვა კლასის დამთავრების შემდეგ მამის სურვილის საწინააღმდეგოდ ჩაირიცხა საბჭოთა კავშირის გმირის ჭიჭიკო ბენდელიანის სახელობის თბილისის სამხედრო-საჰაერო ძალების სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, სურდა სწავლა გაეგრძელებინა საავიაციო (საფრენოსნო) სასწავლებელში, თუმცა მამის, ძმისა და ერთ-ერთი მეზობელი პოლკოვნიკის რჩევით, იგი ცვლის გადაწყვეტილებას და როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, უგამოცდოდ ირიცხება ა.ვ. მოჟაისკის სახელობის ლენინგრადის წითელდროშოვან სამხედრო საჰაერო აკადემიაში (დღეს სამხედრო-კოსმოსური აკადემია) სადაც მიიღო უმაღლესი სამხედრო-ტექნიკური განათლება და როგორც წარჩინებით კურსდამთავრებულს აკადემიის ხელმძღვანელობამ შესთავაზა „ადიუნქტურაში“ (ასპირანტურაში) სწავლის გაგრძელება. გურამმა ეს შეთავაზება არ მიიღო და მიაღწია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შემადგენლობაში განაწილებას. გარკვეული პერიოდის მანძილზე მსახურობდა შირაქში დისლოცირებულ საავიაციო ბომბდამშენთა დივიზიაში. შემდეგში შესაბამისი სამხედრო ნაწილების რეფორმირებიდან გამომდინარე მას გზავნიან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილში, კონკრეტულად ბირთვულქობინიანი სარაკეტო-საარტილერიო ჯარების შემადგენლობაში.

ჯერ ბელორუსიის სამხედრო ოლქში, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა ჯარების დაჯგუფებაში სამსახურისას გურამ ნიკოლაიშვილი წარმოჩინდა როგორც საქმის მცოდნე, ენერგიული სპეციალისტი, ამის გამოც იგი ინსპექტირებას უწევდა გერმანიაში განლაგებული საბჭოთა ჯარების ჯგუფის სარაკეტო ნაწილებს. სამსახურის ვადის ამოწურვის შემდეგ მას აქვე სთავაზობენ მთავარი ინჟინრის პოსტსა და დამატებით ორი წლით სამსახურის გაგრძელებას, თუმცა იგი შეთავაზებას არ თანხმდება და ბრუნდება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საჰაერო ძალების შემადგენლობაში, კონკრეტულად ვაზიანში, საიდანაც საბოლოოდ, საკუთარი სურვილით გადაჰყავთ თბილისის წითელდროშოვან უმაღლეს სამეთაურო სასწავლებელში მასწავლებლად, კითხულობდა ლექციებს ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების განხრით. ხდება რა აღნიშნული სასწავლებლის წამყვანი თანამშრომელი, ჯილდოვდება საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელით, ხოლო შემდეგში როდესაც სასწავლებელი დაკომპლექტდა ახალი ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით, ამ ტექნიკის ათვისების საქმეში გურამ ნიკოლაიშვილს შეაქვს თავისი წვლილი და საბრძოლო წვრთნებისას, რომელსაც ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო აკადემიათა წამომადგენლობა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი ესწრებოდა, დავალების წარმატებით შესრულებისათვის, ასევე რიგ სხვა დამსახურებათა გათვალისწინებით, პოლკოვნიკი გურამ ნიკოლაიშვილი დაჯილდოვდა წითელი დროშის საბრძოლო ორდენით, რაც მშვიდობიანი პერიოდისათვის იშვიათი მოვლენა იყო. მისი მოღვაწეობის პერიოდში სასწავლებელმა მოამზადა და გამოუშვა ასობით სპეციალისტი, მათ შორის შემდეგში გენერლები: გურამ ნიკოლაიშვილი, უჩაძე, ჩაავა, ლორია და ა. შ. 1984 წელს გურამ ნიკოლაიშვილი თავისი სურვილით გადის თადარიგში, რის შემდეგაც მუშაობას აგრძელებს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში (ЦНИИГА) წამყვან ინჟინრად, თბილისის ისნის

რაიონის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად, შემდეგში იგი დოცენტის თანამდებობაზე სამუშაოდ მიიწვიეს ახლადშექმნილ საავიაციო ინსტიტუტში, ხოლო აფხაზეთის ომის დროს ასრულებდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ დავალებას, რომელიც ძირითადად ქართველი ჯარისკაცებისათვის საბრძოლო ტექნიკის ათვისებაში გამოიხატებოდა. აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ გურამი სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოსტებზე ჩვეული ენერგიით აგრძელებს საქმიანობას, მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო პროფესიონალი კადრების მომზადებაში. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან (ამჟამად უნივერსიტეტი) საავიაციო ინსტიტუტის გამოყოფის შემდეგ აქვე ჩამოყალიბდა სამხედრო-საჰაერო ძალების კათედრა. ამ ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა უნივერსიტეტი, რომლის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით გურამ ნიკოლაიშვილს მიენიჭა საავიაციო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის წოდება. იგი დღესაც აგრძელებს ასოცირებული პროფესორის რანგში საქმიანობას და მონაწილეობს დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო პროფესიონალი კადრების აღზრდაში.

### ვასილ კვანძი – პოდპოლკოვნიკი

ვასილ ალექსანდრეს ძე კვანძი დაიბადა 1902 წლის 8 მაისს, ვანის რაიონის სოფელ ამაღლებაში ალექსანდრე კვანძისა და მარიამ ტყეშელაშვილის რვასულიან (ოთხი ქალი, ოთხი ვაჟი) ოჯახში. ვასილს ბავშვობიდანვე იტაცებდა სამხედრო სამსახური, რის გამოც სასწავლებლად თბილისში გადავიდა და ექსტერნად ჩააბარა გამოცდები ქალაქის 38-ე საშუალო სკოლაში. შემდეგ სწავლობდა ამიერკავკასიის ქვეითი ჯარების სასწავლებელში. მომდევნო წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მსროლელ დივიზიაში. 1939 წელს გაიწვიეს ფინეთის ომში. ომიდან დაბრუნების შემდეგ 1941 წელს დაინიშნა ზემოთ ხსენებულ დივიზიაში პოლკის უფროსად.

სამამულო ომის დაწყების შემდეგ ვასილ კვანძი მონაწილეობდა კავკასიის დაცვაში მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში ქართული დივიზია ჩამოყალიბდა, ვასილ კვანძი ამ დივიზიის მეთაურის მოადგილედ მსახურობდა. პოდპოლკოვნიკი ვასილ კვანძი ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისა და სამშობლოს წინაშე განეული ღვანლისათვის დაჯილდოვებული იყო მრავალი ორდენითა და მედლებით.

პენსიაზე გასვლის შემდეგ ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1945-1947 წლებში საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სამხედრო საქმეს ასწავლიდა.

ვასილ კვანძი 86 წლის ასაკში, 1988 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქ. თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
2. გენერალი გიორგი ყურაშვილი – „სამშობლოს ერთგული შვილები.“
3. ვარლამ ჯანჯღავა – ქერჩის „პლაცდარმაზე.“
4. პოლკოვნიკი გურამ ნიკოლეიშვილი – სპეციალურად მომზადებული მასალა პოლკოვნიკ ანანია ნიკოლეიშვილზე.
5. ქალბატონ ნათელა ძაბახიძის ოჯახში დაცული ზოგიერთი მასალა.
6. ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო სამსახურიდან მონოდებული მასალები.
7. შიო გიორგაძე – „ვანი და ვანელები.“

## მურთაზ ივანიანი

ექიმი თერაპევტი

### ვანელი ექიმები „სამაგულო ომის“ ფრონტზე

*„დედამინაზე სიკვდილიც მრავალფეროვანია, მაგრამ ადამიანები ერთმანეთისგან მაინც სიცოცხლით განსხვავდებიან. ცხოვრების განვლილი გზა არის მისი კაცთმხილავი.“*

**ლევან გოთუა**

გაივლის მრავალი წელი. ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს ისტორიის მატყანეს კვლავ შეავსებს მრავალი ეპოქალური მოვლენა, მაგრამ კაცობრიობის შეგნებული ნაწილივერ დაივიწყებს იმსაბჭოთა ხალხების, მათ შორის, ქართველთა ლეგენდარულ გმირობას დიდ სამამულო ომში, რომლებმაც ომის მსვლელობისას ღირსეულად მოიხადეს თავიანთი პატრიოტული ვალი, ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე.

ამ გამარჯვების საწინდარი იყო სამშობლოს სიყვარული, მტკიცე, შეუპოვარი ნებისყოფა, გამარჯვების რწმენა, საშინაო და საგარეო ურთიერთობათა, სამხედრო საქმის ღრმა ცოდნა, ქვეყნის სწორი კოორდინაცია, რომელიც გამოავლინა მაშინდელი ხელისუფლების ლიდერმა, რასაც განუწყვეტლივ გრძნობდა ხალხი და არმია.

ჩვენი ხალხის ისტორიაში, დიდ სამამულო ომს, როგორც მას უწოდეს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გამარჯვებაც კაცობრიობის მეხსიერებაში არასოდეს არ ყოფილა ისე მნიშვნელოვანი, როგორც 1945 წლის 9 მაისს. ამ გამარჯვებას ჭედდნენ ხალხი, მისი შეიარაღებული ძალები, საბჭოთა კავშირის ყველა ერის წარმომადგენლები. ომში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ყველა პროფესიის ადამიანები, მათ შორის, მედიკოსები, რომლებმაც 17-მილიონზე მეტ დაჭრილს დაუბრუნეს ჯანმრთელობა. საქართველოს ბევრი მედიკოსი სხვადასხვა ფრონტზე თავგანწირვით იღვწოდა დაჭრილთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ბევრი მათგანი თავდადებულად მუშაობდა ზურგის საევაკუაციო ჰოსპიტლებში, ფრონტს უბრუნებდა განკურნებულ ჯარისკაცებსა და მეთაურებს. დიდ სამამულო ომში მონაწილე მედიცინის მუშაკებისთვის არ იყო საკმარისი, რომ კარგი ექიმი ან ხელმადლიანი ქირურგი ყოფილიყო. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორგანიზატორულ ნიჭსა და უნარს. ამ თვალსაზრისით მთავარი იყო სამედიცინო სანიტარული ნაწილების სწორი განაწილება, დაჭრილ მეომართა სწორი დახარისხება და დროული ევაკუაცია ზურგში.

საქართველოდან ომში 6000 ექიმი, ექთანი, ფერშალი და პროვიზორი მონაწილეობდა. კვალიფიციური ექიმები ძირითადად სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწეობდნენ, შედარებით ახალგაზრდები მონაწილე ხაზზე მსახურობდნენ დაჭრილთა და ავადმყოფთა პირველადი და გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად, ზურგში მათი სწრაფი ევაკუაციისათვის. სამწუხაროდ, საქართველოდან წასული ბევრი ექიმი უკან ვეღარ დაბრუნდა, ბრძოლაში დაიღუპა.

გამარჯვების შემდეგ ფრონტზე მყოფი ქართველი ექიმების უმეტესობა – მაიორის, პოდპოლკოვნიკის და პოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა სამშობლოში. ოთხმა ექიმმა გენერლის წოდება დაიმსახურა. ბერლინის ოპერაციაში წარმატებით მონაწილეობდნენ ქართველი ექიმები: 70-ე არმიის სამედიცინო სამსახურის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ კვერნაძე, პირველი მსროლელი დივიზიის სამედიცინო სამსახურის უფროსი მაიორი ვახტანგ ელიოზიშვილი, ექიმი ალექსანდრე მასხულია, გალინა ჯაში. 295-ე მსროლელი დივიზიის სამედიცინო სანიტარული სამსახურის უფროსი მაიორი დავით დარეჯანაშვილი, 47-ე არმიის სამედიცინო ასეულის ქირურგი ანდრო აბაშიძე.

სამამულო ომის ისტორიაში გამორჩეულია კავკასიის გმირული დაცვა, რომელშიც საქართველოს შვილებს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით. ამ, მანამდე არნახულ ომში დანებდნენ დამთავრებამდე მონაწილეობდნენ ვანელი მედიკოსები: აბესალო აბრამიძე, ვახტანგ გოგოძე, ისაია ვაშაყმაძე, ამბროსი თოდუა, შოთა თოდუა, გალინა თოდუა-რუმიანცევა (შოთა



თოდუას მეუღლე), პლატონ ლილუაშვილი, შოთა მალლაკელიძე, ელევთერ ხურციძე, შალვა ჩახუნაშვილი, გალინა ჩახუნაშვილილეზინა (შალვა ჩახუნაშვილის მეუღლე), ფერშალი შალვა ადეიშვილი.

დიდ სამამულო ომში მონაწილეობდნენ ვანელი ქალებიც: ელენორა ვარლამის - ასული ხონელიძე, მარი ილარიონის - ასული დიასამიძე, თამარ პლატონის - ასული ჯინჭარაძე, მარია დიმიტრის - ასული ივანოვა, შუშანა ივანეს- ასული გიგაშვილი, ფაცია ნესტორის - ასული კერელიძე, აგრაფინა ვასილის - ასული ნიკოლეიშვილი, ქეთევან მინაშვილი, თამარა ცხადაშვილი, თამარა ცინცაძე, გალინა რუმინაძე, თამარა ხურციძე, ეფროსინე ხარაბაძე, ზინა ანდრიაძე, საშა არველაძე, საშა კაცაძე, შურა გიორგაძე, თამარა პაიჭაძე. ომიდან გამარჯვებულები დაუბრუნდნენ მშობლიურ რაიონს: თამარ ცხადაშვილი, ზინა ანდრიაძე, ქეთო მინაშვილი, საშა არველაძე, საშა კაცაძე, მრავალი მედიკოსი და ორდენის კავალერიურა გიორგაძე, თამარა პაიჭაძე.

სიამაყის გრძნობით მიიწიდა აღვნიშნო მათი დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე:

- აბრამიძე აბესალო სევერიანეს ძე - დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და მაშინვე გაიწვიეს არმიის რიგებში, გააგზავნეს დასავლეთის ფრონტზე. მსახურობდა 553-ე საველე ჰოსპიტალში ორდინატორად. 246-ე სავეაკუაციო ჰოსპიტალში განყოფილების გამგედ, უმაღლესი მთავარსარდლის რეზერვის 360-ე საარტილერიო ლეგიონში უფროს ექიმად, კალინინის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს მან დიდი მამაცობა გამოიჩინა. ბრიანსკის მიმართულებით ბრძოლების დროს დაიჭრა მარჯვენა წვივის და მხრის არეში. მთელი ომის მსვლელობაში გაკეთებული ჰქონდა 7000-ზე მეტი დიდი და მცირე ოპერაცია.

სამედიცინო სამსახურის მაიორი ა. აბრამიძე სამამულო ომის პერიოდში დააჯილდოეს წითელი ვარსკვლავის ორდენით და საბრძოლო მედლებით, მიღებული ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა.

აბესალო აბრამიძე 1946 წელს ვალმოხდილი, დემობილიზაციით დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და წლების განმავლობაში სპეცაკად და როგორც წამყვანი ქირურგი, უანგაროდ ემსახურებოდა ვანის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

- გოგოძე ვახტანგი კალისტრატეს ძე - 1937 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, რომლის დამთავრებისთანავე 1941 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. მუშაობდა გვარდიული ლეგიონის მთავარ ექიმად, 1943 წელს მონაწილეობდა ქერჩის სადესანტო ოპერაციებში. ერთ-ერთი დავალების შესრულებისას მძიმედ დაიჭრა და დემობილიზებული იქნა არმიიდან. ვახტანგ გოგოძე ზურგში მშვიდობიან შრომას შეუდგა. 1952 წელს სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა მემახტეთა ქალაქში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ტყიბულის რაიონში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე ჯეროვან სიმაღლეზე იქნა დაყენებული.

1959 წ. ვახტანგ გოგოძე გადაჰყავთ ქ. რუსთავის საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარ ექიმად. იგი აღიარებული იყო, როგორც კარგი კლინიცისტი-ქირურგი. რუსეთში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „დამწვრობის თანამედროვე მკურნალობის საკითხები.“ რამოდენიმეჯერ აირჩიეს რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1964 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარედ. შეთავსებით მუშაობდა რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში ქირურგ-ორდინატორად. ვახტანგ გოგოძის დამსახურებაა ვანის რაიონში რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების კულტურის ცენტრის აგება, გადიდის პიონერთა ბანაკის და საბაგირო გზის მშენებლობა.

ვახტანგ გოგოძეს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება, ხოლო 1966 წელს დააჯილდოვეს საპატიო ნიშნის ორდენით.

- ვაშაყმაძე ისაია ნესტორის ძე - დაიბადა 1914 წ. 1939 წ. ქ. თბილის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. მსახურობდა 192-ე მსროლელი დივიზიის ლეგიონის ექიმად, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე იყო ლეგიონის სანიტარული ასეულის უფროსი, ლეგიონის მთავარი ექიმის თანაშემწე. მდინარე სამარას ნაპირებთან წარ-

მოებული ბრძოლების დროს მიძიმედ დაიჭრა. განკურნების შემდეგ დაინიშნა მე-19 სარეზერვო ბრიგადის 72-ე ლეგიონში, სადაც მიძიმედ დაავადდა. 1943 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა სამშობლოში და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს თავის მშობლიურ სოფელ- დისაშხოში.

– თოდუა ამროსი ბარნაბას ძე – დაიბადა 1918 წელს. თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაინვიეს ფრონტზე. სამამულო ომის მთელი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა დასავლეთის მიმართულებით ფრონტის საველე ჰოსპიტლებში, სამხედრო ნოდებით უფროსმა ლეიტენანტმა სიცოცხლე დაასრულა ქ. ბერლინში დიდი სამამულო ომის დამთავრების დღეს 1945 წლის 9 მაისს.

– თოდუა შოთა ბარნაბასძე – 1940 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი, სადაც დატოვეს აკადემიკოს ბურდენკოს კლინიკაში ორდინატორად. 1941 წელს გაინვიეს საბჭოთა არმიაში, მუშაობდა სანიტარული ბატალიონის ქირურგად დასავლეთის ფრონტზე (ფრონტის სარდალი გ.კ. ჭუკოვი). 1941 წლის ოქტომბრიდან წამყვან ქირურგად მუშაობდა ლენინგრადის ფრონტზე, აქვე გაატარა ლენინგრადის ბლოკადის მთელი პერიოდი. ძნელია განისაზღვროს იმ დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომართა რაოდენობა, რომელთაც იგი თავისი მაღლიანი მარჯვენით დახმარებია. ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის შემდეგ, შოთა თოდუა დაანინაურეს ჰოსპიტლის უფროს ექიმად, სადაც მთავარ ქირურგად მუშაობდა, შემდეგში საბჭოთა არმიისა და ფლოტის მთავარი ქირურგი, გენერალ-პოლკოვნიკი აკადემიკოსი ალ. ვიშნევსკი. საველე ჰოსპიტალში შოთა თოდუა პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად სამეცნიერო კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. ომის დამთავრების შემდეგ ორი წელი დაჰყო შორეულ აღმოსავლეთში ჰოსპიტლის წამყვან ქირურგად, მან ფრონტზე დაწყებული სამეცნიერო კვლევითი მუშაობა გააგრძელა და 1961 წელს ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1962 წელს მიენიჭა ვიშნევსკის საიუბილეო მედალი, ამავე წელს მიიღო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება, 1967 წელს მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. საქართველოს და აგრარულრაიონებში მოღვაწე სამამულო ომის მონაწილე ექიმთა შორის შოთა თოდუა პირველია, რომელმაც დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

შოთა ბარნაბასძე თოდუა 1947 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას (1963 წლიდან - 1965 წლის დასაწყისამდე გაერთიანებული ვანისა და მაიაკოვსკის (დღევანდელი ბაღდათი) რაიონების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებას, 1965 წლიდან, როგორც ითქვას, კვლავ აღდგენილი ვანის რაიონის შესაბამის განყოფილებას, მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1961 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ვანის ცენტრალური საავადმყოფოს სამსართულიანი შენობა 185 საწოლზე.

შოთა ბარნაბას -ძე თოდუა 26 სამეცნიერო შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორია. იგი სახელოვნოდ მოღვაწეობდა მის მშობლიურ რაიონში, როგორც სამედიცინო დარგის ხელმძღვანელი და წამყვანი ქირურგი. დააჯილდოეს წითელი ვარსკვლავის ორდენით და 9 საბრძოლო მედლით, მინიჭებული ჰქონდა პოდპოლკოვნიკის ჩინი (დღევანდელი ვიცეპოლკოვნიკი).

– თოდუა (რუმიანცევა) გალინა ალექსანდრეს ასული – დაბადებული 1920 წელს. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1942 წელს სრულიად ახალგაზრდა გაინვიეს სამამულო ომში. მსახურობდა 374-ე მსროლელთა დივიზიაში, საოპერაციო ბლოკში ვოლხოვის და ლენინგრადის მიმართულებით. დააჯილდოეს მედლებით ლენინგრადის დაცვისათვის და გერმანიაზე გამარჯვებისათვის.

სამედიცინო სამსახურის ექიმი – ლეიტენანტი გალინა ალექსანდრეს ასული თოდუა (რუმიანცევა) დემობილიზაციით დაბრუნდა მეუღლის, შოთა თოდუას, მშობლიურ რაიონში და ათეული წლების განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდა ვანის მოსახლეობის ქალთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

– ლილუაშვილი პლატონი ნარიმანის ძე – დაიბადა 1913 წელს. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. დიდი სამამულო ომის დროს მსახურობდა მე-13 არმიის მსროლელი დივიზიის 151-ე სამედიცინო სანიტარულ-ქიმიური ნაწილის უფროსად. დააჯილდოეს საბრძოლო მედლებით.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი სიყვარულით ემსახურებოდა ვანის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზეინდრის საექიმო ამბულატორიის გამგედ.

– მაღლაკელიძე შოთა ლეონტის ძე – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე 1942 წელს გაიწვიეს ფრონტზე. მუშაობდა სტალინგრადის ფრონტზე მსროლელ ლეგიონის მთავარ ექიმად. იგი ფრონტის წინა ხაზზე დახმარებას უწევდა დაჭრილებს და იარაღით ხელში ებრძოდა მტერს. სტალინგრადთან გერმანელთა დაჯგუფების განადგურების შემდეგ დივიზიამ, რომელშიც შოთა მაღლაკელიძის სანიტარული ნაწილი შედიოდა, აქტიური მონაწილეობა მიიღო კურსკისთვის წარმოებულ ბრძოლებში. 1943 წელს ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ მონაწილეობდა დნეპრისთვის წარმოებულ ბრძოლებში. შოთა მაღლაკელიძემ მონაწილეობა მიიღო უკრაინის დედაქალაქის, კიევის, განთავისუფლებაში. თავდადებული და უანგარო შრომისთვის სარდლობამ შოთა მაღლაკელიძე წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და ხუთი საბრძოლო მედლით დააჯილდოვა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, შოთა მაღლაკელიძე, დიდხანს დარჩა საბჭოთა არმიის რიგებში. 1966 წ. დემობილიზდა არმიის რიგებიდან და წლების განმავლობაში მშობლიურ რაიონში ერთგულად ემსახურებოდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს.

– ხურციძე ელევთერ თეოფილეს ძე – აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის სახელოვანი მონაწევა. მაღალპროფესიონალი ქირურგი აქტიურად იბრძოდა იაპონელი სამურაების წინააღმდეგ ხალხინ-გოლთან, ხოლო შემდეგ თეთრფინელთა წინააღმდეგ. ბატონი ელევთერ ხურციძე სამამულო ომის დასაწყისში, მოღვაწეობდა თბილისის საოლქო ჰოსპიტალში. მის მიერ მოწყობილმა ტრავმატოლოგიურმა განყოფილებამ დიდი მუშაობა გასწია ომის დროს. 1942 წლიდან ელევთერ ხურციძე ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდა სხვადასხვა ფრონტების საველე ჰოსპიტლებში. ომის მთელ პერიოდში გააკეთა დაახლოებით 15000 დიდი და მცირე ოპერაცია, შემდეგში სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი ჯერ კიდევ 1936 წელს გახდა ექიმი-ქირურგი, 1942 წლიდან მუშაობდა ირანში განთავსებული წითელი არმიის ნაწილებში, ომის დამთავრების შემდეგ, აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში. 1963 წელს ელევთერ ხურციძე კვლავ უბრუნდება თავის ჰოსპიტალს. ტრავმატოლოგიის გარდა იგი დაუფლებული იყო ქირურგიის სხვა დარგებს. კარგად ერკვეოდა ონკოლოგიის რთულ საკითხებში. დიდი გამოცდილება შეიძინა მუცლის ღრუს ქირურგიაში. ავტორია მრავალი რაციონალიზატორული წინადადებისა, რომელთა შორის არის ინტუბაციის შემამსუბუქებელი მეთოდი ინტარატრაქიალური ნარკოზის დროს, იზოთერმული კონტეინერის სისხლის ტრანსპორტირებისთვის, სათაბაშირო დარგი და ა. შ. მან წარმტებით დანერგა პრაქტიკაში ძვლის მოტეხილობის მკურნალობის ახალი მეთოდი – კომპრესული ოსტეოსინთეზის მეთოდი. ელევთერ ხურციძემ შეკრიბა დიდი სამედიცინო ბიბლიოთეკა და განაგრძობდა მის მუდმივ შევსებას. ქვეყნის ერთი კიდიდან მეორეში სამუშაოდ გადასვლის დროს იგი არასოდეს არ ტოვებდა ბიბლიოთეკას. ადრე მიღებული ორდენების და მედლების გარდა 1968 წელს დაჯილდოვებული იქნა მედლით შრომითი მამაცობისთვის.

ელევთერ ხურციძე წლების განმავლობაში უანგაროდ და დიდი სიყვარულით ემსახურებოდა მისი მშობლიური რაიონის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, როგორც აქტიური ქირურგი და როგორც ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი – მთავარი ექიმი. მისი მუშაობის პერიოდში ვანში აშენდა რესპუბლიკის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირების სახლი.

– ჩახუნაშვილიშალვა ერმილეს ძე – დაიბადა 1916 წელს. 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. შალვა ჩახუნაშვილი მსახურობდა სტალინგრადის, შემდეგში უკრაინის პირველი ფრონტის მე-15 გვარდიული დივიზიის 50-ე ლეგიონის სანიტარული ასეულის უფროსად. შალვა ჩახუნაშვილი საომარი მოქმედებების დასკვნით ეტაპზე იბრძოდა ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე.

სამედიცინო სამსახურის კაპიტანი შალვა ჩახუნაშვილი დაჯილდოვდა დიდი სამამულო ომის

მეორე ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენით, მედლებით სტალინგრადის, ხარკოვის, პრალის განთავისუფლებისთვის.

1947 წელს შალვა ჩახუნაშვილი დემობილიზაციით დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა მთავარი ექიმის მოადგილედ, იყო ჯანდაცვის ჩინებული ორგანიზატორი.

– ჩახუნაშვილი – ლეზინა ვალენტინა ივანეს-ასული (შალვა ჩახუნაშვილის მეუღლე) – დაიბადა 1922 წელს. 1944 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. სამამულო ომის დროს მსახურობდა მე-15 გვარდიული დივიზიის 50-ე ლეგიონში. დაჯილდოვდა საბრძოლო მედლებით. ომის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მუშაობდა ვანის ცენტრალურ საავადმყოფოში ინფექციური განყოფილების გამგედ. ცნობილი იყო რესპუბლიკაში როგორც მაღალი კვალიფიკაციის ინფექციონისტი.

სამამულო ომის დროს ჩვენს ხალხს უდიდესი პატრიოტიზმი ამოძრავებდა. „გმირი შეიძლება გახდეს მხოლოდ მაშინ, როცა უმაღლეს იდეალად თვლი სამშობლოს სიყვარულს“ – უთქვამს პეტრე ბაგრატიონს. დიდ სამამულო ომისთემაზე მრავალი ნაწარმოები შექმნა, მათი საშუალებით ახალგაზრდა თაობა ეცნობა მშვიდობისმოყვარე ხალხების გმირობას, მამაცობას, მაღალზნეობას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნამდვილი ადამიანის ჩამოყალიბებაში, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს პუბლიკაცია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. სანიკიძე, ი. თოფურია, ვ. გოგოძე. ექიმები ჯარისკაცის ფარაჯაში. თბილისი 1988 წელი.
2. საქართველოს მედიკოსები დიდი სამამულო ომში. ს. საყვარელიძე. თბილისი 1969 წელი.
3. ვანი და ვანელები შ. გიორგაძე. 2005 წელი.



გერმანიის „ვერმახტის“ გენერალი ვანიდან –  
შალვა მალლაკელიძე

წინააღმდეგობრივი მოვლენებით აღსავსე, საინტერესო ბიოგრაფიის კაცი, რომლის მიერაც განვლილი გზა ერთეულ ქართველთა მიერ განვლილი იმ გზის არაუცხო განაყოფია, რომლიდანაც და როდესაც სამშობლოს მონყვეტილი ეს ადამიანები თავიანთი მოქნილი გონებით აღმოჩენილან სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს იერარქიულ პიედესტალებზე. მიზეზი ამის არაერთია, მაგრამ დაკავშირებულია სხვადასხვა მიზეზებთანაც. ვერ გამოვრიცხავთ, ერთ-ერთი ფაქტორი (არაერთთაგან) ცხოვრების ამდაგვარი ბედისა იყოს ერის გამორჩეული ნაწილის უდაოდ აღიარებული ნიჭიერებაც და ქვეყნის სიმცირის გამოც, ასპარეზის სიმცირეც. 1944 წლის მაისში შალვა მალლაკელიძე ხდება ნაცისტური გერმანიის გენერალი, მაგრამ არა რომელიმე სამხედრო სტრატეგიული ოპერაციის განხორციელების, არამედ, როგორც თვითონ აღნიშნავს, იმ ღვანლის დაფასების საფუძველზე, რომელიც მან გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური წრეების წინაშე დაიმსახურა. თუმცა შალვა მალლაკელიძე არ შეიძლება მიენეროს არც იმ სამხედრო და არასამხედრო პერსონათა რიცხვს, რომლებმაც 1945 წლის 9 - მაისის გამარჯვება მოიტანეს და

მსოფლიო პროგრესული საზოგადოება აღნიშნავდა და დღესაც აღნიშნავს. განვლილი გზა მისი ემიგრანტული ცხოვრებისა დაეჭვების საფუძველსაც იძლევა, მითუმეტეს ყველა ასეთი განზომილების პიროვნებები ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებისა და რიგ სხვა შესაბამისი აქტების საფუძველზე, დროსა და სივრცეში მუდმივი სამართლებრივი დევნის სუბიექტებს წარმოადგენდნენ, თუმცა ბატონი შალვა დააბრუნეს თავის სამშობლოში და სიცოცხლეც აქ მოღვაწეობით დაასრულა.

ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს მისი ბიოგრაფიის ამ ნაწილზე საუბარი, მითუმეტეს იგი საქართველოში დაბრუნებული არაერთხელ მიუპატიჟებიათ იმ სუფრებზე, რომელზედაც უშუალოდ მისი პოლკის წინააღმდეგ მებრძოლი 392-ე ქართული დივიზიის მეთაური, გენერალი გ. ყურაშვილი თამადაობდა და ერთადაც მოუღებინათ. ეს ტოლერანტობა ღირსეულ ქართველთა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია, ჩვენი ერის ხასიათის ლამაზი თვისებაა. ჩვენ იგი გვანტერესებს როგორც ვანელი კაცი, თავის ინტერესებითა და განვლილი გზით. დაიბადა 1896 წელს ქუთაისის გუბერნიის, ქუთაისის მაზრის, ვანის თემის სოფელ დიხაშხოში, შეძლებული გლეხის ოჯახში.

... „მამაჩემს, ნიკო მალლაკელიძეს უთქვიაო – იგონებს იგი – „თავადი სევერიან ლორთქიფანიძე რომ დადიოდა ეკლესიაში მეფის კაპიტნის პაგონებით, ჩემი შვილიც ისეთი უნდა გამოვიდესო და ამ საკითხზე დახმარება უთხოვია მეზობლის, ნაუმ ლორთქიფანიძისათვის, რომლის პასუხიც ასეთი ყოფილა: – „ნიკოია შენ გასულელდიო?!“ შენ შვილს ვინ მიიღებს კადეტთა სასწავლებელში, გლეხკაცის შვილსო. აქ ფული არ ჭრის, ღირსებაა საჭიროო (ე.ი. თავადაზნაურული წარმომავლობა) – ყაძახი ხარ შენ, შეძლებული კაცი, ვენახი გაქვს, გირჩევ სამოციანი თოხი უყიდე, ასეთი თოხი არის თქვენი, ყაძახების საქმეო.“

ექვსი წლის ასაკში შ. მალლაკელიძე შეჰყავთ სოფელ დიხაშხოს წერა-კითხვის შემსწავლელ ახალგაზსნილ ექვსთვიან კურსებზე. შემდეგ წავლობდა სალხინოს ორკლასიან სამრევლო სკოლაში, აქედან გადაჰყავთ ამაღლების სასწავლებელში, რომელიც ამ დროისათვის ვანის ტერიტორიაზე უფრო მაღალი დანიშნულების სასწავლებელს წარმოადგენდა. როგორც ჩანს მამის მატერიალურმა მხარდაჭერამ და შალვა მალლაკელიძის ნიჭიერებამაც შედეგი გამოიღო და ჩაირიცხა ქუთაისის კერძო გიმნაზიაში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდნენ ქართული პედაგოგიური ელიტის წამომადგენლები: დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ ნათაძე, ალ. გარსევანიშვილი, სილოვან ხუნდაძე და ა.შ. იოსებ ოცხელის დირექტორობით.

გიმნაზიის წარჩინებით დამთავრებისა და რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებში განათლების

1 „ვერმახტი“ — გერმანიისშეიარაღებული ძალები, არსებული სახით შეიქმნა 1935 წელს. უმთავრესისაყრდენი ძალა, ჰიტლერული გერმანიის ინტერესთა განხორციელებისათვის. რომლის მიზანიც იყო ევროპაში მადომინირებული პოზიციის მოპოვება და აქედან მსოფლიო ბატონობა. 1938 წელს ხდება ამის იურიდიული განიზავრება გერმანიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალის დებაჰიტლერის ხელისუფლებით.

მონობის ასლების გაგზავნის შემდეგ, მას გზა გაუხსნეს ყაზანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. თუმცა ორიენტაცია შეიცვალა სრულიად შემთხვევით. „მე მივდიოდი ყაზანის უნივერსიტეტში – ამბობს შალვ ამალაკელიძე – ჩემთან ერთად მოდიან ტიციან ტაბიძე, მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის II – კურსის სტუდენტი, რომელსაც კარგად ვიცნობდი და შალვა ხუნდაძე... მატარებლით წავედი ერთად როსტოვამდე, საიდანაც უნდა გადავმჯდარიყავი სხვა მატარებელში ყაზანში წასასვლელად, მაგრამ ტიციანმა დამიკეტა მატარებლის კარი. ყაზანის ბილეთით წამიყვანეს მოსკოვში, რომ თურმე ყოველი სტუდენტთა სათვისტომო ცდილობდა გიმნაზიიდანვე რომელიმე ყმანვილი წაეყვანათ თავისთან... მოსკოვში უნივერსიტეტმა უდოკუმენტოდ მიმიღო, დოკუმენტები ყაზანიდან ერთი თვის შემდეგ მოვიდა.“ იგი ხდება მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა კავშირის წევრი. მალე, სრულიად შემთხვევით, კონკურსში გამარჯვების შემდეგ, იგი პარალელურად ინიშნება მაშინდელი მოსკოვის თვითმმართველობის „ქალაქისთავის“ ჩერნაკოვის მდივნად და დაუნიშნეს ანაზღაურებაც.

1915 წელს პირველი მსოფლიო ომისას, მოსკოვში, კადეტთა გაზეთის მეშვეობით გამოქვეყნდა განცხადება, რომ ჯანმრთელი სტუდენტები უნდა გამოცხადებულიყვნენ სამხედრო უწყებებში, აქედან, შემონმების შემდეგ მას აგზავნიან თბილისის კადეტთა სასწავლებელში, სადაც სასწავლებლის პირველი ასეულის „კურსოვო ოფიცერი“ სთავაზობს დაიტოვებს მას თანაშემწედ, რაც იმას ნიშნავდა, რომ შედარებით იოლად ეხსნებოდა გზაზე მდგომი სამხედრო საფეხურებისაკენ. მოსკოვიდან თბილისში გამოგზავნილი ახალგაზრდების ჯგუფი, მათ შორის შ. მალაკელიძეც, მოვლენათა ანალიზის საფუძველზე მიდიან დასკვნამდე, რომ ასეთ გართულებულ სიტუაციაში, ერთმანეთს დაუდგენენ გვერდით, სამსახურის ადგილებზე მოამზადონ ჯგუფები, დაეყრდნონ მას და საჭიროების შემთხვევაში იმოქმედონ არსებული ხელისუფლების სანინააღმდეგოდ. ასეთი ფარული ჯგუფების საერთო ხელმძღვანელობა ანდეს შ. მალაკელიძეს.

სამხედრო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, იგი როგორც წარჩინებული კურსდამთავრებული, სამსახურის ადგილად ირჩევა ახალციხეს, როგორც ეთნიკური, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და აქტიური საომარი მოქმედებების თვალსაზრისით ურთულეს მხარეს. მიუხედავად ახალგაზრდობისა შ. მალაკელიძე გამორჩეულ, გაბედულ და ფათერაკების მოყვარულ ოფიცრად ითვლებოდა, რომელმაც ერთ-ერთი ლოკალური სამხედრო ოპერაციისას დაატყვევა თათრების ოცეული. ოპერაცია იყო იმდენად შთამბეჭდავად განხორციელებული, რომ ფრონტის სარდლობის წარდგინებით იგი ჯილდოვდება რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხარისხის ორდენით, „წმინდა გიორგის ჯვრით“. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, უაღრესად რთულ სიტუაციაში – როგორც თვითონი გონებს – დავაარსეთო – „ვოენნი პრეზიდიუმ ახალციხისკოგო გარნიზონა<sup>1</sup>“ იგი თავისთავზე იღებს გარნიზონის ხელმძღვანელობას. ამავდროულად გართულებულ ეთნიკურ დაპირისპირებათა ფონზე მან შესძლო დაძაბულობის რამდენადმე განმუხტვა. მოკლე ხანში „სახელმწიფო დუმიდან“ ამას მოჰყვა სპეცდებეშა, რომ სახელმწიფო დუმის<sup>2</sup> დადგენილებით ის ინიშნება „სამაჰმადიანო საქართველოში სამხედრო და სამოქალაქო საქმეების საგანგებო და სრულუფლებიან წარმოადგენლად“ – რითაც მხარეში მთელი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება მის ხელში გადავიდა. „პირველი რაც გააკეთა აკ. ჩხენკელმაო იგონებს შ. მალაკელიძე – დუმის სახელით, რევოლუციური წესით სამაჰმადიანო საქართველო დააარსა.“ ამ დროს შ. მალაკელიძის ხელისუფლება ვრცელდება, ახალციხის, ახალქალაქის მაზრებზე, არტაანის ოლქსა და ფოცხოვის მხარეზე.

ახალციხიდან იგი გადაჰყავთ ქუთაისში, როგორც ქუთაისის მაზრის კომისარი, ის აქ რჩება 6 თვე და დაკისრებულ მოვალეობასაც გაართვა თავი, ხოლო ამის შემდეგ ნოე რამიშვილისა და ნოე ხომერიკის რეკომენდაციით, როგორც წარმატებული ადმინისტრატორი, გადაჰყავთ თბილისში, ჯერ გუბერნიის კომისრად, ხოლო ამის შემდეგ ხდება თბილისის გენერალ-გუბერნატორი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედიოდა „თბილისი-გორის მაზრა მთლიანად, ბორჯომის რაიონი, ახალციხისა და ახალქალაქის, დუშეთის, თიანეთის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს მაზრები, დიდი ტერიტორია, თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო.“

<sup>1</sup> ახალციხის გარნიზონის სამხედრო პრეზიდიუმი

<sup>2</sup> სახელმწიფო სათათბირო

1918 წლის ურთულეს პერიოდს ემთხვევა ეთნიკური თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიული დანაწილების მცდელობა, რომელსაც მენშევიკ ლიდერთა ნაწილიც უჭერდა მხარს, „რადგან თბილისის სომხურ ქალაქად თვლიდნენ, 1918 წელს სომხებმა დაადგინეს, რომ თბილისის გუბერნია უნდა გამოცხადებულიყო „არმიანსკაია გუბერნიად“ და როგორც ბატონი შალვა მიიჩნევს ამ საქმეში მათ ინგლისელებიც უჭერდნენ მხარს.“<sup>1</sup> ამ დროს შალვა მალლაკელიძე, თბილისის ახალგაზრდა გენერალ-გუბერნატორი, კომპრომისზე არ მიდის, რასაც მოჰყვა გადაწყვეტილების მიღება „თბილისისა და ბორჩალოს მაზრის სომხების ქართველთა მტრებად გამოცხადების“ შესახებ. რადგანაც პროვოკატორთა მოქმედებაც ამ დროისათვის გააქტიურებულია, მან გადადგა უკომპრომისო ნაბიჯი, დააპატიმრა პროვოკატორთა გავლენიანი წამომადგენლებიც, რომლებიც ინგლისელთა ჩარევით განთავისუფლებული იქნენ საქართველოს ხელისუფალთა მიერ. ამას მოჰყვა თბილისის გენერალ-გუბერნატორის საპროტესტო განცხადება პოსტიდან განთავისუფლების შესახებ, რომელიც მენშევიკურმა ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა. უფრო მოგვიანებით, 1921 წლის თებერვალში, შეუსაბამო მოქმედების გამო იგი აპატიმრებს რუსეთის ელჩს საქართველოში. 11-ე არმიის შემოსვლისას თბილისის გენერალ-გუბერნატორი შ. მალლაკელიძე ბრძოლებში არ მონაწილეობდა, რადგანაც პროცესის მართვა, წესისამებრ გადავიდა მთავარსარდლის გენერალ გ. კვინიტაძის ხელში. გენერალ-გუბერნატორის მოვალეობა განისაზღვრებოდა მთავრობასთან ერთად ფრონტის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფით. თუმცა მდგომარეობა იმ დონეზე იყო მოშლილი, რომ აღნიშნული საჭირო კომპონენტებით ფრონტის უზრუნველყოფა ვერხერხდებოდა, რაც უნაკლოდ აისახა საომარ მოქმედებებზე. უაღრესად გართულებულ სიტუაციაში, გაჩნდა ახალი თავსატეხი, რომელიც საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორებას დაუკავშირდა. ვითარებიდან გამომდინარე სოხუმში სახალხო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლისშესაბამისადაცაფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად მიიწვიეს შალვა მალლაკელიძე. იგი დაუყოვნებლივ გაემგზავრა დანიშნულების ადგილზე, სადაც მას გზაში ხვდებიან საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის ნოე ჟორდანიაც, რომლებმაც უკვე დატოვეს თბილისი და ე.წ. „ოპერატიული მოსაზრებებით გადადიან ხაშურში.“ სოხუმი შალვა მალლაკელიძეს პრაქტიკულად დაცლილი დახვდა და საქმის გადარჩენაც შეუძლებელი იყო. აქ შ. მალლაკელიძე დარჩა 1921 წლის 17 მარტამდე. შემდეგ ბათუმში ჩასვლისას მას სთავაზობენ ემიგრაციაში გამგზავრებას, რომელზედაც უარს აცხადებს. იგი ბრუნდება ვანში, მშობლიურ სოფელში და 1921 წლის 13 მაისს გრ. ლორთქიფანიძესთან<sup>2</sup> ერთად აკავებენ, იგი გადაჰყავთ ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში მეტეხის ციხეში, სადაცო, როგორც შ. მალლაკელიძე იგონებს გრ. ლორთქიფანიძემ წამოაყენა იდეა ქართველ პატრიოტთა ორგანიზაციის „თეთრი გიორგის“ დაარსების შესახებ<sup>3</sup>. მოსამზადებელ სამუშაოში მონაწილეობას იღებდა შ. მალლაკელიძეც, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ლეო კერესელიძე. ეს ორგანიზაცია უფრო მოგვიანებით პარიზში იღებს სრულყოფილ სახეს და მას სათავეში ჩაუდგა შ. მალლაკელიძე, მეტეხის ციხეში ქართველ პოლიტპატიმართა ძალისხმევით დამუშავდა ქ. გენუაში საერთაშორისო კონფერენციაზე გასაგზავნი მემორანდუმის ტექსტი, რომლის უშუალო ავტორიც იყო მეორე ვანელი პოლიტპატიმარი გრ. ლორთქიფანიძე, ტექსტის მომზადებაში მეც მაქვს მონაწილეობა მიღებულიო გვამცნობს შ. მალლაკელიძე, შემდეგში ტექსტი ითარგმნა ფრანგულად და საქართველოს კათალიკოს პატრიარქის მისი უწმიდესობის ამბროსი ხელაიას სახელით და ძალისხმევით გაიგზავნა ქ. გენუაში.

1923 წელს, მეტეხის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, შ. მალლაკელიძე მიემგზავრება მოსკოვში, საიდანაც 6-თვის შემდეგ, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, აბელ ენუქიძის დახმარებით იღებს ვიზას და მიემგზავრება ლატვიაში, რიგის გუბერნიაში, მეუღლის, ლატვიელი გერმანელი ქალის საცხოვრისში, აქ იგი ხდება რიგაში დაფუძნებული „კავკასიელთა დახმარების საზოგადოების“ თავმჯდომარე. აქედან პარიზში ნ. ჟორდანიასა და ვარშავაში გენერალ ზაქარიასთან<sup>4</sup> მოთათბირების შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას ნავიდეს ჩეხო-

<sup>1</sup> ეს ის დროა როდესაც პარიზის საზავო მოლაპარაკებების საფუძველზე საქართველოს ტოვებენ გერმანიის სამხედრო დანაყოფები და ისინი ჩაანაცვლეს ინგლისელთა სამხედრო ნაწილებმა, როგორც მანდატორი ქვეყნის წარმომადგენლებმა.

<sup>2</sup> გრ. ლორთქიფანიძე — ჟორდანიას ხელისუფლებაში სამხედრო და განათლების მინისტრი — ასევე ვანელი, სოფ. დიხაშხოდან.

<sup>3</sup> ამ საკითხზე შედარებით განსხვავებულ ვერსიას აწვითარებს მკვლევარი გელა სულაძე თავის ნიგნში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები.“

<sup>4</sup> გენ. ზაქარიად პოლონეთის გენშტაბის მაღალი თანამდებობის პირი.



სლოვაკიაში, სადაც მოხერხდებოდა მისი დასაქმებაც, მთავრობა გასცემდა ემიგრანტებზე დახმარებებს და ექნებოდა პრალის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების საშუალებაც. ამდენად იგი ლატვიაში ტოვებს ცოლ-შვილს, მიემგზავრება პრალაში და უერთდება აქ არსებულ ქართველთა საზოგადოებას და მალე ამ საზოგადოების თავმჯდომარეც ხდება. აქვე ხდება ჩეხოსლოვაკიის მომავალ პრეზიდენტ ბენეშს, რომელიც ამ დროისათვის ემიგრანტთა საქმეებს განაგებდა. მოსკოვიდან დამადასტურებელი საბუთების მიღების შემდეგ, შ. მალლაკელიძემ სწავლა გააგრძელა პრალის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით და აქვე იცავს სადოქტორო დისერტაციასაც. ფლობს ქართულ, რუსულ, გერმანულ, პოლონურ, ლატვიურ ენებს. პრალაში მას გარკვეული არაკეთილგანწყობილი წინააღმდეგობები ხვდება ქართველ პოლიტიკოსებთან წარმომადგენლებისგან, რადგანო – იგონებს შალვა მალლაკელიძე – ისინი თვლიდნენ, რომ მე დაკავშირებული ვიყავი საბჭოთა უშიშროების სამსახურებთან. საერთოდ, როდესაც შ. მალლაკელიძე ეხება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას მისი შეფასებებიც ამ ადამიანებზე საგულისხმო, მაგრამ ზოგჯერ რადიკალურიცაა. „მენშევიკებიჩემდამი მტრულად იყვნენ განწყობილნი“ აღნიშნავს იგი. თავად არ იყო არცერთი პარტიის წევრი. მხარს უჭერდა საქართველოში მონარქიის აღდგენას და ამ საკითხებზე გააჩნდა მყარად ჩამოყალიბებული ორიგინალური შეხედულებაც. წინააღმდეგი იყო საქართველოს სამეფო ხელისუფლებაში ბაგრატიონთა წარმომადგენლის მობრუნების.

საქართველოში 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისათვის მზადების წინა პერიოდში შ. მალლაკელიძე ნოე ჟორდანიასაგან იღებს შეთავაზებას დაბრუნდეს საქართველოში, როგორც ენერგიული და გაბედული სამხედრო, „შენი ადგილი ახლა იქააო.“ ამ წინადადებას შ. მალლაკელიძე არ თანხმდება, რადგანაც პროცესი მიაჩნია უპერსპექტივო საქმედ. როგორც თვითონ განმარტავს „აჯანყების მომამზადებელი „დამკომის“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი) მთელი საქმიანობა საქართველოს ხელისუფლებას ხელისგულზე ედო.“ „თეთრი გიორგიდან, კ. სალიას გაშვების შემდეგ მხარს უჭერს იდეას, რომ ეს ორგანიზაცია უნდა გახდეს მონარქიულ-ფაშისტური იდეოლოგიის მიმდევარი. შალვა ამირეჯიბისა<sup>1</sup> და ზურაბ ავალიშვილის<sup>2</sup> წახმარებით შექმნა და რეგისტრაციაში გაატარა მონარქო-ფაშისტური დარაზმულობა „ქართლოსი,“ რომელსაც დასცილდა 1936 წელს პარიზიდან წასვლის შემდეგ.

1937 წელს შ. მალლაკელიძე საბოლოოდ გადადის ბერლინში, სადაც იგი, როგორც თვითონვე აღნიშნავს ხდება „ოკვ“-ს<sup>3</sup> სამხედრო მრჩეველი. თანამშრომლობს კანარისთან,<sup>4</sup> ოფიციალურად ითვლებოდა „აბვერ“-ის<sup>5</sup> თანამშრომლად, ჩართულია ზოგიერთ მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებაში, რომელიც წინასწარ დაზვერვით საქმიანობას უკავშირდებოდა. აქედან, რიგ საკითხებზე, როგორც ჩანს, უშუალო მითითებებს იღებდა გერინგისა და კანარისისგან. მისი პირველი შეხვედრა კანარისის მეშვეობით გერინგთან შედგა 1939 წლის 16 აგვისტოს, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. II — მსოფლიო ომის დაწყებისას (1939 წლის 1 სექტემბერი) შ. მალლაკელიძე გერმანულ სამხედრო ნაწილებთან ერთად შედის პოლონეთში, სადაც იგი ნაცისტური არმიის მაიორ ბაუნთან ერთად იწყებს მუშაობას, იმ ქართველებისა და კავკასიელების მოგროვებასა დასაბუთების გაცემაზე, რომლებიც სანდონი შეიძლება გამხდარიყვნენ გერმანელებისათვის.<sup>7</sup> 1941 წლის 22 ივნისს შვილთან, გაიოზთან და გერმანულ სამხედრო ნაწილებთან ერთად შედის სსრ კავშირის ტერიტორიაზე და მონაწილეობს საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო საომარ ოპერაციებში.

<sup>1</sup> შალვა ამირეჯიბი — მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის ბიძა, ვერიკო ანჯაფარიძის ყოფილი მეუღლე, ემიგრანტი.

<sup>2</sup> ზურაბ ავალიშვილი — პროფესორი, საქ. მენშევიკური ხელისუფლების ნაფიცი ექსპერტი, არაერთი ისტორიული გამოკვლევის ავტორი — თურქეთ-გერმანიასთან გამართული მოლაპარაკებებისას საქ. მენშ. ხელისუფლების წარმომადგენელი.

<sup>3</sup> „ოკვ“- გერმანიის შეიარაღებული ძალების „ვერმახტის“ მართვის მთავარი მუშა ორგანო, სადაც მუშავდებოდა და იგვემუშავებოდა სამხედრო ოპერაციები.

<sup>4</sup> „აბვერ“-ი „კანარისი“ — გერმანიის სამხედრო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ორგანო. შეიქმნა 1919 წელს. 1938 წელს მოხდა მისი რეორგანიზაცია. „აბვერს“ 1935-44 წლებში ხელმძღვანელობდა ადმირალი კანარისი, გაგერმანებული ბერძენი. ორგანიზაცია 1944 წლის თებერვალში დაშალეს და დაუმორჩილეს გერმანიის იმპერიის მთავარ სადაზვერვო სამმართველოს.

<sup>6</sup> გერინგი — ნაც. გერმანიის რაიხსმინისტრი. ოფიციალურად გამოცხადებული იყო ჰიტლერის მემკვიდრედ. პარალელურად ხელმძღვანელობდა გერმანიის სამხედრო საჰაერო ძალებს. 1946 წელს ნიუნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, როგორც მთავარ სამხედრო დამნაშავეს მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა — ჩამოხრჩობა.

<sup>7</sup> პოლონეთის (ისე როგორც ევროპის სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე) ამდროისათვისაც იმყოფებოდნენ ქართველი ემიგრანტები, მეფის დროინდელი სამხედრო პირები მათ შორის გენერლებიც.



საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის საომარი მოქმედებების პერიოდში შ. მალაქელიძე თანამშრომლობდა გენერალ კესტრინგთან და გრაფ შულენბურგთან. ძველ ნაცნობებთან, რომლებიც 1918 წლის პერიოდში, ვიდრე გერმანელები საქართველოს დატოვებდნენ, ახლდნენ გერმანულ სამხედრო ექსპედიციას, ხოლო უფრო მოგვიანებით გენერალი კესტრინგი მუშაობდა გერმანიის საბჭოთა საელჩოს სამხედრო ატაშედ, გრაფი შულენბურგი იყო გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში, რომელიც მოცემულ მომენტში განაგებდა კავკასიის საქმეებს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. კონკრეტულად ამ პიროვნებათაგან იღებს დავალებას შალვა მალაქელიძე ტყვედ ჩავარდნილ კავკასიელთაგან, ძირითადად ქართველთაგან, მოხალისეთა სპეც. ბატალიონის ჩამოყალიბების შესახებ, რომლებიც შემდეგში გამოყენებულნი იქნებოდნენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად და დივერსიული სამუშაოების ჩასატარებლად. (ამ პროცესის ირგვლივ სტატიის ავტორის მიერ, ცოტა ქვემოთ, იქნება გაკეთებული მოკლე შენიშვნა). ასეთი ქმედება ჩანს შეესაბამებოდა ქართველ ემიგრანტთა მიზნებსაც, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ ომში საბჭოთა კავშირი აუცილებლად დამარცხდებოდა და შესაძლებელი გახდებოდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთისა და ბოლშევიზმისგან, რომ გერმანია აღადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას (რომელზედაც არასდროს სინამდვილეში არ უფიქრია ჰიტლერს) ეს თემა აქტიური პროპაგანდირების საკითხად იქცა ქართველ ემიგრანტთა და მათ მხარდამჭერთა ნამყვანი ნაწილიდან, რომლებიც ასევე თანამშრომლობდნენ გერმანულ სამხედრო და სადაზვერვო დივერსიულ დანაყოფებთან. სამხედრო ტყვეთა გადმობირებაც ამ ნიშნით მიმდინარეობდა. თუმცა შეუძლებელია იმის გამორიცხვა, რომ ასეთ ბატალიონებში გადაბირებულქართველებს გერმანელებისგან თავდაღწევის მიზნით არ გააჩნდათ განსხვავებული შეხედულებანი, ვიდრე საბჭოთა სამხედრო ნაწილებთან დაპირისპირება და ამის არაერთი მაგალითია, როდესაც ისინი უყოყმანოდ გაქცევნიან გერმანელებს და ჩაბარდნენ საბჭოთა მოქმედ ნაწილებს. ამდენად: სიტუაციათა გამო გერმანიის შეიარაღებულ ძალებში აღმოჩნდა 35-ათასი ქართველი, 21-ათასზე მეტი სომეხი, 45-ათასი აზერბაიჯანელი და ა. შ. ქართველი ბატალიონებიდან გამოსაყოფია მაღალაშვილ – როზენბერგს<sup>1</sup> დაქვემდებარებული. განსაკუთრებულ დავალებათა ბატალიონი „ბერგმანი,“ რომელთანაც შალვა მალაქელიძეს შეხება არ ჰქონია. როგორც ჩანს მან წინასწარგამიზნულად აიცილა მათთან ურთიერთობა, თუმცა ამაზე უარი არ უთქვამთ რიგ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს. აქვე გვსურს ყურადღება გამახვილდეს ერთ ფაქტზე: საქმე ეხება იმ ქართული ბატალიონების ფიცის ტექსტს, რომლებიც უშუალოდ გრაფ შულენბურგის, გენერალ კესტრინგისა და შალვა მალაქელიძის ძალისხმევით შეიქმნა. როგორც შალვა მალაქელიძე განმარტავს – „ფიცი, რამდენადაც ამის საშუალება იქნებოდა, უნდა ყოფილიყო ეროვნულ-ქართულის შესაბამისი და რამდენადმე განსაკუთრებული. ასეთი ტექსტი კი აუცილებლად უნდა შეთანხმებულიყო ჰიტლერთან. ტექსტი გერმანულ ენაზე შეადგინაშულენბურგმა, რომლის შემდეგაც შულენბურგი, გენერალი კესტრინგი და შალვა მალაქელიძე გაემგზავრნენ პრუსიაში ჰიტლერის რეზიდენციაში. ტექსტი მიღებულ იქნა და როგორც შალვა მალაქელიძე აღნიშნავს ეს იყო მისი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა ჰიტლერთან<sup>2</sup> პოლონეთის ქალაქ ვესელას მიდამოებში, 1942 წლის 26 მაისს, ქართული ბატალიონის მიერ მოხდა აღნიშნული ფიცის მიღება.

„1942 წლის ბოლოს ქართული ეროვნული ბატალიონი, რომელსაც შალვა მალაქელიძე მეთაურობდა ჩრდილოეთ კავკასიას მოადგა და ოსურ სოფელ ურუხში დაბანაკდა. (სოფელი მდებარეობს რაჭის ადმინისტრაციულ საზღვართან), ეს შენაერთი აქ 1943 წლის 3 იანვრამდე, იმყოფებოდა,“ ბატალიონი განლაგებული იყო 392-ე ქართული დივიზიის ნაწილების წინააღმდეგ, დივიზიას მეთაურობდა გენერალი გ. ყურაშვილი, რომელთანაც საბრძოლო მოქმედებებისას გერმანიის სამხედრო ფორმაგადაცმული არაერთი ქართველი უბრძოლველად გადავიდა ხსენებული ქართული დივიზიის მხარეს. ბატონი გელა სულაძე, ავტორი ნიგნისა

<sup>1</sup> როზენბერგი — აღმოსავლეთში გერმანელთა მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მინისტრი.

<sup>2</sup> ჰიპერბოლიზებულია და ლეგენდის ფორმას იღებს საუბრები იმაზე რომ შალვა მალაქელიძე ჰიტლერთან აუდიენციებზე ქართული ეროვნული ფორმით ცხადდებოდა. იყო აუდიენცია და არა აუდიენციები.

„ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“ — რეალურ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობითა და ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ სანამ კანარისის მდგომარეობა ჰიტლერის გარემოცვაში მყარი იყო, ქართულ-გერმანული ლეგიონების ფორმირება მთლიანად შალვა მაღლაკელიძის ორგანიზებითა და გერმანელთა სამხედრო დაზვერვის „აბვერის“ მხარდაჭერით ხორციელდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც კულმინაციას მიაღწია დაპირისპირებამ კანარისსა და როზენბერგს შორის ქართულ ეროვნულ ფორმირებათა საკითხი შალვა მაღლაკელიძიდან მთლიანად აღმოსავლეთ ოლქების სამინისტროს ხელში გადავიდა,“ ამის გამო იგი არ მონაწილეობდა ქართული სადაზვერვო ბატალიონისა და „ცეპლინის“ მიერ ორგანიზებული სადაზვერვო დივერსიული ჯგუფების ჩამოყალიბებაში.

თუ რას წარმოადგენდნენ ქართველ ტყვეთაგან (ზოგჯერ არატყვეთაგან) შექმნილი ბატალიონები ამაზე სრულ სურათს იძლევა შალვა მაღლაკელიძის მოგონებებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ვეყრდნობით ბატონ გელა სულაძის ზემოთ მითითებულ ნაშრომს, რომელსაც ციტირების სახით ვთავაზობთ მკითხველს, რადგან მიგვაჩნია რომ იგი აგებულია სათანადო დოკუმენტური მასალების საფუძველზე, გამოიცა 2012 წელს.

– „შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე – აღნიშნავს ავტორი = 1942 წლის 8 თებერვალს გამოიცა საიდუმლო განკარგულება ქართული ლეგიონების შექმნის თაობაზე (ამ დროისათვის პირველი და მანამდე არნახული მძლავრი დარტყმა გერმანელებმა იგემეს ქალაქ მოსკოვთან). ნაციონალური ლეგიონების შექმნისა და გერმანიის ინტერესებისათვის მათი გამოყენების იდეის რეალიზაცია დაიწყო კანარისის უწყებამ, პარალელურად იქმნებოდა სხვადასხვა დანიშნულების დივერსიულ-სადაზვერვო ფორმირებებიც.“

– „საქართველოს ნაციონალური ლეგიონის ფორმირება გერმანელებმა დაიწყეს 1942 წლის გაზაფხულზე ქალაქ ვარშავის ახლოს, ვესელასა და ზელიონკაში, სადაც ამ მიზნისათვის თავმოყრილნი იყვნენ ქართველი სამხედრო ტყვეები. ლეგიონს მეთაურობდა ობერლეიტენანტი ბრაიტნერი, მისი თანაშემწე იყო შალვა მაღლაკელიძე. სამეთაურო შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო საბჭოთა სამხედრო ტყვეებისგან. თითოეულ ასეულზე მიმაგრებული იყო ერთი გერმანელი მრჩეველი, რომელიც ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა ასეულს.“

– „პირველი ასეული 1942 წლის 13 აგვისტოს გაიგზავნა ფრონტის წინა ხაზზე. მან 1942 წლის სექტემბერში დაიკავა პოზიციები სტავროპოლის მხარის ნოვოპოლტავკის რაიონში... ზემოთ ხსენებული ბატალიონი შედიოდა გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიაში, მას შემდეგ რაც ლეგიონერთა ნაწილი 1942 წლის 10 ოქტომბერს გადავიდა და ჩაბარდა საბჭოთა მხარეს ბატალიონი გერმანელებმა მოაცილეს ფრონტის წინა ხაზს, ხოლო შემდეგ დაშალეს.“

– „მეორე ბატალიონმა (ლეგიონი) სათანადო მომზადების შემდეგ 1942 წლის 1 ნოემბრისთვის დაიკავა თავდაცვითი პოზიციები კრასნოდარის რაიონში.“ „ქართული ლეგიონების ფორმირება მოხდა ასევე უკრაინასა და გერმანიაში“... მესამე, 1000 კაციანმა ბატალიონმა (№2/198) ჩამოყალიბება დაიწყო 1942 წლის სექტემბერში, პოლტავის ოლქში, ქალაქ ზენკოვოში... ბატალიონი გაგზავნილი იქნა ქალაქ ბელგოროდის მიმართულებით, სადაც იგი გამოიყენებოდა საევაკუაციო სამუშაოებში – მე-4 ბატალიონი ჩამოყალიბდა პოლტავის ქალაქ გადიჩში... 1943 წლის ბოლოს გადაისროლეს საბჭოთა კავშირ გერმანიის ფრონტზე, ბრიანსკის რაიონის დასახლება სმოროდინკაში. გამოიყენებოდა სადამსჯელო ღონისძიებებში აქ მოქმედი პარტიზანების წინააღმდეგ. შემდეგ იგი მონაწილეობდა სადგურ ზმევეკის რაიონში საბჭოთა სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლებშიც. იმის გამო რომ ბატალიონი ბრძოლის უუნარო აღმოჩნდა განაიარაღეს და გამოიყენებოდა საყარაულო საბადრაგო სამსახურში.

1943 წლის მეორე ნახევარში პარტიზანებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების მხარეს ქართველ ლეგიონერთა გადასვლის ფაქტების გამო ქართული ლეგიონის ყველა ქვედანაყოფი გადაყვანილი იქნა დასავლეთ ევროპაში, სადაც ისინი გადაფორმირდნენ პარტიზანებისა და ინგლის-ამერიკის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად.“

– „795-ე ბატალიონი მოქმედებდა ქ. შერბურის (საფრანგეთი) რაიონში, ითვლიდა 900-მდე მებრძოლს. 796-ე ბატალიონი 1943 წლის დასაწყისში დაიშალა; 797-ე ბატალიონი დისლოცირებული იყო კუტანსის ჩრდილოეთით, გრანვილდში; 798-ე ბატალიონი დისლოცირებული

იყო მორბიგაიში, 799-ე ბატალიონი მოქმედებდა კლერმონ-ფერანსის რაიონში; ბატალიონი №11/193 – 1944 წელს იმყოფებოდა ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც იცავდა რკინიგზას. 1945 წლის თებერვალში ბატალიონი მთლიანად ტყვედ აიყვანეს იტალიელმა პარტიზანებმა.

„ერთ-ერთი ბატალიონი, 1944 წლის ზაფხულში დისლოცირებული იყო ქალაქ ათენში, საბერძნეთიდან გერმანელთა უკან დახევის პირობებში ბატალიონი გამოიყენებოდა ბერძენი პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1944 წელს იგი მოქმედებდა ალბანეთში, მოგვიანებით კი სერბეთში.“

უნდა ითქვას და ამაზე შალვა მაღლაკელიძეც მიუთითებს, რომ იგი სანჯისი ეტაპიდანვე აქტიურად მონაწილეობდა ქართული ბატალიონების შერჩევა-მომზადებაში, ხოლო თავიდან განზრახული თურქ-ბატალიონების ან შერეული კავკასიური თურქული ბატალიონების შექმნის იდეა ვერ განხორციელდა უშუალოდ შალვა მაღლაკელიძის ჩარევით...

რაც შეეხება „ბერგმანს,“ (რომელთანაც როგორც ითქვა შალვა მაღლაკელიძეს შეხება არ ჰქონია). ძალიან მოკლედ მასზე შეიძლება ითქვას შემდეგი: შეიქმნა იგი უშუალოდ კანარისის მითითებით, როგორც სპეციალური დანიშნულების ბატალიონი, შედიოდა „აბვერის“ B-ჯგუფში, მას ხელმძღვანელობდა „აბვერის“ ოფიცერი პროფესორი ობერლენდერი. შტაბის უფროსი იყო ფონ კუცშენბახი (დაბადებულია საქართველოში). წვრთნები გაიარა გერმანიაში. 1942 წლის მარტში მას შეუერთდა სადაზვერვო დივერსიული დანაყოფები „თამარ-1“ და „თამარ-2“, ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მოზდოკის რაიონში. ბატალიონის პირველი ასეული, მე-4 ასეული ძირითადად დაკომპლექტებული იყო ქართველებით (დანარჩენები ჩრდილოეთ კავკასიისა და სომხურ-აზერბაიჯანელი ტყვეებით). ფრონტზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გერმანიის დაზვერვამ ისინი გააერთიანა საქართველოში აჯანყების ორგანიზების მიზნით. „ცნობილია რომ „თამარ-1“ -ის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო მიხეილ კედია (პოლიტემიგრანტი).

სტალინგრადთან გერმანელთა კატასტროფული მარცხის შემდეგ „ბერგმანის“ ნაწილები გადაიყვანეს ყირიმში. 1944 წლის აპრილიდან რუმინეთში, შემდეგ საბერძნეთში, გამოიყენებოდნენ ბერძენი და იუგოსლაველი პარტიზანების წინააღმდეგ. ბერგმანელების უმრავლესობა 1945 წლის მაისში ქ. ცვილში ტყვედ აიყვანეს იუგოსლაველმა პარტიზანებმა.

ზემოთხსენებული შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას: პირველი – გავრცელებული ლეგენდების საწინააღმდეგოდ ქართულ ბატალიონებს და მასში შემავალ დანაყოფებს არ ჰქონიათ და ვერც ექნებოდათ მოქმედების თავისუფალი არეალი. ისინი ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა დივიზიებში და მოქმედებანიც განსაზღვრული იყო გერმანელთა საჯარისო დანაყოფებისა და მათი შტაბების გეგმების შესაბამისად. მოქმედება კონტროლდებოდა უმკაცრესად, ამიტომ საუბრები იმაზე, ტყვეთა ბანაკებიდან გადაბირებული ქართველი ჯარისკაცების გადარჩენა ამ გზით უფრო იოლი იყო, არაა რეალური. ტყვეთა ბანაკებში არსებული სიტუაციები იყო კატასტროფული, მაგრამ საბრძოლო მოქმედებაში ჩართული ჯარისკაცი, რომელ მხარესაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი, დგას სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე და ამ რისკის ზონას გადის ყოველწამიერად. არანაკლები რისკია მოწინააღმდეგის მხარეზე გადასვლა და მათთან იარაღასხმული თანამშრომლობა. ამ შემთხვევაში საქმე განიხილება ფიცის დარღვევად. ტყვედ ჩავარდნამ, თუ იგი წინასწარგამიზნული მოტივით არ ხდება შეიძლება რამდენადმე შეარბილოს სიტუაცია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მოქმედებაში შედის სხვა ლოგიკა, ესაა გაქცევა, როდესაც საამისო საშუალება მოინახება და არა შეგუება, ესეც ჯარისკაცის მოვალეობის რანგშია აყვანილი, ამის არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც არამართო საბჭოთა კავშირის, არამედ ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზეც ტყვეთა ბანაკებში მოთავსებული ქართველები სიცოცხლის ფასად გაქცეულან კიდევაც და შეერთებიან როგორც მოქმედ ნაწილებს, ასევე საბჭოთა, პოლონელ, იტალიელ, ბერძენ, იუგოსლაველ, ფრაგ და ა. შ. პარტიზნებს და სახელოვანი ბრძოლებიც გადაუხდიათ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში იოლი შესაძლებელია მოლაღატის სტატუსის მორგება და პირობებიდან გამომდინარე სამართლებრივი დევნის განხორციელება. მეორე – ზემოთ მითითებული გზა ურთულესია მაგრამ მიუხედავად იმისა, ან საუბარი იმაზე რომ სიცოცხლის წყურვილი დიდია და ყველას თავგანწირვას ვერ მოსთხოვ, ვერც ბრძოლი-



დან გაქცევას და ვერც მონინალმდეგესთან თანამშროლობას ვერ ამსუბუქებს. ნებისმიერმა ჯარისკაცმა იცის (ან უნდა იცოდეს), რომ ჯარისკაცი არ წამოადგენს რიგით ადამიანს, მისი ფენომენი და სტატუსიც უფრო მაღლა დგას ვიდრე რიგითი მოკვდავისა და ამ ფორმით განიხილება მისი მოქმედებაც, როგორც სამშობლოს დამცველის, როგორც მეზრძოლის. ეს ასე იყო და არის ნებისმიერ მონესრიგებულ ქვეყნებში, ეს ჯდება საბრძოლო მოქმედების როგორც დანერვილ, ასევე დაუნერველ კანონებში. მესამე – ტყვეთა გადაბირებაზე, თავისიანთა საწინააღმდეგო მოქმედებაში ჩარევაზე მუშაობა მონინალმდეგე მხარეთა შორის მიმდინარეობს ომების ისტორიის მთელს მანძილზე. თუმცა საომარ მოქმედებებს აქვს თავისი კანონები, რომელიც მიუხედავად იმისა არაიშვიათად ირღვევა, მაინც აყენებს ამ კანონების დამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხს. არცერთ მეომარ მხარეს არა აქვს უფლება ტყვედ აყვანილი ჯარისკაცი შეაიარაღოს და ამ სახით გამოიყენოს (დააპირისპიროს) საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ან მისი საქმიანობა გამოიყენოს საწარმოში, სადაც საბრძოლო იარაღი იქმნება. ეს საკითხი მეორე მსოფლიო ომის დროს „ნესრიგდებოდა“ ჰააგის, ჟენევის, ვენის კონვენციების და რიგ სხვა აქტების საფუძველზე, რომლის დარღვევაც გერმანიის სამხედრო და პოლიტიკურ ელიტას ბრალად წაუყენეს ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალზე და განაჩენიც უმკაცრესი სახით სისრულეში იქნა მოყვანილი, მოცემულ სიტუაციაში ნებისმიერი თავის მართლება რომ ამ ადამიანთა ქცევის მოტივაცია გამსჭვალული იყო სხვა იდეალებით, მხედველობაში ნაკლებად მიიღება. ისჯებიან გადამბირებლებიც და გადაბირებულებიც, ისინიც ვინც ამ ადამიანებისგან საბრძოლო ფორმირებებს აყალიბებენ.<sup>1</sup>

და კიდევ ერთი საკითხიც: მოსკოვსა და სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ გერმანელები ე.წ. ნაციონალური ბატალიონების შექმნას მიუდგნენ უფრო ფრთხილად, მითუმეტეს იმ დროიდან როდესაც ჩრდილოკავკასიაში თითქმის პრაქტიკულად მომზადდა მეორე, სტალინგრადის მსგავსი ე.წ. „ტომარა“ გერმანელი სამხედრო დაჯგუფებების წინააღმდეგ და იგი განხორციელდებოდა კიდევაც, რომ არა საგანგებო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც დაიწყო ამ ტერიტორიებიდან გერმანელთა ფორსირებული გაყვანა, უკანდახევა. ამ საკითხზე აშკარად საუბრობენ გერმანელი სამხედრო მოღვაწენი, გენერლები: ჰანს ფრისნერი, მანშტეინი, ბლიუმენტრიტი და ა.შ. რომლებიც მიიჩნევენ რომ შესაძლებელი იყო აქ გერმანულ არმიებს მიეღოთ სტალინგრადის მსგავსი გაკვეთილები. ამის გამოც ქართული ნაციონალური ბატალიონებიც გააშორეს აღნიშნული საომარი მოქმედების თეატრს და მათი დისლოკაციაც განხორციელდა ევროპული ტერიტორიების სიღრმეში. აქ ამოქმედდა ნდობის ფაქტორიც, საუბარია შემდეგზე: „პიმლერმა ერთ-ერთი შეხვედრისას ჰიტლერთან დაბეჯითებით განაცხადა, რომ გერმანელთა მხარეზე გადმოსული რუსი გენერალი ვლასოვი შეუდგა ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცებისაგან „რუსეთის განმანთავისუფლებელი არმიის (როა) შექმნას. ჰიტლერის პასუხი: – არ ენდოთ, მათ გაყიდეს თავისიანები, გაგყიდნიან ჩვენც.“<sup>2</sup> ეს წინასწარმეტყველება გამართლდა, როდესაც ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე ე.წ. ვლასოვის დივიზიები უბრძოლველად, მასიურად დანებდნენ საბჭოთა სამხედრო ნაწილებს, ხოლო ვლასოვი რამდენიმე თანმხლები მაღალჩინოსნის ამარად დარჩენილი დატყვევებული იქნა.

ომის დამთავრებას შ. მაღლაკელიძე გერმანიაში შეხვდა, როგორც თვითონ აღნიშნავს მისი მდგომარეობა საკმაოდ გართულდა, როდესაც მოკავშირეთა საექსპედიციო სამხედრო წარმომადგენლობამ (ამერიკელმა გენერალმა) ის პატიმრობაში აიყვანა. ამ შემთხვევაში იგი გადაარჩინა შვილმა, გაიოზმა და შეძლო გენერლის იტალიაში გადაყვანა. ოსაბატოს მეშვეობით, იგი შედის მასონურ ლოჟაში, აქედანვე იწყება მისი დაახლოება იტალიაში მყოფ აიუბ-ხანთან (შემდეგში პაკისტანის პრეზიდენტი.) აქედან იგი ხვდება პაკისტანში, საიდანაც 1950 წელს მდგომარეობა

<sup>1</sup> გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალზე გაასამართლეს სამი ბრალდებით: 1. დანაშაული მსოფლიოს წინაშე, 2. დანაშაული კაცობრიობის წინაშე, 3. ომის საერთაშორისოდ აღიარებული წესების დარღვევა.

<sup>2</sup> სამხედრო ისტორიული ჟურნალი „დოკუმენტი ი მატერიალი“ – 1966 წელი



მარეობის გართულების გამო ისევ აიუბ-ხანის დახმარებით ბრუნდება დასავლეთ გერმანიაში, ბონში და ხვდება გერმანიის კანცლერს კონრად ადენაუერს, რომლისგანაც იღებს დავალებას „აღმოსავლეთ გერმანიაში საბჭოთა ჯარების განლაგებისა და რიგ სხვა საკითხებზე ინფორმაციების შეგროვების შესახებ. 1954 წლის ივლისში დასავლეთ ბერლინის ერთ-ერთი სასტუმროდან მოხდა მისი გატაცება, ჩაჰყავთ აღმოსავლეთ ბერლინში – საბჭოთა ზონაში, სადაც მას მიუყვანეს ცოლ-შვილიც და გადააფრინეს მოსკოვში. ამის შემდეგ ჩამოჰყავთ თბილსში, აქედან იგი როგორც მაღალპროფესიონალი იურისტი ეწევა საადვოკატო საქმიანობას.

გარდაიცვალა 1976 წელს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. შალვა მაღლაკელიძე. „მოგონებები“ – მომზადებული, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით გამოქვეყნებული ვიქტორ რცხილაძის მიერ 2012 წელს.
2. გელა სულაძე – „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები“. გამოცემული 2012 წელს.
3. კ. გვარჯალაძე – საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში.
4. გურამ მამულია – ქართული ლეგიონი მეორე მსოფლიო ომის წლებში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. თბილისი 2003 წელი.
5. დიდი სამამულო ომი – 1941-45 წლები. ენციკლოპედია რუსულ ენაზე.
6. სამხედრო ისტორიული ჟურნალი რუსულ ენაზე. №5 - №6 1966 წელი.

## როზა დევდარიანი

ფილოლოგიის დოქტორი

## თვის სიმცირეში უზარმაზარი პოეტი

გ. ნაფეტვარიძის შემოქმედება მილიტარიზმის წინააღმდეგ მიმართული საბრალდებო დოკუმენტია, რომელშიც პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობის სანუკვარი სურვილებია გაცხადებული. უდიდესი ადამიანური ტკივილების შემცველ ჩანაწერებში მსოფლიო მოქალაქის ტრაგედიაა ჩაქსოვილი, უაზრო მსხვეპლის მარადიული ჭრილობაა გადახსნილი, ამიტომაც მათი მნიშვნელობა აქტუალური იქნება მანამ, ვიდრე ომისა და მშვიდობის პრობლემა იარსებებს დედამიწაზე.

„მე უზარმაზარი ვარო ჩემს სიმცირეში“ – წერს ერთგან მწერალი – ჯარისკაცი და ამ სიტყვებით პიროვნულისა და კაცობრიულის მარადიულ მთლიანობას აცნობიერებს. მისი დღიურების პერსონაჟადაც ათასობით დაასუფულათასობით გიორგი შეიძლება გავიზიაროთ.

„მივდიოდი მარტო, ვბორძიკობდი კოლბოხებზე, ვწევდი პაპიროსს და მივდიოდი გაბრუებულნი. არ ვფიქრობდი არაფერზე. მივდიოდი, მივუყვებოდი ჩემი სოფლის მდუმარე შარას. არსად არ ენთო სანთლები, არ ყფდნენ ძაღლები, არ ყიოდა მამალი, მესმოდა ჩემი ფეხის ხმა შუალამის დუმილში და ეს მოგონება დარჩა, როგორც განუმეორებელი და აუხდენელი სიზმარი ქარიან ღამის,“ – ეს მისი დღიურის ერთი ფრაგმენტია, წარსულის ერთი ტკივილიანი ფურცელი, რომლითაც „განუმეორებელი და აუხდენელი სიზმრების“ ვრცელი მატყანეაგადაშლილი.

მოკლე, მოსხლეტილი ფრაზები ზუსტად შეესატყვისებიან სიკვდილის გზაზე მიმავალი კაცის განწყობას, ზმნების სწრაფი მონაცვლეობის მიუხედავად, დინამიკა შენელებულია და იგი ძარღვებში სისხლის გაყინვის, გულისცემის შენელების ასოციაციას ბადებს, შუალამის დუმილში ამოვარდნილი დიდი ქარიშხლის გუგუნად აღიქმება.

ორიოდე სტრიქონის მომცველი შტრიხებით ახერხებს ავტორი ადამიანთა ცხოვრებაში შეჭრილი დემონის „ავთა საქმეთა“ გამომზეურებას. გრანდიოზული ბოროტება ხშირად უბრალო, ჩვეულებრივი ყოფითი მოვლენების გაუკუღმართებით ხდება ხელშესახები. „მაგონდებოდა ვლადიმერ უბილავა, რომელიც ჯავრობდა: რა ცუდ დროს დაიწყო ომი, ჩემი წიგნი უნდა გამოეცათ, ოთხი ათასი მანეთი მერგებოდა, იქნება, ერთი კოსტუმი შემეკერა, ახლა ვის ცალია წიგნისთვისო,“ – ამ მცირე მოგონებით ადამიანური ტრაგედიის ერთი ყველაზე მსუბუქი მომენტია წარმოჩენილი, მაგრამ იმდენი ტკივილით, იმდენი თანალმობით არის იგი აღსავსე, რომ ამ „მცირე უბედურების“ მიღმა ჩასაფრებულ თვალშეუდგამ ბოროტებას თვალნათლივ დაგვანახებს.

გ. ნაფეტვარიძის ჩანაწერის მიხედვით ომი როდი აღიქმება აბსტრაქციად, რომელიც წარმოსახვაში არსებობს მხოლოდ. იგი ხორცშესხმული, მატერიალური არსია, რომელიც სპობს და ანადგურებს ყოველივეს, რასაც კი თავისი ბოროტი თვალთ შეხედავს ან ბილწი ხელით შეეხება. იგი დაუპატიჟებლად დაეთრევა ქოხებსა თუ სასახლეებში და სიკვდილს, ცრემლსა და განადგურებას ტოვებს ნაკვალებზე. იგი ამსხვრევს ბედნიერების კოშკებს, ბილწავს სინმინდის ტაძრებს, წამლავს ანკარა წყაროს სათავეს... ეს შემზარავი ურჩხული ულმობლად არის აღმართული ადამიანთა შორის და ერთმანეთთან მიახლოებას უკრძალავს. იგი უხეშად წყვეტს მათი გულების შემაკავშირებელ სიმებს, ბინძური ფეხებით თელავს მათს შემაერთებელ გზანვრილზე ამოსულ ყვავილებს და მკლავებდაკარნახებული დაეხეტება ახალი და ახალი მსხვერპლის მისაგნებად. „ნათელიკო! იცი, ეს „იკო“ რისთვის დავამატე? არც შენ იცი და არც მე. ახლა ვარ დაღლილი მგზავრი, შორი გზიდან მოვედი, მეძინება, ფეხები არ მემორჩილება სიარულისათვის. ეს ესაა უნდა დავეცე შუა გზაზე და დავისვენო. სულ ცოტა დარჩა გასავლელი, სულ ცოტა, მაგრამ აღარ შემიძლია. ამ დროს მაგონდები შენ, გხედავ, როგორ დაღვარე ღიმილი, მოდიხარ ჩემს წინ და მიხმობ, წამოდიო. მე გეძახი – ნათელიკო! და მოვდივარ ბარბაცით, მოვდივარ იმედით, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვი... ნათელიკო! – გეძახი მე, მგონია ვყვირი, ნამდვილად კი თურმე ძალიან ხმადაბლა ვჩურჩულებ...“ ამ ამონაწერის მიხედვით ომი მართლა მატერიალურ არსად წარმოგვიდგება, იგი ხილვადია და შეხებადი, მკლავზე სიკვდილის ემბლემა ახატია და უმაღლესი ნეტარების ნიშნად ხმამაღლა ქირქილებს („ტოლსტოის აჩრდილი“).

ომის მსახვრალი ხელი ყველგან დაფათურობს. იგი ჩონჩხებით დაფარულ წარსულს უდგას კვალში და მომავალსაც ადამიანის ძვლებზე უქადის აღმართვას. „ხნულში თავის ქალა, ხნულში ჭურვი, ყუმბარის ნამსხვრევი, ხნულში ძვლები და ტანკის ნაწილები. სალამოს ხნულში თეთრად ყრია თვალჩამქრალი უცნობი თავები, როგორც თეთრი გოგონები, როგორც კომბოსტო...“

მშრალი ტონი, რომელსაც წარმოსახული სურათის შესაქმნელად ირჩევს ავტორი, ზემო-წევნით ზუსტად გამოხატავს სულიერ ყოფას ზღვარგადასული ტკივილისაგან გამოფიტული ადამიანისას, რომელიც ისე გაქვავებულა მოზღვავებული საშინელებით, რომ არც კი ძრწუნდება თავის ქალების თეთრ გოგონებთან შედარების გამო...

დღიურებში აშკარად გამოიკვეთება მოჩვენებითი უშფოთველობა, საშინელებასთან „შეჩვევა-შეგუების“ მცდელობა: „მოდით ორიოდ სიტყვას ლექსად მოვიწერ, თუმცა უხერხული კია, როცა მკვდრის შუბლზე დამჯდარ პეპელას ამჩნევ, როგორ არხევს ჭრელ ფრთებს და სისხლს არ ხედავ, სისხლს, გატეხილი თავის ქალიდან რომ გადმოსდის და ნამავს ბალახს, ყვავილის ფესვებს“, – წერს იგი მეუღლეს.

გარეგნული უდრტივინელობა, სიკვდილთან „გაშინაურება“ მწერლისათვის არის ერთ-გვარი ხერხი ომისჭეშმარიტი არსის შესაცნობად, მისთვის ნიშანდობლივი ალოგიკურობის წარმოსაჩენად. აი, როგორ აღწერს იგი ერთ-ერთი თანამებრძოლის სიკვდილით აღძრულ განცდებს: „მე ჰამლეტივით ვიღებ ხელში ზემდეგ ხლებნიკოვის ჯერ კიდევ თბილ, ბალნიან თავს და ვფიქრობ: აი, აღარ არის კაცი, იგი მოკლა ტექნიკამ, რომელსაც ვერ მოსთხოვ პასუხს. აღარ ისმის მისი ხმა, სადილის მაუწყებელი. დევს იატაკზე ჩუმად, უხმოდ, გაშავებული, შეიძლება, აშინებდა ფრონტი ან ფიქრობდა ომის შემდეგ შინ დაბრუნებაზე, ვინ იცის, საუბარი დიდხანს შეიძლება ასეთსაგნებზე...“ ერთი შეხედვით, თავზარდამცემია ის სიმშვიდე, შემზარავია ის აუმღვრეველობა, რომელსაც ავტორი ამ სცენის აღწერისას ავლენს. ჩვეულებრივ ვითარებაში წარმოუდგენელია ასეთი უემოციო, მშრალი მსჯელობა ესოდენ უაზრო სიკვდილის შესახებ, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ყოველივე ეს მარტივად აიხსნება: მოჩვენებითი ინდიფერენტიზმით ავტორი იმ გახევებას ნათელყოფს, იმ გაოგნებას ააშკარავებს, რომელიც კაცობრიობას სიცოცხლის ტოტალური გაუფასურების გამო ეუფლება. საგანგებოდ შერჩეული აუმღვრეველი ტონით მწერალი არსებობის იმ წესის უაზრობას გამოკვეთს, რომლის ძალითაც უდროო, უმიზნო, ყოვლად გაუმართლებელი სიკვდილი ცხოვრების ნორმად კანონდება.

საოცრად მახვილი მწერლური ალლო კარნახობს გ. ნაფეტვარიძეს, აქ არ დასვას წერტილი და უდიდესი ძალით გადმოღვაროს იმ წარუშლელი ემოციის ნაკადი, რომელიც ადამიანს სიკვდილთან შეხვედრის გამო ეუფლება: „მე ყველაფერს ვივინყებ მის გარშემო, ვაქცევ მას ზურგს და ვიხედები წინ, მაგრამ აი, უცნაურობა: წინაც ხლებნიკოვის ლანდი წამომეჭიმა! ვხედავ, კაპიტანს როგორ აძლევს პატაკს და, მიუხედავად იმისა, რომ სულითა და გულით უნდა, აუღელვებელი იყოს, ხმა და ზეანვდილი ხელის ცერი მაინც უკანკალებს“.

ამ ლაკონიურ ნათქვამში ადამიანურ განცდათა ვრცელი სამყაროა განფენილი. ეს ის სამყაროა, რომელსაც ასე აუხეშებს, ასე ანადგურებს სიკვდილის ცელი, ამავე დროს ის სამყაროა, რომელმაც კაცობრიობა უნდა გადაარჩინოს... გიორგი ნაფეტვარიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი სიკვდილის პირისპირ დგომის ვითარებაშიც ინარჩუნებს ფაქიზ სამყაროს და ერთადერთი დაუფინყარი ფრაზითკაცობრიობის გადასარჩენ განცდებს მკითხველსაც გადასცემს.

ომის საშინელების წარმოჩენას გ. ნაფეტვარიძე არასდროს ცდილობს პათეტიკური სტილით, დეკლარაციული ტონით. მკრთალი, ჩუმი ფერებით ამზეურებს იგი ამ აუნონელი ბოროტების არსს, რომელსაც მსოფლიო ომი ჰქვია. მინორული ჰანგი მყარად აღიბეჭდება მკითხველის არსებაში და ღრმად დააფიქრებსმას იმ უაზრობაზე, რომელიც სინარულისა და ბედნიერების ნილცრემლსა და ვარამს არგუნებსღვთისშვილთ. „ვგაონი გაჭედილია ადამიანებით, როგორც ბელელი – სიმინდით. დაბალ, ძალიან დაბალ ხმაზე მღეროიან, ისე რომ სიტყვები კი არა, მხოლოდ ჰანგი ისმის. ლექსის შინაარსი ასეთია: მივდივართ ჩვენ, წინ გზაა შორი და უცნობი, დაიკარგა ცოლი, ბავშვი წაიყვანა სხვამ, ღამე იყო და მისი ეგონა, მივდივართ ჩვენ, დევნილები, შურისძიებით ავსებულნი, რჩება გადამწვარი პურის ველები, გვდევნის მტერი დაუნდობელი და მივდივართ შორს, ღამეში ...“

გ. ნაფეტვარიძის ფრონტული დღიურები აღსავსეა ბოროტების დათრგუნვისა და სიკეთის გამარჯვების ურყევი რწმენით, ბედნიერი მომავლის ჯანსაღი მოლოდინით. „არავითარ ომს არ

შუძლია ცხოვრების მოსპობა. ადამიანები გაიმარჯვებენ სიკვდილზე, დიდი იქნება მსხვერპლი, დიდი იქნება ტანჯვა, მეფისტოფელი მაინც ვერ გაიხარებს, მე ასე მჯერა,” – აცხადებს მწერალი ჯარისკაცი. მას ნუთითაც არ ეპარება ეჭვი, რომ ბნელისა და ნათლის ჭიდილში „ბნელი წარვალს და ნათელი იგი ჭეშმარიტი აწვე ჩანს“ (იოანე).

გიორგი ნაფეტვარიძის ფრონტული დღიურები (თუ კერძო ბარათები), ექსტრემალურ პირობებში იწერებოდა. „იცი, რა არის საჰაერო ბრძოლა დღისით და განსაკუთრებით ღამით? – ესაა გრანდიოზული სურათი, სანახაობა, რომლისთვისაც ძველი ბერძნები მთელ სიმდიდრეს არ დაიშურებდნენ.“

ბნელა, სადღაც შორს გუგუნებს მტრის თვითმფრინავი. პროექტორები ანათებენ ცას, დაფათურობენ ცაზე, როგორც უზარმაზარი თეთრი ნაძვის მორები და ეძებენ მას. მიაკვლევს ერთი და მყისვე გადაჯვარედინდება აქ ყველას შუქი. თვითმფრინავი ჩანს, როგორც სარკეში. ბატარეა იძლევა ნიშანს და ათასობით წითელი, ლურჯი მანათობელი ტყვიები მიისწრაფიან მისკენ, მიფრინავენ, ნათდება ცა...“

ერთი გრანდიოზული სურათი ელვის უსწრაფესად იცვლება მეორით: „მეზობელგორაკზე... ავარდა მწვანე ცეცხლის ბურთი... იგი წამოვიდა დაბლა, ლურჯად გაანათა თოვლი და ხეები. იგი მიწაზე ჯერ არც კი დაცემულა და იქიდან ბუგედ, ყრუდ, თითქოს გამოქვაბულში ისვრიანო, მოისმა ავტომატის ტა,ტა,ტა,ტა... და საპასუხოდ მტრის ძლიერი ცეცხლი გაიწია მარჯვნივ. ასეულის ნაღმსარტყოცნები ზუიან, წივიან, სკდებიან – ბახ, ბახ, ბახ!“

ღამით კი, ხანმოკლე შესვენების დროს, მწერლის კალამი ნაჩქარევად, ფაციფუცით აფიქსირებს ნახულ-გაგონილს: „ვერცერთი მხატვარი უკეთესს ვერაფერს დახატავს – დამხატოს ახლა მე, წელში მოხრილი, მუხლზე ქალაღდით რომ ვწერ ცეცხლის ალზე, ხოლო ცეცხლი ანთია მიწაში, ქვევით... სინათლე არ კმარა, ვუბერავ ცეცხლს, ჩავენერ, ვუბერავ, ისევ ჩავენერ...“

ორ-სამ გვერდიანი ჩანაწერის გაკეთებას ზოგჯერ რვა დღეს უნდება, „რადგან... რადგან... ხშირად აქრობს ყუმბარა სანთელს, ხოლო უფრო ხშირად იყინება მელანი...“

ყოველივე ამის მიუხედავად, კეთდება ჩანაწერი, იხაზება კონტურები და ბათილდება ოდინდელი სიბრძნე: „როცა ქვემეხები გუგუნებენ, მაშინ მუზა დუმს“. „მე ვწერ ამ წერილს ორიგინალურ პირობებში და ვრწმუნდები, აზროვნება შეიძლება ყოველ ვითარებაში“, – წერდა გ. ნაფეტვარიძე და პირნათლად იხდიდა ვალს როგორც პოეტისას, ისე ჯარისკაცისას. მისი ჩანაწერების თითოეული გვერდი მხატვრულ პროზას უთანაბრდება, მყუდროებაში შექმნილ „მართალ მოთხრობებს“ კი გადასწონის კიდეც, რადგან ყოველივე, რაც იწერება, თვალთ არის ხილული და გულით განცდილი.

გ. ნაფეტვარიძის მწერლური ალლო ფრონტული ჩანაწერების ყოველ სტრიქონში გამოკრთის. კალმის ერთი მოსმით გამოკვეთს იგი მომავალი ნაწარმოებების პერსონაჟთა განუმეორებელ სახეებს. ხასიათის მძაფრად გამოვლენილი ნიუანსებით, ინდივიდუალური ბუნებით, ქცევისა და მეტყველების განსაკუთრებული მანერით, ისინი სამუდამოდ აღიბეჭდებიან მკითხველის ცნობიერებაში.

ფრონტის უსასრულო სარბიელზე შეხვედრილ მეზობლთა გალერეა ვრცელია და მრავალფეროვანი. თითოეულ მათგანს ავტორი ყველაზე არსებითი ნიშნის მიხედვით ახასიათებს და ქმნის პიროვნების დასრულებულ პორტრეტს, საოცრად შთამბეჭდავსა და კოლორიტულს: „სიკო გამზოლიშვილი – მოქნილი და მოხრილი ცხვირი, რომაულ-ქართული შეჭრილი ნესტოები, დაძაბული ფიგურა, გეგონება გადასახტომადაა მზადო...“ „სადგურის დედოფალი, წითელჩექმებიანი, თეთრლაზლიანი ქალი... მზიარული, ცოცხალი, ცქრიალა. სამუალოდ მსუქანი, თვალები მიხმობენ თბილი და მყუდრო ცხოვრებისაკენ, უდარდელი განწყობილება სუფევს პაჭუა ცხვირის ნესტოებთან...“ „დივიზიის შტაბის მორიგე მშიშარა უნდა იყოს... ჰგავს იხვს, გაპტყვნილ, მსუქან იხვს...“ „გრიგოლ სერგის ძე – მასში ცოცხლობს პატარა ჩარჩი, რომელიც მუშტარს მანამ სცემს პატივს, სანამ სარგებლობს მისგან...“ „ლილიას... შარვლისებური კაბა და კაბისებური შარვალი აცვია, შუაგაკერილი, ნახევრად ქალური, ნახევრად კაცური, ახალი სტილია უთუოდ...“

თვალშისაცემია ის მახვილი ხედვა, რომელიც ადამიანთა ჯგუფისათვის ყველაზე ნიშანდობლივ, ყველაზე დამახასიათებელ თვისებებს ამჩნევს. უზუსტესი შტრიხებით აქანდაკებს პროზაიკოსი სხვადასხვა სახეობის ჯარის ნაწილების განსხვავებას არამარტო ჩაცმულობის,



არამედ ჩვევების თვალსაზრისითაც. „არტილერისტები ჯიკვა, მოუქნელი ხალხია, ფეხოსნები – ჩვეულებრივ, შერჩეული, „სვიაზისტები“ – მოქნილები და სწრაფები, ცხენოსნები – მალღები, ქუჩაში თავისებურად აბიჯებენ, თითქოს ტალახის პატარა ორმოებს გადადიანო, „მატროსები“ ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც წყლის წვეთები. ისინი ყველასგან განსხვავდებიან და აქაც ფორმა არ თამაშობს მთავარ როლს. მთავარია მოძრაობა, ნაბიჯი – მოკლე, სწრაფი, მანერა – ქალაქური, რყევით დადიან მარტინივით, უფრო კი თავისუფლად, მსუბუქად, ხოლო ავიატორები დევკაცებია სახითაც, ტანითაც, ჩაცმითაც...“

ისინი ბევრნი არიან – სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულები, გულნათელნი და ხალასნი, ფიქრიანები და ხალისიანები, ტრაგიკულნი და მაინც იმედიანები, სასონარკვეთილნი და მაინც იუმორით სავსენი...

ახალგაზრდა მწერლის სურვილს, თავისი მოთხრობების პერსონაჟებად ექცია ეს ტიპები, განხორციელება არ ენერა. არადა, ყველას შესახებ შეეძლო გაემეორებინა ერთ-ერთი მათგანის მისამართით წარმოთქმული სიტყვები: „თუ გადავრჩი, ჩემი ნაწარმოების შესანიშნავი გამირი გახდებაო“.

მხოლოდ ერთი თანამებრძოლის ტრაგიკული თავგადასავლის აღბეჭდვა შეეძლო, სხვათათვის არ მოაცალა „ბედმა-მდევარმა“.

„მზარეულის“ პერსონაჟი ერთი რიგითი ჯარისკაცია, „ცოტა, სულ ცოტა“ რუსულის მცოდნე თათარი. მის შესახებ დღიურში ასეთი ჩანაწერია გაკეთებული: „წუხელ სამზარეულოში თათარს ეღვიძა მარტო, ლუმელის კართან ფეხის ქუსლებზე ჩაცუცქულს და უბერავდა.

– იოლდაში, გამათბე, – ვეუბნები, თან თითებს ვიორთქლავ. თათარი იღიმება, ვერ მიხვდა რა მინდა, ხელით ვანიშნე.

– იახში, იახში! – მიიწია, ადგილი დამითმო.

– ჟენა ესტ? – ვერ მიხვდა.

– იოლდაში ესტ?

– ესტ, ესტ – ამბობს წყნარად. შვილები ჰყავს. ახლა მე მომიბრუნდა:

– რუსი?

– არა, რუსი არა ვარ, გურჯი – ვეუბნები მე.

– გიურჯი! – იმეორებს ის და იღიმება. ფეხთ ვიხდი, ვითბობ. მარჯვენაზე ჩავიცვი, მარცხენაზე ველარ მოითმინა და თვითონ დამიხვია „პორტიანკი“, მასწავლა, მე თითქოს სამაგიერო გადავუხადე, პაპიროსი მივეცი, ნათელას სურათი ვუჩვენე.

– ვოტ მოია იოლდაში! – ვუთხარი, სურათს დააკვირდა, თავი გადააქნია და მომცა...

„მზარეულში“ ეს ჩანაწერი ლამის სიტყვასიტყვით მეორდება, მხოლოდ ფინალია სევდიანი, გულის მომკვლელი. „მოულოდნელად მზარეული გაიმართა, გაიმართა და მერე უცებ მთელი სიმძიმით დამეცა ზემოდან. ნავიქეცი, ისიც ნაიქცა ჩემს გვერდით. რის ვაივაგლახით წამოვდექი, მზარეული არ ინძრევა, პირიდან სისხლი გადმოსდის, ხელი ლუმელის ღია კარზე უდევს. ფეხზე ჩავიცვი, გავიფერთხე და როცა უკან გამოვდიოდი, თვალი მოვკარი, ლუმელის კარზე სანთელივით ენთო მზარეულის ხელი. მას პატრუქივით ეკიდებოდა ცეცხლი. მივედი, მოვაცლიე ხელი ცეცხლს... დავიხარე და სანგრისაკენ გავიქეცი.“

ციტირებული მონაკვეთი მშრალი, უემოციო თხრობით იპყრობს ყურადღებას. ეს დღიურებში აღბეჭდილი სტილია – ხოცვა-ჟლეტა – განუკითხაობის უაზრობის მანიშნებელია, ადამიანში ადამიანურ განცდათა ჩამკვლელი ომის უგუნურობის მაჩვენებელი. არა შორისდებულებით, არა მრავალწერტილებით, არა რიტორული შეძახილებით, გინდაც ლირიკული გადახვევებით, არამედ მოსხლეტილი ფრაზებით, მრავლის მთქმელი ქვეტექსტებით, მეტყველი უსიტყვობით მიჰყავს მწერალს მკითხველი ომის საშინელების აღიარებამდე. ომმა გაუყინა სისხლი ჯარისკაცს, ომმა გაუშრო ცრემლი, ომმა გააქცია სანგრისაკენ... სამგვერდიან ნაწარმოებში ჩატეული ტკივილი უძიროა და უკიდევანო, შერჩეული ტონი ზუსტად შეესატყვისება გამაოგნებელ სიტუაციას და ავტორისეული ჩანაფიქრიც ძალდაუტანებლად დგება იდეის სამსახურში.

მშრალ ტონს ოდნავ შესამჩნევი სარკაზმი ერწყმის. „მედალიონში“ დაგუბებული რისხვა, სასაკლავო მომწყობთა წინააღმდეგ მიმართული, ისევ და ისევ ჭარბსიტყვაობის გარეშე, მკაცრად განსაზღვრული ენობრივი მასალით არის გამოვლენილი, მაგრამ იმდენად მიგნებული კონტრასტის მოშველიებით, რომ დედააზრი ლამის თვალთ ხილული გახდეს. „ყველაზე

ბლომად მტრის ჯარისკაცების გვამები ეყარა, მერე იარაღი და მუზარადები ემხო სოკოებივით ქალაში, დასიებული ცხენები და მოლრეცილი ტანკები,“ – წერს პროზაიკოსი და მოკვეთილად დაასკვნის: „ერთი სიტყვით, ნაბრძოლ მოედანზე შეიძლება და ყველაფრის პოვნა, დაწყებული გაჭყლეტილი ჰილზიდან, გათავებული გაჭყლეტილი თავით, რომელიც, შეიძლება, ფრონტზე მძიმე არტილერიის კანონადის ქვეშ შექსპირზე ან გოეთეზე ფიქრობდა“. მოცემულ კონტექსტში შექსპირისა და გოეთეს – ამ ორი დიდი ჰუმანისტის – მოხსენიებით ავტორი მრისხანე პროტესტს აცხადებს მიზანთროპიის გესლით მონამღული საუკუნისა და ამ შხამის მთესველთა წინააღმდეგ.

ფიქრი შექსპირზე, ფიქრი გოეთეზე ბოროტების არსის შეცნობას გულისხმობს, რადგან ისინი შთაგვაგონებენ, რომ „ბოროტი საქმე, დღის სინათლეს ვერსად წაუვა, თუნდ დასაცავად დედამინა გადაეფაროს“ (შექსპირი). გენიოსებზე ფიქრი იმის გაცნობიერებასაც გულისხმობს, რომ „თავისუფლების და სიცოცხლის ღირსი ის არის, ვინაც ყოველდღე, განუწყვეტლივ ამისთვის იბრძვის“ (გოეთე). ამ კაცობრიულ სიბრძნეზე გერმანელი ჯარიკაცის დაფიქრება რომ დაუშვა (ზემოთ ციტირებულ მონაკვეთში ავტორი მტრის ჯარისკაცთა გვამებს აღწერდა), მწერალმა ამით კაცობრიული გონის განათების სურვილი და შესაძლებლობა აღიარა და ეს ჩუმი სარკაზმიც სატანურის აღზევებით გაჩენილი ტკივილის ნიშნად გამოურია.

სიცოცხლის წყურვილი და სიყვარული გ. ნაფეტვარიძის არაერთ სტრიქონში გამოკრთის. ერთმანეთში აზელილ სხეულებზე ასეთი „მშვიდი“ ტონით მსჯელობას განურჩევლობის გამოხატულებად ვერ მივიჩნევთ, ინდიფერენტიზმს ვერ დავნამებთ მწერალს, რომელიც ესოდენ შეხაროდა ცისკარს („მშვენიერო სიცოცხლე, ხელს გართმევ მაგრად! ძვირფასო სიცოცხლე, შენთანა ვარ, გულით ჯანსაღი!“). ეს არის ტონი აურაცხელი სისასტიკის მხილველი კაცისა, რომელიც მომხდარის გაცნობიერებასაც კი ვერ ასწრებს, ნახულის აღქმის უნარს კარგავს და არარაობად ქცევის შიშის გაუცნობიერებელი ინსტიქტის ძალით სულმოუთქმენლად სცილდება სასაკლავოს. „ბევრი გულშემზარავი სურათი ხვდება თვალს, მაგრამ სიმრავლის გამო ყურადღებას ვერცერთზე ვერ ვაჩერებდი და საერთოდ, ძალიან ცოტა დრო რჩება ფიქრისთვის“, – პროზაიკოსის ამ სიტყვებში ზუსტად არის გახსნილი ტოტალურ უბედურებაზე „აუმიღვრეველად“ მსჯელობის ტკივილიანი საიდუმლო.

მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მიზნით ავტორი სხვადასხვა ხერხს იყენებს. ომის წინააღმდეგ მიმართული მანიფესტის ძალას ანიჭებს თავის ნაწარმოებებს, პროზაიკოსი სულის ამაფორიაქებელი შედარებების გამოყენებით. „ძველ რაინდულ ზღაპრებში ხშირად გვხვდება ასეთი ამბავი: მეფე თავისი სპით ნადირობს, ნანადირევს ერთგან მოუყრიან თავს და თვლიან, თან ნასროლს ამონებენ, ხან ხარლალს თუ ჯიხვს უქებენ რქებს, ხან აფთარს და ავაზას – ბრჭყალებსა და წვეტიან კბილებს.“ – წერს ავტორი და განაგრძობს: „ბრძოლის ველი, მოფენილი დახოცილთა გვამებით, ჰგავდა ნანადირევით სავსე მინდორს, სადაც ადამიანები ნადირობდნენ ადამიანებზე“. შედარება თითქოს არ გამოირჩევა ორიგინალურობით, მაგრამ იმდენად ზუსტად გამოხატავს ავტორის სათქმელს, რომ მკითხველი ბუნებრივად ივსება მძაფრი პროტესტის გრძნობით ქრისტეს მცნებათაგან უმთავრესის დამრღვევთა წინააღმდეგ.

მკითხველის გულისტკივილს აძლიერებს ავტორი კონტრასტის ხერხის გამოყენებით. შემზარავად აკუნულ სხეულებს შორის იგი გამოკვეთს ერთი ახალგაზრდის ცხედარს, რომელსაც ამ ცოდვის ტრიალში თავისი ბუნებრივი სახე, ერთგვარი არტისტიზმიც კი შეუნარჩუნებია. „ამდენ აზელილ სხეულებში ერთი ინვა მშვიდად, თითქოს განცალკავებული მათგან რომლებთანაც ერთად იბრძოდა. ზემო ტუჩი აბურცულია ჯიუტად, ხოლო მარცხენა ხელზე უწევს შაშხანა, როგორც გულის მეგობარი. ცალი თვალი ოდნავ მოჭუტულია, თითქოს გულაღმა წევს მოლზე, მზე უშლის ცქერას და ქორს მაინც ხედავს ცაზეო.“ მოთხრობა დაუსრულებელია და სიუჟეტის შემდგომი მსვლელობის შეცნობაც შეუძლებელია, მაგრამ მხატვრული სახეების ძიებისა და საკუთარი სტილის დამკვიდრების სურვილი მაინც გარკვეული ინტერესის შემცველია.

ომის დაწყებით გამონვეული პერიპეტეიების აღწერას ზოგჯერ ერთგვარი პრიმიტივიზმის ელფერი დაჰკრავს. შეგნებულად გაუბრალოებული მეტყველებით, მეტისმეტად გამარტივებული ფრაზებით, ყოველგვარი სამკაულისაგან განძარცვული წინადადებებით ავტორი ბუნებრივად ახერხებს რიგითი ადამიანების შინაგანი სამყაროს წარმოჩენას. იგი შეგნებულად ამბობს უარს მხატვრულ ორნამენტზე და სადა, მარტივი ფრაზების მეოხებით ხელშესახებად,

გამჭირვალედ ამზეურებს უბრალო მოქალაქის ტკივილებს. ნოველაში „ტოლსტოის აჩრდილი“ ვკითხულობთ: [ხალხმა] „დატოვა ვენახი, მალარო, გადაშლილი წიგნი და აილო თოფი. მოთხარა მიწურები, გაამაგრა. ქარხნებმა დაინყეს იარაღის დამზადება“. ნათქვამში არცერთი სიტყვით არ არის გამოვლენილი მწერლის სუბიექტური განწყობა. ტკივილი გადმოღვრილია ყრუ დრტივით, გულჩათხრობილი ტონით, „ბუხრისპირულად“, თითქოს გლეხი შესწიოდეს გლეხს, ჯარისკაცი — ჯარისკაცს. შეგნებულად არის გვერდავლილი მძაფრი ფერები, გულისგანმგმირავი ბგერები, ემოციური შედახილები მაგრამ სათქმელი მაინც ხვდება მიზანს და მკითხველი ძალდაუტანებლად იმუხტება იმავე განწყობით, რომლითაც ავტორი არის მოცული.

თავისი მოქალაქეობრივი მრწამსის გადმოსაცემად გ. ნაფეტვარიძეს „შავი სიკვდილი“ იასნაია პოლიანაში შეჰყავს. [ბარბაროსებმა] „შებილწეს დიდი მოხუცის წმინდა ბინა, გადმოიღეს სურათი ჩარჩოდან, ტალახიანი ფეხი დაადგეს შუბლზე. ძვლები შეირხა სამარეში“... ამ რამდენიმე ფრაზაში ხორცშესხმული ბოროტების მძაფრი სუნთქვაც ისმის, უკაცურობის წინააღმდეგ ამხედრებული მაჯისცემაც იგრძნობა და უეჭველი სიკვდილისათვის გამეტებული ახალგაზრდა კაცის საპროტესტო ძახილიც.

საკუთარ პოზიციას ავტორი მკვდრეთით აღმდგარი ტოლსტოის მონუმენტური ფიგურის წარმოსახვით ავლენს: [მოხუცი] „მალლა თავანუელი მიდიოდა ბალაკლავისკენ, ჯოხით ხელში. ქარი არხევდა მის ვეება წვერს, როგორც პურის ყანას. მოხუცს წინ შემოხვდა სანიტარული მანქანა, დაჭრილებით სავსე. იგი შედგა, სევდიანი თვალი გააყოლა დასისხლულ ჭაბუკს და ... კიდევ უფრო მოიღუშა.“ ტოლსტოის აჩრდილის სახით ჩვენ წინაშე დგას უდიდესი უბედურებით გულშეძრული, წელში მოდრეკილი, სახეგამტკნარებული მსოფლიო, რომელიც მაშინ კი არ თმობს პოზიციებს, როცა ნელა, „სვენებ-სვენებით“ უხდება წინსვლა. პროზაიკოსი სიმბოლურად მიგვანიშნებს, როგორ მეყსეულად შეუძლია, ერთი შეხედვით, დაუძლურებულ, დაჩაჩანაკებულ კაცობრიობას გამეხებულ, შემართებულ ორგანიზმად გარდასახვა. უბადრუკი მანიაკის ბოროტი ქირქილის მხილველი მოხუცი, რომელიც აქამდის ტკივილად იღვრებოდა, ერთბაშად „აკანკალდა, მრისხანედ დაჰკრა ყავარჯენი საფლავის ქვაზე და როგორც სარდლის ბრძანება, დაიძახა: „მოჰკალით იგი“!

ეპოქის მშფოთვარე მაჯისცემას ავტორი ბუნების დინამიკაში აქსოვს. თუ ნაწარმოების დასაწყისში ჩამოძონძილი ხეები ზანტად ირხევიან, „აბურძგნული ყვანჩალა მონყენილი ზის ძველ ნაბუდარზე და ფრთებს იჩიჩქნის“, „ქარი არხევს ტოტს და ყვანჩალა ქანაობს, როგორც სივრცეში დაკიდებული“, ფინალში ქარი ძლიერდება, ჩამოძონძილი ხეები რხევას უმატებენ, ყვანჩალა კი „აქანავდა, აქანავდა, თავი ველარ შეიმაგრა, აჰყვა ქარს, აფრინდა, გვერდით ჩაუარა გორების ფერდს და მერე ქვასავით დაეშვა მიწაზე“.

„აბურძგნილი“ ყვანჩალას უწონასწორობასა და მიწაზე დანარცხებაში ომის მომავალია სიმბოლიზებული, ავტორს სწამს სიკეთის უძლეველობა, სწამს სიცოცხლის დაუთრგუნებლობა და მკითხველსაც აღავსებს ამ რწმენით.

გ. ნაფეტვარიძის სტიქია არ არის გაჭიანურებული მსჯელობა, მის მცირეფორმატიან ნაწარმოებებში კომპოზიცია მტკიცედ არის შეკრული, მათში არ მოიპოვება არცერთი ზედმეტი შტრიხი, არცერთი ზედმეტი დეტალი, მით უფრო – ეპიზოდი. ყოველი სურათი მკაცრად არის გამიზნული, ყოველი სახე გარკვეული ფუნქციის მატარებელია. ომის შლეგური სუნთქვა არ იძლევა ჩართული ეპიზოდებისა თუ რთული წიაღსვლების გამოყენების შესაძლებლობას. ამბავი მარტივად, უზიგზავოდ ვითარდება და მის მიუხედავად, რომ დასასრულიც დასაწყისშივეა გაცხადებული, მკითხველი მაინც სულმოუთქმელად ეცნობა მას, რადგან მასში ომების ისტორიაში ყველაზე ტოტალური, ყველაზე გამანადგურებელი ომის მართალ ანარეკლს ხედავს.

რეალისტური სიმართლით, ფსიქოლოგიური სიღრმით, მხატვრული დამაჯერებლობით იპყრობს ყურადღებას ნოველა „მამაი“. საზარბაზნე ხორცად გამეტებულ ადამიანთა ტრაგედია მასში ოცდაერთი წლის ჭაბუკის – მამაის – ცხოვრების მაგალითზეა ილუსტრირებული. მშობლიურ მიწას მონყვეტილი ვაჟკაცის თავგადასავალში მილიონობით ახალგაზრდის მწარე ხვედრია განზოგადებული, ამიტომაც მისი ბედი თანაბრად შეაძრწუნებს ყოველი ეპოქის ადამიანს.

შემზარავია ფონი, რომელზეც ეს დასახიჩრებული, ტკივილის გორგლად ქცეული ახალგაზრდა მოქმედებს. თხრილში, რომელშიც ფეხმორთხმით ზის საპყარი მამაი, სხვებიც იმყოფებიან. ისინი „არ გრძნობენ რამეს, არც სიცივესა და შიშს. მათ დაასრულეს ეს სამარცხვინო განცდა,



დაიმორჩილეს ყოველივე ამქვეყნიური“. ერთ მათგანს, ქერათმიან, სახელაჟღაჟა უკრაინელს, ხელში გრანატა უჭირავს, მეორე ზურგით მიყრდნობია თხრილის კედელს. „ცალი თვალი მო-  
ეხუჭა, ხოლო ცალით დაჟინებით იცქირებოდა სამხრეთისაკენ... სხვები პირდაპირ თხრილის  
ძირში იწვნენ ან ნაპირებზე“ – გვიამბობს ავტორი.

ძუნწ, ემპირიულ აღწერაში ომის „უმართლო სამართალი“ აირეკლება, ყოვლისმომცველი  
დუმილის სიტყვაძუნწობა აისახება. გამეხებული ტონი გ. ნაფეტვარიძისათვის უკვე ხელწ-  
ერადაა ქცეული, ამ სტილში გლობალური უბედურების თვითმხილველის გახვევა გამოკრთის,  
სიკვდილ — სიცოცხლის ზღურბლზე მდგომი ჯარისკაცის აჩქარება იგრძნობა, სათქმელის  
ბოლომდე ვერმიყვანის გაუცნობიერებელი შიში მჟღავნდება. „თხრილში ბლომად ეყარა ცარი-  
ელი გილზეები, შავი ტუჩფართე ნაღმსარტყოცნი, სამფეხზე მდგომი დამტვრეული შაშხანები  
და რკინის ქუდები, შლემი. ქუდი ზოგი გახვრეტილი იყო, ზოგი – არა“, – წერს პროზაიკოსი  
და ყრუ ტკივილით ალავსებს მკითხველს ძალისა და სიმართლის ჭიდილის ესოდენ ალოგიკური  
დასასრულის გამო.

მწერალი ქმნის ერთმანეთზე შემზარავ სურათებს, შემადრწუნებელ პორტრეტებს. ცხოვე-  
ლური შიში, რომელსაც მამაი განიცდის, გადამდებია, დამთრგუნველი, ამაფორიაქებელი. ავ-  
ტორი პოულობს შთამბეჭდავ, მეტყველ ფერებს გამაოგნებელი, სულისშემძვრელი სინამდვი-  
ლის გადმოსაცემად: „მოულოდნელად დაინახა თხრილის ნაპირას მინოლილი კაცის ცალი ღია  
თვალი, შეკრთა... არაადამიანური ძალით აიტანა წელი, ხელებზე დაყრდნობილმა და უკან  
გადმოჩოჩდა. რალაცრბილს დააჯდა, თითქო ხროტინი მოისმა... ხელი მოაფათურა, სისველე  
იგრძნო – ვილაცას პირიდან სისხლი გადმოდიოდა, თვითონ კი ამ ვილაცის მუცელზე იჯდა“.

უდიდესი ფსიქოლოგიური ძალით აღწერს ავტორი სიკვდილის გარემოცვაში მოხვედრილი  
ჭაბუკის განცდებს ამ მომენტში. ხერხემალში გამოჟონილი ჟრჟოლა და კანკალი, რომელიც მა-  
მაის ეუფლება, ადამიანური ძრწოლის გამოხატულებაა, სასიკვდილო ხრიალთან პირველი შეხ-  
ვედრის განცდაა, უნებლიე ღმუილად რომ ამოსკდება მის ბაგეებს: „მხეცის ღმუილის მსგავსი  
ხმა ამოხდა პირიდან. ოთხზე დამდგარი, მარჯვენა ფეხის თრევით მიფოფხავდა აღმოსავლეთი-  
საკენ, მიფოფხავდა ნელა, შიშისა და სიკვდილის გრძნობით, გადადიოდა ადამიანების სხეულე-  
ბზე, ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების გროვაზე. ხელებით, თითებით პოტნიდა მიწას, მერე  
მარჯვენა ხელით მიათრევდა გადამტვრეულ თეძოს, ტკივილს არ გრძნობდა...“

დაუფიქრებელი უდიდესი შინაგანი ტკივილით დაღლილ-დაქანცული, მომაკვდინებელი ჭრი-  
ლობებით გასაავათებული მამაის პორტრეტი. „შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, სახე ტალახით  
და სისხლით ჰქონდა მოთხუპნული. თვალის უბეები დალილავებოდა, დასვრილი, ტანზე შემოხ-  
ეული ტანსაცმელი და რუხი პერანგი ერთმანეთში გადაგლესოდა“.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია სატრფოს მოგონებით გულდანყვეტილი ჭაბუკის სილუეტი:  
„მამაი ტიროდა, მრგვალი, მსხვილი ცრემლები მონანწკარებდა ღია თვალებიდან, ტალახიან  
სახეზე კვალს ტოვებდა, როგორც გაურეცხავ ფანჯრებზე – წვიმა.“

ბუნების ნაფეტვარიძისეული ხედვა ნოველაში განსაკუთრებულ სრულყოფილებას აღწევს.  
დასანყისში ასახული სურათი რალაც შემზარავისათვის ამზადებს მკითხველს. შემადრწუნებელ  
განცდებს აღძრავს ტყვიისფერი, ქუფრი, დაბლა დაწეული ცა, მაგრამ არც გათენება ბადებს  
უკეთეს განწყობას, რადგან წელი ბორიოს ქროლვით აჩქროლებული პურის თავთავები, რომ-  
ლებიც „სალამს აძლევდნენ ერთურთს, მამაის, მზეს,“ დუმილის გაუვალ წყვდიადს აწყდებიან.

ნიშანდობლივია, რომ სიკვდილი ნანარმოებში განთიადს შემოჰყვება. კლასიკური მწერლო-  
ბისათვის დამახასიათებელი სიმბოლური სახის დეფორმირებით ავტორი ხელშესახებად ავლენს  
ნოველის იდეურ ჩანაფიქრს. ცისკრის თანამგზავრად ქცეული სიკვდილი უფრო ვერაგია და  
დაუნდობელი, ვიდრე ბინდში მოვლენილი. განთიადთან დამგზავრებით იგი მეტ სითამამეს  
ამჟღავნებს, მეტ თავხედობასა და კადნიერებას. ბნელი ისეც მისი საუფლოა, ნათელთან გად-  
ახლართვით მან დრო-ჟამი მთლიანად დაისაკუთრა, სამყაროს სრულად დაეპატრონა, სამზეო  
მოიცვა. არ არის შემთხვევითი, რომ ეს ყოვლის დამთრგუნველი სიკვდილი მამაის ჯერ ორბისა  
და აფთრის, შემდეგ კი მინდვრის ჭრელი გველის სახით მოველინება.

„მამაი“ ყურადღებას იპყრობს გადმოსაცემი აზრისა და სიტყვათა შერჩევის ზუსტი შესა-  
ტყვისაობით. ავტორი აღწერს უმძაფრეს ფსიქოლოგიურ სცენებს, სიცოცხლეზე უსაზღვროდ  
შეყვარებული ჯარისკაცის აუტანელ სულიერ ტკივილებს, სიკვდილის მოახლოების შეგრძნებით  
აღძრულ საშინელ განცდებს.



ყოველგვარი ჭარბსიტყვაობის გარეშე ახერხებს გ. ნაფეტვარიძე საბედისწერო დასასრულის მხატვრულ ასახვას, მკითხველის სულის სიმების შეთრთოლებას. ყური მივუგდოთ ლეშად ქცეული კაცის გულიდან გადმოღვრილ ბგერებს, როგორ ზუსტად, როგორ ხელშესახებად ავლენენ ისინი განწირულის არსებაში დატრიალებულ მეხთაგეხას, სიცოცხლის ნიშატის შენარჩუნების შლეგურ სურვილს, დემონთან ბრძოლის არნახულ ძალისხმევას.

თანამებრძოლთა საუკუნო გარინდებას მამაი ჩუმი გახევებით ხვდება. იგი „არ იხედებოდა ირგვლივ, არ ამჩნევდა არაფერს... იყო ღამე, სიჩუმე, სიცივე... და მამაის არ შეეძლო სიარული, არ შეეძლო ადგომა, ფიქრი კიაზიმ ხანუმზე. არ შეეძლო ფიქრი ჭალარა დედაზე, რომელიც საღამოს ჭიშკარს მოადგებოდა, ხელს მესრის ნვერზე შემოდებდა და სულმოუთქმელად იძახოდა: „მამაი! მამაი! მამაი! მამაი!...“

დედის ხმისა და კიაზიმ ხანუმის ფირუზისფერი თვალების მოგონებაზე მამაის სულში ჩაღვრილი სიტბო კვნესაშერეულ, ოხვრაჩახლართულ სიმღერად ამოსკდება: „ამოიხრა, ამოიკვნესა და სიმღერა კი გამოუვიდა. მღეროდა დიდი უდაბნოების სევდას – გრძელ, მთრთოლავ ჰანგებს, უძველეს ბაიათს, თან ყურში ჩაესმოდა, როგორ აქებდნენ დოსტები. „აიი, აიი...“ – მოთქვამდა: მთის ნვერზე პატარა კარავია, კარავში მეცხვარე გოგო ზის და მწყემსავს ცხვარსაო; იხვენებოდა: პატარა ქალაო, ხელი მომეცი, შენი ფასი ქვეყნად არავინ არისო...“

ახალგაზრდა მწერლის ფსიქოლოგიური ხედვა უზუსტეს ნიუანსებში სწვდება დიდი სიჩუმის პირისპირ დარჩენილი კაცის სულიერ პერიპეტიებს. არ ახსოვს, რამდენ ხანს მღეროდა. სიმღერა შიშის დასაწყისი იყო,“ – წერს გ. ნაფეტვარიძე და იქვე აფიქსირებს ამ ცხოველური შიშის ფიზიკური აღქმის ხელშესახებ სურათს: „სამარისებური სევდა და ცივი ყრყოლა ჩადგა თხრილში, კუნთებში“.

თვალღიად დარჩენილი თანამებრძოლის ხილვა ტკივილის შეგრძნებას უკარგავს, უსიტყვო ყრყოლას ჰგვრის, მერე კი „მხეცის ღმუილის მსგავს ხმას“ გამოაცემინებს მამაის. სიკვდილის აჩრდილი ჯერ ორბად გარდასახული ევლინება ჭაბუკს, შემდეგ აფთარში ჩასახლებული მიეახლება. „მამაი იდგა ოთხზე, როგორც ცხოველი, აფთარი კი უახლოვდებოდა და უახლოვდებოდა... მამაის დაყვირება ენადა... უცებ საზარელი ხმით დაზმუვლა, აფთარი შედგა, დააკვირდა ამ საოცარ ქმნილებას და უმალ გაუჩინარდა.

ბრწყინვალე მნათობის მისალმება უპასუხოდ რჩება. განწირულობის საბოლოოშეგრძნება გარინდებით გამოიხატება... „მამაის თხრილიდან ამოსვლა ენადა, ვერ შეძლო. უნდოდა დაჯდომა, ვერ შეძლო და დარჩა ასე, ოთხზე დამდგარი...“

სასონარკვეთის მწვერვალზე ასვლა ცრემლებში პოვებს ასახვას. ტირილისაგან „მკლავები უძიგდიგებდა მამაის, ბეჭები უთრთოდა მამაის, ძალა ელეოდა“...

დაოსებული სხეულის უძღურება რომ ხელშესახები გახადოს, ავტორს პერსონაჟი ლულულზე გადაჰყავს. უკანასკნელი ძალისხმევით წარმოთქმული სატრფოს სახელი სიცოცხლის დაუძღველი წყურვილის მანიშნებელია, რამეთუ კიაზიმ ხანუმი სწორედ გადარჩენის სიმბოლოა მამაისათვის. „კი აზიმ ხანუმ!კიაზიმ! – ლულულულებდა, თითქოს ლოცულობდა“ მამაი. ქვენარმავალში ჩასახლებული სიკვდილის შეცნობა არაადამიანური ხრილით გამოიხატება, უკანასკნელი ჩურჩული კი დიდი სიჩუმის შემზარავ სიხლოვეზე მეტყველებს: „გველს ცივი, ღრმა, უწამწამო თვალები ჰქონდა, მამაის – თბილი,ნაღვლიანი, გრძელწამწამებიანი თვალები.გველი უფრო ახლოს მიცოცდა, მამაიარ გრძნობდა შიშს, არ აფახულებდა გრძელ, შავ წამწამებს. გველმა ზეანია ყელი, ჭრელი მოღერილი ყელი შეარხია ოდნავ და.. „კიაზიმ ხანუმ!“ – არაადამიანური ხმით დაიხრიალა მამაი... „კიაზიმ!“ – ჩურჩულულებდნენ მიწას მიკრული ტურები...“

განცდათა სიღრმით, გრძნობათა სიმართლით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გამორჩეული ეს ნოველა თამამად შეიძლება 40-იანი წლების ქართული პროზის უკეთეს ნიმუშებს დავუყენოთ გვერდით. იგი უშუალო განცდის ნაყოფია, თვალთ ხილულის ანარეკლი, ექვსიოდეთვით ადრე განჭვრეტილი ბედისწერის ნათელხილვა,ამიტომაც განსაკუთრებით ტკივილიანია და გულისმომკველელი.

გ. ნაფეტვარიძის მოთხრობებს შორის ყურადღების ღირსია დიდი დრამატიზმით, განცდათა სიმართლითა და უშუალობით განსხვავებული ნაწარმოები „წერილი“. მასში საუკეთესო-დაირეკლება ეპოქის ტრაგიკული ბუნება, „ბედი მდევარის“ სისასტიკე და განუკითხაობა, განწირულთა უსაშველო ტკივილი და მწუხარება. „ბრძანება ნათელია და უბრალო: იგი მოითხოვს

ორი ჩვენგანის სიცოცხლეს, ხოლო, როგორც თვითონ იცი, სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია, მითუმეტეს მაშინ, როცა წინ სიჭაბუკის გზა დევს გაუვლელი, რომლის ნაპირას ათასფერი ყვავილები ამოსულა“, – ასე უბრალოდ, ასე მარტივად ამზადებს ავტორი ნიადაგს „წერილის“ ტრაგიკული ფინალისათვის. აქ ყოველი ფრაზა დროის, ადგილისა და მოქმედების სპეციფიკის წარმოსაჩენად არის მოხმობილი, ყოველი ბგერა ომის მრისხანე კანონების მოქმედებაზე მეტყველებს. მიწურში, რომელშიც გამოძახებული მეზრძოლები შედიან, სანთლის ალი თრთის, გაზეთგადაფარებულ მაგიდაზე დაყრდნობილი მაიორი რუკას ჩაჰკირკიტებს, იგი უძილო თვალებით აკვირდება მისულთ და დაჯექითო, ეუბნება, თუმცა დასაჯდომი არსად არის...

ომისდროინდელი აქსესუარების საგულდაგულო აღწერით ავტორი ძალდაუტანებლად გადაგვასახლებს იმ ეპოქაში, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა მშვიდობიან ადამიანებს. მკითხველი თითქოს თვალნათლივ ხედავს გუშაგს, რომელიც წინ და უკან დააბიჯებს ღამეში და ხელებს იორთქლავს გასათბობად; პატრულს, რომელიც თვალმოუშორებლად ზვერავს გზას; მეომარს, რომელიც დამალულად ეწევა მახორკას... ამ დაძაბული სიჩუმის მიღმა აშკარად იგრძნობა გუგუნი, გრიალი, ძახილი და ყიჟინა, რომელიც კიდევ უამრავ მსხვერპლს ითხოვს ამ თავზარდამცემ კაკაფონიაში მონანილეობის მისაღებად.

კრუგოლი და ეპრიკიანი იმ უკიდველგანო ოკეანის ორი წვეთია, რომელიც ორმოცი მილიონი ადამიანის სისხლმა აღმოაცენა. ისინი მეომრები არიან, მათი გზა ერთადერთია, იგი მაიორის მიერ მითითებული მიმართულებით მიდის და უეჭველი, უთუმცაო სიკვდილისაკენ მიეშურება. „ნება მოგვეცით, შევასრულოთ ბრძანება!“ – ხელის ალებით მიმართავენ ისინი მაიორს. მათი ამქვეყნიური უფლებაა და მოვალეობაც ამ ერთადერთი ლაკონიული ფრაზით არის შემოფარგლული, დაიხოცებიან, ბრძანება კი უნდა შეასრულონ, მარჯვენა საფეთქელთან ხელმიდებულნი უნდა შეხვდნენ ჟამს „სულ ბოლო ამოქმენისას“, რათა ამ ჟესტით უსიტყვოდ წარმოთქვამენ პირზე შემხმარი სიტყვები: „ბრძანება შესრულებულია, ამხანაგო მაიორო!“

ამაღლელებელ სურათს ქმნის ავტორი, როცა ამ ორ ზვარაკთან გამოთხოვების სცენას აღწერს. ტლანქად დათრგუნვილი ადამიანობის წამიერ აფეთქებაში უდიდესი მხატვრული ძალით არის გამოვლენილი ამ სანყისის სიმაღლე და უკიდველგანობა. „გამოვედით, ჩვენ ველარასოდეს ველარ ვნახავთ ერთმანეთს, რალაც განსაკუთრებით გვეყვარებია ერთმანეთი და ამდენ ხანს არ ვიცოდით, „მშვიდობით, სერიოგა!“ – ვამბობ მე, ხელი მითრთის და ბედს ვინყევლი, რომ ყველანი ერთად არ გაგვგზავნა მაიორმა. უცებ, როგორ მოხდა, არ ვიცი, ჩვენ ოთხივენი ვეხვევით ერთმანეთს და ვკოცნით. ერთი ბიძგი იყო საჭირო, ახლა უკვე ნათელია ყველაფერი. ჩვენ ვუთხარით ერთმანეთს ყველაფერი“... – ამ ამონაწერში, მართლაც, „ყველაფერია“ ნათქვამი. მომდევნო დღისათვის გადანახული მსხვერპლი თითქოს ბოდიშობს, რომ ადამიანურმა სისუსტემ დარია ხელი, „არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ერთმანეთს გადავეხვიეთო,“ – აცხადებს, რადგან ესმის, რომ ომის უმკაცრესი კანონი გამორიცხავს სენტიმენტალიზმსა და გულჩვილობას. „რალაც განსაკუთრებით გვეყვარებია ერთმანეთი და ამდენ ხანს არ ვიცოდითო,“ – ამასაც დანაშაულზე წასწრებული ბავშვივით ამბობს, მორიდებულად, ხათრიანად, რადგან ისიც ესმის, რომ ომის დროს დაუშვებელია გრძნობათა გამომჟღავნება, „არაფრისმომცემი“ ხვევნა-კოცნა, ომს თავისი ლოგიკა გააჩნია და ჯარისკაცი მას უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს...

კალმის ერთი მოსმით ძერწავს ავტორი ერთ-ერთი მსხვერპლის დაუფინყარ პროფილს: „სერიოგა ილიმება, მას უნდა, მიჩვენოს, რომ მხიარულია... იგი მთხოვს, ცოლის წერილი თუ მოვიდეს, პასუხი მივწერო მე, როგორც საჭიროა, თუმცა, ვინ იცის, იქნებ... ჰო, შეიძლება, იქნებ!.. არც ისეა, მართლა, საქმე...“

ასევე ორიოდ ფრაზითაა გამოკვეთილი მეორე ზვარაკის სილუეტი: „კრუგოლმა წასვლის წინთქვა, ბატკოს სისხლი უნდა ავილოო, მერე იქიდან პირდაპირ ხარკოვში უნდა წავიდეო“... – ასე ქრებიან ისინი თვალსაწიერიდან, ასე მიეშურებიან შავეთს, ასე უკაფავენ გზას მომდევნო მილიონებს. აქ თითოეული ბგერა მკაცრად არის განსაზღვრული. ზედმეტსიტყვაობის საჭიროებას არც ავტორი ხედავს, არც მკითხველი. სიტყვები ზუსტად არის შერჩეული, უფრო სწორად, ისინი თავისთავად ლაგდებიან ქალაქზე, რადგან ყოველი ადამიანის დრამატული თავგადასავალი ჭარბად იძლევა მასალას ომის მხატვრული მატრიანის შესაქმნელად. აქ ყოველი სტრიქონიდან სისხლი მოწვეთავს, ყოველი სიტყვა არყოფნის საშინელებას გვაუწყებს: „დაწვინეს დაჭრილი, შუბლი შეხვეულია ბინტით, საყელოში ჟონავს სისხლი. თვალი დახუ-

ჭული აქვს დაჭრილს. მაიორი დაიხარა, ქირურგს რალაც უთხრა ჩუმად. ქირურგი მიბრუნდა, ზენარი გადააფარა სახეზე...”

ავტორი წერს იმას, რაც მოხდა, ამიტომ ემოციურობას კვლავ გამოიციხავს. აქ უსიტყვობა და სიჩუმე მეტს ამბობენ, ვიდრე შორისდებულები იტყოდნენ და მრავალწერტილები. „ბლინდა-ჟის წინ საკაცეზე წვანან ისინი. მაიორი ქუდს იხდის, მებრძოლები ქუდს იხდიან, მაიორი სახეზე მკრთალია და ცივი, წარბი შეკრულია, თვალები იცქირებიან მრისხანედ. მებრძოლები მუშაობენ უხმოდ. ბარი მუშაობს სწრაფად. შავი ქვიანი მინა ცვივვა თოვლზე... ისმის სამჯერ გასროლა ნალმსატყორცებიდან, სამჯერ – ავტომატებიდან. მინა ცვივა მებრძოლი ამხანაგების გულზე“... შეკრული წინადადებები მარტო მოქმედების დინამიკას როდი გამოხატავენ. მათში შეგუბებული ტკივილია გამოვლენილი, შეკავებული ცრემლი და მღელვარება; ყელში გაჩრილი ბურთი, გამშრალი ხახა, გაოგნებული გამოხედვა და დაბინდული აზროვნებაა ჩაქსოვილი, ეს კი გამოიციხავს ვრცელ მსჯელობას, მოვლენათა შელამაზებას, ორნამენტის გამოყენებას. აქ ეს მშრალი მსჯელობა ამბობს სათქმელს, ცრემლით დალტობილი სტრიქონები ვერ იტყოდნენ ამდენს... ამის ალლო გ. ნაფეტვარიძეს კარგად აქვს გამოიმუშავებული. ომმა გაუმახვილა ეს ალლო მწერალს...

უკიდევანო ადამიანური ტკივილებით არის გაჟღენთილი ნოველა „სიყვარული“. ომთან დაკავშირებით ტრაგედია მასში ნათელასა და გეგეს ფაქიზი სიყვარულის ფონზეა გადაშლილი. წიგნის ათიოდე გვერდზე მკითხველის თვალწინ იშლება ორი უმანკო სულის შეხვედრის, გატაცების, გაორების, აღმაფრენისა და გაოგნების მღელვარე ისტორია. კალამის გაბედული მოსმით ქმნის ავტორი ორი ახალგაზრდის დაუფინყარ ხატებას. მათს ხასიათებში იგი გამოკვეთს ყველა არსებითსა და განსაკუთრებულს, რითაც ისინი ხანგრძლივად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში.

ეპოქის ტრაგედია ნოველაში მრავალი განსხვავებული ხერხით ვლინდება. მოახლოებული განსაცდელი ცნობიერად თუ არაცნობიერად ყოველი სულდგმულის ქმედებაში აირეკლება. „სახლის წინ დედალს ცალი ფეხი მხარში შეეყო, თვალმოხუჭული ცას შესცქეროდა და ნანყვეტ-ნანყვეტად კაკანებდა... დეიდა მარიამი ძროხას ნველიდა, შავი ქოთანი მუხლებში ეჭირა, ჩაცუცქულიყო ტიგურა ძროხის ბარდაყთან და ხელებს ისე ამოძრავებდა, თითქო ღმერთს თხოვს რამესო.“ იმავე დეიდა მარიამს, მოსალოდნელი უბედურებით თავზარდაცემულს, „ძროხის მოსარევი ჯოხი დირიჟორივით დარჩა ანეული,“ მერე კი, სანთლის ასალებად ამდგარს, დოქი წაექცა. „წყალი კერასთან ჩამოვიდა და ნაცარში ჩარჩა.“

გ. ნაფეტვარიძეს კარგად ეხერხება საქვეყნო ზარისა და გაოგნების ვიზუალური წარმოსახვა.

ახალგაზრდების სასაკლაოზე გაგზავნის მოლოდინში მყოფ სოფელს იგი ასე აღწერს: „სამოროდო სიმინდის ფოთლები, ლეკურებივით გამიშვლებული, დაჟღნა, ყვავმა გადასერა ყანების ლურჯი ზღვა და მდინარის პირას ქვის სისწრაფით დაეცა. არ ირხევა ბალახი, არ თრთის მაღალი ჩინარის კუნკულოები...“ „ყანების შუაგულ განოლილ“ თეთრ შარაზე აშლილი ნაფეხურების ჩვენებით ავტორი ოსტატურად აღწერს „ადამიანთა ფიქრის, ტანჯვის, სიყვარულისა და ბრძოლის ისტორიას“. იგი ტკივილით მიაპყრობს თვალს ამ ნაფეხურებს, როგორც ქართველი ხალხის ყველაზე ჯანსაღი, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ნაწილის საბედისწერო მომავლის ტკივილიან ანაბეჭდებს. აპოკალიფსური ხვალის შემადრწუნებელ კომმარს იგი შავათს მიმავალი პატრონების კვალში ჩამდგარი ძაღლების გაგიჟებით წარმოაჩენს. „ძაღლები, სანამ გაგიჟდებოდნენ, ცნობენ პატრონის კვალს ამ არეულ ნაბიჯებში და მისდევენ მას, მისდევენ დაცემამდე. და, როცა მიწას აცილდება ოფლიანი ტერფის სურნელი, როცა მანქანა აიტაცებს ადამიანს, ჩერდებიან, სანყალობლად ათვალთქვებიან გარემოს, სველი დრუნჩით ყნოსავენ ჰაერს, ბალახს, სიმინდებს, თხრილებს, მერე უიმედოდ ჩაცუცქდებიან გზის ნაპირას, თავს მაღლა სწევენ, ცისკენ ყელს იგრძელებენ და თვალმინაბული ყმუიან გულგამგმირავად: „ვავა-ვუუ!“ შემაზრზენიაო ეს ცხოველური ძახილი, ხვენწა, მუდარა, – წერს გ. ნაფეტვარიძე და მთელი ძალით გადასდებს მკითხველს ამ მართლაც შემადრწუნებელ განცდას. ტკივილით დამუხტულ სტრიქონებს შორის გამუდმებით ისმის ეს გულის გამგმირავი „ვავა-ვუუ!“ – როგორც ზარის საყოველთაო გლოვისა, რომელიც რუსეთ-გერმანიის ბრძოლის დიდმა ღამემ არგუნა პატარა საქართველოს.

ამ პანიკური ძრწოლით მარტო პატრონის ერთგული ძაღლები როდი არიან მოცულნი. „ცხ-

ენები შეკრთნენ მესრებთან და ფრუტუნით დაქაჩეს ბანრები, გახლებული ფაშატი ტეხს სარს და გარბის ძუაშლილი... კვიცი დაფეთებული ტორავს ჰაერს. ეცემა, ხვიზვინებს სანყალობლად და უხმობს დედას“ („პირველი დღეები“)..

პირუტყვისათვის დამახასიათებელი მწველი სიყვარულისა და თავგანწირვის სურათების ჩვენებით ავტორი ბუნებრივად დააფიქრებს მკითხველს ადამიანთა მარადიული განშორების სიმწარეზე: „ნახა რა, სამუდამოდ აცილებდნენ დედას, საშინლად შესჭიხვინა სამიოდ თვის სისხლისფერმა კვიცმა ბრბოს, საოცარი ძალითა და სისწრაფით შეხტა ჰარეში, შეხტა და გაინია, ვერ დაიმაგრა ურა კვიცი ოთხმოცი წლის მოხუცმა, ნაბორძიკა ბერიკაცი, ერთხანს გაითრია ურა კვიცმა, თოკათრეული, ჭიხვინით დაედევნა ნასულებს, აირიამწკრივი, ზორბა ფაშატი დატრიალდა, ზაფრნაცემივით, ცხენებში და ორი მხედარი გადაყირავდა...“

ეს არის მხატვრული ასახვა იმ მძაფრი ქარიშხალისა, კაცთა მოდგმაში შინაგანად რომ მიმდინარეობს. ადამიანები გულდაგულ ჩქმალავენ სულში აღძრულ ფორიაქს და ზოგჯერ ჩუმი ცრემლით, ზოგჯერ ფარული ბოლმით, ზოგჯერ კიდეც მსუბუქი ღიმილით გადაფარავენ განშორების უსაშველო ტკივილებს. პირუტყვის რეაქცია ბუნებრივია, იგი არის ანარეკლი ყოველი არსის დაუოკებელი სწრაფვისა მზის საუფლოში დასარჩენად, სიცოცხლის შესანარჩუნებლად, გარესამყაროსთან დამაკავშირებელი უხილავი ძაფების გადასარჩენად.

ადამიანები ჩქმალავენ ნალველს, ადამიანები ებლაუჭებიან იმედს, ადამიანები ყლაპავენ ცრემლს და მეორე მხარეს ამით უიოლებენ მარადიული განშორების თავზარდამცემ ტკივილს. „ცოლი აცილებს ქმარს, მამას ყელზე ეხვევა ხუთიოდე წლის ნამძინარევი ბიჭი და ვერაფრით ვერ მოუშორებია. მამას ყელში ებჯინება ცრემლი და ბოლმა სუნთვას უშლის“... ეს ერთი ოჯახის ბიოგრაფიაა, ერთი ფარული ცრემლის რენტგენოგრამა, სიმშვიდით შენიღბული ფორიაქის ერთი ანაბეჭდი.

„პირველ დღეებში“ სხვა ანაბეჭდებიც მოიპოვება, ერთმანეთზე უფრო სევდიანი და გამაოგნებელი. თუთის ხესთან ზურგზე ჩანთამოკიდებული ვაჟი საცოლეს ამშვიდებს, დაკოჟრილ ხელისგულს უსვამს მარცხენა ხელის ზურგზე და ამშვიდებს. ისინი ვერ ლაპარაკობენ. [გოგონას] უნდა გაიღიბოს. ელიმება. ღიმილი ხელოვნურია, იმდენად ხელოვნური, რომ აუშნობს მის ლამაზ პირისახეს. წერილები მომწერეო, უნდა თქვას ვაჟმა და, ხმა რომ ყელიდან არ ამოუვიდა, გაბრაზებულმა, ისე მაგრად დასწიაჩანთის საბელი, რომ იგი განყდა“.

ომში მიმავალთა გალერეის მრავალფეროვნება რეალურმა სინამდვილემ განსაზღვრა, მათი ტკივილების წარმოსახვის უნარი კი – ადამიანთა ფსიქოლოგიური განცდების მახვილმა ხედვამ, რომლითაც ესოდენ იყო დაჯილდოებული გიორგი ნაფეტვარიძე.

გიორგი ნაფეტვარიძის შემოქმედება მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული მატანის ერთი ტკივილიანი ფურცელია. ამავე დროს იგი არის გაფრთხილება მომავლისაკენ მიმავალი კაცობრიობისა, „ნუ მისცემთო სინმინდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთო მარგალიტისა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერხთა მათითა და მოიქცნენ და განხეთქნენ თქუენ“ (მათე, 7,6).



დიდი სამაგულო ომის ექო  
ვანელ ხალხურ მეღმერთა პოეზიაში

საომარ ლელოდ ქცეული, ორ ზღვას შუა მდებარე, პატარა საქართველო, თხუტმეტ საუ-  
კუნეზე მეტი ხნის განმავლობაში „ჯვარზე გაკრული, თითქოს განგებით, ჯალალ-ედ-დინებით,  
თემურ-ლანგებით“ – როგორც დიდი გალაკტიონი იტყოდა, ათასი ჯურის მტერთა შემოსევას  
გადაურჩა. სპარსმა, თურქმა, არაბმა, სკვითმა, ბერძენმა, ხაზარმა, მონღოლმა, ლეკმა, დი-  
დომ... „ყველამ ნაჰკრა თითო ქიშტი“ ჩვენს მარავალჭირვარამგამოვლილ სამშობლოს. გადა-  
ტანილი უმძიმესი ბრძოლების გახსენებაც კი „ხსოვნას აზარებს.“

თითქოსდა ჟამთა ნიალიდან მოგვესმის პოეტ მუხრან მაჭავარიანის სევდისა და სიამაყის  
მომგვრელი სტრიქონები:

*„შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო...  
შენ – სად არ გხვრებდა შავი ყორანი? –  
ვინ გაგაკვირვოს, რამ გაგაკვირვოს?  
ნადიდგორალი, ნაშამქორალი?!“*

დღეისაქამომდე რამაც მოაღწია, ქართული სისხლის დიდი „ღვანლია“, სისხლისა, რომელ-  
მაც გამოიარა გორგასლის, დავითის, თამარის, რუსთველის, ვახტანგის, სულხან-საბას და სხვა  
სახელოვან მამულიშვილთა, გმირთა გულები და, საბედნიეროდ, დღესაც ძალუმად ხმაურობს  
ჩვენს ძარღვებში.

მეორე მსოფლიო ომის ქარიშხალმა საქართველოსაც გადაუარა. ფაშისტური გერმანია,  
1941 წლის 22 ივნისს, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. იგი ევრო-  
პის 11 ქვეყნის დაპყრობის შემდეგ ფლობდა უდიდეს რესურსებს, შეიარაღებას და თანამე-  
დროვე ომისათვის მომზადებულ არმიას. ავტორმთქმელი ვაჟა დვალიშვილი (ვანი), რომელ-  
საც ძალიან კარგად ახსოვს მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ომის დაწყება,  
მრისხანე ბრძოლის ჟამი, გრძელი ზარის დარეკვა და სამშობლოს დაძახილზე ქუდზე კაცის  
გამოსვლა, ნათლადღვეინერსსაბჭოთა კავშირზე უსასტიკესი მტრის თავდასხმის საშინელ  
სურათს:

*„ორმოცდაერთის 22 ივნისს, როდესაც ღამე უმოკლესია,  
დაუნდობელი, ვერაგი მტერი მოულოდნელად შემოგვესია.  
ხელში ჩაიგდო დასავლეთ მხრიდან საბჭოთა ქვეყნის დიდი ნაწილი,  
სულერთი იყო ფაშისტებისთვის – მოხუცი, ქალი, ბავშვი, ყმანვილი...  
ათასოთხასი დღედაღამ ბრძოლა – მავანთ იოლი საქმე ჰგონიათ,  
იმდენად დიდი მსხვერპლი გავილეთ, სრულად ჯერ არვის აუწონია.  
ქვემეხთა კვამლით მოკუპრულ ცაზე, მნათობი თითქმის აღარ მოჩანდა,  
თავისუფლების მზეს უმღეროდა გულმხნედ – ჩანგები რჩეულ მგოსანთა.  
ინვოდა მიწა, ინვოდა ზეცა – არ შეგვრყევია რწმენის კედელი,  
რადგან ქვეყანას წინ მიუძღოდასარდალი ბრძენიდა შორსმჭვრეტელი.“*

გამძვინვარებული მტერი ცდილობდა უმოკლეს ვადაში დაეჩოქებინა საბჭოთა კავშირი, მა-  
გრამ ხალხი მომხვდურს ერთ უძლეველ ძალად შეკრული დახვდა, გაერთიანდა ზურგი და  
ფრონტი.

„ჩვენი ფრონტი და ზურგი, – წერდა ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელი, 1942 წლის 1 მაისს  
ბრძანებაში, – წარმოადგენენ ერთიან და განუყრელ მებრძოლ ბანაკს, რომელიც მზად არის  
გადალახოს ყოველგვარი სიძნელენი მტერთან დაბრკოლების გზაზე.“

მაშინდელი საბჭოთა კავშირის 16 რესპუბლიკის წარმომადგენლები, ქართველებიც, ერთი  
მიზნითა და სულისკვეთებით მამაცურად მიემართებოდნენ ბრძოლის ველისკენ, მოლოდინით,  
რომ მტერთან შერკინებაში მათაც ერგებოდათ წილი:

„მივდივართ, მიგვიხარია,  
სადაც ნითელი ჯარია,  
სად მონინავე რაზმები  
მტერთან პირისპირ არიან.“  
(ხალხური)

ვინ მოთვლის რამდენჯერ დაუფუგუნებიათ მტრის წინააღმდეგ მიმავალ ქართველებს გრძნობით სავსე მსგავსი ლექსი-სიმღერა:

„მე პატარა ქართველი ვარ, სახელოვან ერის შვილი  
და მსურს მერგოს სასახელო მეც სიცოცხლე და სიკვდილი.“  
(დ. მეგრელი)

ან:

„აღარ მასვენებს ძილშიაც სამშობლოს გასაჭირი მე,  
არ უღალატოთ სამშობლოს, ბიჭებო, თქვენი ჭირიმი!“  
(ხალხური)

დიდი საფრთხის წინაშე დადგა მაშინდელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოხალხების ყოფნა-არყოფნის საკითხი. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების უზრუნველყოფაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური ლიდერის, იოსებ სტალინის, უაღრესად გონივრულმა სახელმწიფო, სამხედრო და დიპლომატიურმა ნაბიჯებმა. ამას აღიარებს იმ ეპოქის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეები, ტიტანები: ჩერჩილიც და რუზველტიც. ეს სამეუფლო წყვეტდა იმ დროს მსოფლიოს ბედს, რომ არაფერი ვთქვათ საქმეში კარგად ჩახედულსხვა უმაღლესი რანგის მხედართმთავრებისა და დიპლომატების მოსაზრებებზე, ამიტომ უცხოელებს არ უნდა მოგვეჩვენოს ხალხურ მთქმელთა შემოქმედებაში ცრომ აისახა, სახელმწიფოს მაშინდელი ხელმძღვანელის თავდადებაც, შვილის მსხვერპლად შეწირვის ფაქტიც. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ქვემოთ მოყვანილი ლექსების ავტორები, ან უშუალოდ ომის მონაწილენი არიან, ან იმ დროის ზურგის მუშაკები, ან სრულადაც არასრულწლოვნები, რომელთა ცნობიერებაზეც მკვეთრად აისახა უსაშინელესი დღეები.

ღვანლის გაუფასურების დღევანდელ სიტუაციებში შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს, მაგრამ ასე წერდა ამერიკელი მწერალი – ისტორიკოსი, პროფესორი ალექსი დე ჯონგისი: „რომ არა სტალინი, აღარ იქნებოდა რუსეთი, მაგრამ ასევე არ იქნებოდნენ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები.“ შინაარსობრივად ამის შესმაურებაა, ავტორმთქმელ ფილიპე თევზაძის (ტობანიერი), სამამულო ომის უშუალო მონაწილის (ჩვენი ვარაუდით 1943 წელს გამირულად დაიღუპა გროზნოსთან გამართულ უსასტიკეს ბრძოლებში). უბრალო და შთამბეჭდავი სტრიქონები.

„წყვდიადის მანადგურებელ გრიგალის ამოფრენა ხარ!  
მილიონების სიცოცხლე – მილიარდ გულის ლხენა ხარ!  
მართლაც ფოლადი, ფოლადის ხარ ქვეყნის ბურჯის მგებელი,  
ფოლადის ძალთა ძალა ხარ, მტრის სიმაგრეთა მნგრეველი,  
სიმტკიცეების მწვერვალი, უბადლო, დაუძლეველი.“

1941 წლის 3 ივლისს ქვეყნის მეთაურის გამოსვლაში ითქვა: „ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად ვერ ჩაითვლება, იგი არა მარტო ორი არმიის ომია, იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხების დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ... ომის გამო, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს ჩვენი ქვეყანა ჩაება სამკვდრო – სასიცოცხლო შეტაკებაში.“

ომის პერიოდში შექმნილი საბჭოთა პოეტების მაღალმხატვრული ნაწარმოებები ათას ყუმბარას უდრიდა მტრის ზურგში გადასროლილს, გაცნობიერეს რა ეს საფრთხე. მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მთელი შემოქმედებითი ინტელიგენცია ერთსულოვნად, რწმენით დადგნენ ჰიტლერულიაგრესიის წინააღმდეგ. ვის არ ახსოვს ომის პერიოდში შექმნილი გ. ტაბიძის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, „მამულო სიცოცხლეო“, „ღრუბლები დაუტან“, გ. ლეონიძის „შინმოუსვლელი, სადა ხარ?!“, „მხედარი პირტახია“, ირ. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, ი. გრიშაშვილის „ორი სიტყვა“ და სხვა.

ომის თემამ ფართო ასახვა ჰპოვა ვანელ ხალხურ მთქმელთა და ავტორმთქმელთა შემოქ-

მედებაში. იმ დროსაც და შემდეგშიც ქვეყანაშველას ითხოვდა და ამიტომაც გაისმა ასე მგზნებარედ ავტორმთქმელ ილია ლეჟავას (ზედავანი) ომახიანი მონოღება:

*„ზურგზე სულ ბღღვირი ვადინოთ, დავლენოთ მტერი ვერაგი! –  
სიმართლისათვის ბრძოლაში გავცვითოთ ჯაჭვის პერანგი.  
მივბაძოთ ჩვენს გმირ წინაპრებს – ლეიძლი სისხლი და ხორცია,  
რისხვით მოსული მტარვალი მრავალი დაუხოციათ.  
ავილოთ ფარი, მახვილი – ბრძოლებში გასაფერავი,  
მკერდით დავიცვათ სამშობლო, ვერ დაგვაჩოქოს ვერავინ.“*

არანაკლები პატრიოტული აღტკინებითა და ემოციითაა შექმნილი ავტორმთქმელ ფილიპე თევზაძის ეს სტრიქონებიც:

*„მტკიცედ დავიცვათ საქმე და ფიცი, სამშობლო მინა, სამშობლო წყალი,  
მტერმა წაგვეგლიჯოს თუნდ გოჯა მინის, მაშინ რად გვინდა თავი ცოცხალი?!“*

კეთილხმოვანებითა და ღრმა შინაარსით გვხიბლავს ხალხურ კილოზე დანერგილი ლექსი „სამშობლოს“, რომელიც ან განსვენებულ პედაგოგს დუგლას მაჭუტაძეს (ავტორმთქმელი ტობანიერიდან) ეკუთვნის.

*„თუ მტერი შეგვეციელბა, ჩვენს ლამაზ მთას და ბარსაო,  
მყის შემოგწირავ, სამშობლოვ, ამ ჩემს ჭალარა თავსაო,  
შენი სიცოცხლით ვხარობდე, არც რას ვინატრებ სხვასაო.“*

ფსიქოლოგიური გარდატეხისა და ერთგვარი ფანატიზმის ნიშნები ჩანს 1941 წელს წითელ მოედანზე საშვიდნოემბრო პარადის ჩატარებაში, მითუმეტეს – გერმანელები მოსკოვის მისადგომებთან იმყოფებოდნენ. ამ მომენტმა უდიდესი მორალურ-ფსიქოლოგიური მუხტი შეიტანა ხალხების შეგნებაში. ამ პროცესს, უთუოდ ჰქონდა საფუძვლიანი საერთაშორისო მნიშვნელობაც.

1941 წლის 13 ნოემბერს, ორშაბათს გამართულ თათბირზე ჰიტლერმა განაცხადა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს მოსკოვი უნდა ავილოთო. თავის ბრძანებაში იგი წერდა: „... ჯარისკაცებო! თქვენს წინაშე მოსკოვია! ომის ორ წელიწადში კონტინენტის ყველა დედაქალაქმა დაიწოქა თქვენს წინაშე. თქვენ მიაბიჯებდით ევროპის საუკეთესო ქალაქების ქუჩებში. დარჩა მოსკოვი. აიძულეთ ის, დაიწოქოს, აჩვენეთ თქვენი იარაღის ძალა, გაიარეთ მის მოედანზე. მოსკოვი – ესაა ომის დამთავრება, მოსკოვი – ესაა დასვენება – წინ!“

ვერ შეძლეს გერმანელებმა ამის გაკეთება მოსკოვთან. მოსკოვის მისადგომებთან გამართულ თავდაცვით და კონტრშეტევის ოპერაციას, რომელიც 1941 წლის ოქტომბრიდან 1942 წლის 7 იანვრამდე გრძელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანეს სამხედრო ოპერაციებს შორის ერთ-ერთი მთავარი და გამორჩეული ადგილი უჭირავს. ამ ბრძოლებში არგაგონილი სიმამაცე გამოიჩინეს ქართველებმა, რიგითებმაც და ოფიცრებმაც. ეს იყო პირველი უკომპრომისო ბრძოლა, რომელმაც ჩაშალა „ელვისებური ომის“ ფაშისტური სტრატეგია. ამ უმძიმესი ბრძოლის ვითარება შესანიშნავადაა გადმოცემული ავტორმთქმელ მელიტონ ხურციდიისგან (საპრასია) ჩაწერილ ლექსებში:

*„უყურეთ გერმანელებსა, გეგმა ჰქონიათ რისაო, –  
ერთად უნდოდათ ალებს სტალინგრად-მოსკოვისაო.  
სტალინმა შემოუთვალა: ტყვიით გაგიხვრეტთ ცხვირსაო,  
თქვენ რომ მოსკოვი აილოთ, მე არ დაგიდებთ ძილსაო.“*

\* \* \*

*„ჰიტლერს სურდა დაეპყრო ქვეყნის დედაქალაქი,  
ქალაქს გარე, სანყალმა, უქმად ზილა ტალახი.  
გაცოფებულს სახეზე ასდიოდა აღმური,  
სტალინგრადთან მიიღო უფრო დიდი პანღური...  
ისტერიკულ ყვირილით დორბლებს ყრიდა პირიდან,  
რომ მოსკოვის ქუჩებში ველარ გაიჯირითა.“*

*შიგნით გერმანიაშიც აღარ ჰქონდა სინყნარე,  
ხალხმა უკმაყოფილომ ვერ დაფარა სიმწარე.  
სიცოცხლეშივე შერისხეს, სისხლის მღვრელი და მსმელი,  
გერმანელი სატანა – რაიხსტაგის კანცლერი.*

ისტორიაში განსაკუთრებით დაუფუნყარი და აღსანიშნავია 28 გმირი პანფილოველის შე-  
მართება და თავგანწირვა, რომელიც შეიძლება განზოგადდეს და მისაღები გახდეს ნებისმიერი  
მებრძოლისათვის, სამშობლოს დამცველთათვის. ეს ადამიანები სახელოვნად დაილუბნენ ვო-  
ლოკოლამსკის გზატკეცილზე, მაგრამ მტერი მოსკოვისკენ არ გაუშვეს.

სწორედ მათ ლეგენდარულ გმრობას მიუძღვნა ავტორმთქმელმა თ. იოსებიძემ (მთისძირი)  
ეს სტრიქონები:

*„დღეს, როგორც მზე, თავს დაგვნათის უკვდავების მთოველი  
თავდადება - გმირთაგმირი ყველა პანფილოველის.“*

საფრთხიდან გამომდინარე, მოსკოვზე შეტევის დაწყებისთანავე ქვეყნის მეთაურს ურჩევდ-  
ნენ კუიბიშევი ევაკუირებულიყო. მათ წინადადებაზე მიიღეს პასუხი – „მე მოსკოვიდან არ  
წავალ, მოსკოვში ვრჩები, ვიდრე ცოცხალი ვარ, მტერი დედაქალაქის ქუჩებში ვერ გაივლის  
და თუ გაივლის – სამხედრო ტყვეების სახით.“

მოსკოვს გერმანელები სხვადასხვა მხრიდან უტყევდნენ. გერმანელი გენერლის გუდერიანის  
სატანკო ნაწილებს, რომლებიც ტულის ხელში ჩასაგდებად ისწრაფვოდნენ, რამდენჯერმე წინ  
აღუდგნენ 50-ე არმიის არტილერიისტები გენერალ კონსტანტინე ლესელიძის მეთაურობით.

მოსკოვის მისადგომებთან გამართული უსასტიკესი ბრძოლების გამოძახილია 1941 წლის  
21 ნოემბერს დაწერილი ავტორმთქმელ ფილიპე თევზაძის ლექსი „მოსკოვს“.

*„ყოველი წუთი დიდი ბრძოლის ახალ გმირს ბადებს,  
ბრძოლებში სჭედავ გამარჯვების დიად თაობას,  
მტრის გააფთრება ჩვენს მებრძოლებს სიმტკიცეს ჰმატებს,  
ჰმატებს გმრობის ახალ ძალას, გამბედაობას.  
ჩვენ სხვა ხალხი ვართ – იმ ფოლადის და ნაჭედობის,  
რომლითაც გვჭედდა თვით სტალინი, ბრძენი, კეთილი...  
ვის არ აღანთებს მისი საქმე, მისი ძახილი,  
გულადობამდე ლაჩარიც კი აჰყავს, ამაღლებს,  
მისი სიტყვაც კი, ვით მეომრის ბასრი მახვილი,  
ფრონტზე იბრძვის და ანადგურებს ჰიტლერულ ძალებს.“*

ამ ხალხური მთქმელის ლექსის ზოგიერთი პასაჟი ღირებულებათა გადაფასებისა და ნი-  
ჰილიზმის პირობებში შეიძლება ვინმესთვის ანაქრონიზმად ყლერდეს, მაგრამ მაშინ ასეთი  
რწმენა იყო ხალხში და ეს რწმენა შთააგონებდა ასეულობით ახალგაზრდას მოხალისედ წასუ-  
ლიყო ამ არნახულ ომში და ღირსეული ბრძოლებიც გადაეხადა. მაშინდელი საბჭოთა კავშირი  
მასების დიდ ნაწილში აღქმული იყო ერთიან სამშობლოდ, ხოლო საქართველო, რომელიც ამ  
კავშირის ერთ-ერთი წევრი იყო – განსაკუთრებულ რესპუბლიკად. აქედან გამომდინარეობდა  
ის თავდადებაც და სიმტკიცეც, რომელიც ქართველებმა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ  
ბრძოლების მთელს მონაკვეთზე უჩვენეს. ასეთი პატარა ერის 170 წარმომადგენელი საბჭოთა  
კავშირის გმირი გახდა, ამ ადამიანებმა ბევრი რამ ნახეს საკუთარი თვალით და ღირსეულადაც  
მოიხადეს ვალი მსოფლიოს წინაშე.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მოსკოვის, როგორც თავდაცვით, ასევე კონტრშეტევით  
ოპერაციებში პოლკოვნიკ (შემდეგგენერალ-პოლკოვნიკი) პორფილე ჩანჩიბაძის 107-ე მოტომ-  
სროლელმა დივიზიამ, რომელშიც ათეულობით ქართველი იბრძოდა.

სამამულო ომის მონაწილე ავტორმთქმელი მიხეილ გოგოძე (ციხესულორი) ნათლად აღგვი-  
წერს ამ დივიზიის, მეომრების არნახულ გმრობას, სასტიკი ბრძოლების რეალურ სურათებს:  
„ვის არ ახსოვს ომის დღეთა ნგრევის ტალღა, ყოფნა ძნელი,

*ბრძოლა ლუცკთან თუ ტულასთან, თუ მოსკოვთან – უღმობელი.  
მომავონდა მკვდარი მოძმე – მის ცხედართან ძმათა ფიცი:  
ფოლადივით ვიყოთ მტკიცე, მტერს მივუზლოთ საკადრისი.*



შურს ვიძიებთ შვილებისთვის, დედებისთვის, მამებისთვის,  
 ყაჩაღური თავდასხმისთვის და მხეცური წამებისთვის.  
 მახსენდება ეს სიმღერაც მეტყველი და ბევრის მთქმელი,  
 ლოცვასავით ვიმეორებ, ჩემთვის გულში ჩუმად ვმღერი.  
 აღმაფრენის ურყევ რწმენას ის გადმოგვცემს, ალბათ, სრულად  
 გავიმარჯვებთ... „ტულა, ტულა! — ტი ფაშისტოვ პოვერნულა!“  
 მომძახოდა სამშობლოს ხმა, ქვრივ-ობოლთა ლაღადისი,  
 კრეშტიკის მწარე ოხვრა, დნეპრი შეღებილი სისხლით.  
 თვალწინ მიდგას ბერიკაცი, დაჩეხილი სახე მისი,  
 ტანჯეს, თმებიც დააგლიჯეს, განა იყო ამის ღირსი?!  
 ვნახე ბიჭი ქვადქცეული, შაოსანი დედამისი,  
 ხალხი ტყეში გაქცეული, გულში ცეცხლი, სულში ნისლი.  
 და რომელი მოვიგონო და რომელი დავიტირო?  
 დარდი როგორ გავიქარვო, გული როგორ დავითირო?  
 ვინც ავი ქნა – მსჯავრს ვერ აცდა და მიიღო საკადრისი,  
 საუკუნოდ დაულამდა, ველარ ნახა შუქი მზისი.“

ჰიტლერი ყოველნაირად ცდილობდა სტალინგრადის აღებას. ეს ქალაქი რახან სტალინის სახელს ატარებდა. ამას შეეძლო დიდი უარყოფითი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენასაბჭოთა მებრძოლებზე, ფრონტზეც და ზურგშიც. „მოსკოვი, სტალინგრადი და კურსკი იყო მტერთან ბრძოლის სამი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, სამი ისტორიული მიჯნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების გზაზე“. სტალინგრადთან ბრძოლებში გმირობის მაგალითი აჩვენა ვანელ, მიხეილ დიასამიძის პოლკმა, ხოლო თვით მიხეილ დიასამიძეს, პოლკის უნარიანი ხელმძღვანელობისა და გამოჩენილი მამაცობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. ამ ეპოპეას უძღვნა თავისი ლექსი ბრძოლის მონაწილე ლევან გერსამიამ:

„არ შემხვედრიხარ, გიცანი, მტერმაც გაიგო ვინა ხარ,  
 სამშობლოს სადარაჯოზე, პირგალესილი რკინა ხარ  
 სად იყავ, სად არ გივლია, ობლის კარიდან - კარამდე...  
 სტალინგრადთან რომ დაჰკარი, ხმა ჩამოვიდა ვანამდე.“

კავკასიისთვის ბრძოლას განსაკუთრებული ადგილი ეკავა ფაშისტური გერმანიის დამპყრობლურ გეგმებში. ჰიტლერს იზიდავდა კავკასია თავისი სტრატეგიული მდებარეობით, მრავალფეროვანი წიაღისეულით, საკურორტო რესურსებით. ოცნებობდა კავკასიის ნავთობისა და ჭიათურის მარგანეცის ხელში ჩაგდებაზე. კავკასიის მისადგომებთან ფაშისტების 32 დივიზიაზე მეტი იბრძოდა, სულ რჩეული ძალები, მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი „ამიერკავკასიის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილის უღელტეხილების დაცვა უმაღლესმა მთავარსარდლობამ 1942 წლის ივნისში დაავალა ამიერკავკასიის ფრონტის 46-ე არმიას... გაძლიერდა კავკასიონის, ქლუხორის, მარუხის, სანჭაროს უღელტეხილები, საქართველოს და ოსეთის სამხედრო გზების მონაკვეთები. საიმედოდ გადაკეტეს ზემო სვანეთში ფაშისტური ჯარების შეჭრის ყველა გზა და ბილიკი.“ კავკასიის უღელტეხილს იცავდნენ ქართული დივიზიები. კავკასიის დაცვისთვის ბრძოლაში გულშიშარ სვან ვაჟკაცებთან ერთად გმირულად დაეცა უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი პოეტი მირზა გელოვანი, რომლის ჯადოსნურ სტრიქონებს ზეპირად წარმოთქვამდნენ თანამებრძოლები. მირზასა და მის ფრონტელ მეგობრებზე რა კარგად წერს მირზას ულამაზესი კუთხის შვილი ვაჟიკა ფხოველი:

„არ იქნება, გმირთა საქმე საუკუნოდ არ გვახსოვდეს,  
 ვინც დაეცა სამშობლოსთვის – არ მოკვდება არასოდეს.“

ავტორმთქმელი ჯანიკო ლომინაძე (ზეინდარი) ოდას უძღვნის მის ქვეყნისთვის თავდადებას და არც პოეტის მხარდამხარ მებრძოლთა გმირულ შემართბას ივინყებს:

„მამისონთან თუ მარუხთან მტრის სისხლის ზღვა დააქციეთ,  
 კავკასიონის კალთები უმტკიცეს ციხედ აქციეთ.  
 მენი მამაცი სვანებით მიუვალ ხრამებს აგნებდი,  
 ყველა ხეობა, ბილიკი, ჩარაზე ფარულ ნალმებთი.“

პირსისხლიანი, ვერაგი მომხდური არ გაახარეთ,  
 დღე დაუბნელეთ მზიანი, ტყვიების სეტყვა აყარეთ...  
 მაგრამ, ეჰ, ბედმა გიმუხთლა, დარდის ცრემლდანანვიმარი  
 გული მტრის ტყვიამ დაფლითა, თვალი დახუჭე მღიმარი.  
 სამშობლოსათვის დაცემულს სიკვდილი არ გინერია,  
 შენი ლამაზი ლექსები შენს უკვდავებას მღერიან.“

მცირე მიწაზე გამართული ბრძოლების ეპოპეას, სადაც ქართული ეროვნული შენაერთები და ინდივიდი ჯარისკაცები იბრძოდნენ, მშვენივრად გადმოგვცემს იგივე ჯანიკო ლომინაძე ლექსში „მცირე მიწას:“

„თუმცა სახელი მცირე გაქვს, მცირე მიწა და ადგილო,  
 დიდი ბრძოლების მომსწრე ხარ, ნალმებით გულგადათხრილო.  
 იმ ბობოქარი წარსულის ქუხილმა გადაიარა...  
 სახელი ისევ მცირე გაქვს, მიწა დიდო და მზიანა.  
 ჩვენი ღიმილის ბიჭები თბილად გყავს გულს ჩახვეული...  
 მათი სიცოცხლე, გამირობა არის ლეგენდად ქცეული.“

მთელი მსოფლიო გააოცა ნახევრადდანგრეული პავლოვის სახლის დამცველთა ზღაპრულმა შემართებამ და თავგანწირვამ. აქ 20 კაციანმა ქვედანაყოფმა მტრის 100-ზე მეტი იერიში მოიგერია. სწორედ ამ ისტორიულ გამირობას მიეძღვნა წლების შემდეგ ავტორმთქმელ თ.იოსებძის (მთისძირი) სტრიქონები:

„როგორც ზღვის ტალღას ტალღა – მოსდევს იერიში იერიშს,  
 არ შეგეცვალოთ თალხად მრისხანე სახის იერი.  
 მხოლოდ მიზანში ტყვია თუ გაგინელებთ სახმილთა,  
 ცოცხლად დამარხვა ჰქვია – მტერმა გაგაგდოთ სახლიდან.  
 ფარავთ სამი ყრუ კედელი, ვითარც იმედის კარავი,  
 რწმენის ცოცხალი კედელი ნალმითაც გაუზზარავი.  
 აუტანია წერას, მტერი მუმლივით ირევა,  
 დაჰკარო! – დაგაკლებთ ვერას, დაბადებულნო გამირებად!“

სტალინგრადთან გერმანელთა დამარცხებით საბოლოოდ დაიმსხვრა მითი ამ არმიის უძლეველობის შესახებ. მამაის ყორღანისთვის ბრძოლა სტალინგრადისთვის გაჩაღებული ბრძოლების ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია.

„მხოლოდ და მხოლოდ უკვდავებაში დასრულებულა თქვენი გზა,  
 ბრძოლების ცეცხლში დაფერფლილები კვლავაც აღსდექით ფენიქსად.  
 თითქოს ხელახლა იწყებთ იერიშს, გესვრიან და არ ეცემით...  
 „ო, ნუთუ ტყვია არ ეკარებათ?! – შიშს შეუპყრია მხეცები.  
 დასცხეთ, ბიჭებო, ჯოჯოხეთურად, მტერს დასცემია თავზარი,  
 კვლავ გადამწყვეტი შეტევისათვის ასეულები დასძარიო!..  
 დასცხეთ! – გულს ჯავრი არ გაიკაროთ, სიკვდილზე ნურას ინალვლებთ, –  
 ეს ყორღანია თქვენი გამირობის ლეგენდარული სიმაღლე“ –

ფაშისტებთან შეუპოვარ ბრძოლაში სხვადასხვა ფრონტებზე გამირულად დაიღუპნენ ახალგაზრდა პოეტები, მწერლები: სევერიან ისიანი, ვლადიმერ უბილავა, სანდრო ჟღერნტი, გრიგოლ იმედაძე... ჩვენი რაიონოდან: გიორგი ნაფეტვარიძე, ფილიპე თევზაძე, მწერალი გრიგოლ ხურციძე.

„თუ მოადგება მტერი ტრამალებს, გამირების გვერდით უნდა მეძებოთ,  
 ვისაც ფრონტებზე ერგო სამარე, იმისი იყოს ეს სადღეგრძელო!  
 შეავსეთ ჯამი გრძნობით პირთამდე, გულს არ მოედოს სევდა ვერანი,  
 ერთმანეთისთვის თავს გაწვრივადეთ და სამშობლოსთვის – ერთად ყველანი.“

– თქვა 24 წლის პოეტმა გ. ნაფეტვარიძემ და კიდევ შეასრულა თავისი სიტყვა. პატრიოტმა პოეტმა თავის ერთ-ერთ ლექსში „ნახვამდის“ მთელი თაობის გუნება-განწყობა

ბილგა და მდაფრი სულსკვეთება გამობატა. ყველას ეძნელებოდა საკუთარი კერის, მშობლებ-ის, და-ძმების, ცოლის თუ სატროფოს... მიტოვება, მაგრამ ღრმად სწამდათ, რომ მამულის მოვლა-დაცვა, პატრონობა მათი უპირველესი, უწმინდესი ვალი იყო:

*„ნახვამდის, დედილო, ნახვამდის, მშვიდობით, ლამაზო ჩემო,  
ხშირ-ხშირად მომწერეთ ქალაღი, ნუ ტირით, პატარა დებო!  
მამები გიცავდათ აქამდი, კავკასის მაღალო მთებო!  
ახლა ჩვენ მივდივართ, ნახვამდის, მშვიდობით, ლამაზო ჩემო!“*

ომში დაღუპული ახალგაზრდა პოეტები, მწერლები ჭაბუკებად დარჩნენ მარად ქართ-ველი ხალხის გულში. მათ ნათელ ხსოვნას, გმრობას, გულწრფელი საგალობელი უძღვნა ავტორმთქმელმა თამაზ მთისძირელმა (ჭაგან-ჭყვიში):

*„არ იქნება – არ ვიგულვო საქართველოს ხმლად და ფარად  
მათი გზნება, შემართება, – „ჭაბუკები დარჩნენ მარად!“  
მშობლიური ქვეყნის მზე და ხალხის გული ესამართ...  
უკვდავების გზებით ვლიან... „ჭაბუკები დარჩნენ მარად!“  
მძიმე დღეთა გახსენების ნამიც რეკავს გლოვის ზარად...  
ჭაბუკური სიტყვის ელვით „ჭაბუკები დარჩნენმარად!“  
ჰა, სამშობლოვ! – ალაღ შენი შვილთა სისხლი, თუნდაც ღვარად...  
რომ ჩვენც შენდა გასახარად ჭაბუკები დავრჩეთ მარად!“*

ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში პატარა საქართველომ თავისი განსაკუთრებული სიტყვა თქვა. საქართველოდან ჯარის ნაწილებში 1941 წლის 27 ივნისისთვის მოკლე მონაკვეთებში გაიგზავნა 6183 უფროსი მეთაური, 7086 უმცროსი მეთაური, 68385 რიგითი ჯარისკაცი... თა-დარიგიდან გაიწვიეს 1206 ქალი, უმეტესად ექიმები, ფერმლები და მედიცინის დები.

იმჟამად 126039 მეთაური და რიგითი ჯარისკაცი გადიოდა სამხედრო სამსახურს საქართ-ველოდან წითელ არმიამში, რომელთა დიდი ნაწილი დასავლეთის საზღვრისპირა სამხედრო ოლქებში იმყოფებოდა და ამიტომ მტრის პირველი დარტყმების მოგერიება საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, პირველებს მათ მოუხდათ.

დიდ სამამულო ომში ვანის რაიონიდან 7500-მდე კაცი იქნა განვეული, აქედან 3500-ზე მეტის სიცოცხლე იმ ქარცეცხლიანმა დღეებმა შეინირა. კავკასიის გმირული დაცვისთვის ბრ-ძოლებში დიდი ღვანლი მიუძღვით ვანელ მედიკოს მამაკაცებს. ვანელი ქალებიც მამაკაცებზე არანაკლები შემართებითა და თავგანწირვით იბრძოდნენ ფაშისტური ურჩხულის წინააღმდეგ.

შუამთელი ალექსანდრა გიორგაძე 17 წლის იყო, მოხალისედ რომ ნავიდა დიდ სამამულო ომში. მრავალი ბრძოლის ქარცეცხლი გამოიარა და შინ ჯილდოებითა და მედლებით მკერდ-დამშვენებული დაბრუნდა. შექმნა ქართული ბრწყინვალე ოჯახი. თითქმის ნახევარი საუკუნე ისტორიის მასწავლებლად მუშაობდა შუამთის საშუალო სკოლაში.

მას მშვენიერი სადიდებელი ლექსი მიუძღვნა ყოფილმა მოსწავლემ ავტორმთქმელმა მერაბ თინაშვილმა (მთისძირი): აი, ეს ლექსიც:

*„როცა მტერი დაგვემუქრა წყრომით,  
მოინდომა ჩვენი ქვეყნის დაღენვა  
და დაინყო სამამულო ომი  
შენც ეკვეთე შემოსეულ გარენართ.  
მტერს ეგონა ჩვენი ხალხი მხდალი  
და ითხოვა ქედი რომ მოეხარა,  
ფრონტზე ნადი მოხალისედ ქალი,  
რომ დაგეცვა ჩვენი დიდი ქვეყანა.  
მტრის წინაშე აღდგა ყველა ერი,  
ამან უფრო გააშმაგა ავთვალნი.  
ქადაგებდი – დამარცხდება მტერი,  
გაიმარჯვებს ჩვენი ხალხი მართალი.  
შენ სიკვდილი აღარ გქონდა დარდად,  
მტერს ებრძოდი გრძნობაშეულახველი,*

მოკვდებოდი სამშობლოსთვის – გნამდა  
დაგრჩებოდა გმირი ქალის სახელი.  
ქვეყნის ხსნაში შეიტანე ნვლილი  
და დაბრუნდი უკან ომგადახდილი.  
შენ ხარ ხალხის საამაყო შვილი  
მოღვანე და პატრიოტი ნამდვილი.“  
ისტორიულად ასე იყო მუდამ:  
„მამაკაცებს გვერდით ჰყავდათ, ვით ფოლადის ფარები  
და მტრებს მათთან ერთად სცემდნენ საქართველოს ქალები.“

მრავალი ფალსიფიკატორი ცდილობს გააყალბოს მეორე მსოფლიო ომის ისტორია. ამისათვის ათასნაირ მეთოდს იყენებენ. ისინი „ცდილობენ გერმანიის ფაშისტური არმიის მარცხი-ახსნან მკაცრი რუსული კლიმატით, კომუნიკაციების დიდ მანძილზე განფენილობით, გზების უკმარისობით, გერმანული არმიის ზამთრის ტანსაცმლით მოუმარაგებლობითა და სხვა მეორეხარისხოვანი მიზეზებით“. მით უარესი – საბრძოლო მოქმედების გეგმებში, აღნიშნულ მონაცემთა გაუთვალისწინებლობა, გერმანიის სამხედრო მოღვანეთა და პოლიტიკურ ლიდერთა შეცდომებზე მიუთითებს, და, მხოლოდ ობივატელს შეუძლია ამდაგვარ შეფასებებს დაუჭიროს მხარი.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების, მათ შორის, ქართველთა დამსახურება გახლავთ სწორედ, რომ:

„ჰიტლერმა პირსისხლიანმა ვერ აისრულა წადილი,  
ვერც ლენინგრადი აიღო, ვერც კრემლში ჭამა სადილი.“ /ხალხური/

აი, როგორ აფასებს შექმნილ სიტუაციას ავტორმთქმელი ალექსანდრე ძაგნიძე (შუამთა):

„მოვა დრო და ითქმება, წარსულ ომზე მართალი,  
გასაგები იქნება – თუ ვინ იყო სარდალი.“

ან:

„დაე, სიმართლის გამხადონ მსხვერპლი და ცხელი ტყვიით გამიპონ გული,  
მე გეკითხებით – ვინ დაიფარა განსაცდელისგანჩვენი მამული?  
ხალხის ანმყოსა და მომავლისთვის, მან უყოყმანოდ გასწირა შვილი...“

– წერს ავტორმთქმელი მარგალიტა ადვიშვილი (მიქელეფონი).

ძალზედ საინტერესოდ იკითხება ავტორმთქმელ შოთა გეგიძის (ტობანიერი) ლექსი „სტალინისა და ხრუშჩოვის გაბაასება.“ რომელშიც სტალინის საქმეთა „მოკრიტიკე“ ხრუშჩოვი ასე ჰყავს გამოყვანილი:

„დაჭრიჭინებდა, დახტოდა ჩვენი ნიკიტა პატარა,  
და უშრომ- უზრუნველობით ორჯერ ხუთნლედი ატარა.“

ან კიდევ:

„ნიკიტაო, ნიკიტაო, სოსო გჯობდა ნიჭითაო,  
ცოცხალს ვერაფერი უყავ, მკვდარს დაადექ ხიშტითაო.“

თუმცა, მოკრიტიკეთა სიმცირეს არც დღევანდელი განიცდის. საქმე იმაში კი არაა, რომ ვინმე აკრიტიკო, შესასწავლია ის ფენომენი რატომ უყვარდა იგი ხალხს, შეუმცდარი არავინაა ამ ქვეყნად. მახსენდება გოეთეს სიტყვები: დიდ ადამიანებს, ისეთივე დიდი შეცდომები რჩებათ თავიანთი ცხოვრების გზაზე, როგორც დიდ საზღვაო გემებს რჩებათ წყალზე დიდი ნაკვალევიო.

ავტორმთქმელი ივერიკო ნაფეტვარიძე (შუამთა), თავის შეხედულებას ასეთნაირად აყალიბებს:

„კაცო შავულვაშიანო, შენი სახელი მზიანობს,  
თითქმის წაგებულ ომისა ამაყად მომგებიანო.“

ომის თემაზე შექმნილი მშვენიერი იუმორისტული ნაწარმოებია სამამულო ომის მონაწილის ავტორმთქმელ ჟორაკელენჯერიძის (ფერეთა) ლექსი „სიზმრად ნანახი გმრობა,“ რომლის



ადრესატი მისი ერთ-ერთი მეზობელი ვინმე თავაძე გახლავთ. მას თავისი საბრძოლო თავგადასავალის მოყოლა ძალიან გაზვიადებულად ჰყვარება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ იუმორისტული და სატირული ლექსები ზეპირსიტყვიერების მეტად საინტერესო სფეროს განეკუთვნება.

კომიკური იუმორში წარმოდგენილია ყველაზე რბილი ტონალობით და ინვეცს მხოლოდ თანაგრძნობის ღიმილს, სიბრალულს კრიტიკის ობიექტისადმი, ხოლო სატირის ობიექტი ყოველთვის უმოწყალოდაა გამათრახებული და უარყოფილი.

ჩვენი ფოლკლორი ძალზედ მდიდარია გონებამახვილური, ენამოსწრებული გამოთქმებით: ანეკდოტებით, ეპიგრამებით, პამფლეტებით, კაფიებით, შაირებით...

ავტორმთქმელი ჟ. კელენჯერიძე თავის იუმორისტულ ლექსში „სიზმრად ნანახი გმირობა“, მართალია აქილიკებს, დასცინის მკვეხარა მეზობელს, მაგრამ ამასთანავე მის მიმართ კეთილგანწყობილებას იჩენს, ცდილობს სიცილით „განკურნოს“, გამოასწოროს მისი ადამიანური მანკიერი ბუნება.

*„ორმოცდაერთი წელია, თავზე დაგვესხა მტერია,  
სამშობლოს დასაცავადა გამოდის ყველა ერია.  
მათ შორის ჩადგა ლევარსიც მოქმედი დიდი საქმისა,  
ანი ინყება ამბავი ლევარსი როხროხადისა:  
ყირიმის ფრონტზე გავიდა, ჯერ კიდევ იყო ბნელია,  
დილა გათენდა, დაიწყო სისხლისღვრა საშინელია.  
არ დააყოვნა ლევარსიმ ხმალზე გაიკრა ხელია,  
ირგვლივ ბომბები ცვიოდა, მაინც გადარჩა მთელია.  
ადგა, მგლის მუხლი მოიბა, გული ჩაიდგა რკინისა,  
მტერს თავზე შიშის ზარს სცემდა ხმა მისი დაძახილისა.  
გერმანელებმა შეიტყვეს ფრონტზეა ვილაც გმირიო,  
იმასთან ჩვენ რას გავხდებით, უკან იბრუნეს პირიო.  
მისდევს და მისდევს ლევარსი დიდ საქართველოს შვილიო,  
ბრესტის სიმაგრე აილო, ბრიანსკში შეჰყო ცხვირიო.  
შემდეგ ბერლინიც აილო, არც ეს დაუჯდა ძვირიო,  
კაცთა სისხლისმღვრელ ჰიტლერსა გამოუთხარა ძირიო.  
სადღაც შორს ბომბი აფეთქდა, მაშინ დაეფრთხო ძილიო,  
თურმე სიზმარში რომ იყო იმ დროს გამხდარა გმირიო.“*

მინაწერი:

*„ამდენ გმირობის ჩამდენ ლევარსის  
უყურადღებოდ ვინდაარჩენდა,  
ფრონტზე პირველი რომ გასულიყო  
ოც მილიონ კაცს გადაარჩენდა!“*

ეს მინაწერი ამ ლექსისა სავსებით ლოგიკურია. მასში ავტორმთქმელმა მკაცრი განაჩენი გამოუტანა ლევარსი როხროხადის ნაირ ბაქია ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ქვეყნისა და ხალხის წინაშე თავიანთი საბრძოლო დამსახურება ჰიპერბოლიზებულად წარმოგვიჩინონ.

გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვებით გამოწვეულმა სიხარულმა და საყოველთაო აღფრთოვანებამ ფართო გამოხატულება ჰპოვა ვანელ ავტორმთქმელთა შემოქმედებაში. მათ შორის არ შეიძლება არ გამოვყოთ მთისძირელი ხალხური მელექსე ჭიჭიკო შენგელია, რომელიც ასე ხატოვნად გადმოგვცემს მილიონების გულისნადებსა და სურვილს:

*„ომის ხსენებაც არ გვინდა, რაც სისხლი ვღვარეთ, კმარაო  
ვინც ჩვენზე ხელი აღმართა, საფლავიც გაეთხარაო.  
მშვიდობა, ძმობა, ერთობა – ჩვენი ცხოვრების წესია,  
მთელს მსოფლიოში სიკეთის მარცვალი დაგვითესია  
იხარე, ჩემო ქვეყანავ, წინ, წინ განსიე მხნედაო,  
მზეს დაუზუნელებთ – თუ ომი ვინმემ კვლავ გაგვიბედაო.“*

ომის ქარცეცხლში მებრძოლთა სახელოვან გმირობას, მათ თავდადებას, პატრიოტულ შე-  
მართებასეხება ავტორმთქმელ ნ.კიკვიძის (სალხინო) ეს სტრიქონები:

*„გამარჯვების დღეს ვუმღერი, ფანდურს მოვმართე ლარები,  
მინდა გმირები ვახსენო – სიცოცხლეგაუხარები.  
მათ დაიფარეს სამშობლო იარაღითა ხელშია,  
მტერმა უნდომ და ვერაგმა ძმა გამოგვაკლო ძმებშია.  
თავგანწირულად ვიბრძოდით, სიმტკიცე იყო ჩვენშია,  
არ ვუდრკებოდით ურაგანს, ფოლადი გვედო მკერდშია.  
თავის ბუნაგში ჩავკალით ფაშიზმი ავის მზრახველი,  
ქვეყნისთვის ვინაც დაეცა – ვადიდოთ მათი სახელი!“*

1945 წლის 9 მაისის კაპიტულაციის აქტით დასრულდა ევროპის კონტინენტზე ომი. საბ-  
ჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალმა ერებმა თანაბრად გაინაწილეს ფაშიზმზე გამარ-  
ჯვებით გამონწეული უსაზღვრო სიხარული. მთელმა პროგრესულმა მსოფლიომ იზეიმა მტრის  
თავისივე ბუნაგში განადგურება.

ფაშიზმზე საბჭოთა ხალხი ძლევამოსილ გამარჯვებას გულწრფელი ჰიმნი მიუძღვნაავ-  
ტორმთქმელმა ჯანუკო ლომინაძემ (ზეინდარი).

*„შევავსოთ ყანწი და ვადღეგრძელოთ, ვინც გამარჯვება ქარგა ტყვიებით,  
ვინც სამშობლოსთვის დაღვარა სისხლი და მტერს ეკვეთა შურისძიებით.  
ვინც გულუშიშრად, ხმალშემართულმა, მომხვდურს ჩასდია ბერლინის კართან,  
ნაცრად აქცია მტრების ბუნაგი და რაიხსტაგზე დროშა აღმართა.“*

დიდება სამამულო ომისყველა მონაწილეს, მარადიული ნათელი ადგეს სამშობლოსათვის  
დაღუპულთა ხსოვნას, დიდება მას, ვინაც ცოცხალი დაუბრუნდა მშობლიურ კერას და თავისი  
ღირსეული წვლილი შეიტანა და შეაქვს ქვეყნის აღმშენებლობის საშვილიშვილო საქმეში.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. არჩილ ტაკიძე, „იოსებ სტალინი,“ გამ. „ივერიონი“, თბ. 2013 წ.
2. ა. ვასილევსკი, „არსი მთელი ცხოვრებისა,“ თბ, 1982 წ.
3. უ. ჟუკოვი, ტ-2, გვ.246.
4. ილია ტატიშვილი „იაკობ ჯულაშვილი,“ გამ. „მერანი“, 1991 წ.
5. „საქართველოს ისტორია,“ ტ. IV ,ავტორთა ჯგუფი, 2012 წ.
6. ვანელ ხალხურ მელექსეთა ნაწარმოებები.

ზომი რამ დიდი ომის ორ კონკრეტულ საკითხზე

მხედველობაშია მეორე მსოფლიო ომი, მაშინდელი საბჭოთა სივრცისათვის დიდი სამამულო ომი.

1. ამ ომისადმი ინტერესი დიდია და მასზე საუბრები საუკუნეების შემდეგაც გაგრძელდება. 2. მიმდინარე წლის 9 მაის შესრულდა 70 წელი ევროპის კონტინენტზე მისი დამთავრებიდან, ამდენად საუბარი გვინევს წარსულ დროში. 3. დრო ხვენს და შედარებით სრულყოფილს ხდის ურთულეს სიტუაციათა მონესრიგების მეთოდებსა და საშუალებებს, თუმცა მიზნები და ინტერესები რჩება იგივე, ეპოქა, ინტერესთა თანხვედრები და განსხვავებანი ქმნიან შესაბამის მოქმედებათა კასკადს, ამიტომაც პროცესთა განხილვა ეპოქისაგან ამოვარდნილად ნაკლებად იხრება ობიექტური განსჯისკენ, ამ ტოტალურ ომთან დაკავშირებით ამის მაგალითები უამრავია, მათ შორის ჩვენთანაც, საქართველოში. 4. სტატიის მიზანიც ომის ორ საკითხზე შეხსენების მცდელობაა.

ომი ან ომები მსოფლიოსათვის უცხო ხილს არ წარმოადგენს. თითოეულ მათგანს ჰქონდა და აქვს ლოკალური ან გლობალური მიზანი: ტერიტორიების, ე.წ. „საარსებო სივრცის“ დაპყრობა-გადანაწილებიდან, ახალი სიმდიდრის მოპოვების ჩათვლით. ზემოთქმულში არავითარი სიახლე არაა, იგი ასე იყო და ასეთად რჩება დღემდე, განადგურების „ზეცივილიზებული“ ფორმების დახვეწიდან, მოუშუშებელ ტკივილთა ჩათვლით. რაც შეეხება დაწყების მიზეზებს იგი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ თუ არ არსებობს შეიძლება მოიძებნოს, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიამ 25 წლიან მონაკვეთში წამოიწყო ომის მსოფლიო ომი, (თარიღობრივად 1914 — 1918 წწ. 1939 — 1945 წლებში) არნახული ნგრევებითა და ადამიანური დანაკარგებით. ციფრებზე აქ შეგნებულად არ ვსაუბრობთ. მიგვაჩნია, რომ ობიექტურად გაცნობიერებული ადამიანებისათვის იგი სიახლეს არ წარმოადგენს და არც ის წამოადგენს სიახლეს, რომ ორივე შემთხვევაში, ამ ქვეყანას, სათავეს მიზნებით, ამკარად და ფარულად გვერდით ედგნენ ევროპისა და არაევროპის წამყვანი სახელმწიფოები, ფულით და პროპაგანდისტული უზრუნველყოფით. ამის აუარებელი ფაქტებია და მათ რეალობას ვერ ცვლის სიტუაციათა და მოვლენათა შელამაზება, რომელზედაც არაერთხელ თქმულა და უფრო ობიექტურად ითქმება მომავალში. ვფიქრობ, იმ დროისათვის, მომავალი თაობა, როდესაც ამ პროცესთა განსჯას გადაწყვეტს, რამდენადმე თავისუფალი იქნება ფალსიფიციციების დაავადების, ანგაჟირებულ მკვლევართა და მედიასაშუალებებისაგან.

უნდა ითქვას ერთიც, ომში გამარჯვებული ქვეყნებიდან ისე გაუფასურებულად, უმადურად, არავინ ეკიდება ამ საკითხს, როგორც ჩვენთან, საქართველოში. კარგია ერთჯერადად გაღებულ სახელისუფლო დახმარებები, მაგრამ იმ ცრუ, დამამცირებელი ვერსიების ფონზე, რომელსაც ტირაჟირება უკეთდება სხვადასხვა ძალების მიერ, ასეთი მონყალეობაც ფასს კარგავს. გვახსოვს XX საუკუნის 90-იანი წლების თანმხლები პროპაგანდა, რომლითაც ლამის სამშობლოს მოღალატეებად შერაცხეს. ყველა ქართველი ვინც მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებასთან ერთად გერმანულ ავანტიურას დაუპირისპირდა. სამწუხაროდ, გვიყვარს ზოგჯერ ასეთი დაუფიქრებელი კურიოზებით თამაშები!

როდესაც ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინა პერიოდებს ეცნობი, გერმანული სახელმწიფოს აქტიურ ჩართულობას პროცესთა მსვლელობაში, არაბუნებრივად არ ჩანს ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალზე ამერიკელი ბრალმძებლის ჯეკსონის დასმული კითხვა: „— გერინგ<sup>1</sup> დაწყებული მეათე საუკუნიდან არ ყოფილა პერიოდი, როდესაც გერმანია ან არ ომობდა, ან არ ემზადებოდა ომისათვის, რით შეგიძლიათ ახსნათ თქვენ ყოველივე ეს?“

გერინგის პასუხი: — თუ თქვენს წინაშეა ერთი გერმანელი იგი წესრიგისადმი ადამიანია, თუ ორი ესაა ბანდა, თუ სამი ისინი აუცილებლად გამოიწვევენ ომს<sup>2</sup>...“ ამას აქვს გაგრძელება თუ საიდან იწყება გერმანელი ახალგაზრდობის აღზრდა და ა.შ. შეურაცხმყოფელია ეს შეფასე-

<sup>1</sup> გერინგი-გერმანიის რეისხმინისტრი ჰიტლერის მემკვიდრე.  
<sup>2</sup> ნიურნბერგის პროცესი ტომი II 1957 წლის გამოცემა

ბა, ისეთი, ყოველმხრივ მოწესრიგებული ერისათვის, როგორსაც გერმანელები წარმოადგენენ. გერინგმა ხელი გადაახოცა თავის ხალხს, ხალხები კი ომსა და ომებს არასდროს არ იწყებენ, ამის მაგალითები ისტორიას არ გააჩნია. ხელისუფლებააპასუხისმგებელი ნებისმიერ საშინაო-საგარეო, პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გართულებებზე, რომელთა გაგრძელებას არაიშვიათად წარმოადგენს საომარი მოქმედებანი. სწორედ ისინი „ახერხებენ“ მასების საომარ განწყობილებათა შექმნასა და მოქმედებაში ჩაბმას, არ იქნება ობიექტური თუ ვიტყვი, რომ გერმანიისათვის მიზეზთა გარკვეული წყება არ არსებობდა, მაგრამ როდესაც ამას მიემატა ავანტიურისტული პრეტენზიები მსოფლიო ბატონობისათვის, პროცესმა მიიღო კატასტროფული ხასიათი – „მე ვანხორციელებ ძალისმიერ პოლიტიკას, ვიყენებ ყველა საშუალებას, არ ვზრუნავ ზნეობრივ კოდექსებზე, პოლიტიკაში არ ვცნობ არავითარ კანონებს... ჰიტლერის სიტყვებია რაუშინგთან საუბრისას.<sup>1</sup> „მე ვანთავისუფლებ გერმანელ ხალხს ისეთი ქიშკირისგან როგორიცაა სინდისი, ... როდესაც მესმის სიტყვა მშვიდობა მზად ვარ იარაღზე ვიტაცო ხელი“ „...ესეც ჰიტლერის სიტყვებია წარმოთქმული გენერალიტეტთან ბერხტენსგადენში.“<sup>2</sup> სწორედ ამ მოვლენათა ზნეობრივი შეფასების შედეგია, როდესაც გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა, ჩემი აზრით, ყველაზე დიდმა პოლიტიკოსმა ბისმარკის შემდეგ, მსოფლიოს წინაშე საჯაროდ მოიხადა ბოდიში ყველა იმ უბედურების გამო, რაც გერმანიის მიერ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას მოჰყვა.

ჩვენ გვანტიერებს პასუხი შემდეგ კითხვებზე: დღეს ტირაჟირებულია – პირველი – ომი არ დაიწყებოდა, რომ არა ე.წ. რიბენტროპ მოლიტოვის პაქტი, მეორე – რომ არ დამარცხებულიყო გერმანია, აღადგენდა საქართველოს სუვერენობას, გავყვით ფაქტებს.

მეორე მსოფლიო ომის საფუძველი გაჩნდა თითქმის იმავე დღეს რაც პირველ მსოფლიო ომში, დამარცხებული გერმანიის ხელმძღვანელობას, ფრანგი მარშლის, ფოშის სალონ ვაგონში, ხელი მოაწერიეს კაპიტულაციაზე. პარიზის, ვერსალის საზავო ხელშეკრულებებმა, თავისი გადანყვეტილებებით გახსნა გზა ახალი ომის დაბადებისათვის, როდესაც ხსენებულ ხელშეკრულებათა ძირითად ასპექტებს ეცნობი, დიდი ძიება არ სჭირდება იმას, რომ გამარჯვებული ქვეყნები (ინგლის-საფრანგეთი და საომარ მოქმედებაში ბოლოს ჩართული აშშ) თავადვე იყვნენ დარწმუნებულნი მშვიდობის შენარჩუნებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა, არასიმყარესა და არახანგრძლივობაში. ხელშეკრულების კაბალურპირობებს გერმანია ხანგრძლივად არ მოითმენდა. იგი აქციეს ევროპის რიგითზე დაბალ „დერჟავად“. იძულებული ჰყვეს ნასულიყო მაქსიმალურ დათმობებზე, ეცნო „მშვიდობიანი“ მოლაპარაკებების შედეგი. ფრანგებმა, გამარჯვებულმა და ევროპის კონტინენტზე ჰეგემონობის პრეტენდენტმა ქვეყანამ, მოითხოვა გერმანიას ჩამორთმეოდა მნიშვნელოვანი ტერიტორიები, რითაც შემდეგში მოხდებოდა გერმანიის ეკონომიკური დიფერენცირება, ამის შემდეგ, როგორც მთავარი კონკურენტის განდევნა მსოფლიო და ევროპული ბაზრიდან.<sup>3</sup> ვერსალის ხელშეკრულებამ განსაზღვრა: გერმანიას რეპარაციის სახით უნდა გადაეხადა 20 მილიარდი დოლარი, მსოფლიომ მიიღო ახალი ტერიტორიული გადანაწილება. საფრანგეთს გადაეცა ელზასისა და ლოტარინგიის ფართობი 14582 კვ-კმ, საარის მართვა 15 წლით გადაეცა ერთალიგას, დემილიტარიზებული გახდა გერმანიის რეინის მარცხენა ნაპირი, მარჯვენა ნაპირზე 15 წლით განისაზღვრა გამარჯვებულთა საოკუპაციო ჯარების ჩაყენება, ბელგიას გადაეცა გერმანიის 1045, დანიას 3966 კვ-კმ ფართობი. განისაზღვრა ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთთან სახელმწიფო საზღვრები და ა. შ. საბოლოო შედეგით გერმანიის ტერიტორია 1914 წელთან შედარებით შემცირდა 1/8 -ით, საერთო ჯამში 64 ათასი კვ-კმ -ით, მოსახლეობა ერთი მეათედით, გერმანიამ დაკარგა კოლონიები სამხრეთ დასავლეთ აფრიკაში, ახალ გვინეაში, სამოასა და ახალზელანდიაში, ჩინეთში, ლიბერიაში, სცნო საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე, ინგლისისა ეგვიპტეზე. ამდენად, გერმანიამ „უარი განაცხადა“ ზღვის იქეთა ტერიტორიების მფლობელობაზეც, რომლის საერთო ფართობი 3 მილიონ კვ-კმ შეადგენდა და განფენილი იყო სამ კონტინენტზე. ყველა ეს ტერიტორია პროტექტორატის სახით გადავიდა ინგლის-საფრანგეთის, იაპონიის, როგორც მანდატორი სახელმწიფოების ხელში,

<sup>1</sup> რაუშინგი - დანცინგის სენატის პრეზიდენტი. შემდეგში გაიქცა ამერიკაში.

<sup>2</sup> военно исторический журнал-документы и материалы—1967 წელი. ეს ფრაზები უფრო მკაფიოდაა გამოკვეთილი ჰიტლერის ნიგნში „ჩემი ბრძოლა“.

<sup>3</sup> Провал мюнхенской политики



სხვათაშორის, 1918 წლის ბოლოს მენშევიკური ხელისუფლების წლებში, ამ ფაქტს უკავშირდება ინგლისური საჯარისო დანაყოფების შემოსვლაც საქართველოში. გერმანია დააყენეს ფინანსური ვალდებულების წინაშე, დაეკისრა უზრუნველყო საოკუპაციო ჯარების შენახვა, გამარჯვებულთათვის გადაეცა ოქროს მარაგი და ძვირფასეულობა, რომელიც მან მიიღო ყოფილი მოკავშირეებისგან. გერმანიას შეეძლო ჰყოლოდა 100 000-ანი დაქირავებული არმია 4 000 ოფიცრით, მასვე მოკავშირეებისათვის უნდა გადაეცა 30 000 ტყვიამფრქვევი, 2 000 თვითმფრინავი, 5 000 საარტილერიო დანადგარი, 3 000 ნაღმტყორცნი, 15 დღეში უნდა გაეყვანა თავისი ჯარები ევროპისა და აზიის ტერიტორიებიდან და ა.შ. თუმცა მოკავშირეებმა, აშშ-სთან ერთად, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, მალევე დაიწყეს გერმანიის არმიისათვის ახალი გეგმების დამუშავება, რომელიც გაითვალისწინებდა სსრკ-ს წინააღმდეგ გერმანიის მიერ საომარი მოქმედების დაწყებას. პროექტის შექმნა დაევალათ ფრანგ მარშალ ფოშს და გერმანელ ფელდმარშალ ლიუდენდორფს.

II მსოფლიო ომით საფუძვლიანად იხეირა ცალკეულმა სახელმწიფოებმა და მონოპოლიებმა. აშშ, რომელიც ომამდე, რამდენადმე, გაჯერებული იყო ევროპული კაპიტალით, დებიტორიდან იქცა კრედიტორ ქვეყნად, მის ხელში მოექცა მსოფლიოს ოქროს მარაგის 40-პროცენტზე მეტი. აქვე გაჩნდა 120-ზე მეტი ახალი მილიონერი, ომით სიმდიდრის დაგროვების პროცესები 1939-45 წლებშიც გაგრძელდა, მარტო გერმან გერინგი გერმანიის რაიხსმინისტრი და ჰიტლერის მემკვიდრე – ნელნელა გახდა უდიდესი მონოპოლისტიც, მისი კონცერნი აერთიანებდა 177 – ქარხანას, 69 – სამთოსამრეწველო და მეტალურგიულ დაწესებულებას, 158 – სავაჭრო კომპანიას, 46 – სატრანსპორტო და 15 – სამშენებლო ფირმას, განფენილსევროპის მთელ კონტინენტზე. ეს არის ერთი მაგალითი, ომის გზით გამდიდრებისა. თუ გავაცნობიერებთ იმ დროისათვის გერმანიაში შექმნილ სიტუაციას, სირთულეებსა და პერსპექტივებს შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ვინ, ვინ, მაგრამ ეს ქვეყანა ძნელად შეეგუებოდა ისეთ ატმოსფეროში ცხოვრებას, რომელიც მისთვის განისაზღვრა. ამიტომ ნებისმიერი მმართველი ამ საღატეებისაგან განთავისუფლების საკითხს აუცილებლად დასვამდა, რა ფორმით, სხვა საკითხია, მაგრამ ჰიტლერმა იგი დასვა ისე, როგორც შეეფერებოდა მის ბუნებას, მიდრეკილებებს, ქვეყნის მონოპოლისტურ წრეებს, განსაკუთრებულად სამხედროსამრეწველო კომპლექსს და უპირველესად გენერალიტეტს, რომელთა ძალისხმევითაც განპირობდა 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლა.

თუ საუბარი წავა მეორე მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე ევროპისა და გერმანიის სახელმწიფოებრივ მოწყობასა და საზღვრებზე, რომელიც რამდენადმე ჰგავს პირველი მსოფლიო ომის შედეგებს, მხედველობაშია მისაღები ომის შემდეგი სტრუქტურულად შეცვლილი მსოფლიო, ძალთა გადანაწილება, ბალანსი და ისიც, რომ ამ დროისათვის საკითხთა პრობლემატიკას არ სწყვეტდა მხოლოდ კაპიტალისტური სამყარო. აქედან გამომდინარე, მამინდელი საბჭოთა ქვეყნის ლიდერმა ი. სტალინმა პოტსდამის კონფერენციაზე კატეგორიულად დასვა საკითხი: „ჩვენ დღეს, მსოფლიო უნდა მოვანყოთ ისე, მშვიდობა შენარჩუნებული იქნას მინიმუმ 50 წლის მანძილზე“<sup>1</sup> და ძირითადად ეს შენარჩუნდა კიდევაც, თუმცა დღევანდელი მსოფლიო აშკარად ჰგავს მეორე მსოფლიო ომის წინაპერიოდისას, ცხადია ეს პიროვნული მოსაზრებაა და გაზიარება სავალდებულო არაა.

1920-იანი წლების სანყის ეტაპზე, ომის შედეგებიდან, გერმანია დადგა სოციალურ-ეკონომიკური აფეთქების ზღვარზე, მოსალოდნელი გახდა ცენტრალურ ევროპაში ახალი რევოლუციების კასკადიც, საჭირო შეიქმნა პრობლემებზე ახალი მიდგომის შემუშავება, რომელიც ამერიკელი ბანკირის დაუესის ხელმძღვანელობით და ექსპერტთა საერთო კომიტეტის ჩართულობით განხორციელდა 1923-24 წლებში, დაამტკიცა იგი ლოკარნიის კონფერენციამ 1925 წლის ოქტომბერში, ამით დაიწყო გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღორძინების ახალი პერიოდი, ლოკარნიის შეთანხმება, რომელსაც ესწრებოდნენ დიდი ბრიტანეთის საფრანგეთის გერმანიის, იტალიის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლები პრაქტიკულად წარმოადგენდა ვერსალის (1919 წ) შეთანხმების გაგრძელებას და იქცა ძალთა ახალი გადაჯგუფების, ასევე ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის საფუძვლად. რითაც მოხდა გერმანიის პოზიციების გაძლიერება, გერმანია მიიღეს ერთალიგაშიც, თუმცა 1933 წელს მან

<sup>1</sup>თეირანი, ილტა, პოტსდამის კონფერენციის მასალები.

დემონსტრაციულად დასტოვა ეს ორგანიზაცია, აქედან სამი წლის შემდეგ შეიყვანა ჯარები რეინის დემილიტარიზებულ ზონაში. რეინი დაემორჩილა გერმანიის ადმინისტრაციულ და სამხედრო მმართველობას. ფაქტს, როგორც ჩანს, ვერსალის ხელშეკრულებაზე ხელმომწერ მხარეთაგან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ საკითხზე ნიურნბერგის პროცესზე გახსნილად ისაუბრა კეიტელმა<sup>1</sup>, მისი განცხადებით „ეს იყო უდიდესი რისკი, რადგან გერმანია ამ მომენტში არ იყო მზად ასეთი სარისკო ოპერაციის განსახორციელებლად და საკმარისი იყო მარტო საფრანგეთის თავგამოდებაც, რომ დაემარცხებულებოდა. ეს რისკი თავისთავზე აიღო ჰიტლერმა და გაამართლა... იქვე, ბრალმდებლის შეკითხვაზე, როგორ აფასებთ თქვენ ჰიტლერს? მისი პასუხი არის ასეთი: „ჰიტლერი იყო გენია, მაგრამ დამანგრეველი სახით,“<sup>2</sup> თუმცა გერმანიის გენერალიტეტის ნაწილში არსებობდა სხვა მოსაზრებაც.

საგულისხმოა, რომ დაუესის გეგმისპარალელურად, პირველეთაპზე, ამერიკისუმსხვილეს ბანკირთა მორგანის სახლმა გერმანიას მიანოდა 800 - მილიონიანი სესხი. საერთოდ 1924-29 წლებში საზღვარგარეთიდან გერმანიის სახელმწიფოზე გაცემული სესხი გრძელვადიანი კრედიტების სახით, აღემატება 15 მილიარდ დოლარს, ამას ემატება 6 - მილიარდიანი მოკლევადიანი სესხიც, სულ 21 მილიარდის ფარგლებში, რამაც მოახდინა გერმანიის ეკონომიკის, უპირატესად სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის გიგანტური გაძლიერება. სესხის 70% -ი გავიდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დანარჩენი ნაწილი ინგლის-საფრანგეთისა და ბელგიიდან. ამ პროცესით საფუძველი ჩაეყარა ოთხ ახალ მიმართულებას: 1 - გამოიკვეთა ევროპაში აშშ, როგორც მთავარი კრედიტორის გავლენის გაძლიერება, 2 - ფინანსური ცენტრი ევროპიდან გადავიდა ამერიკის ხელში, 3 - გერმანიის სამრეწველო პოტენციალი ძირითადად გახდა დამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატზე, 4 - მოვლენათა განვითარებამ ინგლის-საფრანგეთის გავლენა შეავიწროვა და გვერდზე მისწია. ამას თუ დაუმატებთ, რომ აშშ-დან გერმანიას გადაეცა თვითმფრინავთ მშენებლობის პროექტები, უახლესი ტიპის თვითმფრინავებისთვის 290 მოტორი, მილიტარისტული პროგრამის განსახორციელებლად, მივლინებული იქნა სამხედრო-სამრეწველო დარგის 300-ზე მეტი სპეციალისტი, გამოდის, რომ ამავე პერიოდისა და იწყება ვერსილის შეთანხმებათა თანამიმდევრული ნგრევა და გერმანიის საომარი მზადებისათვის ხელშეწყობაც. მარტო ამ პირველი ეტაპითაც კარგად ჩანს, რომ მსოფლიოს მაშინდელი წამყვანი ქვეყნები აშკარად არიან ჩართულნი II მსოფლიო ომის მომზადებაში და უპირატესად ისინი, რომლებმაც გერმანიის სასარგებლოდ ძალისხმევა არ დაიშურეს.

ასევე, II - მსოფლიო ომის მზადების შემდეგი საფეხურები აშკარად უკავშირდება XX - საუკუნის 30-იანი წლების ორ მძლავრ, ეკონომიკურ მსოფლიო კრიზისს, რომელმაც პლანეტა დააყენა ახალი რყევების წინაშე. ამდენად ეს ომი დაბადა მსოფლიო კაპიტალიზმის სისტემის საერთო კრიზისმაც, რომელმაც მოიცვა 1929-33 წლების ყველა სფერო, მრეწველობა, ფინანსები, ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა გაგრძელდა 4 წელზე მეტი, II- კრიზისული მოვლენა 1933 წელს, შედარებით გაცოცხლების შემდეგ იწყება, რადროიდანაც სხვადასხვა სფეროში მკვეთრად დაეცა სტრატეგიული პროდუქციის გამოშვება, ამის ერთ-ერთი მიზეზი გახდა გასაღების ბაზრების შევიწროვება, დამახასიათებელი სტაგნაციური მოვლენებით, შემცირდა სანარმოების მწარმოებლური დატვირთვა, გაიზარდა მასიურ გაფიცვათა რაოდენობა. ინგლისში 1929-32 წლებში 5000-მდე, ხოლო აშშ-ში 1932-37 წლებში დაფიქსირდა 10927 მცირე და დიდი გაფიცვა. კრიზისი გადასწვდა ევროპის ცენტრსაც და ამ პერიოდში ითქვა ჰიტლერის სიტყვებიც გენერალიტეტის და პოლიტიკურ მოღვაწეთა საიდუმლო თათბირზე - „გერმანიაში ეკონომიკური პრობლემების მოგვარება შეუძლებელია საზღვარგარეთის ქვეყნებში სამხედრო ძალით შეჭრის გარეშე, მათი სიმდიდრის დაპყრობის გარეშე,“<sup>3</sup> თუმცა მასვე ეკუთვნის მრავლის მომცველი ფრთოსანი ფრაზაც: „მინა, რომელზეც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები არ ყოფილა ღვთის საჩუქარი, იგი მოპოვებული იქნა მოზეიმე იარაღის მეშვეობით... თუ გერმანიას სურს საარსებო სივრცე, იგი ჩვენ უნდა მოვიპოვოთ აღმოსავლეთის, კონკრეტულად რუსეთის ხარჯზე. თვით ბედმა განსაზღვრა ეს გზა ჩვენთვის“<sup>4</sup>.

1 კეიტელი - გერმანიის „ვერმახტის“ უმაღლესი მათავარსარდლობის შტაბის უფროსი.

2 ნიურნბერგის პროცესი ტ-II -1957 წ.

3 ნიურნბერგის პროცესი ტ -I-1957 წ. გვ.177

4 „ჩემი ბრძოლა.“ სამხედრო ისტორიული ჟურნალი. 1990 წელი.

1933 წელს ჰიტლერის მოსვლამ (მოყვანამ) ხელისუფლების სათავეში, დათმობებმა მისი ამბიციების წინაშე, მსოფლიო უკვე დააყენა ომის ზღვარზე. ჰიტლერის მოყვანა ხელისუფლებაში, რომელსაც საფუძველი მისცეს გერმანიის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებმა და გენერალიტეტმა, აღქმული იქნა, როგორც გადამწყვეტი ნაბიჯი ანტისაბჭოთა გეგმების განხორციელებისათვის. ამ მისწრაფებას ჰქონდა კონკრეტული მიზანდასახულობა, მაგრამ ჰიტლერისა და მისი უმაღლესი ელიტის სწრაფვანი, გერმანიის სრული რეაბილიტაციის, ევროპის მადომინირებელ ქვეყნად ქცევის და აქედან მსოფლიო ჰეგემონობაზე, საერთოდ იყო ცნობილი იქედან; როდესაც ჰიტლერი ასპარეზზე გამოვიდა, როდესაც ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პირველ უჯრედებს ქმნიდა, როდესაც ციხეში თავის წიგნი „ჩემი ბრძოლა“ დაწერა, რომელიც უხვადაა გაჯერებული საომარი რიტორიკით და პრაქტიკულად იქცა 30-იანი წლების გერმანიისსამოქმედო პროგრამად, როდესაც 1933 წლის თებერვლიდან სპეციალური დირექტივით დაიწყო ამ პროგრამის მრავალმხრივი რეალიზაცია. ყველაფერი ეს ხდებოდა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების თვალწინ, მათგან დათმობების ფონზე, ამიტომაც 30-იან წლებში ამ ქვეყანაში საბრძოლოშეიარაღების ტემპმა გიჟურ აპოგეას მიაღწია. ნიურნბერგის პროცესზე აშშ-ს დიპლომატი ჯონ მესერშიმდტი აცხადებდა, რომ მას ჰქონდა ახლო კონტაქტები გერმანიის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სადაც ისინი გახსნილად საუბრობდნენ განზრახვაზე: დაამყარებდნენ ბატონობას მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაზე, ჩეხოსლოვაკიიდან თურქეთამდე. ფონ პაპენის თქმით პირველი ამ გზაზე იქნებოდა ავსტრია,<sup>1</sup> გერმანიის „ქვანახშირის მაგნატმა იალმარ შახტმა კოლონიურ მოთხოვნათა ტიპის სტატიები გამოაქვეყნა თვით აშშ-ს პრესის საშუალებით,<sup>2</sup> ამას მოჰყვა გერმანიის, გაძლიერებული სამრეწველო კომპლექსის, ნედლეულითომომარაგების უზრუნველყოფისათვის გერმანიის ულტიმატუმების ინტენსივობა დაკარგული კოლონიების დაბრუნებაზე მოთხოვნით. გახშირდა ჰიტლერის ოფიციალური გამოსვლები, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკული მოქმედების სიგნალად. ყოველივე ეს ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც დიდი ბრიტანეთი მიზეზთა გამო უკვე ვეღარ ინარჩუნებს კოლონიებს და მასზე გავლენას ავრცელებს აშშ. ამ დროისათვის ინგლისელთა „კოლონიურ მემკვიდრეობაზე“ პრეტენზიებს აშკარად აცხადებს გერმანიაც, თუმცა არაჩვეულებრივი კონკურენტული ბრძოლით, „არამედ იარაღის ძალით“. იაპონიის მიერ განხორციელებული აგრესია ჩინეთზე, იტალიის მიერ 1935 წელს აბისინიის დაპყრობა, გერმანიის კაპიტალის ექსპანსია ამერიკის კონტინენტზე, ხოლო უფრო მოგვიანებით (1938 წლიდან) გერმანული იარაღის შეტანამ ბრაზილიაში, კოლუმბიაში, არგენტინაში, აშშ. ხელისუფლება მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, ქვეყნის სამხედრო და საზღვაო მინისტრებს დაემუშავებინათ ლონისძიებათა გეგმა, რომელიც განხორციელდებოდა, თუ კონფლიქტი მოხდებოდა გერმანულ სახელმწიფოსთან. 1938 წლის ივლისში, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა სახელმწიფო მდივნის წინადადებით ქმნის სპეციალურ სახელმწიფო კომიტეტს ამერიკის კონტინენტზე გერმანია-იტალიის გავლენის შესაკავებლად. ობიექტურ სამხედრო ისტორიკოსთა დიდინანილი თვლიდა და თვლის, რომ ეს პროცესები უნდა ჩაითვალოს მეორე მსოფლიო ომის დასაწყისად. მართალია იმ დროს ლოკალური მასშტაბით, მაგრამ მაინც დასაწყისად. მხედველობაშია მისაღები 1937 წლის ნოემბერში, ბერლინში, ინგლისის პრემიერ ჩემბერლინის წარმომადგენლის გალიფაქსისა და ჰიტლერის შეხვედრის ზოგიერთი ნიუანსი, სადაც გალიფაქსმა ხაზგასმით გამოკვეთა გერმანიის უპირატესობა კომუნისტთან ბრძოლაში, რომ ამ მიმდინარეობას გერმანიამ გადაუკეტა გზა ევროპაში გავრცელებისგან, ამიტომაც გერმანია ითვლება ბასტიონად ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რის გამოც კოლონიურ საკითხებში მას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა, რომ ამ ბასტიონის ირგვლივ აუცილებლად უნდა გაერთიანდნენ უპირველესად ინგლისი, შემდეგ საფრანგეთი და იტალია. ამ შეხვედრაზე გაჟღერდა ჰიტლერის მოთხოვნაც: „პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს გერმანიის კოლონიური პრეტენზიები, რის გარეშეც მას არ შეუძლია მისცეს გარანტია შემდგომ თანამშრომლობაზე... რომ ევროპაში წესრიგი ადრე თუ გვიან შეიძლება შეიცვალოს... ცვლაში მოიაზრებოდა დანცინგი, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია,“ შინაარსობრივი დატვირთვით ჩანს რომ ეს ქვეყნები ხდებოდნენ მსხვერპლნი

<sup>1</sup> ნიურნბერგისპროცესიტი , 1957 წელი

<sup>2</sup> სამხედრო ისტორიული ჟურნალი - რუბრიკები - დოკუმენტები და მასალები.



თუ გერმანია გადადგამდა ნაბიჯს სსრკ-ს წინააღმდეგ.<sup>1</sup> ეს საუბარი და მინიშნება მრავალმხრივი დატვირთვის მატარებელია, ინტერესებიდან გამომდინარე ოდნავ მლიქვნელური, და მაინტრიგებელიც, მაგრამ მიზანმიმართული.

პოლიტიკურ სცენაზე ურთიერთობათა შედეგად ჰიტლერი დარწმუნდა ინგლის-საფრანგეთის ხელმძღვანელების (ჩემბერლენი დალადიე) სისუსტეებში, უკომპრომისო დამოკიდებულებით აღწევდა მათგან დათმობებს. იგი ამ დროს ხისტად თამაშობდა, მაგრამ წარმატებულად. ჰიტლერის სამხედრო მოქმედების პრიორიტეტს წარმოადგენდა აღმოსავლეთის მიმართულება, მაგრამ არსაიდან არ ჩანს, რომ მან როდისმე უარი თქვა ევროპის ქვეყნების დამორჩილებაზე, რომლითაც თავს იტყუებდა ამ კონტინენტის არაერთი ქვეყნის ლიდერი, ჰიტლერი ხისტად თამაშობდა გერმანულ საშინაო პოლიტიკის საკითხებშიც. 1933 წლის თებერვალში გაკეთდა პირველი განაცხადი, „რომ საჭიროა შიგა პოლიტიკური გარემოს სრული ცვლა, „ქვეყანაში ყველა მემარცხენე მიმდინარეობის განადგურება. ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას, რომ ჩვენი დამხმარე შეიძლება იყოს მხოლოდ ბრძოლა, საჭიროა ნიადაგის მომზადება ვერსალის პოლიტიკის წინააღმდეგ. არ იქნება მოთმენილი არავითარი განწყობა, რომელიც შიგა პოლიტიკურ ცვლას შეეწინააღმდეგება, ვინც არ დაგვემორჩილება გავანადგურებთ.“<sup>2</sup> განხილული იქნა მომავალი საომარი მოქმედების ყველა ვარიანტი. – „მე ვსვამ მთავარ ამოცანად – განაცხადა ჰიტლერმა: 1. „გერმანიის არმია ოთხი წლის შემდეგ მზად უნდა იყოს ომისათვის. 2. გერმანიის ეკონომიკა ოთხი წლის შემდეგ მზად უნდა იყოს ომისათვის,“ ხოლო 1937 წლის 24 ივლისის დირექტივითარამოყალიბდა ახალი ომის ხუთივარიანტი.<sup>3</sup> ამის შემდეგ გენერალიბლომბერგი აცხადებდა: აღმოსავლეთში ომი შეიძლება დაიწყოს ჩეხოსლოვაკიაში მოულოდნელი შეჭრით, 1934 წელს გერმანიის გენშტაბმა დააანონსა ახალი ფართომასშტაბიანი ომის დაწყება. ცნობილი და გამოქვეყნებულია ჰიტლერის საუბარი გენერალიტეტთან მოქმედების, დროის შერჩევის შესახებ, რომელსაც ბოლო ზღვრად მიაჩნია 1943-45 წლები, შეიძლება უფრო ადრეც, ამის შემდეგ მისი აზრით: 1. სიტუაცია შეიცვლება გერმანიისათვის არასასარგებლოდ: 2. გერმანიის შეიარაღება დაძველდება, 3. რეზერვი ამოიწურება, 4. დადგება რეჟიმის შესუსტების დრო, შემდეგ ამას მოსდევს მეზობელ ქვეყნებში სიტუაციათა მოსალოდნელი განვითარების ანალიზი და კონკრეტული მოთხოვნა მზადების ტემპის დაჩქარების შესახებ. 1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერისკაბინეტში, ვერმახტის ხელმძღვანელობამ წარმოადგინა ჩეხოსლოვაკიაზე თავდასხმის გეგმაც. ამ პერიოდიდან მოკიდებული, მოლაპარაკებათა და შეხვედრათა კასკადი, რომელიც თვით ჰიტლერსა და მის პოლიტიკურ, დიპლომატიურ წრეებს ჰქონდა განსაკუთრებულად ინგლის-საფრანგეთის და რიგ სხვა ქვეყნების შესაბამის წრეებთან. რამდენადმე ატარებს მოთვლით ხასიათს, ამ დროის მანძილზე მას არასდროს გადაუხვევია ძირითადი პრინციპებისგან, რომელიც მსოფლიო ბატონობას გულისხმობდა 1930-იანი წლების ბოლოს გერმანია თავისი გლობალური პოტენციალის მიხედვით ხდება ევროპის ზემძლავრი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია უკარნახოს პოზიციები. ამავე პერიოდს ემთხვევა მსოფლიო გახლჩა ორ სამხედრო დაპირისპირებულ ბანაკად, ერთის მხრივ გერმანია-იტალია-იაპონია, მეორე ინგლისი, საფრანგეთი-აშშ მხარდაჭერით. ეს იყო მოულოდნელი დარტყმა, ისედაც სუსტ ვერსილის საზავოპირობებზე. ამ ქაოსით შესანიშნავად ისარგებლა ჰიტლერმა თავისი ჩანაფიქრის განხორციელების დასაწყებად, ხოლო მსოფლიო რეალური საომარი მოქმედების წინაშე აღმოჩნდა.

ანალიზის შედეგად, ჰიტლერი გენერალიტეტთან ერთად მივიდა დასკვნამდე, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების დამორჩილებამდე, საბჭოთა კავშირთან ბრძოლა უნდა გადადებულ იყოს, რადგანაც თვლიდა, რომ ეს ქვეყანა ყველა თავისი რესურსით წარმოადგენდა მძლავრ სახელმწიფოს. ამ საკითხზე დამახასიათებელია მისი საუბარი რაუშინგთან, 1937 წლის 5 ნოემბერს. რაუშინგის კითხვაზე, როგორ აფასებს იგი შექმნილ მდომარეობას და ამ ფონზე სტალინს. ჰიტლერის პასუხი ასეთია: „სტალინი დიდი ადამიანია ისტორიაში, მან შექმნა უზარმაზარი იმპერია შავიდან ბარენცის ზღვამდე და აქედან წყნარ ოკეანემდე... დღეს ჩვენ

<sup>1</sup> Документы и материалы кануна второй мировой войны т-1

<sup>2</sup> ნიუნბერგის პროცესი. ტ. I, 1957 წელი.

<sup>3</sup> ყველა ეს გეგმა შემდეგში დამუშავდა ცალკეული საბრძოლო ოპერაციების მიხედვით გერმანიის გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს მიერ.



ორნი ვწყვეტთ მსოფლიოს ბედს, განგებამ მხოლოდ მე მარგუნა მასთან ბრძოლა და იგი უნდა მოხდეს მანამ, სანამ მე ცოცხალი ვარ, ან მე მოვერევი მას, ან ის მომერევა მე.“<sup>1</sup> დაახლოებით ანალოგიურად უღერს ვერმანის გენერლის შალვა მალლაკელიძის თხოვნაზე მეფის გენერლის ანტონ დენიკინის სიტყვებიც: „რომ საზღვარგარეთ დავაფუძნეთ ობშჩევოისკოვოი სოიუზი (საერთო საჯარისო კავშირი) უნდა მონახულიყო ხელმძღვანელი, ავტორიტეტული პირი და ხუთ გენერალთან ერთად მივაკითხეთ დენიკინსო, რომ გაენია ხელმძღვანელობა ორგანიზაციისათვის. დენიკინის პასუხი = შენი მიწა-წყლიდან არის ხომ სტალინი, რომელიც კრემლში ზის. ის აღმოსავლური ფანატიკოსის განსახიერებაა. ვიდრე ის კრამლშია მე არ შიმიძლია შევუერთდე თქვენს მოძრაობას, ვიდრე ის ცოცხალია ყოველგვარი ბრძოლა უშედეგოა. მე ამას არ გირჩევთ, როდესაც მე მივედი ნიჟნი ნოვგორდთან ყველანი გაიქცნენ, მხოლოდ სტალინი დარჩა კრემლში.“<sup>2</sup>

1933 წელს, გერმანია დემონსტრაციულად გავიდა ეთრთლიგიდან, მიატოვა განიარაღების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია. 1937 წლის 13 დეკემბერს დაამტკიცა საომარი მოქმედების გეგმა „საარსებო სივრცის მოპოვების თაობაზე. ცოტა უფრო გვიან გერმანიის ელჩი ინგლისში, რიბენტროპი პოლიტიკურ წრეებს აწვდის ინფორმაციას: „ინგლისი თავისი ნებით არ წავა კოლონიების დათმობაზე და აუცილებლად მიაჩნია გერმანია-იტალია-იაპონიის სამხედრო შეთანხმების ფორსირება.“ გერმანია ფორსირებულად და უნაკლოდ ასრულებს ეკონომიკური ცვლილებებისა და გადაიარაღების პირველ ოთხწლიან გეგმას და იწყებს ახალ ოთხწლიან პარამეტრებზე მუშაობას, რომელსაც წარმატებულად ხელმძღვანელობდა გერინგი. გერმანიის შეიარაღებისა და საჯარისო დანაყოფების ყველა სფერო მომზადდა ნებისმიერი სამხედრო ოპერაციის წარმატებით განხორციელებისათვის. 1938 წელსვე გერინგითა თბილისზე გენერალიტეტთან, რომელიც ფიურერის მოთხოვნით ჩატარდა, საკითხს სვამს განსაკუთრებული რაკურსით: „იმის გამო, რომ ადგილობრივი შრომითი რესურსები მობილიზებული იქნება გერმანიის შეიარაღებულ ძალებში, აუცილებელი გახდება მათი ჩანაცვლება დაპყრობილი ქვეყნებიდან იძულებით შემოყვანილი მუშახელით, რომ დასაწყებია მუშაობა ასეთი პროგრამის შექმნაზე“ და ა. შ.<sup>3</sup>

ამდენად, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები მეორე მსოფლიო ომის დასაწყისი გეგმაზომიერად მიუახლოვდა პრაქტიკული მოქმედების მიჯნას, ნინ იყო ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის საკითხი. პირველის გადაჭრა გერმანიის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებს სჭირდებოდათ, რომ უზრუნველყოთ საომარი მოქმედებებისას სამხრეთის საზღვრების უსაფრთხოება, ხოლო პოლონეთი, როგორც ტრამპლინი საბჭოთა კავშირისა აღმოსავლეთის მიმართულებით, ამიტომაც იყო პოტსდამის კონფერენციაზე 1945 წელს სტალინის რადიკალური განცხადება – „პოლონეთი დარჩება საბჭოთა კავშირის მეთვალყურეობის (გავლენის) ქვეშ, რადგანაც იგი ყოველთვის წარმოადგენდა რუსეთის ტერიტორიაზე ევროპული ქვეყნების შეჭრის ტრამპლინს“ და ამაზე მან უამრავი მაგალითი დადო, რომელიც გაზიარებული იქნა გამარჯვებული კოალიციის ქვეყნების ხელმძღვანელთა მიერ.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ პოლონეთი გახდა მსხვერპლი რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის გადაწვეტილებებისა. რამდენიმე წინადადებით ამ საკითხის ირგვლივ: 1. ისეთი პაქტი, რომელიც ეხებოდა უშუალოდ პოლონეთის ანექსიას ან მსგავს ქმედებას პრაქტიკაში არ არსებულა. იყო გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება თვდაუსხმელობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც დაიდო მას შემდეგ, როდესაც ინგლის-საფრანგეთსა და რიგ წამყვან ქვეყნებთან ყველა მცდელობა იქნა ამოწურული საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხების მონესრიგებასთან დაკავშირებით. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ამ პროცესების დეტალიზება, თორემ შესაბამისი მასალების დადება შეიძლება, 2. რიბენ ტროპ-მოლოტოვის პაქტის იმ სახით პროპაგანდირება, როგორიც არსებობს და განსაკუთრებულად ტირაჟირებული ხდება ქართული ზოგიერთი მედიასაშუალების მიერ, გარკვეული მიზნების და შეკვეთილი სახის შთაბეჭდილებას ტოვებს, ამიტომაც ძალიან მძაფრად ყარს ფალსიფიკაციის სუნიით, იგი სათავეს იღებს ხრუშჩოვისეული ფაბრიკაციებიდან და ჩაღრმავდა ვოლკოგონოვის

<sup>1</sup> სამხედრო ისტორიული ჟურნალი 1967 წელი

<sup>2</sup> გენერალი შალვა მალლაკელიძე - მოგონებები

<sup>3</sup> ლ. ბეზიმენსკი ჰიტლერის გენერლები, ჰიტლერით და მის გარაემე.

მსგავს ისტორიკოსთა მიერ. აპოგეას მიაღწია 80-იანი წლების მიწურულს გორბაჩოვ-იაკოვ-ლევის ტანდემით საკავშირო დეპუტატთა ყრილობაზე და გაშუქდა პირდაპირი ტელევიზიით, როდესაც იაკოვლევის მიერ გამოტანილი საკითხი პირველ მოსმენაზე ჩავარდა მტკიცებულებათა უსუსურობის გამო, განხილული იქნა 10-11 საათის ინტერვალით მეორე დღეს. საკითხი კვლავ გამოიტანა იაკოვლევმა, რომელმაც „რეკორდულად მოკლე დროში შეძლო უაღრესად დიდი მოცულობის მასალის მომზადება,“ 3. ობიექტური ისტორიოგრაფია და განსაკუთრებულად სამხედრო ისტორიკოსთა არც თუ მცირე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ბევრი დოკუმენტური მასალა შემდეგშია გაყალბებული, სპეციალურად მომზადებულკალიგრაფისტთა მიერ, რომ ეს ასეა, ამის ერთ-ერთ მტკიცებად გამოდგება სამხედრო ისტორიკოსის არსენ მარტიროსიანის გახმაურებული ხუთტომეული, „ორასი მითი სტალინზე,“ რომლის ქართული თარგმანიც ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში და ეყრდნობოდა პროცესთა ღრმა საფუძვლიან ანალიზს. არაფერს ვამბობთ იმ ეპოქის კარგად მცოდნეთა ნააზრევზე, რომელთა უმრავლესობა დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია, თუ იგი ტენდენციურად არ იქნება გამოყენებული. ბევრი დავა მიდის არქივების გახსნაზეც, რომელიც წამოსწიეს პოლონელმა მეცნიერებმა ვარშავაში, მსოფლიო ომის დაწყების 70 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე. შეკითხვის ადრესატმა განაცხადა: – არქივები შეიძლება გაიხსნას იმ შემთხვევაში თუ პოლონური მხარე გახსნის მეცნიერ-მკვლევართათვის შესაბამისი პერიოდის არქივებს. საჯარო ფორმით ამას არც იმ შემთხვევაში და არც შემდეგ რამდენადაც ცნობილია გაგრძელება არ მოჰყოლია. ცხადია, მნიშვნელოვან საკითხთა წყება ამ პროცესებიდან საჭიროებს ღრმა შესწავლას და საზოგადოებისათვის მიწოდებას, ქართველ ისტორიკოსთა ობიექტურ ნაწილს იმის გაკეთება ხელეწიფება, ოღონდ საჭიროა მათთვის პირობების შექმნა. ამით ისტორიული მეხსიერება თუ მოიგებს თორემ არ წააგებს, საერთოდ იქნება კარგი თუ მოხდება მიბრუნება II მსოფლიო და კონკრეტულად სსრკ-გერმანიის საომარ მოქმედებათა კომპლექსური შესწავლისათვის, რადგანაც ამ სფეროში რიგ მედია საშუალებით დადგმული სპექტაკლები არც სანდოა, არც მთლად ობიექტური. იგი ემსახურება კონკრეტულ მიზანს, „რომელსაც შერჩევითი ისტორიული მეხსიერების დანერგვა ჰქვია“ და დაღესის ყბადაღებული დოქტრინის გაგრძელებას წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანას, როგორც გამარჯვებულ მხარეს, აქვს სრული უფლება იცოდეს სიმართლე, რადგანაც მისი ხალხის, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა წვლილი მსოფლიოს წინაშე ლომის წილით განისაზღვრება, ამას ითხოვს პატივგება საქართველოს 750-ათასი ოჯახისადმი, რომელთა წარმომადგენლებიც მსოფლიო ხსნისათვის იბრძოდნენ, იმ 350-ათასი ოჯახის წინაშეც, რომელთა წარმომადგენლებიც ცოცხალი ვეღარ დაბრუნდნენ. დავუბრუნდეთ საკითხს:

პოლონეთის საკითხი გერმანიის პოლიტიკური წრეების, გენერალიტეტისა და სამხედრო სამრეწველო სფეროს წარმომადგენელთა განსჯის სცენიდან არასდროს ჩამოსულა, მაშინაც, როდესაც ბერხტენსგადენში რიბენტროპი პოლონეთის ელჩს სთავაზობდა სსრკ-ს წინააღმდეგ საერთო გეგმის შემუშავებას. პოლონეთის საკითხი დაისვა მაშინაც, როდესაც 1938 წელს რობენტროპმა, პოლონეთის ოფიციალურ წარმომადგენლებთან მოსინჯა დანცინგის დერეფნის საკითხი, მაშინაც როდესაც 1938 წელს მიუნხენში გერმანია, იტალია, საფრანგეთ-ინგლისის უმაღლეს ხელისუფალთა შეხვედრისას არც თუ ირიბად დაისვა სსრკ წინააღმდეგ გერმანიის მოქმედებისათვის პოლონეთის, როგორც მძევლად შეწირვის საკითხი. იგი სხვადასხვა რაკურსით ტრიალებდა იმავე პირთა ან წარმომადგენელთა ცალკეულ შეხვედრებზეც. პოლონეთის საკითხი შემოტრიალდა წამყვან კათოლიკურ წრეებშიც, როდესაც 1939 წლის მარტში რომის პაპი პიუს XII შეეცადა გერმანია-საფრანგეთ-ინგლისის მორიგებას, დანცინგის დერეფნის დათმობის ხარჯზე, აქაც ორიენტაცია გაკეთდა პოლონეთის დათმობაზე, ოღონდ გერმანიისაგან კონკრეტული „საფასურის“ მიღებით. საბოლოოდ, გერმანიის გენერალიტეტის მიერ, ჰიტლერის თანხმობით, 1937 წლის ბოლოს და 1938 წლის დასაწყისში მიღებული იქნა პოლონეთის განადგურების გეგმა, (ეს ხდება გერმანია-სსრკ ხელშეკრულების დადებამდე.) 1939 წლის 3 აპრილს საიდუმლო დირექტივით განისაზღვრა პოლონეთზე შეიარაღებული შეტევის დაწყების გეგმაც – 1939 წლის 1 სექტემბერი. საგულისხმოა, რომ ყოველივე ესხდებოდა პოლონეთ-გერმანიის ურთიერთხელშეკრულების ზურგს უკან. ხელშეკრულებით, როგორც ჩანს, პოლონეთის მმართველობადარწმუნდა, ამ დიპლომატიური აქტის ურყეობაში და 1938 წელს ზემოთ მითითებული მიუნხენის მოლაპარაკებიდან რამდენიმე დღეში გადადგა მოუზო-

მავი ნაბიჯი – ჩეხოსლოვაკიას ულტიმატუმის სახით წაუყენა ტერიტორიული პრეტენზია. როგორც კი ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე გერმანელი სამხედრო ნაწილები შევიდნენ, მათ შეჰყვნენ პოლონეთის საჯარისო ნაწილებიც და 2 ოქტომბერს დაიკავეს ტეშჩინსკის სილეზია. პრაქტიკულად, მოახდინეს მისი ანექსია, თუ როგორი მოქმედებაა ეს, კომენტარისაგან თავი შევიკავოთ, მაგრამ აქედან მოკლე დროში თვით პოლონეთი გახდა ანექსირებული გერმანული მოქმედი არმიების მიერ. ეს მოხდა სსრკ-გერმანიის ურთიერთხელშეკრულების გაფორმებიდან 8 - დღის შემდეგ.

სტატიის მოცულობა და მიზანიც არ იძლევა საშუალებას ვილაპარაკოთ ინგლისის, საფრანგეთის, აშშ, სსრკ ოფიციალურ წრეთა ურთიერთმოლაპარაკებების ზოგიერთი საკითხებიდან გამომდინარე, რომელიც მოსალოდნელი ომის თავიდან აცილებას ეხებოდა, აქედან საინტერესოა საფრანგეთ-ინგლისის სამხედრო წარმომადგენელთა დუმენეკ-დრეკსის მრავალდღიანი შეხვედრები მოსკოვში, პოლონეთის დამოკიდებულება იმ საკითხებზე, რომელიც განწირული ჩეხოსლოვაკიის დასახმარებლად საბჭოთა საჯარისო ნაწილების პოლონეთის ტერიტორიაზე გატარებას ეხებოდა და ა.შ და ა.შ. ამაზე არაერთი კვლევა და დოკუმენტური მასალებია გამოქვეყნებული და დარწმუნებული ვარ დაინტერესებულ და ისტორიის მოყვარულ პირებს აქვთ მათზე ხელმისაწვდომობა.

რაც შეეხება მიუნხენის კონფერენციას, ესწრებოდნენ – გერმანიის, იტალიის, ინგლისისა და საფრანგეთის პირველი პირები, მიუხედავად იმისა, რომ კონფერენციას ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელობა არ დაასწრეს, ხელშემკვრელმა მხარეებმა მიიღეს ამ ქვეყნის პრაქტიკული დაშლის გადაწყვეტილება, ეს მოხდა 1938 წლის 29 სექტემბერს, 30-ში კი ხელი მოაწერეს მიღებულ დოკუმენტს. განისაზღვრა დრო გერმანიისათვის ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქის გადაცემის თაობაზე, რომელზედაც საფრანგეთის წარმომადგენლობა კატეგორიულად აცხადებდა = დროში შეფერხებას არ მოითმენდა. ამ ხელშეკრულებით ჩეხოსლოვაკიის სუვერენულმა სახელმწიფომ პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა. აქაც ღირებულების საზომი იყო გერმანიის დაძვრა მაშინდელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია შემცირდა 1/3-ით, მოსახლეობა 5 მილიონით. დაკარგა საწარმოო რესურსების 50%, ენერგეტიკის 90% და ა.შ. რომლის შემდეგაც ბრიტანეთის პრემიერი ჩემბერლენი აცხადებდა, რომ „დღეიდან მშვიდობა უზრუნველყოფილია მთელი თაობის მანძილზე.“ ზუსტად 6 თვეში გერმანიამ მოახდინა ჩეხოსლოვაკიის სრული ანექსია, მიიტაცა 52 დივიზიის სამხედრო შეიარაღება, ჩეხოსლოვაკიის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი და ეკონომიკის ნამყვანი დარგები გადავიდა გერმანიის ხელში, რითაც გამოინთავისუფლა სამხრეთი საზღვარი მოსალოდნელი სამხედრო საფრთხისაგან.

1938 წლის 30 მაისის ჰიტლერის დირექტივაში ნათქვამია: „სიტუაციის გარდაუვალი განვითარება ჩეხოსლოვაკიაში ან სხვა პოლიტიკური სიტუაციები ევროპაში, ქმნიან საუკეთესო შესაძლებლობებს, რომელიც შეიძლება არც განმეორდეს. ამას შეუძლია ახლო მამოავალში მიმბიძგოს გადავიდე შეტევაზე“ (ნიურნბერგის პროცესი ტ 1, 1954 წ.) ჩანს ეს დირექტივა ევროპის ცენტრალური ქვეყნების ქცევიდან გამომდინარე ეყრდნობოდა საფუძვლიან ანალიზს, ამას მოჰყვა 1939 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომის გაჩაღება, რომელიც დაიწყო მაშინდელი კაპიტალისტური ქვეყნების ორ სამხედრო დაჯგუფებას შორის შეჯახებით და არა სოციალისტურ და კაპიტალისტური სისტემის სახელმწიფოთა შორის. თუმცა იმისათვის, რომ ეს პროცესი სსრკ-გერმანიის შეჯახებით დაწყებულიყო ევროპული და არაევროპული ნამყვანი სახელმწიფოებიდან ცდა არ დაკლებია. ეს ასე არ გამოვიდა. სამხედრო ოპერაციების დაწყებიდან თვეზე მეტ ხანს ვერ გაუძლო პოლონეთმა, ერთ დღეში დაიპყრეს დანია, ორი თვე დასჭირდა ნორვეგიის ოკუპაციას, 19 დღეში დაიმორჩილა ბელგია, ჰოლანდია და ლუქსენბურგი.

44 დღე დასჭირდა საფრანგეთის ოკუპაციას, საიდანაც მომენტალურადვე გაიტანეს და ფრანგული სატრანსპორტო რეზერვებით უზრუნველყვეს გერმანელთა 88 ქვეითი დივიზია, 3 მოტორიზებული და 1 სატანკო კორპუსი. საფრანგეთი გაყიდული იქნა (ისე, როგორც პოლონეთი) საკუთარი ხელისუფლების მიერ და ზემოხსენებულ კომპენის ტყეში, 1940 წლის 22 ივლისს, სამუზეუმეო სალონვაგონში, რომელშიდაც ფრანგი მარშალის ფოშის წინაშე ხელმოწერილი იქნა I - მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის კაპიტულაცია, აქვე ფრანგულმა მხარემ პეტენის ხელმძღვანელობით ხელი მოაწერა კაპიტულაციას, ოღონდ ამჯერად ჰიტლერისა და გამარჯვებული გერმანიის სარდლობის წინაშე. 1941 წლის გაზაფხულისათვის გერმანიის მიერ



ოკუპირებული იქნა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა. ნაწილი ქვეყნებისა, ბულგარეთი, რუმინეთი თურქეთი აქცია საკუთარ სატელიტებად. სრუტეებზე ლამანშასა და პადეკალეზე გასვლით და საზღვაო აკვატორიაში ჰაერიდან და ასევე ხმელთაშუაზღვიდან ძლიერი ზემოქმედების შედეგად ბრიტანეთი აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში, მისმა სამხედრო-საექსპედიციო კორპუსებმა ლამანშიდან 1940 წლის 21 მაისს დიუნკერკში მიატოვა იარაღი და ძლივს გაასწრო გერმანელთა ელვისებურ შეტევას. 1941 წლის 6 აპრილს გერმანია თავს ესხმის იუგოსლავიას, 1940 წელს იტალია თავს დაესხა საბერძნეთს, თუმცა ცოტა მოგვიანებით საბერძნეთის ოკუპაცია მოახდინა გერმანულმა ჯარებმა. იაპონიის ჩართვამ საომარ მოქმედებებში რამდენადმე შეატრიალა ინგლისის, აშშ, პოლიტიკური წრეების დამოკიდებულებაც.

ამდენად, მიუნხენში გამართულ მოლაპარაკებით, რომელიც ძალიან ჰგავდა შეთქმულებას ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოს წინააღმდეგ, გზაგასწილი იქნა გერმანელთა სამხედრო მოქმედება თითქმის მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ, ამაზე ამბობდა უინსტონ ჩერჩილი: „ინგლისს უნდა აერჩია სირცხვილსა და ომს შორის, მისმა მინისტრებმა აირჩიეს სირცხვილი, რომ შემდეგ მიეღოთ ომი.“ საკმარისი ირონია დევს ამ სიტყვებში ზემოდმიითებული ქვეყნების მმართველი ელიტის შესაფასებლად, ხოლო დღეს მოარულ რიტორიკულ კითხვაზე, იქნებოდა თუ არა ომი, რომ არ ყოფილიყო სსრკ გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულება, პასუხი შეიძლება იყოს ცალსახად: ეს ომი გარდაუვალი იყო! იგი მრავალგანზომილებიან მიზეზებსა და მიზნებს აერთიანებდა, მზადდებოდა მეტნაკლები ინტერვალებითა და ასევე მსოფლიოს მაშინდელი წამყვანი ქვეყნების ჩართულობით, თითქმის 20 წლის მანძილზე. აპოგეას აღწევს 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან და დაპირისპირების უმაღლესი პოლიტიკური დუღილის დროს დენტის კასრი აფეთქდა. არასრული ორი წლის მანძილზე გერმანიის ანექსიის ქვეშ აღმოჩნდა თითქმის მთელი ევროპა, ტერიტორიით 5 მილიონი კვადრატული კილომეტრით, 290 მილიონი მცხოვრებით. ამით გერმანიამ სათვისოდ უზრუნველყო ანექსირებულ ტერიტორიებზე განლაგებული მთელი ეკონომიკურ-სამრეწველო და ადამიანური-სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის დაუფლება. ჩათვალა, რა ზურგი უსაფრთხოდ და უზრუნველყოფილად. 1940 წლის ივლისში გადადგა კონკრეტული ნაბიჯები სსრკ-ს წინააღმდეგ საომარი მოქმედების მოსამზადებლად, გეგმის შედგენა დაევალა გერმანიის 8-ე არმიის შტაბის უფროსს გენერალ მარქსს. გეგმის, რომელიც შემდეგში „ბარბაროსას“ სახელით გახდა ცნობილი, პირველ ვარიანტზე მუშაობა დასრულდა 1940 წლის ბოლოს, ხოლო მანამ 1940 წლის 31 ივლისს საფრანგეთთან გამარჯვების შემდეგ, ჰიტლერი, ბერგოფში გამართულ თათბირზე, რომელზედაც გაანალიზა ევროპაში ომის გამოცდილება, გენერალიტეტს ესაუბრა აღმოსავლეთში მომავალი ომის გეგმების შესახებ. „ბარბაროსა“ შემონმდა ორი სამხედრო მანევრით. საშტაბო წვრთნებს ხელმძღვანელობდნენ გენერლები პაულიუსი<sup>1</sup> და პალდერი<sup>2</sup> შემდეგში ეს გემა გზადაგზა დახვეწა პაულიუსმა და ბოლო შემონმება გაიარა ქ. ცოსენში. ასევე საშტაბო-სამეთაურო წვრთნებისას.

1941 წლის დასაწყისში გერმანიის არმია აერთიანებდა 7 - მილიონ 200 - ათასზე მეტ ჯარისკაცს პლუს სატელიტები: 2 – ფინური არმია, 2 – რუმინული, უნგრეთის საჯარისო კორპუსი, საარმიო ფგუფები ფინლანდია, ნორვეგია და იტალიური განვრთნილი არმიები, კავკასიისა და საქართველოს სამხრეთ საზღვრებთანადაც თურქეთის 26 – დივიზია (რომლებიც ბრძოლებში არ ჩაბმულან, მაგრამ მზად იყვნენ) სულ ორასზე მეტი დივიზია მათ შორის გერმანული 170. პრაქტიკული საომარი მოქმედების ღრმა ცოდნით, გამოცდილი სამხედრო სამეთაუროკადრებით და უაღრესად დისციპლინირებული საჯარისო შემადგენლობით, რომლითაც გერმანელები ყოველი დროისათვის გამოირჩეოდნენ გერმანიის საბრძოლო საჭურველითა და ტექნიკით, სურსათით მომარაგებაზე მუშაობდნენ საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, ავსტრიის, ბელგიის, პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ესპანეთის სამრეწველო და სამეურნეო ორგანიზაციები. ეს არ იყო საბჭოთა კავშირ გერმანიის ომი, ეს იყო გერმანიის კონტროლქვეშ გაერთიანებულ (გარდა ინგლისისა) ევროპის სახელმწიფოთა ომი, მაშინდელი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამიტომ მხოლოდ ობივატელს თუ გაუჩნდება კითხვა ომის პირველი პერიოდის

<sup>1</sup> პაულიუსი — იმ დროისათვის გერმანიის გენშტაბის მთავარი კვარტირმანისტერი შემდეგში გერმანიის 6-ე არმიის სარდალი, სტალინგრადის ბრძოლებში ტყვედ იქნა აყვანილი.

<sup>2</sup> პალდერი — გერმანიის სახმელეთო ჯარების სარდალი.



წარუმატებლობის შესახებ. ცხადია იყო შეცდომებიც, მაგრამ მხარემ, რომელმაც მეტი შეცდომა დაუშვა, ომიც წააგო და ეს მოხდა მანამ, სანამ მოკავშირეები (აშშ. ინგლისი) 1944 წლის 6 ივნისს ევროპაში გახსნიდნენ მეორე ფრონტს. რაც შეეხება ლენდ-ლიზს (აშშ დახმარებას) გამოყოფილი დახმარების 40-მილიარდიდან 30 მოხმარდა ინგლისს და ზოგიერთ სხვა ქვეყანას - საბჭოთა მხარემ მიიღო 10-მილიარდიანი დახმარება.

ჩვენ გვინტერესებს პასუხი კითხვაზეც: – გერმანიას რომაგემარჯვა, მართლა შეუწყობდა თუ არა ხელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და მოგვევლინებოდა თუ არა საქართველო, როგორც სუვერენული და ხალხი თავისუფალი! ან, როგორც ხშირად ცდილობენ დახატვას. შემოვიდოდნენ თუ არა გერმანელები საქართველოში „ბავარიული ლუდითა და ბუტერბროდებით.“ – როდესაც ეცნობი სათანადო მასალებს, შესაბამის სამხედრო ისტორიულ ლიტერატურას, დოკუმენტურ მასალებსა და გერმანიის უმაღლესი ელიტის თათბირების ჩანაწერებს, დირექტივებს, ვისაც ერთხელ გულდასმით მაინც წაუკითხავს ჰიტლერის „ჩემი ბრძოლა“, რომელიც 1930-იან წლებშისამოქმედო პროგრამად იქცა ნიურნბერგის პროცესის მასალები და ა.შ. და ა.შ. არ რჩება შთაბეჭდილება, რომ იმ პერიოდის გერმანია და ჰიტლერის გუნდი როდისმე ფიქრობდა რომელიმე დაპყრობილი ქვეყნის სუვერენობაზე, მისი დამოუკიდებლობის აღიარებაზე. დაპყრობილი ხალხებისათვის მათ ჰქონდათ სხვა მიზანი და განერილი მოქმედების გეგმა. ყველა და ყველაფერი უნდა დამორჩილებოდა მაღალ არიულ რასას (ე.ი. სუფთა სისხლის გერმანელებს) ამაზე ჰიტლერს ჰქონდა თავისი შეხედულება ჩამოყალიბებულინიგნში „ჩემი ბრძოლა“ და მისი გავრცელება, გადანყვეტილი იყო ყველა არაგერმანელზე: „გერმანიის მოქალაქე შეიძლება გახდეს ნებისმიერი პიროვნება, რომლის ძარღვებში ჩქეფს არიული სისხლი, ნებისმიერი სხვა (ხაზგასმა ო.კ) მათ შორის ებრაელი, არ შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის მოქალაქედ“, ამის გამოძახილი იყო როზენბერგის (ოკუპირებული აღმოსავლეთის რეგიონების მინისტრი) მიერ განერილი და შეთანხმებული ებრაელთა და დანარჩენი ხალხების ექსპლოატაციის, გასახლებისა და განადგურების გეგმა, რომელიც შეგნებულად აქ არ მოგვაქვს.

მე ვფიქრობ და ჩემი პირადი აზრია, რომ ასეთი მტკიცებულებანი გერმანული პროპაგანდის შედეგიცაა და რამდენადმე ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოქმედების ნაყოფიც. ამ ადამიანებს რელურად გააჩნდათ სამშობლოს ნოსტალგიის განცდა, უკან დაბრუნების იმედიც და როგორც ჩანს გარკვეულიოპტიმიზმი ჩასახა საბჭოთა კავშირ გერმანიის ფრონტზე გერმანელთა პირველმა წარმატებებმა. ამასთან არც ერთი დამპყრობელი მხარე წინასწარ არ აცხადებს, რომ იგი სასტიკად მოექცევა დამორჩილებულ ხალხს, არც გერმანელები იქცოდნენ ასე, მაგრამ დაპყრობითმა პრაქტიკამ მსოფლიო და ხალხებიც სხვა რეალობის წინაშე დააყენა. ეს ასე იყო და სხვა რომ არაფერს გაეცნო, ამ ფაქტზე მარტო მიხეილ კვესელავას, ქართულად დანერილი „ათასი ფუთი ბრალდება“ (ანუ ასერგასის დღე- მრავალტომეული) იკმარებს. ეს მეცნიერი კაცი ნიურნბერგის პროცესის მონაწილეა, უშუალოდ აქვს მიღებული მონაწილეობა საომარ მოქმედებებში და ვფიქრობ არავითარი ტენდენცია არ ამოძრავებდა, როცა ამას წერდა, გარდა ერთისა, ეთქვა სიმართლე.

ვნახოთ ზოგიერთი დოკუმენტური მასალა, როგორ ზრუნავდა ჰიტლერი და მისი ჯგუფი ერთა დამოუკიდებლობასა და განვითარებაზე: 1941 წლის 16 ივლისს 15 საათზე გაიმართა სპეციალური თათბირი თემაზე როგორ უნდა მოექცნენ საბჭოთა კავაჰშირს, ანუ როგორ უნდა განაწილდეს მისი დაპყრობილი სივრცე.ესწრებოდნენ ჰიტლერი (უძღვებოდა სხდომას) გერინგი, კეიტელი, როზენბერგი, ლამერსი და ბორმანი. ჰიტლერი აღნიშნეს: „ჩვენ შეგვიძლია დავუფლოთ მას (ე.ი.სსრკ-ს).

2. ვმართოთ ის, 3. გავუწიოთ მას ექსპლოატაცია. ძირითადი პრინციპი: ურალს აქეთ, დასავლეთით, არავითარი შეიარაღებული ძალები (ცხადია ამ დასავლეთში საქართველოც შედის, როგორც სსრკ მოკავშირე რესპუბლიკა) ამისათვის ასწლიანი ბრძოლებიც რომ მოგვინიოს ეს ასე უნდა მოხდეს. ფიურერის ყოველმა მემკვიდრემ უნდა იცოდეს, რომ რეიხის უსაფრთხოება იქნება დაცული მაშინ, როდესაც ურალს აქეთ არ იქნება არავითარი შეიარაღება... არავის გარდა,გერმანელისა არ ეძლევა უფლება ატაროს იარაღი.“ შემდეგ მოდის ტერიტორიული მოთხოვნები – გერმანიას უნდა შეუერთდეს მთელი ბალტიისპირეთი მდ.დვინამდე. რუმინეთს შეიძლება გადაეცეთ ოდესა და ბესერაბია. შევუერთოთ გერმანიას ყირიმი და მისი ჩრდილოეთ რაიონები, ასევე უნდა მოვექცეთ ვოლგისპირეთის გერმანულ დასახლებას, ბაქოს რაიონს, (აქ

ხაზგასმა კეთდება ნავთობზე)... ლენინგრადი უნდა გავასწოროთ მიწასთან და შემდეგ გადავცეთ ფინეთს. დანარჩენი ყველა რაიონი დაექვემდებარება ოკუპაციას (იგულისხმება ურალამდე მთლიანი სივრცე) და მათთან უნდა მოვიქცეთ პრინციპით: – დაიხვრიტება ყველა ვინც გაბედავს ირიბად შემოგვხედოს.“ აქვეა კეიტელის რეპლიკა – „დაიხვრიტება ყველა ვინც არ დაგვემორჩილება“<sup>1</sup> სამხედრო ისტორიული ჟურნალის შესაბამის ნომერში გასულია მასალა რუბრიკით „დოკუმენტი ი მატერიალი“ – სადაც ასევე ლაპარაკია საქართველოს შავიზღვისპირეთზე, რომელიც განიხილებოდა ყირიმთან ერთად გერმანელ ოფიცერთა დასასვენებელ ადგილად (ან ე.წ. „დაჩებად“). მოსამსახურეებად გათვალისწინებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთაც ასევე ეკრძალებათ იარაღის ტარება, მაგრამ მიცემული აქვთ უფლება ატარონ ულვაში?! გერმანელთა დარწმუნებულობა გამარჯვებაში ამ პერიოდისათვის იმდენად დიდი იყო, რომ იკამათეს დაპყრობილი ტერიტორიების ხელმძღვანელთა კანდიდატებზე = ბალტიისპირეთში – ლოზე, მოსკოვში – კეშე (ვერ შესრულდა), უკრაინაში ერის კოხი (შესრულდა), ყირიმში ფრენფილდი, კოლის ნახევარკუნძულზე – ტურბოვენი (თავი მოიკლა) კავკასიაში ბალტიისპირელი (რიგიდან) გერმანელი შეკედანცი, გრუბენფიურერი<sup>2</sup> (თავი მოიკლა 1945 წელს) შეიქმნა აღმოსავლეთის ოკუპირებული რეგიონების მართვის სამინისტრო როზენბერგის ხელმძღვანელობით, პრომელმაც დავალების შესაბამისად შექმნა რეგიონებისათვის 1050-ვაკანსია, რომელზედაც შევიდა განცხადებები: 114-სს-დან; 450-გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროდან; 261 გერმანიის შრომითი ფრონტის ჩინოვნიკებისგან, მხოლოდ გერმანული გარემოცვიდან!

გეგმის მიხედვით მითითებული დაპყობილი ტერიტორია უნდა დაყოფილიყო ოთხ რაიონ-სკომისარიატად: 1. მოსკოვის – შემადგენლობა: ტულა, ლენინგრადი, გორკი, ვიატკა, კაზანი, უფა, პერმი. 2. – რაიონ-სკომისარიატი ოსტლანდ-ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, ბელორუსია – ცენტრი – რიგა. 3 უკრაინა – ვილნო, პოდუღია, კიევი, ჟიტომირი და ა.შ. სულ 12; ცენტრი-როვნო. 4. კავკასიის, ცენტრი- თბილისი, კომისარი – არნო შეკედანცი – გენერალური კომისარიატები: ყუბანი, სტავროპოლი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მთიულთა კომისარიატი (ამდენად ოკუპირებული კომისარიატი და არა დამოუკიდებელი საქართველო), ამ პროექტის საბოლოო სრულყოფაში 1942 წლის აპრილიდან კეიტელის დავალებით ჩართული იქნა გენერალი – იოდლი, გენშტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი. ამ პროექტმა განხორციელება ჰპოვა მხოლოდ უკრაინასა და ბელორუსია-ბალტიისპირეთში, სტალინგრადთან და შემდეგი პერმანენტული დამარცხებების შედეგად გერმანელები აღნიშნულ საკითხს ველარ მიუბრუნდნენ.

შემდეგი, ჰიტლერისა და ჰიმლერის გეგმები: ურალს აქეთა ტერიტორიებზე უნდა შექმნილიყო გერმანული სამხედრო დასახლებები, ამრიგად ამ ტერიტორიებზე გერმანელები უნდა გამხდარიყვნენ გაბატონებულ რასად. მათივე აზრით „ჩვენ შევქმნით ახალ კოლონიურ იმპერიას მეტროპოლით ცენტრალურ ევროპაში, ხოლო სს-ის ხელმძღვანელთა ვარაუდით ყველა ადგილობრივ მცხოვრებს უფლება უნდა ჰქონოდა განათლება მიელო ოთხნაწიანი ფარგლებში, ხოლო ჰიტლერის თქმით“ რუსებს, უკრაინელებს, ყახაზებს მეცნიერული ცოდნის მიღება ავნებთ“...

„ჩვენ 150-200 მილიონი გერმანელი გავხდებით კონტინენტალური ევროპის შეუზღუდავი მმართველები,“ როდესაც საუბარი შეეხო აღმოსავლეთის სამხედრო დასახლებებს, განისაზღვრა რომ პროცესი უნდა განხორციელდეს „რეიხიდან.“ „ჩასასახლებლები უნდა მოძებნილიყო „ბანატის გერმანელებიდან“ (ცხოვრობდნენ რუმინეთში), შემდეგ, დანიიდან, ნორვეგიიდან, შვეციიდან, ავსტრიიდან (ე.ი. აქ მცხოვრები გერმანელების ხარჯზე) არ გამორიცხავდნენ აქვე ინგლისელთა გადასახლებას (ინგლისზე გამარჯვების შემდეგ). როზენბერგმა დაიწყო მოლაპარაკება ჰოლანდიელ ფაშისტებთან სსრკ ტერიტორიებზე ჰოლანდიელთა ჩასახლების შესახებ და ა.შ. გეგმა ითვალისწინებდა პოლონელთა დიდი ნაწილის ურალს იქეთა გადასახლებას, საკმაოდ შემაშფოთებელი გეგმები დაისახა ჩეხოსლოვაკიელთა წინააღმდეგ, აქვე საწყის

<sup>1</sup> Л. Безыменски Гитлеровские Генерали с Гитлером и безнего. გვ.204-205. იგივე მასალა - Военно исторически журнал 1966 წ.

<sup>2</sup> უტოლდება გენერლის ჩინს.

<sup>3</sup> ეს ის როზენბერგია, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდათ ქარველ პოლიტიკოსებთან ნანკის, მათ შორის არ ირიცხება ვანელი შალვა მაღლაკელიძე

ეტაპზე 500 000 ჰექტარი მიწა გადასცეს გერმანელ მინათმფლობელებს, ხოლო მთლიანად სამრეწველო პოტენციური აღმოჩნდა გერმანელი მრეწველების ხელში, რაც ჩეხოსლოვაკიის სრულ განადგურებას ნიშნავდა. ცოტა უფრო ადრე 1940 წლის 19 ივლისს საფრანგეთის კაპიტულაციამდე, ანალოგიური გეგმა დამუშავდა საფრანგეთსა და რიგ სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, ამჯერად ამ პროცესს ხელმძღვანელობდა გერინგი, რომელმაც სპეციალურ თათბირებზე განაცხადა: ლუქსენბურგი შევა გერმანიის იმპერიის შემადგენლობაში. ასეთივე იქნება ელზას – ლოტარინგიის ბედი, საფრანგეთის ტერიტორიაზე შეიქმნება ორი მარიონეტული სახელმწიფო ბრეტანისა და ბურგუნდიის“. ბურგუნდია უნდა აღდგენილიყო როგორც ესესელთა ნაკრძალი ევროპაში, მასში შევიდოდა საფრანგეთის ცალკეული კუთხეები, სადაც უნდა დამჯდარიყო გერმანული იმპერიის ნაცვალის ლეონ დეგრელი – ბელგიელი ფაშისტი, როგორც ითქვა გერმანიის მსოფლიო იმპერიის შემადგენლობაში უნდა შესულიყო ჰოლანდია, ნორვეგია, დანია, ბალკანეთის ქვეყნები, ბელგიას უნდა შენვეტოდა სახელმწიფოებრივი არსებობა, დაშლილიყო ვალონიისა და ფლანდრიის მხარეებად, ხოლო სხვა ვერსიით ასეთივე ბედი უნდა გაეზიარებინა პოლონეთის ტერიტორიას. მოსახლეობა, როგორც აღინიშნა უნდა გაესახლებინათ ურალს იქით, ნეიტრალური შვეციის მოსახლეობაც გაიზიარებდა პოლონეთის ბედს და ა. შ. ინგლისის ჩათვლით. ასეთი გეგმა, რომელიც შემდეგ გერინგის მიერ გაჟღერდა, დაამუშავა დოქტორმა შტუკარტმა. საკითხზე, ნიურნბერგის პროცესზე ჩვენება მისცა ჰანს გლობკემ, რომელიც იყო აღნიშნული გეგმის დამუშავების თანაავტორი. ომის შემდეგ თანამშრომლობდა გერმანიის კანცლერის კონრად ადენაუერის აპარატში. ჰიტლერის ბანაკში დამუშავდა გეგმა, თუ როგორი იქნებოდა „ბარბაროსას“ განხორციელების შემდეგ მსოფლიო მონყობის პერსპექტივა და აისახა იგი N 32 დირექტივის სახით – „ჩვენ ვხვდებით სხვა სამყაროში – ირანი, ერაყი, ინდოეთი, ეგვიპტე, ბრიტანეთის იმპერია,“ პრაქტიკულად მოხაზულია სივრცე, რომელიც უნდა შევიდეს გერმანიის მსოფლიო იმპერიის მმართველობის ქვეშ, მაგრამ აქ საინტერესოა, რომ სსრკ შეიარაღებული ძალების განადგურების შემდეგ გერმანია და იტალია იბატონებდნენ მთელს ევროპის კონტინენტზე. ...„აღმოსავლეთში დაპყრობილი სივრცე განეკუთვნება დაცვას და ეკონომიკურ ექსპლუატაციას- უშუალოდ გერმანიის მონაწილეობით“. გაანგარიშებულია რა ძალები ეყოფა აქ გერმანელთა ინტერესების განხორციელებისას უსაფრთხოების დაცვას. ამისათვის ნავარაუდევია 60 დივიზია და ერთი საჰაერო ფლოტი. განხილულია ახლო და შუა აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების გეგმების თითქმის ძირითადი ნიუანსები, რომელშიც კორექტირება შეიძლება შესულიყო გეგმის პრაქტიკული განხორციელებისას. დირექტივაში ორჯერაა ნახსენები კავკასია (და არა საქართველო) მაგრამ, არა როგორც თავისუფალი, არამედ როგორც სამხედრო მოქმედების ტრამპლინა, პოლიგონი. აღმოსავლეთში დაგეგმილი სამხედრო ოპერაციებისათვის, რომ მითითებულ ქვეყნებში შეჭრა უნდა განხორციელდებოდა ამიერკავკასიიდან, აქედან დაიწყებოდა სახმელეთო საჰაერო დარტყმები ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ. დირექტივით, ბაქოს ნავთობს მიკუთვნებული აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ანალოგიურ ვერსიას ანვითარებს ვერმანტის გენერალი შალვა მალლაკელიძეც თავის მოგონებებში. რადიკალურია დამოკიდებულება თურქეთზეც, „თურქეთი უნდა იქცეს მორჩილად, წინააღმდეგ შემთხვევაში განადგურდება გერმანული ძალების მიერ.“<sup>1</sup> წინამდებარე სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, საკითხის უფრო მოცულობითი შეხებისათვის, მაგრამ შეიძლება ითქვას ერთი რამ: ის რაც ითქვა მიმართებელია იმაზე, რომ მსოფლიო ბატონობის გერმანულგეგმებში, არავითარი საუბარი არაა არც ევროპული ქვეყნების და არც მაშინდელ საბჭოთა სივრცეში შემავალი რესპუბლიკების, (ქვეყნების), მითუმეტეს, საქართველოს დამოუკიდებლობაზე, უბრალო ავტონომიის დონეზეც კი, თავი რომ გავანებოთ სუვერენობას. ამაზე ჰიტლერის გუნდს არც უფიქრია. პირიქით, როდესაც გერმანიის მეზობელი ცივილიზებული და რასობრივად რამდენადმე მონათესავე სახელმწიფოთა და მისი ხალხის მომავალ ბედზე მიღებულია ისეთი გადაწყვეტილებები, როგორზედაც ზემოდ ითქვა, როდესაც ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე შეუნელებლად მუშაობდნენ კრემატორიუმები და მიგნებული იყო მასების დამონებისა და დამორჩილების ნაირნაირი ფორმები, მარტივად შეიძლება დაისვას კითხვა: რას წარმოადგენდა მხოლოდ საქართველო და მისი ხალხი ჰიტლერული უმაღლესი

<sup>1</sup> დირექტივა თავის დროზე იბეჭდებოდა სამხედრო ისტორიულ ჟურნალში. იგი ასევე მოცემულია ლეონიდ ბეზიმენსკის ზემოთ მითითებულ ნაშრომში, „გერმანიის გენერლები ჰიტლერთა და მის გარშემო.“



ხელისუფლებისათვის, რომ იგი განსაკუთრებულ პირობებში ჩაეყენებინათ დამოუკიდებლობის აღდგენით და პრიმატის შექმნით?! ვინ ან რა იყო ამის გარანტი, რომ ეს ასე იქნებოდა! ამაზე სერიოზული პასუხის მოძებნა ჭირს თუ ფანტაზიების სფეროში არ გადავალთ.

შეიძლებოდა თუ არა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის და საომარ მოქმედებათა პროცესში ქართველ ტყვეთაგან ჩამოყალიბებული ქართული, რამდენიმე ლეგიონის გარანტად მიიღება? თეორიულად საუბარი შეიძლება ყველაფერზე, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელი ჩანს. აქ გარემოებათა წყება იყო ხელისშემშლელი ფაქტორი:

1-ემიგრანტთა და ემიგრირებული ქართულიპარტიების ინტერესთა კონფლიქტი, ტრადიციული ურთიერთ-გაუტანლობა, რომლის აპოგეას წარმოადგენდა თანამოძმისაგან უორდანიას დროინდელი შ/ს მინისტრის და ერთ-ერთი გაბედული ლიდერის ნოე რამიშვილის თანამოძმისგან მკვლელობა 1930 წელს, რომელსაც არ შეეძლო არ შეესუსტებინა მოძრაობის ქმედუნარიანობა.

2-ქართული პოლიტიკური ემიგრაცია საქმიანობდა: საფრანგეთში, პოლონეთში, თურქეთში, გერმანიაში. ამ უკანასკნელში პოლიტიკური ემიგრაციის კოორდინირება ხდებოდა საქართველოს ყოფილი ელჩის ვლ. ახმეტელის ხელმძღვანელობით, მაგრამ 1924 წლიდან გარკვეული პერიოდის მანძილზე გერმანია – სსრკ ურთიერთობათა შედარებით მონესრიგების საფუძველზე საქართველოს საელჩო გერმანიაში გაუქმდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ახმეტელს შესთავაზა სათავეში ჩადგომოდა საქართველოს (კავკასიის) ნდობის უწყებას ვლ. ახმეტელმა შეთავაზებას უარყოფითად უპასუხა. XX—საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს გაჩნდა იდეა ქართული ემიგრაციის გაერთიანების თაობაზე. გაერთიანება სცადეს 1932 წელსაც, რომელსაც შედეგი არ მოჰყოლია. სიტუაციათა გამო გერმანიაში არსებული პოლიტიკური ემიგრაციის აქტიურობა გამოირიცხა, იგი გამოცხადებული იყო ქართულ კოლონიად და უფლებამოსილი იყო საქმიანობა განეხორციელებინა, მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვის გარეშე.

3-როგორც საკითხის მკვლევარი ბ-ნ გელა სულაძე აღნიშნავს<sup>1</sup> „გერმანიის ქართული ემიგრაცია ცდილობდა ყველა პარტიული დაჯგუფების ერთიან ქართულ მოძრაობად გარდაქმნას, მაგრამ წარუმატებლად... 1933 წლის „შემდეგ ახმეტელმა და მ. ნერეთელმა შეძლეს გაერთიანებინათ აქ არსებული ყველა ორგანიზაცია, რომელსაც ეწოდა „ქართული ნაციონალური ორგანიზაცია...“ მასში შევიდნენ ეროვნულ-დემოკრატიები,“ თეთრი გიორგი,“ უპარტიოები, თუმცა ოთხი წლის თავზე შიგადაპირისპირების შედეგად ეს ორგანიზაცია დაიშალა. 1937 წელსვე გესტაპოს ჩარევის შედეგად ქართული ემიგრანტული ორგანიზაციები დაშალეს. ქართული ორგანიზაცია ხელმძღვანელი ორგანოს გარეშე დარჩა.“

4-ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი, აკვირდებოდა რა 30-იანი წლებიდან ევროპასა და მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებს. თვლიდა, რომ მოვლენათა განვითარება მათ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებისათვის საშუალებას მისცემდა და მათი ორიენტაციებიც გერმანიისაკენ იხრებოდა, ცდილობდნენ მათთან დაახლოებას.

5-სამწუხაროდ, ქართული ემიგრანტული სამყარო მაქსიმალურად „გაერთო“ ინტერესთა კონფლიქტებით, თავი იჩინა ურთიერთგაუტანლობის და ურთიერთაუტანლობის ტრადიციამ, რამაც კოორდინირებულ მოქმედებას საფუძველი გამოაცალა, ემიგრაცია იმედს კი ამყარებდა საფრანგეთ-ინგლის-თურქეთ-გერმანიის დახმარებაზე, ამ გზით საქართველოში დაბრუნებასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაზე, მაგრამ მითითებული ქვეყნების შესაბამისი წრეები გაცილებით დახვეწილად ფიქრობდნენ საქართველოს ყოფილი ხელისუფლებისა და სხვა წარმომადგენელთა ჩართვას თავიანთ სასარგებლო საქმიანობაში, რომელიც ანტისაბჭოთა მოქმედებებით უნდა განხორციელებულიყო, იწყებოდა იგი ანტისაბჭოთა ცენტრების შექმნით, პროპაგანდისტთა სპეციალურ კურსებზე ემიგრანტთა მომზადებით და ა.შ. დამთავრებული დივერსიული მოქმედებათა განხორციელებით. საქმის კოორდინაცია ევალეობდა ცნობილ პიროვნებას შ. ბერიშვილს, ნოე რამიშვილის დისშვილს. აქ ერთ ეპიზოდს დავიმომხმებ, მკვლევარ გელა სულაძის ზემომითითებული წიგნიდან: – „ინგლის-საფრანგეთის ხელისუფალნი აქეზებდნენ თურქეთს სსრკ წინააღმდეგ ომში ჩაბმვაზე. ფიქრობდნენსაქმეშიქართული ემიგრაციის გამოყენებაზეც,მაგრამ იგივე ფრანგები მიუხედავად დაპირებებისა

<sup>1</sup> გ. სულაძე - ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები - 2012 წლის გამოცემა.



არ ჩქარობდნენ საქართველოს დევნილი მთავრობის აღიარებას. შ. ბერიშვილისათვის ცნობილი გახდა, რომ მოკავშირეები ითვალისწინებდნენ თურქეთის გეოსტრატეგიულ ინტერესებს და კავკასიის რეგიონის მათთვის გადაცემას. ცნობილი გახდა ისიც, რომ „მეკავშირეები ამზადებდნენ გეგმას ბაქოს, თბილისისა და ბათუმის დასაბომბად და საავიაციო დესანტის გადასასმელად სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც თურქეთის მონაწილეობით იქ მცხოვრები ერების ფიზიკური განადგურება მოჰყვებოდა. შ. ბერიშვილისათვის, როგორც ანტისაბჭოთა ბრძოლებაში ნაცადი ემიგრანტისათვის ცხადი გახდა, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება საქართველოს კარგს არაფერს მოუტანდა, რომ იგი კვლავ საერთაშორისო ლალატის მსხვერპლი ხდებოდა“... როგორ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ფაქტი ცნობილი გახდა საბჭოთა უშიშროების სამსახურებისათვის. დამოწმებული მასალა, რომელიც სათანადო დოკუმენტების ანალიზზეა აგებული კარგად აჩვენებს, როგორ ზრუნავდნენ ე.წ. მეკავშირეები საქართველოზე. საუბედუროდ იმპერიული ამბიციების ქვეყნები თამაშობენ თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე შემუშავებული თამაშის წესებით და პატარა ქვეყნების ინტერესები მხედველობაში არ მიიღება, ან მიიღება მხოლოდ მათთვის საჭირო შემთხვევაში და დროებით. ამ დროს საკუთარი ინტერესებისათვის სხვა ქვეყანათა მსხვერპლად შეწირვა უცხო არაა. ასე გაიწირა თავის დროზე, ავსტრია, ჩეხოსლოვაკია და თითქმის პოლონეთიც, რომლებიც ლანგარზე შემოდებული მიართვეს გერმანიას. მსოფლიო ისტორიას ანალოგიური სხვა მაგალითებიც ახსოვს, მიუხედავად ყველაფრისა, ემიგრანტთა კონკრეტული ნაწილი ფიქრობდა, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი, აშშ დახმარებით დაამარცხებდა გერმანიასაც და სსრ კავშირსაც და ამ ნიადაგზე ისინი ჩანაფიქრის განხორციელებას შეძლებდნენ, თუმცა 1939 წლის 1 სექტემბერს ომის დაწყებამ და ელვისებურად განხორციელებულმა გერმანელთა მანევრებმა მათი გეგმები საფუძვლიანად არია.

6-გერმანელებმა ქართველ ემიგრანტებთან ნიადაგი ინტენსიურად მოსინჯეს 1938 წლიდან. 1941 წლის ბოლოსათვის შულენბურგის<sup>1</sup> მხარდაჭერით იქმნება ქართული ნაციონალური კომიტეტის საინიციატივო ჯგუფი. ამ კომიტეტის შექმნის აუცილებლობაზე საკითხი კვლავ დაისვა 1942 წლის აპრილში. მანამდე, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, ემიგრანტები დარჩნენ პარიზში, რომელთა საქმიანობასაც წარმართავდა „საქართველოს ოფისი და ფაშისტური განწყობის ემიგრანტებით დაკომპლექტებული კომიტეტი.“ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ იწყება ტყვედწავარდნილ ქართველ ჯარისკაცებთან მუშაობა გადაბირების მიზნით, ხოლო 1941 წლის 23 ივნისიდან მიმდინარეობდა ქართველ ემიგრანტ მოხალისეთა ჩანერა ე.წ. ქართულ ბატალიონებში. პირველი რიგები შეავსეს „თეთრი გიორგის“, „ეროვნულ-დემოკრატიებისა“ და „მემარჯვენე მიმართულების“ პარტიათა წევრებმა. „სოციალ-დემოკრატები შეეცადნენ ნ. ჟორდანიასთან საკითხის შეთანხმებას, თუმცა საყვედურიც გამოთქვეს, რომ საქართველოში სხვა ძალები შევიდოდნენ და ისინი შორს აღმოჩნდებოდნენ სახელისუფლო პოსტების დაჭერისაგან.“ გერმანელების მოსკოვთან მარცხის შემდეგ, გერმანიის სპეცსამსახურების ტაქტიკა რამდენადმე იცვლება და მათ დახმარებისათვის მიმართეს ქართველ სოც. დემოკრატებს, როგორც ანტისაბჭოთა საქმიანობაში გამოცდილების მქონე ორგანიზაციას.“ ამის შემდეგ გერმანიის სპეცსამსახურებმა მოახერხეს მთელი ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაციის ჩართვა საქმიანობაში, აამოქმედეს პროპაგანდისტთა ბირთვიც და როგორც ითქვა მათი მეშვეობით მიმდინარეობდა ქართველ ტყვეთა გადმობირებაც და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეის პროპაგანდაც. ცხადია ამ პროპაგანდის შედეგია ვერსიები, რომ გერმანელები აღადგენდნენ საქართველოს სუვერენობას. ეს იქნებოდა იდეალური ფინალი, მაგრამ ვერ გასცდებოდა სასურველის რეალობად წარმოსახვის სფეროს. მოსკოვთან გერმანელთა მარცხს ალბათ უნდა შეეფხიზლებინა ემიგრანტთა გარკვეული წრეები, მაგრამ რადგან ვერმანის ძლიერება ჯერ კიდევ შეურყეველი იყო, ოპერაციის სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით გაშლისას საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ მოქმედებაში ჩართეს ქართველ ტყვეთაგან ჩამოყალიბებული ბატალიონებიც, რომლებმაც, როგორც ჩანს ვერც ისეთი მაღალი განვრთნილობა აჩვენეს, რომ გერმანელები მოეხიზლათ, ბევრი მათი მეზრძოლი გადავიდა საბჭოთა სამხედრო შენაერთების მხარეს, ხოლო სტალინგრადთან მარცხის შემდეგ, ქართული

<sup>1</sup> შულენბურგი — გერმანიის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში, ომისას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვებთან ერთად კოორდინირებდა კავკასიის საკითხებში.

ბატალიონები გაიყვანეს ბრძოლის ველიდან და გადაისროლეს დასავლეთის მიმართულებით, სადაც არაერთი მათგანი განადგურებული ან ტყვედ იქნააყვანილი პარტიზანებისა და მოკავშირეთა ჯარების მიერ.

ჩვენ ამ შემთხვევაში შეგნებულად არ ვაგრძელებთ საუბარს ქართველ ტყვეთაგან ჩამოყალიბებულ ბატალიონებზე, რადგანაც მათზე მასალა ჩართულია „მატიანის“ წინამდებარე ნომერში, სათაურით „ვერმახტის გენერალი ვანიდან – შალვა მალლაკელიძე“ და დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს მას.

შულენბურგის ინიციატივით 1941 წელს შექმნილი, „ქართული ნაციონალური კომიტეტის“ საქმიანობაც არაეფექტური აღმოჩნდა და იგი დასუსტდა შიგადაპირისპირებისა და მას შემდეგ, რაც ურთიერთდაპირისპირება მოხდა აღმოსავლეთის რეგიონების მინისტრ – როზენბერგს და გერმანიის სამხედრო დაზვერვის (აბვერ) ხელმძღვანელ კანარისს შორის, რომელიც ლობირებდა შულენბურგსა და რამდენადმე ვერმახტის, ვანელ, გენერალ შალვა მალლაკელიძესაც, ქართველ ტყვეთაგან ნაციონალური ბატალიონების შექმნის ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზატორს. „ორგანიზაცია დაასუსტა 1943 წლის დასაწყისში ს. კედისასა და ზ. ავალიშვილის მიერ ორგანიზაციიდან გასვლამაც, რადგან მათ სკეპტიციზმი გაუჩნდათ გერმანელთა მიერ დაპყრობილ რეგიონების მიმართ უპერსპექტივობის თაობაზე.“ 1943 წლის ოქტომბერში კომიტეტი დაიშალა. მალე ქართულ ტყვეთა ბატალიონები და მასთან დაკავშირებული საკითხები მთლიანობაში დაუქვემდებარეს ალფრედ როზენბერგის სამსახურს, ხოლო მალალაშვილი — როზენბერგის ინიციატივით დაარსებული ქართული დანაყოფები განადგურებული იქნა ბრძოლისას, მოკავშირეთა მიერ, (აშშ. ინგლისი) მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ. დასავლეთის ფრონტზე განადგურებული ან ტყვედაყვანილი იქნა 4 ქართული ლეგიონი.

1943 წლის დასაწყისიდან სტალინგრადათნ და ჩრდ. კავკასიაში გერმანელთა განადგურების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ამან ათქმევინა ჰიტლერს გენერალიტეტთან ერთ-ერთ თათბირზე, „ჩვენ გავალეთ კარი, მაგრამ არვიცოდით რა და ვინ იდგა ამ კარს მიღმა.“<sup>1</sup> ამის შემდეგ ქართველ ემიგრანტთა აქტიურობა ნიადაგამოცლილი ჩანს, ისე როგორც 1944 წლის სექტემბერში ქართველთა მოთხოვნა როზენბერგთან შეხვედრისას საქართველოსა და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. 1944 წლის ბოლოს, როზენბერგმა და კავკასიურმა შტაბმა, ხელი კი მოაწერეს „დოკუმენტს“, რომლითაც აღიარებული იქნა კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობა და ს.კ ედია აქტიურადაც იღწვოდა, რომ თურქეთს თავის ტერიტორიაზე ქართული ბატალიონები გაეტარებინა, ამ მოტივით, თითქოს საქართველოში მომზადებულია ანტისაბჭოთა აჯანყება, მაგრამ ეს უფრო იმაზე მიანიშნებს, რომ ამ ქართველ ემიგრანტ ლიდერებს მხედველობიდან გამორჩათ, 1944 წლისათვის საომარი მოქმედების სცენაზე მდგომარეობის რადიკალური ცვლა. გერმანია გარდაუვალი მარცხის წინაშე აღმოჩნდა, იგივე დღე ელოდა თურქეთსაც. შუკოვის მემუარებში, რომელიც წიგნად გამოცემამდე სამხედრო ისტორიულ ჟურნალში იბეჭდებოდა, საკმაოდაა მინიშნებული, რომ საბჭოთა გენშტაბს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან ამ დროისათვის მიღებული ჰქონდა მითითება დაემუშავებინათ თურქეთთან საომარი მოქმედების გეგმა. სხვათაშორის ამას ემთხვევა ქართველ მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული გახმაურებული სტატიებიც თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული ტერიტორიების შესახებ და ა.შ. ხოლო შუკოვის ეს მოსაზრება შემდეგში მის წიგნში, არ შეუტანიათ. ამდენად როზენბერგის ხელმოწერა ასეთ დოკუმენტზე, არც არაფრის მთქმელია, ისე როგორც არაფრის მთქმელი იქნებოდა ამ დროისათვის ჰიტლერის ხელმოწერაც ანალოგიურ დოკუმენტზე, რადგანაც გერმანიის საკითხი ბრძოლის ველზე უკვე გადაწყვეტილი იყო, მითუმეტეს სხვა სახელმწიფოთა და მის მთავრობათა დიპლომატიური ცნობის საკითხებს წყვეტდა ჰიტლერი და არა როზენბერგი.

სიტუაციიდან გამომდინარე ქართველ ტყვეთა ბატალიონების დაძვრა 1944 წლისათვის, რომელსაც ბატონი ს. კედია ცდილობდა მომავალი შედეგების თვალსაზრისით მთლად

<sup>1</sup> სამხედრო ისტორიული ჟურნალი 1965 წელი.

გონივრულ სტრატეგიულ მოქმედებად არ მიმაჩნია, თუმცა ეს ჩემი მოსაზრებაა და რეალურად რომ შეფასდეს, არც ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მაშინდელი მდგომარეობა, დონე, შიგა და გარე ურთიერთობანი არ წამოადგენდა მყარ გარანტიას მიზნის მისაღწევად. ამას უნდა დაემატოს ერთი მთავარი ნიუანსი: 1 –ან, მართლაც, აღნიშნული ბატალიონთა განვრთნილობა არ შეესაბამებოდა მაშინდელ საბრძოლოსტანდარტებს, 2 –ან ქართველი ტყვეები, რომლებმაც ბევრი რამ ნახეს საკუთარი თვალით, დარწმუნდნენ, რომ მათი ბრძოლა და მსხვერპლი ნაკლებად იყო მიმართული საქართველოს თავისუფლებისათვის და ეს ადამიანები გამოყენებული ხდებოდნენ სხვათა ინტერესებისათვის, რომლის დროსაც თავგანწირვა ნამდვილად არ ღირს. შეიძლება იყო სხვა ნიუანსებიც. სტატიის ავტორი პიროვნულად მეორე პოზიციისაკენ იხრება.

დღევანდელი რიტორიკა არაიშვიათად აკეთებს აქცენტს 1918 წლის გერმანია-საქართველოს ურთიერთობაზე, რომ მათი დახმარებით მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამაში იკითხება ის შინაარსი, რადგან ეს ასე იყო, გერმანია ამჯერადაც თავს გადადებდა საქართველოს სუვერენიტეტისათვის. ძნელია დათანხმება. 1918 წლის ივლისამდე ვიდრე გერმანია-თურქეთი ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში სიტუაციათა შემობრუნებისა და გამარჯვებისათვის იბრძოდნენ, გერმანული სახელმწიფო კავკასიასთან და საქართველოსთან მიმართებაში დახვეწილადათამაშებდა თურქულ კოზირს, საბოლოო მიზნით, რომ მოეპოვებინა გეოსტრატეგიული უპირატესობა კავკასიის პლატსდარმად ქვევით ახლო და შუა აღმოსავლეთში, აქედან ინდოეთისაკენ სამხედრო სტრატეგიულ მოქმედებათა გასაშლელად. როგორ და რა შედეგებით მიმდინარეობდა ეს ცნობილია. ამ შემთხვევაში ეს ქვეყანა უპირატესად ემსახურებოდა და ეხმარებოდა თავის თავს საკუთარი მიზნების განხორციელებაში. ეს კარგად ჩანს ერთი არც თუ უბრალო ფაქტიდან: 1918 წლის 4-ივნისის საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასა და თურქეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ოსმალეთს უფლება მიეცასამხედრო საჭიროებისათვისესარგებლა საქართველოს რკინიგზით,<sup>1</sup> საქართველომ აიღო ვალდებულება „მოეხდინა ქართული არმიის დემობილიზაცია, განეიარაღებინა სამხედრო გემები. გერმანიისა და თურქეთის სარდლობისათვის გადაეცა საქართველოს მთელი ტრანსპორტი, ნედლეულის ბაზები.“<sup>2</sup> აქ არ ვსაუბრობთსამხრეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებთან დამოკიდებულებაზე... ხოლო მანამდე 28 მაისს, გერმანიამ სცნო 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისხელისუფლება და ფოთში გაფორმებული 6 ხელშეკრულებით „სათავისოდ განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკური რესურსების ექსპლოატაციის მონოპოლისტური საკითხები: ფოთის პორტი და რკინიგზა გადავიდა გერმანიის ჯარების სარდლობის განკარგულებაში. 10 ივნისს გერმანიის საჯარისო დანაყოფები 5000 კაცი შედის თბილისში, „ხოლო გერმანელთა გარნიზონები განლაგდნენ – ქუთაისში, გორში, სიღნაღში, სამტრედიამში, ახალ სენაკში, ოჩამჩირესა და ზოგიერთ სხვა ადგილებში. ფოთში განლაგდა 10 000 კაციანი გერმანული გარნიზონი. მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ჩაყენებული იქნა სხვადასხვა საჯარისო სახეობათაშემადგენლობის 30-ათასამდე გერმანელი ჯარისკაცი... გერმანიის სამხედრო კონტროლს დაექვემდებარა ფოსტა, ტელეგრაფი, ბანკი და სამხედრო ფინანსური უწყებანი.“<sup>3</sup> 12 ივნისის ხელშეკრულებით გერმანიამ მიიღო ჭიათურის მარგანეცის ექსპლოატაციის უფლება 30-წლით, ფოთის პორტისა 60-წლით და ა.შ. ასეთი იყო თურქეთის მოკავშირე გერმანიის უანგარო დახმარება საქართველოსადმი. გარდა ამისა სხვა რა შეიძლება კიდევ ჩაითვალოს ქვეყნის ოკუპაციად. ამაზევე ამახვილებდა ყურადღებას გაზეთი „საქართველო“ 1919 წლის 28 მაისს: „ეკონომიკის,უფულობის, ვაჭრობა-მრეწველობის დაცემას ხელი შეუწყო მოკავშირეთა (ე.ი ჯერ გერმანიის, შემდეგ ინგლისის) ჩუმი პოლიტიკის წარმოებამ, რამაც გამოიწვია საქართველოს ფაქტიური ოკუპაცია. შეიძლება საქართველოს ოკუპაციას მოკავშირეთათვის დიდი

<sup>1</sup> მიხეილ რეხვიაშვილი, ნუგზარ რეხვიაშვილი — საქართველოს ისტორია გვ.968.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია — ავტორთა კოლექტივი ი.კაჭარავას რედაქციით, გვ 171.

<sup>3</sup> ო.კაპანაძე - ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან



პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის კი პირდაპირ გამანადგურებელი და დამღუპველი.“ ეს მოხდა იმ დროინდელი საქართველოს მენშევიკური ხელისუფლების დროს და უკეთესი არც ჰიტლერული გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში გველოდებოდა. ამდენად ის, რომ მაშინდელი გერმანია საქართველოს მხსნელად მოევიწყებოდა, სასურველის რეალობად წარმოსახვის შედეგია, რომელზედაც რეალური პოლიტიკის აგება არა თუ არასასურველი, მცდარიცაა. გერმანულ პოლიტიკელთა, მის გენერალიტეტს, წამყვან წრეებს, ამდაგვარი რამ არ უფიქრიათ სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებაში, არ ფიქრობდნენ ამაზე საქართველოსთან-მიმართებაშიც.

– დასკვნის სახით შეიძლება ითქვას – ისეთი გლობალური მოვლენა, როგორც II - მსოფლიო ომის დაწყება (ან მთლიანად ომი) იყო, არაა დამოკიდებული მხოლოდ ერთ ფაქტზე. ამ შემთხვევაში სსრკ-გერმანიის 1939 წლის აგვისტოს ხელშეკრულებაზე – „ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ“).

– ომი დაბადა მოვლენათა ჯაჭვმა, რომელიც მოჰყვა I- მსოფლიო ომის დასრულებასა და შემდეგ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის აღმოცენებულ შეურიგებელ წინააღმდეგობებს, განსაკუთრებულად, ეკონომიკური კრიზისების თანმდევ მოვლენებს.

– ჰიტლერის საომარი რიტორიკა, მისი ხელისუფლებაში მოყვანა და შემდეგ აღნიშნული რიტორიკის პრაქტიკული რეალიზება შვა ზუსტად იმ მოვლენებმა, რომელზედაც ამ სტატიაშია საუბარი და მისცა ბიძგი – გერმანიას ეფიქრა რევანშზე, რომ აღედგინა დაკარგული ადგილი ევროპის ცენტრსა და მსოფლიოში.

– ომი დაბადა ფაქტორებმა, რომელიც თან დევს მსოფლიო გადანაწილებას, ე.წ. „საარსებო სივრცის“ მოპოვებას, ამ გზაზე გაჩენილ წინააღმდეგობებსა და მიზნების განხორციელების სურვილს. ეს მუდმივ- მოქმედი ფაქტორია, რომლისგანაც დაზღვეული არც დღევანდელია.

– ომი დაბადა I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულ და დამარცხებულ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა სწრაფმა ნგრევამ.

– საომარი პროცესები დააჩქარა მსოფლიო კაპიტალისტურ ბანაკში აღმოცენებულმა ორი სამხედრო დაჯგუფების ურთიერთდაპირისპირებამ.

– საომარი პროცესები დააჩქარა მსოფლიოს გაყოფამ ორ საპირისპირო-სოციალისტურ და კაპიტალისტურ ფორმაციადა, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიით, სოციალურ-ეკონომიკური მონყობის გზებით დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომაც დანარჩენი მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების დაპირისპირება ამ ე.წ. უცხო სისტემისადმი, მისიგანადგურების სურვილით და მის წინააღმდეგ წამქეზებლური პოლიტიკურ-ურთიერთმიუღებელი დამოკიდებულებით გავიდა იმ გზაზე, რომელმაც დაბადა ომი – ასეთი ზეკატასტროფული შედეგით და პასუხს აგებს ყველა ვინაც და რა გზებითაც მსოფლიო ასეთ კატასტროფულ შედეგამდე მიიყვანა.

– ყოველივე ზემოთქმული არის განვითარების ერთიანი ჯაჭვი.

– რაც შეეხება იმედებს, რომ გერმანია გახდებოდა თავისუფლების სიმბოლო და აღადგენდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებულებას, ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ და მრავალთაგან იმ მცირე ფაქტების მოშველიებითაც კარგად ჩანს, რომ ამის განცდა არარეალური იყო.

– იმ ომის დროინდელი და დღევანდელი ქართველობა წარმოადგენს იმ დიდ წინაპართა (ქალდეველთა, იბერიელთა, კოლხთა) შთამომავლობას, რომელთაც ლომის წილი მიუძღვით მსოფლიო ცივილიზაციის ფორმირებაში, მაგრამ პრაგმატულ სამყაროში ამას ნაკლებად ითვალისწინებენ. სამწუხაროდ, როგორც ითქვა იმპერიული ამბიციების ქვეყნები საერთაშორისო ასპარეზზე თამაშობენ თავიანთი თამაშის წესებით. პატარა ერების ინტერესები აქ ნაკლებადაა გათვალისწინებული.

– დამოუკიდებლობის ფენომენი დაცულია მაშინ, როდესაც ერი დგას ერთად, გამთლიანებული, როდესაც თითოეული და ყველა ერთად იცავს ეროვნულ ღირსებებსა და თავმოყვარობას, არაა სხვათა მოიმედების შემყურე, ამის მაგალითები ქართველთა წიაღში დევს და უკეთესია, თუ იგი სწორად იქნება კოორდინირებული.

ვიტოვებ უფლებას ომის ყველა ვეტერანს ვუსურვოთ ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიც-



ოცხლე, ამ ომში მონაწილეთა ყველა ქართველ ვანელ ოჯახსა და შთამომავლებს ბედნიერება, ომში დაღუპულთა არდავინცება!

ღმერთი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი და აცილოს ჩვენს სამშობლოსა და ხალხს ყოველგვარი მსგავსი ტკივილი და განსაცდელი.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Документы и материалы кануна второй мировой войн. (из архива министерство иностранных дел Германии) Т. I-II
2. Д.Мельников Л.Черная – Нацистский реним и ею фюрер
3. Л.Безыменский – особая папка Барбаросса.
4. Л.Безыменский – Германские генералы с Гитлером и без него.
5. ერინსტ ჰენრი — ჰიტლერი სსრკ წინააღმდეგ (ქართულ ენაზე)
6. ადოლფ ჰიტლერი — Мейн ჯამპფ — სრული ვერსიით გამოქვეყნებული სამხედრო ისტორიულ ჟურნალში 1990 წელი.
7. ვ. მატვეევი — Провал мюнхенской политики
8. Мюнхенский с говор — ავტორთა კოლექტივი.
9. Погью (ინგლისელი ისტორიკოსი) — верховное командование.
10. ა.გრომიკო — Памятное Т- I.
11. ნიურნბერგის პროცესი — ტ. I-II-III. (რუსულ ენაზე).
12. Гансфрисснер (გენერალ-პოლკოვნიკი) Пройгранное сражение.
13. Блюментрит (გენერალ-პოლკოვნიკი) Роковоерешене
14. Очерки историй великой отечественной войны — ავტორთა კოლექტივი - აკადემიური გამოცემა.
15. Вторая мировая война 1939-1945 г.г სამხედრო ისტორიული მიმოხილვა. Т —I-I-II.
16. Великая отечественная война советского союза — გენშტაბის აკადემიის გამომცემლობა.
17. Деборин–вторая мировая война.
18. თეირანი- იალტა-პოტსდამი - ქართულ ენაზე
19. Военно исторически журнал–Документы и Материалы—შესაბამისი ნომრები (1965-70 წლამდე)
20. ვერმახტის გენერალი შალვა მაღლაკელიძე - მოგონებები.
21. გელა სულაძე - ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები.
22. არსენ მარტიროსიანი 200 მითი სტალინზე.
23. სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, აშშ პრეზიდენტის და დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის მიმონწერა. ტ. I და სხვა ოფიციალური მასალა.

კრებულ „მატიანის“ რედაქცია მკითხველს სთავაზობს ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის, უჩა დვალისპილის ორ სტატიას, იგი ეხება ქართულ ქორეოგრაფიას, მათ სიძველესა და ფუძეს, ორიგინალობას. ორივე თემა შინაარსობრივ კავშირშია ერთმანეთთან და ავსებენ კიდევაც ერთმანეთს. პირველი თემა – „ვანის არქეოლოგია, სამპატრუქიანი ბრინჯაოს ჭრაქი ქორეოგრაფიული თვალსაზრისით“ ეფუძნება ვანის არქეოლოგიურ გათხრებზე ნაპოვნ შესაბამის ექსპონატთა ქორეოგრაფიულ ჭრილში ზოგად მიმოხილვას, ხოლო მეორე – „როკვით განფენილი ქართული გენი“ – ქართულ ფერხულს, როგორც უნივერსალურ სარიტუალო ცეკვას.

„მატიანის“ მკითხველს გვინდა ვაცნობოთ ისიც, რომ ბატონი უჩა არის ქვეყანაში ცნობილი ქორეოგრაფი, ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოდან. იგი რიგ სხვა ვანელ მეცნიერებთან ერთად ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი და კრებულ „მატიანის“ გვერდით მდგომია, რისთვისაც რედაქცია მადლობას უხდის მას.

## უჩა დვალისპილი

პროფესორი

### ვანის არქეოლოგია

#### სამპატრუქიანი ბრინჯაოს ჭრაქი ქორეოგრაფიული თვალსაზრისით

2007 წელს ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ნაქალაქარისათვის დღემდე უცნობი არქეოლოგიური ძეგლი-განძი, სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელზე, საქვაბიას ლელის პირას, სახელდახელოდ ამოჭრილ ოთხკუთხა ორმოში (სიგრძე-1,85 მ; სიგანე-0,85 მ.), ნაქალაქარის ქვედა ტერასზე. განძი შედგება რკინისა და ბრინჯაოს ნაწარმისაგან. რკინის ნივთები საკმაოდ კოროზირებულია, მიჟანგულია ერთმანეთთან და ზოგჯერ ბრინჯაოს არტიფაქტებზეც. განძმა ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე.

ვანის 2007 წლის აღმოჩენას, განძის აღმოჩენი არქეოლოგი დიმიტრი ახვლედიანი, „განსხვავებული ხარისხის ინფორმაციის შემცველს“ უწოდებს და დასძენს: თუ აქამდე ეს ადგილები ოქროს სიმრავლით იყო ცნობილი, ახლა მას ბრინჯაოსა და რკინის დიდი რაოდენობით ექსპონატებიც დაემატაო.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთები რიტუალური დანიშნულებისა იყო და ისინი, შესაძლოა, მტრის შემოსევის დროს გადამაღეს. ამაზე არაერთი დეტალი მიანიშნებს. წინსწრებულად განძის შემადგენელი ნივთები გვიან ელინისტური ხანით თარიღდება, ხოლო განძი უნდა დაეფლათ ძვ.წ. I ს-ის შუახანებში ქალაქის დანგრევის შემდეგ. ვანი დანგრევამდე ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური და კულტურული ცენტრი იყო.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის დავით ლორთქიფანიძის თქმით - „ ბრინჯაოსა და რკინის ამ რაოდენობის ნივთების ერთად აღმოჩენა არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა. მართლა უნიკალური აღმოჩენაა ამდენი და ასეთი ნივთი ერთად. როგორც ჩანს, ეს არის ტაძრის ინვენტარი. აღმოჩენის პირველივე დღიდან ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ ეს არ ყოფილიყო ვინრო, ლოკალური კვლევა. კვლევა ჯერ მეტროპოლიტენ მუზეუმში, შემდეგ კი გეტის ცენტრში განხორციელდა. ისინი ტექნოლოგიურად გამოიკვლიეს, რომ დადგენილიყო, რისგან შედგებოდა და დათარიღებულიყო. ბრინჯაოსა და რკინის ჭრაქები, სასაკმევლები, სადგრები, დიდი ზომის ბრინჯაოს ჭურჭელი და შუბისპირები ძვ.წ. მესამე-პირველი საუკუნეებით თარიღდება და მიეკუთვნება ელინისტური სამყაროსათვის დამახასიათებელ ბერძნულ - რომაულ სკოლას.

განძის შემადგენლობაში ბრინჯაოსა და რკინისაგან დამზადებული ნივთებისგან ჩვენთვის საყურადღებოა ბრინჯაოს პატრუქიანი ჭრაქები შემკული სხვადასხვა სახის მითოლოგიური პერსონაჟებით.

პოლ გეტის კონსერვაციის მუზეუმის კონსერვატორი ჯეფრი მიეში ამბობს- „ამ ჭრაქებმა, რომლებსაც ჩვენ ვიკვლევდით, გვაჩვენა მაშინდელი ტექნოლოგიის დონე, დაგვანახა, რა შეე-

ძლო ადამიანს ათასწლეულების წინ. თითოეული ეს ჭრაქი უნიკალურია როგორც კომპოზიციურად, ისე ტექნიკურად და ცხადად მიანიშნებს იმ ტექნიკურ შესაძლებლობებზე, რომლებიც ჰქონდა ქართველ ხალხს ორი ათასი წლის წინ. მოკლედ, ეს ნივთები ესთეტიკურადაც ლამაზია და ტექნიკური თვალსაზრისითაც. დღესაც კი მათი შექმნა საკმაოდ რთული საქმეა.”

ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით (კერძოდ ქორეოგრაფიულით) განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ტაძრის გასანათებელი სამი საპატრუქეთი და სახურავით, ეროსის ოთხი ფიგურით - სიმაღლე (ფიგურებიდან) 0,27 მ. სიგანე 0.42 მ. შემკული ბრინჯაოს ჭრაქი და მასზე ასახული საცეკვაო სცენა: ერთ მათგანს ხელში უჭირავს „კითარა“, (აპოლონის და ეროტის ინსტრუმენტი), მეორეს - „ფანდურის“ მსგავსი საკრავი, მესამეს - მამხალა, ხოლო მეოთხე საცეკვაო სტილშია წარმოდგენილი.

ბრინჯაოს ჭრაქზე გამოსახული საცეკვაო სცენა ერთ სტილშია წარმოდგენილი და საზეიმო ცერემონიალს ასახავს და სტატიკურ მდგომარეობაშია წარმოდგენილი. ეროსის ქანდაკებები ერთმანეთს ორგანულად უკავშირდება. ყველა ფიგურას თავისი ფუნქციური, შინაარსობრივი და სტრუქტურული დატვირთვა აქვს და ერთ მთლიან კომპოზიციას ქმნის. საკრავებიანი ორი ქანდაკება მუსიკოსები უნდა იყვნენ - საკრავზე დაკვრა დიდ ოსტატობას მოითხოვს. კითარედი (კითარაზე დამკვრელი მუსიკოსი) ტრადიციულად პლექტრით უკრავს, ე.წ. ფანდურისტი - თითებით და ერთ მთლიან მუსიკალურ-რიტმულ ქარგას ქმნიან. მათს აკომპანიმენტზე კი ცეკვავს სოლისტი. ქანდაკებები ერთ სტილშია წარმოდგენილი - გვირგვინები და ფრთები სადღესასწაულო ელფერს სძენს. მამაკაცის ოთხივე ფიგურა შიშველია.

მოცეკვავე ფიგურა ვერტიკალურად დგას: მარცხენა ფეხი წინაა გადადგმული, ტერფი მიმართულია პირდაპირ, მარჯვენა მუხლი სახსარშია მოხრილი, ტერფი გარეთაა შებრუნებული, ორივე ფეხით ერთ ცერზეა აწეული, სხეულის სიმძიმე გამართულ წინა ფეხზეა. მარცხენა ხელი მე-3 პოზიციაში, იდაყვში ოდნავ მომრგვალებული, მაჯის სახსარში მოხრილი, თითები გამართული და შიგნით მიმართული, ცერა თითი - გაშლილი, ნები ზევით. მარჯვენა ხელი სხეულის გასწვრივაა დაშვებულ - ოდნავ მოხრილი. ხელის მტევანი სხივ-მაჯის სახსარში ზევითაა მოხრილი, თითები ოდნავ მომუჭული, ცერა თითი თითებისგან გამოყოფილი და ტანის მხარესაა შებრუნებული, ნები ქვევით. თავი მარჯვენა მხრისკენ ოდნავ დახრილია, მზერა მიმართულია ქვევით და წინ.

აშკარაა: მოცეკვავე ფიგურა პლასტიკურად განასახიერებს საკულტო რელიგიური დღესასწაულის საცეკვაო სცენას, მუსიკალურ შინაარსს, რომელიც რიტუალის სტრუქტურული ქსოვილია. მთლიანი რიტუალის ერთი ფრაგმენტით ძნელია იმსჯელო, თუ ცეკვის რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე. თუმცა საცეკვაო სტილი ნათლად გამოხატავს რიტუალურ-კოსმოგონიურ ქმედებას: სიცოცხლის ხე, როგორც სამყაროს მოდელი, კოსმიური სიმბოლოა, რომელიც აერთიანებს 3 კოსმიურ განზომილებას ქვესკნელს, მიწასა და ცას. მოცეკვავე ფიგურის ზემოთ და ქვემოთ მიმართული ხელები, სწორედ ამ განზომილების გამომხატველი უნდა იყოს, რასაც ხაზს უსვამს ხელის გულების - ნებების მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს ჭრაქზე გამოხატული რიტუალური სცენა ელინისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი ბერძნულ - რომაული სკოლის ნიმუშია, ჩვენ ვარაუდის დონეზე არ გამოვრიცხავთ ბრინჯაოს სამ პატრუქიან ჭრაქზე გამოსახული ეროსის ქანდაკება საცეკვაო მდგომარეობაში სტილისტურად დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართული ხალხური ცეკვების ძირითად მდგომარეობებთან, გამომსახველ საშუალებებთან, ხასიათთან, ზოგად ქართულ საცეკვაო ლექსიკასთან, განსაკუთრებით, კოლხურ, მეგრულ, იმერულ და სხვა კუთხის ცეკვებთან.

ამ ჭრილში არსებული ჩვენი მოსაზრებები, რა თქმა უნდა, სავარაუდოა და საკითხისადმი ინტერესის შემთხვევაში, სპეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი განძი უნიკალურია მეცნიერული, ისტორიული და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით. თვალსაჩინოდ გამოიკვეთა კოლხური ცივილიზაციის უმაღლესი დონე, დასტურდება კოლხეთის ინტენსიური კავშირები ანტიკურ სამყაროსთან და უძველესი ქართული ცივილიზაციის ახალი მიმართებები ევროპულ არიალთან.

მეცნიერთა ინტერესი ცივილიზაციური პრობლემათიკისადმი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ცივილიზაციის ფენომენისადმი ინტერესთა ზრდა განპირობებულია, როგორც წმინდა აკადემიური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ქართული კულტურის ისტორია საფუძველს საუკუნეთა სიღრმეში იღებს. ჯერ კიდევ ძვ.წ. აღ IV-III ათასწლეულებში დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე საფუძველი ეყრება პირველ ტომობრივ გაერთიანებებს, რომელთაც წარჩინებული გვარის ბელადები და მხედრობაში განაფული ადამიანები მართავენ. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება და თანდათანობით იკრებს ძალას უძველესი რელიგიური წარმოდგენები და მასთან დაკავშირებული საკულტო რიტუალები, რომელთა წიაღშიც ისახება სანახაობითი კულტურის პირველსაწყისები.

ქართველურ ტომთა მდიდარი კულტურის საწყისი ეტაპის შესახებ საინტერესო მასალას გვანვდის უძველესი საკულტო დანიშნულების ნივთები, მათზე გამოსახული რიტუალური თუ მითოლოგიური სცენები. მხატვრული ძეგლების ანალიზიდან ჩანს მითოლოგიურ-რელიგიური შებენიანებისა და მათი შესაბამისი რიტუალური ქმედებების ჩამოყალიბების ეტაპები.

კულტურულ ყოფაში შემორჩენილია უძველესი ტრადიციული ფორმები, რომელთაგან აღსანიშნავია ხალხური პოლიფონიური სიმღერები, გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგი, სადაც ამკარად ჩანს უძველესი მოტივები. სწორედ ამ დროიდან ქართველმა ხალხმა შექმნა უაღრესად მაღალმხატვრული და ორიგინალური ქორეოგრაფიული ხელოვნება. მოგვიანებით, კერძოდ კი, შუა საუკუნეებში, საქართველოს ქალაქებში ეწყობოდა მასობრივი დღესასწაულები, სადაც წარმოადგენდნენ სამხედრო ილეთებს და სპორტულ თამაშებს, ცეკვებს, როგორც ხალხური ხელოვნების ერთ-ერთ პოპულარულ საყვარელ სახეობებს.

სოფლებში (ბარსა თუ მთაში) ვითარდებოდა ცეკვები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან. ამ ცეკვებში შემონახულია წარმართული კულტის პლასტიკი, რიტუალური ნეს-ჩვეულებები.

მტრის ურდოების წინააღმდეგ ქართველი ხალხის გამუდმებულმა ბრძოლებმა განაპირობა და წარმოშვა კიდევ სხვადასხვა საბრძოლო შინაარსისა და ხასიათის ცეკვები, რომლებიც შემსრულებელთა მოქნილობისა და ძალის გამოვლინება იყო.

საუკუნეების მანძილზე ქართველ ერს ჩამოუყალიბდა მეტად საინტერესო და მდიდარი საცეკვაო ტრადიციები, ქორეოგრაფიული ენა, პლასტიკური გამომსახველობა, შესრულების ხერხები, მუსიკისა და მოძრაობის სინქრონიზმი.

ქართველები არა მარტო ასრულებენ უძველეს ცეკვებს, არამედ ქმნიან ქორეოგრაფიული ხელოვნების ახალ სახეებს, რომლებიც ამკვიდრებს ხალისს, სიყვარულს, ჰუმანიზმს და აღსავსეა სიცოცხლისუნარიანობით. ამასთან, ყველა ქართული ცეკვისათვის დამახასიათებელია საერთო ნიშნები — ქალთა ცეკვები ყოველთვის გამოირჩევა სინარნარით, ლირიულობით, გრაციოზულობით, მამაკაცთა ცეკვებისათვის კი ნიშანდობლივია ვაჟკაცურობა, თავდაჭერილობა, კეთილშობილური სიამაყე.

ქართულ ხალხურ ცეკვაში ქართველი ადამიანის სხეულის მრავალფეროვანი მოძრაობის, მდგომარეობის, პოზის, ჟესტისა და მიმიკის საშუალებით (რომლებიც ოდითგანვე იყო დაკავშირებული შრომით პროცესებსა და ემოციურ შთაბეჭდილებებთან, გარემომცველ სამყაროსთან) იქმნებოდა მხატვრული სახეები. დროთა განმავლობაში მოძრაობები თანდათანობით შეიცვალა და დაექვემდებარა მხატვრულ განზოგადებას, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ქართული საცეკვაო ხელოვნება — ქართული ხალხური გენიის გამოვლინება.

ქართული ცეკვის ისტორიული განვითარების თვალმიდევნებით მტკიცდება, რომ ცეკვის უძველესი ფორმა საქართველოში, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, იყო ფერხული.

ფერხულის უფრო ძველი სახეები სვანეთშია შემონახული, რომლებიც ძირითადად სრულდება სიმღერასთან ერთად. საგმირო ხასიათის ფერხულები იწოდება იმ გმირთა სახელებით ან მოვლენებით, რომლებზეც საუბარია საფერხულო სიმღერის ტექსტში. ჩვენამდე მოღწეული ფერხულები, რომლებიც საბრძოლო ხასიათს ატარებს, შემსრულებელთაგან განსაკუთრებულ მოქნილობას, ძალასა და ოსტატობას მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საფერხულო ცეკვების საერთო, საზოგადო მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო სიღრმისეულად განვიხილოთ ფერხულის, როგორც უნივერსალური საცეკვაო ნიმუშის, წარმოშობისა და გენეზისის საკითხები.



უძველეს რელიგიებში ცეკვას ერთ-ერთი მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი, რადგან მისი მეშვეობით მიიღწეოდა ღვთაებრივი, ამაღლებული, ექსტაზური მდგომარეობა. ბიბლიაში დავით მეფის „როკვა“ ასეთი დრამატიზმით არის აღწერილი:

„... 13. უფლის კიდობნის გადატანისას, ყოველ ექვს ნაბიჯზე, თითო ხარსა და ნაპატივებ ვერძს სწირავდა მსხვერპლად.

14. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, როკავდა დავითი უფლის წინაშე, სელის ეფოდი ემოსა დავითს.

15. ყიჟინითა და ბუკის ცემით მიჰქონდათ უფლის კიდობანი დავითსა და ისრაელის მთელ ხალხს.

16. როცა უფლის კიდობანი შევიდა დავითის ქალაქში, სარკმლიდან გადმოხედა საულის ასულმა მელქოლამ, დაინახა უფლის წინაშე მოხტუნავე და მროკველი დავითი და დასცინა მას თავის გულში.

17. მიიტანეს უფლის კიდობანი და დაასვენეს თავის ადგილზე კარავში, რომელიც გაშლილი ჰქონდა მისთვის დავითს. მერე აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლი შესწირა დავითმა უფალს.

18. როცა მორჩა აღსავლენი და სამადლობელი მსხვერპლის შეწირვას, ცაბაოთ უფლის სახელით დალოცა ერი.

19. ჩამოურიგა მთელ ერს, ისრაელის მთელს კრებულს, კაცსა და დედაკაცს, თითო პურის კვერი, თითო ხორცის წილობი და თითო ქადა. მერე თავ-თავის სახლებში წავიდა ხალხი.

20. როცა დაბრუნდა დავითი თავისი სახლის დასალოცად, გამოეგება მელქოლა საულის ასული, დავითს და უთხრა: როგორ განდიდდა დღეს ისრაელის მეფე, რომ გაშიშვლდა დღეს თავის მორჩილთა და მხევალთა თვალწინ, როგორც შიშვლდება ხოლმე ქარაფშუტა ვინმე.

21. მიუგო დავითმა მელქოლას: „უფლის წინაშე, რომელმაც მამჯობინა მამაშენს და მთელს მის სახლს, როცა დამადგინა უფლის ერის, ისრაელის წინამძღოლად, უფლის წინაშე სიხარულით ვიროკებ“.

ამ ეპიზოდში არამარტო მეფე დავითი „როკავდა“, არამედ — მისი მრავალრიცხოვანი თან-მხლები ერი. დავით მეფეს, ბიბლიის უსაყვარლეს მბრძანებელს და აღმატებულად მიჩნეულს, როკვა (ცეკვა) ღვთის საამო საქმედ მიაჩნდა. იგი არ თავილობდა, მხევალთა და მდაბიოთა შორის გამოჩენილიყო და ეცეკვა მათთან ერთად.

ამ ამბავს მეფის ცხოვრებაში მცირეოდენი დრამატული მომენტი შეუტანია. წინამორბედი მეფის — საულის ასულ მელქოლას არ მოსწონებია თავისი ქმრის, მეფე დავითის, ამგვარი ქცევა და გაუკიცხავს. ამიერიდან მათ ცოლქმრობას მტკიცე საყრდენი გამოსცლია; ბიბლია გვამცნობს რომ მელქოლას სიკვდილამდე შვილი არ ჰყოლია.

ცეკვას მუსიკასთან ერთად ამაღლებული განწყობის შექმნა შეეძლო ტაძრებში მრავალ-რიცხოვანი მაცურებლის გარეშეც. სრულიად ლოკალურ გარემოშიც ცეკვას ისეთივე „ღვთის საამო“ განწყობა შეჰქონდა, როგორც ბიბლიაშია აღწერილი. გიორგი გურჯიევის წიგნში მოთხრობილია საგულისხმო ამბავი იმის თაობაზე, თუ როგორ და რა გარემოში ეუფლებოდნენ გოგონები რიტუალურ ცეკვას ჰიმალაის მთებში არსებულ მონასტერში.

„სარმენგთა საძმოს“ კუთვნილ ტაძარში გოგონები მთლიანად მონყვეტილნი იყვნენ გარე სამყაროს, ნათესავებს, ყოველდღიურ საზრუნავს და მთლიანად ეძლეოდნენ განანესით ნაკარნახევ ყოფას. გოგონები წლების მანძილზე სწავლობდნენ „საღვთო ცეკვას“ და „საღვთო მუსიკას“. დიდი ხნის ვარჯიშის შემდგომ, დახელოვნებულნი, გასაოცარ ეფექტს აღწევდნენ. მეცნიერი ერთმანეთს უდარებს მონასტრის მოცეკვავეთა და ევროპელ პროფესიონალთა ცეკვებს და აღნიშნავს, რომ მონასტრის ქურუმ ქალთა ცეკვის მსგავსი ხელოვნება მას არასოდეს უნახავს. მთებში არსებული მონასტრები დღემდე ინახავენ ტრადიციებს.

მოცეკვავეთა ფიგურების გამოსახვა სამსხვერპლო დანიშნულების სხვადასხვა საგანზე ბუნებრივია ხელოვნებისათვის. ეტრუსკების კანოპებზე იშვიათი ხელოვნებით გამოსახულია რიტუალური სცენები. „მსოფლიო ხელოვნების ძეგლებში“ მოთავსებული ურნის მორთულობა გამოსახავს მოცეკვავე ადამიანებს, ისინი სამარხში ბუნებრივად ერწყმიან სხვადასხვა გამოსახულებებიან საგნებს და ნათელ სურათს ჰქმნიან ძველი სამყაროს კულტურისა და ხელოვნების

შესაცნობად. ცეკვის სცენაზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ასეთი რეალისტური და ყოველდღიური სცენების არსებობა განსაკუთრებულ ხიბლს ჰმატებს ძველი მსოფლიოს ხელოვნების ძეგლებს.

ჩვენი რეგიონის არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის უდიდესი პოპულარობით სარგებლობს თრიალეთში აღმოჩენილი საკულტო ნივთები. დღემდე არ ცხრება ინტერესი თრიალეთში ნაპოვნი ვერცხლის თასისა და სარტყლის მიმართ.

ხელოვნების ნიმუშია ვერცხლის თასი, რომელზეც გამოხატულია ცხოველთა ნიღბებით შემკული მასობრივი მსვლელობა. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ წერს: „ღვთაების ცენტრალურ ფიგურას უახლოვდება ოცდაორი არსებისაგან შემდგარი პროცესია ცხოველის თავებით და გრძელი კუდებით, რომელთაც თითო მოგრძო სასმისი უჭირავთ მარჯვენა ხელში. ისინი ლამაზ ფრიზს ქმნიან, რომელიც მოცემულია თანაბართავიანობის პრინციპით. პოზების ერთგვარობა კომპოზიციას საზეიმო სახეს და მონუმენტურობას აძლევს, რაც მოგვაგონებს კლდეზე გამოსახულ რელიეფებს. მიმავალი ფიგურების ტანისამოსი ტახტზე მჯდარის სამოსელს ჰგავს. ფეხსაცმელები აგრეთვე ხეთური ტიპისაა“. მეცნიერი ამ თასზე გამოსახულ სცენას ღვთაებისადმი მსხვერპლშენივრის რიტუალს მიაკუთვნებს. მისი აზრით, ნიღბოსნები საგანგებოდ არიან ასეთ პოზაში გამოსახულნი. ნიღაბი მისტერიის აუცილებელ კომპონენტად ითვლება.

ქართულ სინამდვილეში ნიღბების არსებობა დადასტურებულია ბერიკაობა - ყეენობის წარმოდგენებში. ალბათ, სახალხო დღესასწაულებმა ნიღბის ტარების ტრადიცია გადმოიღო უფრო მაღალი რანგის საკულტო რიტუალიდან და თავისებურად მოირგო და შეიფერა კიდეც.

კავკასიის ტერიტორიაზე ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის მონაპოვრები მაიკოპსა და თრიალეთში თვალნათლივ გვიდასტურებს აქ მცხოვრები ხალხების მაღალ განვითარებას და ხელოვნების უაღრესად დახვეწილ დონეს, საიდანაც ცხადი ხდება ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, ჩაცმის კულტურა, ეროვნული კუთვნილებანი, გართობა - სახალხო სანახაობების იდენტურობა და ა.შ. საერთოა ნაყოფიერების კულტის ფართო გავრცელება, რწმენა სიცოცხლის ხისადმი. შ. ამირანაშვილს საყურადღებო დასკვნა აქვს მოცემული ამ ვერცხლის თასზე: „უნდა აღინიშნოს რომ მ. შახერმეიერმა გამოავლინა, ეტრუსკების ღვთაება. ტელეფინის კულტი მომდინარეობს აღმოსავლეთიდან, ამ ღვთაების ეტრუსკული სახელწოდება „ტელეფას“ სავსების ემთხვევა სვანურ „ტელეფას“. ამრიგად, თრიალეთის თასის ზედა ფრიზის სიუჟეტის გამოცნობა სიძნელეს არ წარმოადგენს. თასზე გამოსახულია საზეიმო მისტერია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ქურუმები ნაყოფიერების ღვთაებასთან დაკავშირებული ტოტემური ცხოველის ატრიბუტებით და მათ ხელში უპყრიათ „სიცოცხლისა და უკვდავების წყლით სავსე თასები“.

სვანეთში თითქმის პირვანდელი სახითაა შემორჩენილი წინარე ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები და მელია-ტელეფიას შემთხვევაც ამას ადასტურებს. დღესასწაულები აქ არქაულ იერს ატარებს და ადასტურებს მ. ელიადეს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დღესასწაულის დროს ჩატარებული რიტუალების მეშვეობით ადამიანს შეუძლია გადალახოს ჩვეულებრივი დროის მდინარება და მითოლოგიურ დროში, საკრალურ ხანაში აღმოჩნდეს. ამიტომაც საკრალური დრო განმეორებადია, მასში ცოცხლდება ის ფაქტები, რომლებიც მითოსურ წარსულში მოხდა. (მ. ხიდაშელი).

ჩვენ ამ ლოგიკით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ნებისმიერ რიტუალს, რომელიც დღესასწაულისას სრულდება და აღვადგინოთ არქაული სურათი ადამიანური ცხოვრებისა – იმ მთავარი მომენტებისა, როდესაც მთელი ყურადღება გადატანილია ამ უძველესის (ტრადიციად ქცეულის) სრულყოფილად შესრულებასა და ვალის მოხდაზე. არაერთი სადღესასწაულო წეს-ჩვეულება ცხადყოფს, რომ იმპროვიზაცია აქ არ ხდება: ყოველთვის დიდი სიზუსტით მეორდება და სრულდება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი და მახსოვრობაში მტკიცედ გამჯდარი. დღესასწაული, რიტუალი, ჩვევა, შესაძლოა მთელი ხალხის წარსულის, მისი დღევანდლობის შესაცნობ მთავარ ფაქტორადაც კი იქცეს. მკვლევარი ამირან არაბული ასეთივე შეფასებას აძლევს მთელ ქართულ ხალხურ სამგლოვიარო პოეზიას, როგორც უმნიშვნელოვანეს მოვლენას მიცვალებულის კულტში: „იდეოლოგიური წნეხის და ზენოლის დამთრგუნველი სიმძიმისაგან თავისუფალი, სპონტანური სიბრძნის და სისადავის წარუვალი მაღლით გაჯერებული სამგლოვიარო ლექსი უმდიდრესი ფოლკლორული რეპერტუარის ის ღონიერი ნაკადია, რომ-

ლის მღელვარე „ტალღებში“ გარდასული დრო უამის მძაფრი ადამიანური განცდებია ჩახვეული და გამომწყვდეული. მისი ჯეროვანი ნაკითხვა, აღქმა და განმარტება ჩვენი სულიერი გამოცდილების მართებული შეფასების აუცილებელი წინაპირობაა“. ხალხური სამგლოვიარო პოეზია მთლიანად უძებნის ახსნას არსებულ თვალსაზრისს მიღმურ, გარდაცვლილთა სამყაროზე.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიაც სავსებით ასახავს ქართველი ხალხის წეს-ჩვეულებებში არსებულ შეხედულებებს. ქორეოგრაფიამ მოძრაობათა სისტემა ჩამოაყალიბა და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოში მოაქცია რიგი სადღესასწაულო რიტუალები. შეიმუშავა მოძრაობების თავისებური მანერა, მიუსადაგა მთავარ არსს, რომელიც ამ რიტუალს შეეფერებოდა და ჩვენ დღეს შეგვიძლია „ნავიკითხოთ“ აზრობრივი ქვეტექსტები, რომლებიც ამ მოძრაობაში დევს, ზედაპირზე ან იგულისხმება მასში. ხალხური ცეკვის მონანილენი სხვადასხვა ფორმით სწორედ სულს განასახიერებენ. ბუქნაობა რიტუალური სიკვდილის სახეა. მეფერხულეთა მოძრაობა სწორედ სულთა მოძრაობაა. (ი. გაგულაშვილი).

წარსულში მოცეკვავეები შიშველნი იყვნენ, მაგრამ ეს სიშიშველე სრულიადაც არ ნიშნავდა უზნეობას; ბუნებრივი გარემო იყო ისეთი, რომ ცეკვა მიიჩნეოდა საკრალურ მოვლენად და მისთვის ღვთაებრივი, ზებუნებრივი იერი დღეს ჩვენთვის წარმოუდგენელი და მიუღებელი ფორმით მიიღწეოდა. ბიბლიაში საულის ასულმა მელქოლამ მწარედ დასცინა თავის ქმარს, რომელმაც ერის წინაშე შიშველმა იცეკვა ღვთის სადიდებლად. დავით მეფე იქ სწორედ ფერხულში ჩაერთო, საერთო-სახალხო განწყობა შექმნა, აჰყვა მას და „დაიმდაბლა“ თავი უფლის წინაშე.

ცეკვის ზებუნებრივ არსზე ბევრს წერენ: „საკუთრივ ქართული მასალა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ გასაგები იყოს მკლავთა მოძრაობის „სილარიბისა“ და მკაცრად განსაზღვრული მდგომარეობების ისტორიული საწყისები ვაჟთა ცეკვაში. ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ შემდეგი: გვაროვნულ საზოგადოებაში სათანადო ასაკს მიღწეულ ვაჟს როკვას მხოლოდ განდობის წესის გავლისას ასწავლიდნენ. ამდენად, მროკველი ყოველთვის განდობილია, რომელიც მისი მშობლის, მითიური წინაპრის ხატად ხელმეორედ არის დაბადებული წესჩვეულებებში“ (ი. გაგულაშვილი).

როგორც ვარაუდობენ, ცეკვა ყოველთვის იყო აღმნიშვნელი რაღაც საკრალურისა; იგი ყველა რიტუალში გულვებული უძველესი ქმედებაა. ცეკვა გარკვეულწილად ატარებდა მაგიის ელემენტებს. ისევე როგორც შელოცვა შეიცავს სიტყვიერ რესურსს, ცეკვა მოქმედებათა რესურსის მომცველი და შემნახველია. შესაძლოა, ცეკვის ვიზუალური აღქმისას ყველაფერი არც იყოს შესამჩნევი, მაგრამ მის აზრობრივ „ქვეფენებში“ ეს ყოველივე უკლებლივ დევს და ყველა საჭირო „ინფორმაციასაც“ შეიცავს. საცეკვაო რიტუალებში უხვადაა ე. წ. „შეჯიბრების“ ელემენტებიც, განსაკუთრებით გვიანტერესებს მასობრივი ცეკვები; ი. გაგულაშვილის ნაშრომში ასეთი საყურადღებო დასკვნაა მოცემული: „ნახევარწრედ პირისპირ მდგარი მოცეკვავეების შეჯიბრი არსით იმავე რიგის მოვლენას წარმოადგენდა, რაც საგაზაფხულო საწესო დღეობაში ორ ჯგუფად გაყოფილი გუნდის (ზოგჯერ ორი სხვადასხვა სოფლისა და უბნის) საწესო შერკინება (ომი, ბრძოლა) რომელშიც გამარჯვებულს, ხალხური რწმენით, იმ წელს უხვი მოსავალი და კეთილდღეობა ელოდა. ამავე არსის მქონე იყო ცხოველთა თუ ფრინველთა შერკინების ტრადიცია. დაახლოებით ამავე საწყისებზეა ამოზრდილი ადამიანისა და ცხოველის საწესო ბრძოლაც.

ცეკვა შეიძლება წარმოვიდგინოთ „კოლექტიური ცნობიერების“ არსის ისეთ გამოვლენად, რომელმაც შეინახა არაცნობიერად მასში გულვებული საკრალური ინფორმაცია, ხოლო მოგვიანებით, საერთო-სახალხო საკუთრებად ქცეულმა, „სანახაობრივი“ დანიშნულებაც შეიძინა. ცეკვის სფეროსადმიც მართებულია მ. ხიდაშელის აზრი: ხალხური შემოქმედების ყველა სფეროსათვის დამახასიათებელია სამყაროს გააზრება მის მთლიანობაში, რაც განისაზღვრება, როგორც ინტუიტიური კოსმოგონიზმი, ანუ არსი იმისა, რასაც ტრადიციულს უწოდებენ, ეს ტრადიციულობა უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანისა და ბუნების, სამყაროს ერთიანობის იდეის შენარჩუნება, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში ქაოსის დაძლევისათან ერთად დაიბადა და განუშორებელია ხალხური შემოქმედებისაგან.

კოლექტიურობა და გუნდურობა წარმოადგენს ხალხური შემოქმედების ძირითად ნიშანს. მუხიკა და ცეკვა თავდაპირველად ერთიანობაში იყო მოაზრებული, გვიან მოხდა მისი დიფერ-



ენციაცია. ასეთია ზოგადი სურათი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში გამონაკლისის სახით შემორჩენილია ოდინდელი მდგომარეობა. ასეთი ვითარება დღემდე იჩენს თავს სვანურ ფოლკლორში: „როცა ვლაპარაკობთ სვანების მუსიკალური ფოლკლორის სპეციფიკაზე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი სინთეზურობა — სიტყვის, მუსიკისა და მოძრაობის დაუნანევრობა, ე. ი. მას შენარჩუნებული აქვს უძველესი ქართული სინკრეტული ხელოვნების ფორმა შესრულებისა. ამის გამო, როგორც ჩვენ ადრეც გვქონდა აღნიშნული, სვანების, ისევე როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა მცხოვრებლების ხალხური სიმღერის საგმირო-საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სალაშქრო, სანადირო, საწესჩვეულებო თუ სხვა შესრულების ფორმა ერთი იყო – ფერხული (ორსართულა, სამსართულა, წრიული და მწკრივული). ყოველგვარი თავშეყრილობა, სახალხო დღესასწაული, საოჯახო დღეობები, რიგითი უქმე დღეები თუ სხვა მისთანანი, მათთან დაკავშირებული ყოველგვარი რელიგიური ქმედება – ლოცვა, შეწირვა და სხვა, რიტუალური ცეკვისა და ფერხულის გარეშე იშვიათად ხდებოდა“ (თ. მამალაძე).

ფერხული იყო და არის მასობრივი სახალხო დღესასწაულების უმთავრესი კომპონენტი. როგორც მკვლევართა უმეტესობა აღნიშნავს, ჩვენს მთაში სინკრეტული სახით შემორჩა ცეკვა-სიმღერა და ეს არის ფერხული.

არქაული მდგომარეობა შენარჩუნებული იყო გასული საუკუნის დასაწყისშიც. საწესჩვეულებო დანიშნულების სიმღერები, რომელიმე რელიგიური დღესასწაულისათვის განკუთვნილი, მხოლოდ სიმღერას როდი გულისხმობდა, ფერხული განუყრელი იყო ამ სიმღერებისაგან. სინკრეტიზაცია შემორჩენილი და შემონახული იყო ბოლომდე. თანამედროვე ვითარება სხვაგვარია; ახლა გუნდები სვანურ საფერხულო სიმღერებს ასრულებენ ცალკე, ცეკვის გარეშე. ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, მაგრამ თავდაპირველი მდგომარეობა მკაცრად სინქრონიზებულ, ერთიან შესრულებას გულისხმობს. თანაც არის განსხვავება იმაშიც, რომ დღეს ეს სიმღერები წმინდა სცენური თვალსაზრისით აინტერესებს ხალხს და ცოტა თუა ჩახედული მათ საკულტო-რიტუალურ მხარეში. ოდესღაც (ახლო წარსულშიც) ფერხული იყო რელიგიური რიტუალის ნაწილი. „პირველ რიგში ასეთ სიმღერებს ეკუთვნიან სვანურ „მურყვა-მობასთან“ და „საქმისაის“ ჩვეულებებთან დაკავშირებული ფერხულები, შემდეგ სამონადირეო სიმღერა — ფერხულები და ა.შ. (ი. ჯავახიშვილი).

საწესჩვეულებო სიმღერები სრულდებოდა შესაბამისი ქმედებების თანხლებით. ზოგიერთის აღწერა მოგვეპოვება კიდევ; მაგალითად, „ჭიშხაშ“ სრულდებოდა მრავალრიცხოვანი, ერთმანეთისათვის ხელიხელჩაკიდებული მასის მიერ. „დიდება თარინგ ზელარს“ აუცილებლად მოითხოვდა მუხლის მოყრას და ადეკვატურ მოქმედებებს, ეს ყველაფერი კი სიმღერის თანხლებით მიმდინარეობდა.

ზ. ფალიაშვილი და დ. არაყიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სვანურ ფერხულებს. მათ შეისწავლეს და მაღალპროფესიულ დონეზე დააყენეს ეს საქმე. მუსიკალური მხარე და ტექსტები სრულყოფილად და დამუშავებული და აღნიშნულია, რომ მისახედი და გამოსაკვლევი მრავალი ნიუანსი საცეკვაო „ენისა და ლექსიკისა“, რომელსაც ისე სრულყოფილი სახით არ მოუღწევია ჩვენამდე, როგორც ენობრივ ტექსტებს. დღეს ჩვენთვის ცნობილია ფერხულთა მრავალი სახეობა, რომლებსაც ასრულებენ საერთო სახალხო ზეიმებზე, რელიგიურ დღესასწაულებზე; ისინი უძველესი წარმართული კულტების არსებობას ადასტურებენ და შეიცავენ „უძველეს კოდს“, რომელიც საფუძველია არქაული ხანის მეცნიერული ძიებისა: „მელიაი-ტელეფია“, „ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე“, „ყურშაო, ჩემო ყურშაო“, „ამირანის ფერხული“, „ავთანდილის ფერხული“, „მონადირე ჩორლა“, „ჯანსულო“, „ძაბრალე“ და მრავალი სხვა უტყუარ ცნობებს გვანვდიან ჩვენი ხალხის სარწმუნოების, მისწრაფებების, აზროვნების თაობაზე.

ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ საგანგებოდ იკვლევს ფერხულის აღმნიშვნელ ტერმინებს. მისთვის „პართ მეღერე“ მეფერხულეს ნიშნავს. ასევე იხმარებოდა „ძნობა“, „დაბმა“.

ნ. მარის მიერ „შუშპარი“ მიჩნეულია ქართულში შემოტანილ ტერმინად. მისი აზრით „შუშპარი“ თუბალ-კაინური წარმოშობის სიტყვაა. სომხურის მიერ უშუალოდ თუბალ-კაინურიდან შეთვისებული „პარქ“ ნიშნავს ფერხულს, სიმღერას, წრეს; შუშ – არის თუბალ-კაინური — თუთ, რაც ნიშნავს მთვარეს, თრთოლას, მოძრაობას. თუბალ-კაინური წარმოშობის პარ – არის სრულიად კანონზომიერი ეკვივალენტი ფერ-ის და აქედანაა ნაწარმოები ფერხული — გუნდობრივი სიმღერა-ცეკვა.



ბერძნული „ქორო“ შეესატყვისება ქართულ „ფერხულს“, ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ქსენოფონტე შენიშნავდა მოსინიკების (მესხების) შესახებ: „ისინი ასეულებად დაეწყვნენ და დადგნენ ერთიმეორის პირისპირ, როგორც ქოროები“. საყოველთაოდ არის ცნობილი რომ ბერძნული ქორო თეატრის მთავარი ღერძი გახლდათ, ადრე მას სრულიადაც არ ჰქონია თეატრალური დატვირთვა და უფრო რიტუალებისა და სამსხვერპლო წეს-ჩვეულებების მასობრივ ქმედებებთან იყო დაკავშირებული. ქურუმთა და კულტის მსახურთა მსვლელობები, მათი ჯგუფური რიტუალური ქმედებანი მოგვიანებით სანახაობრივი კუთხით იქნა გამოყენებული. შეიქმნა ასეთი ვითარება: „ქორო ბერძნულ თეატრში მგალობელი მოცეკვავეთა გუნდს შეადგენდა. ის ერთი მეორესთან გაჯერებულ და დაპირისპირებულ ორნახევარ ქოროდ იყო გაყოფილი. ქორო ორგვარი იყო: ტრაგიკული და კომიკური. ტრაგიკული ქორო გამოსვლისა და გასვლის სიმღერათა გარდა ასრულებდა სტასიმებს ანუ სამსხვერპლოს გარშემო წრისებურ მოძრაობის (ჯერ ერთი მხრით და მერე მის სანინააღმდეგო მიმართულებისაკენ დაბრუნებით) დროს წარმოსათქმელ სიმღერებს“ (გრ. რობაქიძე).

წრიული მოძრაობა სიმღერის თანხლებით ბერძნულ ქოროსაც ახასიათებდა, ჩვენი ფერხულების მსგავსად. როგორც ზემოთ მოყვანილ ციტატაშია, სამსხვერპლოს გარშემო წრიული მოძრაობების მინაგვანი იყო თეატრალური ქოროს ნახევარწრიული თუ წრიული მოძრაობები. ჩვენთვის უკვე ცნობილი მრავალი ქართული ფერხულიც აშკარა იმიტაციაა ოდინდელი, ქრისტიანობამდელი საკულტო ჩვევა-წესებისა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ფერხული თავისი ბუნებით და თავდაპირველი დანიშნულებით წმინდა სარიტუალო საკულტო მოძრაობების შემცველი ცეკვაა და ვერანაირი გვიანდელი სანახაობრივი ვარიაციები ვერ დააკნინებს მის „ზებუნებრივ“ დანიშნულებას.

ფერხული, მართლაც, უნივერსალური სარიტუალო ცეკვაა, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა თავდაპირველი დანიშნულების ფრაგმენტები. ფერხული დღესაც არის ყველაზე მასობრივი სანახაობა, რომელიც არ ზღუდავს მონაწილეთა რაოდენობას, სქესს. დღესაც იგულისხმება მისი არსებობა სხვადასხვა სახალხო დღესასწაულში, ხოლო სვანური „ლილეო“ – მზის უძველესი წარმართული საგალობელი — წმინდა საფერხულო ქმედების შემცველია. რომც არ გვქონდეს არქეოლოგიური მონაპოვრები, ისტორიული წყაროები და ეთნოგრაფიული მონაცემები, სვანური სიმღერების შესწავლა და მათი ბუნების გათვალისწინებაც სავსებით საკმარისი იქნებოდა საფერხულო ცეკვების საკულტო ხასიათის დასამტკიცებლად.

ქრისტეს ქართველური წარმოშობა  
აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას მიხედვით

„საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით“

ივანე ჯავახიშვილი

აკადემიკოსმა ვლადიმერ ვახანიამ წიგნში „კოლხეთ-საქართველოს ეპოსი“ („ქრისტეს ბოლო სიტყვები“, „ლაზარეს აღდგენა“) საქართველო წარმოაჩინა მსოფლიო ცივილიზაციის სათავედ, წარმოაჩინა აგრეთვე მისი უძველესი, დღემდე უცნობი ისტორია; დაადგინა, რომ ქრისტემ ჯვარცმის წინ ბოლო სიტყვები თქვა ძველ ქართულ, მეგრულ-ლაზურ ენაზე: „ელი, ელი! ლამა საბაქთანო.“ თანამედროვე ქართულით: „მამაო, ღმერთო! მივდივარ შენთან.“

წიგნში განხილულია იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ და ლექსის საიდუმლოს ხსნის ქართული ენიდან გამომდინარე. შევეცდები წიგნის ამ მონაკვეთის ზოგიერთი შტრიხის მოკლედ ანოტირებას.

იოანე ზოსიმეს პირველწყარო მასალების შესწავლამ უჩვენა ქრისტეს ქართველური წარმოშობა.

ვ. ვახანია შეგვახსენებს, რომ, „ივანე ჯავახიშვილი მიგვითითებდა ქართველი ერის, ენისა და დამწერლობის კოლხურ-ქალდეურ კვალზე. იოანე ზოსიმე წერს; „... და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან! ...ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს.“

... „ახალ აღთქმაში“ ლაზარეს ავადმყოფობის და აღდგენის თავში ქრისტეს სიტყვებზე: „აღდგება შენი ძმა,“ მართა პასუხობს: „ვიცი, რომ აღდგება აღდგომის უკანასკნელ დღეს.“ ეს სიტყვები მიგვითითებს იმაზე, რომ მართას და მარიამს მოსმენილი ჰქონდათ ქრისტესაგან წინასწარმეტყველება ლაზარეს შესახებ. ...წინასწარმეტყველება ქრისტეს მეორედ მოსვლისა საქართველოში გადმოცემული იყო ლაზარეს მეშვეობით, სხვა დატვირთვა ამ სიტყვებს არ აქვს.

ვ. ვახანიას აზრით „იოანე ზოსიმემ თავისი ლექსი დაშიფრა უსაფრთხოების მიზნით, რადგან ეს იქნებოდა პოლიტიკურად წამგებიანი ... ის ამცნობს საქართველოს, რომ მეორედ მოსვლის ჟამს ღმერთი ამ ენით ამხელს კაცობრიობას, ...რომ საქმე ეხება ქართული ენის და დამწერლობის ფესვებს ქრისტეს შობამდე... უფლის თავდაპირველი ენა იყო იბერიულ-ქალდეური ან ქალდეურ -იბერიულ-კოლხური...“

იოანე ზოსიმე გვეუბნება, რომ ანბანი და დამწერლობა დასაბამიდან ჰქონდა ქართველ ერს მოცემული უფლისაგან...

ამის გახმაურება ქართულ სახელმწიფოს ხელს არ აძლევდა, რადგან ირკვეოდა ქართული ერის კოლხურ-იბერიული წარმოშობა.

... ფარნავაზი ქართლში მეფობდა III საუკუნის პირველ ნახევარში ძველი წელთაღრიცხვით. ამ დროს არსებობდა მხოლოდ კოლხურ-იბერიული ანბანი და ეს ანბანი იყო მიღებული ქართლის მიერ.

V საუკუნეში, საბანმინდელის ანდერძში ეწერა, რომ პალესტინაში „იბერიელებს ნება ეძლევათ... წაიკითხონ სამოციქულო სახარება თავიანთ დედაენაზე.“ მაშასადამე, V საუკუნეში იბერიული ანბანი და დამწერლობა არსებობდა.

V საუკუნეში ჯიბერ-მეგრელებმა იერუსალიმში დააარსეს წმინდა ჯვრის ეკლესია და სამოციქულო მასალებით ამარაგებდნენ კოლხეთის იბერიას და ქართლის სამეფოს“...

კ. კეკელიძის სიტყვებით: „რაც შეეხება სადამწერლო ასოების სადაურობას, მეგრელებს იგი ჰქონდათ შეძენილი თავისი უძველესი წინაპარი ქალდეებიდან... ეს ასოები, ქალდე-მეგრელებს ჩამოჰყვათ კოლხეთში, ხოლო კოლხეთიდან აღმოსავლეთ საქართველომაც მიიღო.“

„აღმოსავლეთ საქართველოში - ამბობს ვ. ვახანია - ძველი კოლხურ - მეგრული სიტყვა-ენა... გადასხვაფერების შედეგად ქართლის საკუთარ ენოვნებად იქცა... ქართულ ენას მე-

გრული შერჩა დიალექტად და დიალექტად იყო ცნობილი მრავალი საუკუნის განმავლობაში... თანამედროვე სახელმწიფო და სალიტერატურო ქართული ენა იგივე ძველი კოლხურ - მეგრული ენაა და იგივე ძველი იბერიული ენა. კოლხურ- მეგრული ენა კი, იგივე ქართული ენაა.“

ვ. ვახანია განაგრძობს: „აკაკი შანიძემ აღიარა, რომ „მეგრული და ლაზური კოლხური ენები.“

...კოლხები იყვნენ ქართველი ერის წინაპარი ხალხი, რომელიც აერთიანებდა მრავალ ტომს... თვით კოლხების წინაპრები იყვნენ ქალდეველები. ...კოლხურ - მეგრული ენა მრავალ ტომთა შორის იყო საერთო, ირკვევა რომ, სახელდობრ, კოლხურ-მეგრული ენა მიიჩნევა მრავალ ხალხთა პროტოენადაც. ამავდროულად მეგრულ-ლაზური ენა ძირითადად არის პროტოქართ-ველური ენა.

ქართველი ერის პირვანდელი ენა: ძველი მეგრულ-ლაზური ენა, იგივე უფლის ენა და იგივე პირველი ცივილიზებული კაცობრიობის ენა დღემდეა შენარჩუნებული.

იოანე ზოსიმე პირდაპირ მიგვითითებს პირველყოფილ ქვეყანაზე - იბერიაზე და დასაბამზე:

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა (ე.ი მესიისა - ქრისტეს - ვ.ვ) სანამებლად, რათა ყოველისა ენასა(ხალხთა - ვ.ვ) ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.“ სიტყვა „დღემდე“ ვ. ვახანიას განმარტებით ნიშნავს ქრისტეს შობამდე დამალულ საიდუმლოს, რომელსაც მიეკუთვნება პირველყოფილი ქვეყანა იბერია.

ბიბლიის მიხედვით ქრისტემ მიგვანიშნა, რომ იცნობს ლაზარეს, მის ენას, ანბანს, როგორც ღმერთისგან მოცემულს.

„... არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა.“ქრისტეს ამ სიტყვებით განიხილება იოანე ზოსიმეს საიდუმლოება და ლაზარეს აღდგომა.„ მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, - ამბობს ქრისტე - ჩემი მორწმუნე, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს.“ ამდენად, თავის მორწმუნედ და პირველყოფილი ღმერთის ერად ქრისტე მიგვითითებს ლაზარეს ერზე. ქრისტე ამბობს:„აღდგება შენი ძმა,“ რაზეც მართა პასუხობს: „ვიცი, რომ აღდგება, აღდგომის უკანასკნელ დღეს.“ ვ. ვახანია: „სწორედ ეს სიტყვები ჰქონდა მხედველობაში იოანე ზოსიმეს, როცა ის გვიმხელს ქრისტეს მეორედ მოსვლას დედამიწაზე – ლაზარეს საქარათველოში, რომელიც აღსდგება და გაბრწყინდება მრავალი ტანჯვის შემდეგ, რაც განპირობებულია დასაბამიდან.“

ამას ადასტურებენ სხვებიც:

„დადგება დრო, როცა მსოფლიო რასა გადაჯიშდება, ერთადერთი გამაკეთილშობილებელი იქნებიან ჩერქეზები და ქართველები“. (ჰეგელი)

„დადგება მძიმე დროება და თუ იმ ჟამს რუსეთი იარსებებს, მას მოუწევს იბერიაში მუხლის ჩოქვით მილოლება, რათა ითხოვოს პატიება ყველა იმ ცოდვებისათვის, რასაც რუსეთი ჩაიდენს მის წინააღმდეგ.“ (წმინდა ლავრენტი ბუროველი).

„იბერიის ღვთაებაში ეშმაკი ვერ დაისადგურებს. იბერია გადაურჩება მონამეობას, რადგანაც ღვთისმშობელი დაიცავს ამ ქვეყანას.“ (წმინდა ლავრენტი ჩერნოგორელი).

„მრავალი ერი გაქრება დედამიწის ზურგიდან, მაგრამ იბერია იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვა.“ (წმინდა სერაფიმე საროველი).

შემდეგ ვ. ვახანია განაგრძობს: „ყველა წმინდანი მიგვითითებს ღმერთის მიერ ამორჩეულ ქვეყანაზე – იბერიაზე, მაგრამ ამის პირველი წინასწარმეტყველი იყო იოანე ზოსიმე, რომელმაც თქვა, რომ იბერია არის დასაწყისი და დასაბამი: იბერიაზე მეტყველებს ყველაფერი და ამავე დროს იბერია და იბერი არის მეგრული სიტყვა და თავისთავად პირველი ქვეყნის ენა იყო პროტოქართული ლაზურ-მეგრული, ანუ იბერიული ენა, რომლითაც მეორედ მოსვლისას ქრისტე ამხელს მსოფლიოს.“

რატომ მაინცდამაინც მეგრული ენით? ვ. ვახანია ამბობს: „იოანე ზოსიმე იძლევა ამაზე პასუხს, თუნდაც დაფარულად.“

როგორც ირკვევა პირველი შიფრია „ლაზარე:“ „და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.“ იოანე ზოსიმე მისახვედრად გვეუბნება, რომ ენასა შინა არის „ლაზარეს“ ენა ე. ი. ძველი ქართული ლაზურ-მეგრული ენა.

გიორგი მერჩულეც ამბობს რომ „...ქართლს სახელმწიფოებრივ ენასა შინა, არის დამალული ძველი ქართული ენა, როგორც იმდროინდელი თანამედროვე ენის საფუძველი.“

...იოანე ზოსიმე მიგვანიშნებს ლაზარესა და ქრისტეს ნათესაურ კავშირზე. ის ამბობს, რომ ლაზარეს მეშვეობით მის ურთიერთობაში ქრისტესთან არის საიდუმლოს მთავარი გასაღები ქრისტეს მეორედ მოსვლისა: „რათა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა.“ ე. ი. ლაზარეს ენის მეშვეობით ზოსიმე გვიმხელს საიდუმლოს: „და მეგობრობა იმისთვის თქვა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს.“

...საიდუმლო დამარხულია ლაზარეს ენაში. ლაზარე ქართული ენა, იგივე ძველი ქართული ენა, იგივე ძველი მეგრული ან ძველი კოლხური, ლაზურ-მეგრული ენა.

...ლაზარე ასოცირდება მხოლოდ ერთ ქართულენოვან ეთნოსთან, როგორცაა ლაზები. ლაზარე იგივე ლაზი და იგივე ლაზური ენა.

რატომ დაასახელა იოანე ზოსიმემ ლაზარე ქართული ენის და ერის საიდუმლოდ, ამას ლინგვისტურ საფუძველზე განმარტავს ვ. ვახანია: „სახელი ლაზარემდგება ორი სიტყვისაგან — „ლაზი“და „რე“

- „ლაზა“ (ლაზი) – აღნიშნავს ეთნიკურ- ეროვნულ (კოლხურ) კუთვნილებას;
- „რე“ – კოლხურ- მეგრულად ნიშნავს „არის“ (ვარ).

ამდენად, სიტყვა-სახელი „ლაზარე,“იგივე „ლაზი რე,“ნიშნავს: „ლაზი არის,“ „ლაზი ვარ,“ „კოლხი ვარ,“ „ქართველი ვარ.“ აი, ამნაირად მიგვანიშნებს იოანე ზოსიმე ქართული ენის და ქრისტეს წარმოშობის შესახებ: უფალი ქრისტე, როგორც განკაცებული, მინიერ ცხოვრებაში იყო ლაზ-მეგრელი, კოლხი და თავისთავად ფლობდა ქართველურ, ლაზ-მეგრულ ენას.“ (ჯვარცმის წინ ქრისტემ ბოლო სიტყვებითქვა მეგრულ-ლაზურ ენაზე: „ელი, ელი! ლამა საბაქეთანი“ – რ.ქ.) ვ. ვახანია განაგრძობს: „ძველთაძველ ქართველურ ლაზურ-მეგრულმა ენამ შეასრულა თავისი მისია დედამიწაზე და დარჩა დაწუნებული, ღრმად შინაარსობრივი, მაგრამ არაღიარებული სალიტერატუროდ და დამწერლობის გარეშე და მარტო ოჯახებში შეინარჩუნა „შემკული, მდაბალი და დაწუნებული“ თავისიპირველყოფილი სახე, მიძინებული ყველაზე ნაკლებ ორიათასი წელი.

...ბაბილონის გოდოლის მშენებლობისას ღმერთმა აღრია 1 ენები, მაგრამ ლაზარეს შეუნარჩუნა ე.ი. დასაბამი, უფლის ენა შენარჩუნდა.

... ცნობილია, ყველაფერი უბრუნდება დასაბამს, თავის საწყისს – ეს არის ფილოსოფიის მუდმივი კანონი და იოანე ზოსიმეს საიდუმლო: „და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელთა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას, მეორედ მოსვლისა უფლისასა.“

ვ. ვახანიას აზრით, ღმერთი თავის მოსვლისას დედამიწაზე ილაპარაკებს და ამხელს მსოფლიოს მეგრულ ენაზე „იმიტომ, რომ მეგრული ენა არის დედამიწის ხალხთა პროტონა – პირველი განვითარებული ენა, რომელმაც დაუდო საფუძველი მსოფლიოს სხვა ენებს. ...წარმოადგენს კაცობრიობის პირველყოფილ და ამავედროულად უფლის ენას.

მეგრული ენის სიღრმე დამტკიცებულია, გამოქვეყნებული 7ტომიანი 5000გვერდიანი წიგნით „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა.“ ამ ნაშრომით დადასტურებულია, რომ მეგრულ ენას აქვს 100მილიონამდე ზმნური სიტყვა და აქედან მხოლოდ ძირისეული ფორმების სიტყვები შეადგენს 2 969 600სიტყვას. (ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ჯიუტი ფაქტია. რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის ოცტომეული მოიცავს 120 ათას სიტყვას. ინგლისურ ენაში 490 ათასამდე სიტყვაა. – რ.ქ.)

მოვუსმინოთ ისევ ბატონ ვ. ვახანიას:

„– რაც უფრო მდიდარია ენის ლექსიკა, მით უფრო განვითარებულია ენა;

– რაც უფრო ბევრი სიტყვაა ენაში, მით უფრო განვითარებულია ენა და გამოიხატება მისი უძველესობა.“

ეს თეორიები აქსიომასავით მიღებულია მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

... აზროვნება დამოკიდებულია ზმნური სიტყვების რაოდენობასთან.

მეგრული ენის სიტყვა არამარტო აღნიშნავს საგანს, საგნის მოქმედებას ან მოვლენას, არამედ, წარმოადგენს მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, რაც არ ახასიათებს არცერთ ენას მსოფლიოში.

... არცერთ ენას მსოფლიოში არ შეუძლია გამოხატოს ფუძემდებლური ასოებით იმდენი რაოდენობის სიტყვა, რამდენსაც გამოხატავს მეგრული ენის ასო-ნიშნების სიტყვები. მეგრულ ენაში ცალკე ასოებიც კი წამოადგენს შინაარსიან სიტყვას.



„სიტყვა ბგერისაგან შედგება, ამიტომ პირველი იყო ბგერა, ხოლო შემდეგ სიტყვა. მეგრულ ენაში ყველა ბგერა სიტყვაა და თანაც ზოგი მათგანი რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელი.

...სიტყვებში ბგერათა რიგრიგობით მონაცვლეობა ერთსა და იმავე ადგილზე გვაძლევს სიტყვის აზრობრივ ცვლილებებს, მოვიყვანთ მაგალითებს: „ბიორუა“ – საქანელაზე ქანაობა, „ზიორუა“ – ბრაზვაა, „პიორუა“ – კვირტების გამოტანა, „სიორუა“ – ჩაცურება, ჩასრიალება, „ფიორუა“ – ფრიალი, მსუბუქად სიარულია, „ქიორუა“ – მოპნევაა, „ლიორუა“ – ფიცრებად დახერხვაა, „ჩიორუა“ – რბილ მინაზე მსუბუქი ფეხსაცმლით სიარულია, „ციორუა“ – ახალგაზრდულად, ნარნარით სიარულია, მსუბუქად ტრიალია, „ნიორუა“ – ძალზედ გამხდარი ტანის ქალის ტრიალი, სიარულია, „ჭიორუა“ – არის ფიცრის ნაპირზე ზოლის ამოყვანა, „ხიორუა“ – ფიცრებად ან შეშად მასალის სიგრძეზე დაპობა“ (მურთაზ ჯანჯღავა, „მეგრული ენის ფენომენი.“ 2009 წელი).

„იოანე ზოსიმე ამბობს ვ. ვახანია – შეგნებულად არ უწოდა დედამინის პირველ ენას ქართველური (კოლხური) ენა, რადგან სამართლებრივად მიაჩნდა, რომ ეს ენა — ერთი ფესვის, ერთი ერის და ერთი მოდგმის ენაა... რაც თავის დროზე გაცხადდება და სწორედ რაზედაც მიგვანიშნა.“

ვ. ვახანია განაგრძობს: „ქართველები დედამინაზე უძველესი ხალხია და მათი წინაპრები 9-8-7 ათასი წლის წინათ მკვიდრდებოდნენ შუა მდინარეთში... და იყვნენ მსოფლიოში პირველი ცივილიზაციის და პირველი დამწერლობის შემოქმედნი.

„სწორედ ქალდეაში დაირწა კაცობრიობის პირველი აკვანი – მოგვიანებით ცნობილი როგორც კოლხეთი“.

სიმონ ჯანაშია: „ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში იწყება ქართველთა ბრწყინვალე წინაპრების დაკნინება და მცირე ტომებად ქცევა. დაემხო მათი სახელმწიფოები, რის შედეგაც მოაშურეს კავკასიას, სადაც ბინადრობდა მათივე მონათესავე ეთნოსი და სახელმწიფოებრივი გაერთიანება – სახელგანთქმული კოლხეთი, როგორც დიდი ქალდეა – იბერიის ნაწილი, შემდეგში ცქეული ქართლის სამეფოდ.“

ამრიგად, ვ. ვახანიას კვლევით ირკვევა, რომ ქართველი ერი არის მსოფლიო ერების და რელიგიების წყარო ე. ი უფლის არჩეული ერი და ამდენადაც, უფალი ღმერთი განიკითხავს მსოფლიოს კოლხეთ-იბერიის საქართველოდან. სწორედ ეს შინაარსია ყველაზე მთავარი გზავნილი იოანე ზოსიმეს გენიალურ ლექსში.

**ქართვან კავშირე**

ფილოლოგი

**პირჩვეთ ნიბნს**

**„ვისაც არ დაუნყია კითხვა, დღეიდან დაინყეთ“**

/ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია II /

„დღეს ყველასათვის ცხადია, რომ კაცობრიობა პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იურიდიულ-სოციალურად, ყოფის კუთხითაც კი – ვითარდება იმ პრინციპებისა და წესების შესაბამისად, რაც ევროპამ შექმნა და ჩამოაყალიბა,“ – წერს აკაკი ბაქრაძე.

ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანის აზროვნება, მსოფლმხედველობა, ყოფიერება, მენტალობაც განიხილება ევროპული საზომით და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელია. სწორედ ევროპულმა აზროვნებამ დასვა საკითხი: ფიზიკა თუ ლირიკა? სამწუხაროდ, ამ ორთაბრძოლაში ჰუმანიტარიზმი დამარცხდა და ტექნოციზმმა გაიმარჯვა.

ჩვენ გამოვიგონეთ რაკეტები, გავფრინდით კოსმოსში, შევქმენით კომპიუტერი, ვბატონობთ ბუნებაზე, ჩვენ შევალწიეთ ადამიანის გონებაში...

ადამიანს საკუთარი, პირადი აღარ დარჩა...

ჩვენ დავიპყართ მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების მწვერვალები, მაგრამ „ადამიანის ბუნება ვერაფერმა შეცვალა,“ ზნეობის თვალსაზრისით ერთი ნაბიჯითაც ვერ წავინიეთ წინ: ისევ ვჭურდობთ, ისევ ვძალადობთ, ისევ ვლაღობთ, ისევ ვანამებთ, ისევ ვკლავთ. უბრალოდ, მეთოდები დავხვეწეთ...

გავხდით ტექნოკრატები და უარი ვთქვით სულიერ განვითარებაზე; ახალ, სხვა ღირებულებებს ვეზიარეთ. ის, რაც უზნეობად ითვლებოდა, დღეს დაკანონდა და გამოხატვის თავისუფლების ლოზუნგით მოგვევლინა.

კაცობრიობა დემორალიზდა.

რა როლი ეკისრება ამ პროცესში წიგნიერებას, კონკრეტულად, ლიტერატურულ წიგნიერებას? რისთვისაა აუცილებელი წიგნების კითხვა?

ტატიანა ვონკასა და ფანიკა ბალიჩის აზრით:

არსებობს მთელი რიგი მიზეზებისა, რომელთა გამოც ჩვენ ვცდილობთ, ბავშვები წიგნებს ვაზიაროთ:

- რათა გავალვივოთ და განვამტკიცოთ წიგნებისადმი სიყვარული;
- რათა დავნერგოთ და აღვზარდოთ კითხვის კულტურა;
- რათა განვავითაროთ და გავამდიდროთ მეტყველება, აზროვნება, წარმოსახვა და შემოქმედებითი უნარი;

რათა განვავითაროთ და გავამდიდროთ ემოციები (საკუთარი და სხვა ადამიანის ემოციების ამოცნობა და გამოხატვა);

— რათა საინფორმაციო წყაროს სახით წიგნებისა და სხვა ბეჭდური მასალების გამოყენების უნარი გამოვიმუშაოთ;

— რათა განვავითაროთ და წავახალისოთ მოსწავლეები თვითგამოხატვის, თავისუფლების არჩევანისა და დამოუკიდებლობისაკენ;

— რათა მივცეთ ურთიერთობის შესაძლებლობა და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას;

— რათა ხელი შევუწყოთ წერა-კითხვის უნარის განვითარებას;

— რათა ბავშვი სკოლისა და ცხოვრებისათვის მოვამზადოთ;

რაზე საუბრობენ დღეს სპეციალისტები, იმაზე თუ როგორ ვკითხულობთ, თუ იმაზე, საზოგადოდ, ვკითხულობთ თუ - არა?

სამწუხაროდ, ორივე კითხვა პრობლემატურია.

პრობლემის იდენტიფიცირება – მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ გაანელა წიგნიერებისადმი ლტოლვა და მისწრაფება. საზოგადოებრივ ტრანსპორტში, კაფეებში, მოსაცდელ დარბაზებსა თუ სკვერებში, ხშირად ნახავთ მობილურ ტელეფონებსა და „აიპოდებში“ თავჩარგულ ხალხს, მაგრამ ძალიან იშვიათად წააწყდებით ადამიანს წიგნით ხელში, ანუ მკითხველს.

ელს. ეს მარტივი დაკვირვება ჩვენს საზოგადოებაში წიგნიერების ხარისხის ერთ-ერთ საზომად შეგვიძლია გამოვიყენოთ. ადამიანი წიგნისაგან გაუცხოვდა და ტექნიკაში ჩაიკარგა. მეტიც, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისათვის კითხვა სასაცილოც კი გახდა. „წიგნის კითხვის ნერვები არა მაქვს“, – ეს ფრაზა ერთ-ერთი ფორუმის მონაწილეს ეკუთვნის, მთქმელი 16 წლის ახალგაზრდაა. დიახ, დღევანდელ საქართველოში ხშირად გაიგონებთ ცინიკურ მსჯელობას თემაზე, რა საჭიროა წიგნები, რომანები, ზღაპრები და საზოგადოდ, ზედმეტი დრომოჭმული სენტიმენტები. დღევანდელი რაციონალიზმის და ე. წ. „გარდამავალი კაპიტალიზმის“ ეპოქაში, არამყარი პოლიტიკური წყობის, ლარისა თუ ეკონომიკური კურსის პირობებში, ხომ საერთოდ ერთადერთ მყარ ღირებულებად მხოლოდ მატერიალური აქტივები, სახლები, აგარაკები, მანქანები და უარეს შემთხვევაში, ქალაქის კუპიურა გვეიმედება. დღევანდელ მსოფლიოს პრეტენზია აქვს განსაკუთრებულ პრაგმატულობაზე და სულიერებაც რაღაც გაშარჟებულ დანამატად იქცა, ან უკეთეს შემთხვევაში, ინფანტილურობასთან ასოცირდება.

საზოგადოების დიდმა ნაწილმა, სამწუხაროდ, აღიარა, რომ წიგნიერება არ არის აუცილებელი. მთავარია პრაგმატიზმი, პრაქტიკული ცოდნა და ფინანსები. მთელი მსოფლიო შეიფუთა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღესდღეობით ადვილად იყიდება მხოლოდ ის, რაც კარგადაა შეფუთული. შინაარსი მეორეხარისხოვანია. ისიც ცნობილია, რომ მსოფლიოს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ზნეობრივად ზოგჯერ გაუნათლებელი ადამიანები მართავენ. წიგნის კითხვა განათლებისათვის აუცილებელი აღარაა. უფრო მკაცრად თუ ვიტყვით, მსოფლიოს „უწიგნური თაობა“ მართავს.

სწორედ ამიტომ დღეს ამკარაა უწიგნურობის შემზარავი შედეგები:

- აზროვნების დაშტამპულობა
- ლექსიკური მარაგის სიღარიბე
- დაბალი მეტყველების კულტურა
- ადამიანური ემპათიის ნაკლებობა და აგრესია
- უზნეობა

ოცდამეერთე საუკუნეში, გლობალიზაციის, პროგრესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში, ტერმინი — „უწიგნური თაობა“, ცოტა არ იყოს, უცნაურად და პარადოქსულადაც კი ჟღერს, თუმცა ფაქტია — დღეს მოზარდების უმეტესობა უფრო და უფრო ნაკლებად კითხულობს წიგნს და დროის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ან ტელევიზორთან ატარებს.

წიგნიერების დონის ამალლების აუცილებლობაზე ჩვენს ქვეყანაში ორჯერ ჩატარებული კვლევაშედეგებიც მოწმობს. 2006 და 2011 წლებში გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაწილეობით წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (წიგნი – წიგნიერების ინსტიტუტის ინიციატივით) ჩატარდა. წიგნიერების მიერ წაკითხულის გააზრების უნარს და იმ ფაქტორებს იკვლევს, რომლებიც მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასა და ზოგადად წიგნიერებაზე ახდენს გავლენას. 2011 წელს ჩატარებულ კვლევაში 45 ქვეყანა მონაწილეობდა. საქართველოში მცხოვრებ ბავშვებს საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ, მათი წიგნიერების საშუალო მაჩვენებელია 488, რაც PIRLS -ის სტანდარტული სკალის საშუალო მაჩვენებელს 12 ერთეულით ჩამორჩება. კარგი ის არის, რომ 2006 წელს ჩატარებული კვლევის შედეგი 17 ერთეულითაა გაუმჯობესებული (45 ქვეყანას შორის 34-ე ადგილზე ვართ), ამ ტემპით კი საშუალო მაჩვენებელს მხოლოდ 16 წლის შემდეგ მივუახლოვდებით.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველოში ერთ მილიონ ადამიანზე 13 615 წიგნი იბეჭდება, რის მიხედვითაც საქართველო მსოფლიოში 63-ე ადგილზეა, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2011 წლის მონაცემებით საქართველოში 2.8 მილიონი წიგნი თუ ბროშურა გამოქვეყნდა. მათა ინფორმაციით 2007 წლის კვლევის მიხედვით, კითხვაზე - ნაგვიკითხავთ თუ არა უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში წიგნი, საქართველოს მოსახლეობის 67.6% - მა უარყოფითად უპასუხა (იმავე კვლევით აზერბაიჯანში გამოკითხულთა 66.7% - მა უარყოფითად უპასუხა, ხოლო სომხეთში ეს მონაცემი 52.6% - ია) ჩლჩ - ს 2011 წლის კავკასიური ბარომეტრის მიხედვით, აღნიშნულ შეკითხვაზე საქართველოს მოსახლეობის 54% - ის პასუხი უარყოფითი იყო.

შედეგები, მართლაც რომ შემამფოთებელია.

არადა, განათლებული მსოფლიო უკვე ათეული წლებია განგამის ზარებს რეკავს და ახალ-

გაზრდა თაობის სულიერ სიკვდილს პროგნოზირებს.

მაშ ასე, რატომაა ჩვენი ბავშვების მომავალი დამოკიდებული წიგნების კითხვის სიყვარულზე?

ანდრე მორუა წერს: „წიგნი ერთადერთი საშუალებაა, რომ ღრმად ჩავიხედოთ გარდასულ ეპოქებსა და იმ სოციალური ფენების ცხოვრებაში, რომელთა მისადგომებიც ჩვენთვის ჩარახულია.“

ლევან ბერძენიშვილი: „წიგნისმიერი ადამიანი უნდა იყოს ჩართული მსოფლიო ლიტერატურულ ქსელში. უდიდესი ტკივილის, სულიერი ტრავმის, პიროვნული ტრაგედიისა და შეჭირვების დროს ჩართვება ლიტერატურული ანტივირუსი და მხოლოდ ის გადარჩება, ვინც ამ ქსელშია ჩართული. ის, ვინც არ კითხულობს, იცოცხლებს ფიზიკურად და მსოფლიო ჩაივლის მის გარეშე“.

ანდრე მორუა: „იმისთვის არ უნდა ვიკითხოთ, რომ საკუთარი თავი და ყოველდღიური ცხოვრება დავივიწყოთ. კითხვა იმისთვისაა საჭირო, რომ უფრო მტკიცედ ჩავჭიდოთ ხელი ჩვენი ცხოვრების საჭეს და უფრო გავიფართოოთ ცნობიერება. წიგნებს ისე არ უნდა მივუდგეთ, როგორც დამფრთხალი მოსწავლეები უდგებიან ამბარტავან მასწავლებელს. არც ისე — როგორც უსაქმურები — ბოთლ ღვინოს, არამედ ისე, როგორც მთასვლელები შეჰყურებენ ალპებს, ხოლო მეომრები — არსენალს, არა ისე, როგორც უმწეონი — ცხოვრებას, არამედ ისე, როგორც მეგობრებსა და თანაშემწეებს მიმართავენ ხოლმე ადამიანები.“

ქართველი მწერალი გურამ დოჩანაშვილი წერს: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ადამიანი ხდება იმაზე უკეთესი, ვიდრე იყო.“

ერთხელ ცნობილი ინგლისელი მწერალი რიჩარდ გეიმანი სრულიად შემთხვევით შეესწრო დიალოგს ორ პიროვნებას შორის დღევანდელ ამერიკაში ძალიან პოპულარულ კერძო ციხეების თემაზე. კვლევაზე დაფუძნებული უმარტივესი ალგორითმის გამოყენებით აღმოჩნდა, რომ საკმაოდ მაღალია კორელაცია წერა-კითხვის უცოდინარ ბავშვთა რაოდენობასა და მომავალში მათ კრიმინალურად ჩამოყალიბებას შორის. რატომაა ეს, არ ნიშნავს იმას, რომ განათლებული წიგნისმოყვარული ბავშვი სრულიად დაცულია კრიმინალური მომავლისგან, მაგრამ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უწიგნურობა, გაუნათლებლობა, მოზარდთა კრიმინალური ხვედრის პირდაპირპროპორციულია.

თანამედროვე პრაგმატულ სამყაროში, სადაც ადამიანები რაციონალურნი და საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულნი არიან, ნაკლებად უსმენენ და უგებენ ერთმანეთს. ემპათია ის თვისებაა, რომლის განვითარებაც მოზარდს ხელს შეუწყობს გახდეს უფრო წარმატებული დღევანდელ სამყაროში. შეგრძნებების განვითარებას იწვევს ფილმის ყურებაც და წიგნის კითხვაც, იმ მცირედი განსხვავებით, რომ ფილმის ყურებისას მთავარი გმირების თავგადასავალს ჩვენ თვალს ვადევნებთ გვერდიდან, ხოლო წიგნის კითხვის პროცესს კი თან სდევს ერთი ჯადოსნური თავისებურება, თქვენ იწყებთ წიგნის გმირების ცხოვრებით ცხოვრებას და მათთან ერთად ერთვებით თავგადასავლებში, განცდებსა და ემოციებში. იგივე ხდება ბავშვთანაც და ასე ვითარდება მოზარდში ემპათიის გრძნობა — თანაგანცდის უნიკალური უნარი, რომელიც ასე სჭირდება დღევანდელ რაციონალურ სამყაროს.

2007 წელს, როდესაც ინგლისელი ნილ რიჩარდ გეიმანი მიიწვიეს ჩინეთის პირველ კონფერენციაზე ფენტეზის თემატიკაზე, იგი დაინტერესდა, თუ რატომ ჩათვალეს პრაგმატულმა ჩინელებმა ეს თემა საინტერესოდ. აღმოჩნდა, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობამ დაადგინა: ჩინელი დაქირავებული მუშაკი უკვე არსებული მზა სქემების მონოდების შემთხვევაში შესანიშნავად ართმევდა თავს დავალებას, მაგრამ ვერც ქვეყანა და ვერც მისი საზოგადოება ვერაფერს ახალს და შემოქმედებითს ვერ ქმნიდა. Apple -ში, Microsoft -სა, Google-ში მივლინებული ჩინელი მეცნიერების მიერ ჩატარებული გამოკითხვების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ ამ კომპანიების შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებული თანამშრომლები ბავშვობაში, უკლებლივ ყველანი, ფენტეზის კითხვით იყვნენ გატაცებულნი...

**რას ნიშნავს სწორად კითხვა, წიგნიერება?**

„წიგნიერება განისაზღვრება როგორც საზოგადოების მიერ ღირებულად მიჩნეული და / ან ინდივიდისთვის ფასეული წერილობითი ფორმების გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობა.“



მკითხველებს უნდა შეეძლოთ მრავალფეროვანი ტექსტების შინაარსის გაგება“... კვითხულობთ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ კვლევის ანგარიშში.

ნინო ელბაქიძე წერს: „ამ განმარტების გაცნობა და გაცნობიერება მნიშვნელოვანია მშობლებისთვის, რადგან ჩემი გამოცდილებით მათ უმრავლესობას მიაჩნია, რომ წიგნიერება ნიშნავს, ბავშვს რაც შეიძლება მეტი მხატვრული წიგნი ჰქონდეს ნაკითხული, იცნობდეს ქართველ და უცხოელ ცნობილ მწერლებსა და პოეტებს, შეძლოს კონტექსტის შესაბამისად მათი ციტირება. სინამდვილეში წიგნიერება გულისხმობს ტექსტთან ურთიერთობის ხელოვნებას, კითხვის მეთოდების ცოდნას, ინფორმაციის მიღებასა და მის მენეჯმენტს და იგი სტატიკურ ცოდნაზე არ არის ორიენტირებული.“

ახლა ჰერმან ჰესეს მივუბრუნდეთ: „გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ათი მაგრამ შეგნებული მკითხველი გვყავდეს, ვიდრე ათასი გულგრილი გადამკითხველი.“

ცხადია, რომ კითხვა თვითმიზანი არ უნდა იყოს და ორიენტაცია ხარისხზე უნდა ავიდეთ. წიგნით შეძენილი ცოდნა ღრმა და საფუძვლიანი, მისით მიღებული შთაბეჭდილება — ნარუსული, დაუფინყარი, მასში ჩაქსოვილი სიბრძნე — დამაფიქრებელი, გულისხმისმყოფელი, მისი მხატვრული სამყაროს წვდომა — ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი, ამაღლებელი.

**რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ახალგაზრდის წიგნიერებაზე?**

PIRLS -ის კვლევის მიხედვით — ესაა ოჯახი, სკოლა და გარემო.

ოჯახი — მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოსწავლეთა წიგნიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელია ოჯახის ფენომენი, კითხულობენ თუ არა მშობლები? აქვთ თუ არა მდიდარი ბიბლიოთეკა? ხშირად საუბრობენ თუ არა ისინი შვილებთან წიგნების შესახებ? საერთოდ არის თუ არა ოჯახში კითხვის კულტურა?

სამწუხაროა, რომ ამ მხრივ ცუდი შედეგები გვაქვს. საქართველოში მშობლების 69% არ კითხულობს, 18% კითხულობს ხშირად, 13% კითხულობს იშვიათად...არადა, ყველა მშობლისათვის წიგნი უნდა იყოს პრიორიტეტი, ოჯახში უნდა ჩაეყაროს საფუძველი წიგნიერების სიყვარულს, მკაცრად უნდა რეგულირდებოდეს შვილის დღის რეჟიმი და ნახალისდეს „მკითხველი შვილი.“ სპეციალისტების აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიები და კომპიუტერული თამაშები წიგნს ვერ ჩაანაცვლებს, თუკი მშობელი ბავშვის ალზრდის სწორ მეთოდს აირჩევს.

მაშ, როგორ უნდა გაუჩინოს მშობელმა ახალგაზრდას კითხვის მოტივაცია?

უპირველესად, ჩვენ თვითონ უნდა გვიყვარდეს კითხვა, წიგნი ჩვენი ცხოვრების განუყრელი ნაწილი უნდა იყოს და თუ ჩვენ წარსულში სამწუხარო რეალობის წინაშე ვიდექით ჩვენი მშობლებისაგან, ჩვენ მაინც უნდა ვეცადოთ, რომ ამისაგან დავიცვათ ჩვენი შვილები, ვაჩვენოთ, ვაგრძნობინოთ ბავშვს, რომ წიგნის კითხვა სასიამოვნო გართობაა, არა გაკვეთილი, არა დავალება, არამედ სასიამოვნო გართობა. ყველაზე მარტივია მივანოდოთ ის წიგნები, რომლებიც მოსწონთ და არა ისინი, რომელსაც ჩვენ მივიჩნევთ საჭიროდ და საინტერესოდ. მივცეთ ბავშვს კითხვის და წიგნის არჩევის საშუალება ჩვენი კონტროლისა და შეფასებების გარეშე. ნებისმიერი ჩვენგანი ხშირად შესწრებია სიტუაციას, როცა ბავშვი გატაცებით კითხულობს რაღაც წიგნს და მშობელი ან ართმევს მას, ან, საუკეთესო შემთხვევაში, მორალს უკითხავს წიგნის მიზანშეუწონლობაზე. მივცეთ ბავშვს საშუალება დადებითი მიჯაჭვულობა განივითაროს კითხვის მიმართ და როდესაც ზოგადად წიგნი და ზოგადად კითხვა გახდება მისთვის სიამოვნების წყარო, შემდეგ მივა იმ ლიტერატურამდე, რომელიც მშობლისთვისაც ღირებულია და საინტერესო. გარდა ამისა დიდი სიფრთხილეა საჭირო ლიტერატურის არჩევის დროს, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვერ ვუკარნახებთ შვილებს რა უნდა მოეწონოთ.

რას გვიჩვენებს დანიელ პენატი და რა არის ის შეცდომები, რასაც მშობლები შვილებთან ურთიერთობისას სათავეშივე უშვებენ? პირველი, რასაც მწერალი შეგვახსენებს, ისაა, რომ „კითხვა“, ისევე როგორც „სიყვარული“, ანდა „ოცნება“, ვერ გუობს ბრძანებით კილოს. რაც უნდა მონადინებული ვიყოთ, შეგონებებით ვერც სიყვარულს და ვერც ოცნებას ვერავის დავანყებინებთ. ზუსტად ასეა წიგნის კითხვის შემთხვევაშიც, ამიტომ იმაზე საუბარი, რომ წიგნის კითხვა სასიამოვნო, სასარგებლო და აუცილებელია, მიზანს ვერასოდეს აღწევს და კედელს შეყრილი ცერცვივით დაბლა ცვივა.

**მაშ, რაქნას მშობელმა?**

ისევ დანიელ პინაკი მისი აზრით: „ადექით და ნაუკითხეთ! ჩვენ ხომ ასე გვსიამოვნებდა შვილებისთვის ზღაპრის მოყოლა; ისინი მოუთმენლად ელოდნენ იმ წუთს, როცა დედა, მამა, ბებო ძილის წინ ზღაპარს უამბობდა.“მეორე შეცდომა, რასაც პინაკი მშობლებს შეგვახსენებს, ანგარებაა. ეს სიტყვა ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ ზუსტად გამოხატავს სათქმელს – უკითხეთ უანგაროდ! არ მოითხოვოთ სანაცვლოდ არაფერი! წიგნის კითხვა არც პრიზია და არც ჯილდო, აქ ყველაფერი უსასყიდლოდ უნდა ხდებოდეს. სწორედ ეს არის ხელოვნების ერთადერთი საზღაური და კიდევ – არ მოსთხოვოთ იმის ახსნა, რა გაიგო წაკითხულიდან, აცალეთ იოცნებოს, განმარტოვდეს საკუთარ შეგრძნებებთან, შეიცნოს ის საიდუმლო, რაც მას წიგნში აღწერილ ახალ სამყაროსთან შეხებით გადაეცა.

პინაკის ეს სიტყვები ყველა ჩვენგანისთვის კარგად ნაცნობ განცდას გამოხატავს. მთავარია, ბავშვში მკითხველი გააღვიძოთ და ის საკუთარ თავს თვითონ გაუძღვება.

სკოლა – პინაკის მიხედვით, სკოლა გადამწყვეტი რგოლია მოსწავლეთა წიგნიერების საკითხში. მასწავლებლები განუწყვეტლივ ჩივიან მოსწავლეთა გაუნათლებლობაზე. თუკი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ცოტა ხანს დაივინყებენ სასკოლო პროგრამას და რამდენიმე გაკვეთილს, თუნდაც 1-2 თვეს წიგნის ხმამაღალ კითხვას მიუძღვნიან, შედეგი უფრო ეფექტური იქნება. ამას დანიელ პენაკი ფრანგი მასწავლებლების გამოცდილების საფუძველზე გვიჩვენებს, ხოლო მოსწავლეები ყველგან ერთნაირი არიან. ძირითადად, ახალგაზრდებს წიგნების მიმართ რამდენიმე სახეობის შიში აქვთ, მათ შორის — ნაწარმოების ვერგაგებისა და სიდიდის შიში. ბევრს ეს შიში სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვება და წიგნის სამყაროდან გარიყული რჩება — გადანყვეტს, რომ ეს მისი საქმე არ არის. მასწავლებლის ძალისხმევა — კლასში ხმამაღალი კითხვა, ანდა რომელიმე ნაწარმოების შინაარსის მოყოლა — მათ ამ შიშს დააძლევინებს ისე, რომ აღარც საპროგრამო ნაწარმოებების ათვისება გაუჭირდებათ. ფრანგი მწერალი მკითხველის ხელშეუვალ უფლებად ჩამონათვალს გვთავაზობს; უფლება — არ წავიკითხოთ, უფლება — გამოვტოვოთ გვერდები, უფლება — ბოლომდე არ წავიკითხოთ, უფლება — ხელახლა წავიკითხოთ, უფლება — ვიკითხოთ, რაც გვინდა, უფლება ბოვარიზმისა (ტექსტუალური გზით გადამდები დაავადება), უფლება — სადაც გვინდა, იქ ვიკითხოთ, უფლება — საიდანაც გვინდა, იქიდან დავიწყოთ კითხვა, უფლება — ხმამაღლა ვიკითხოთ, უფლება — არ ვილაპარაკოთ წაკითხულზე, ასე იქცევიან უფროსები და თუ გვინდა, ჩვენმა შვილებმა იკითხოთ, მათ ყველა ის უფლება უნდა მივანიჭოთ, რომლებითაც ჩვენ თვითონ ვსარგებლობთ.

თუმცა, განსხვავებული შეხედულების მიხედვით, „სიტყვიერების მასწავლებლები სისტემატურად უნდა ავალდებუნენ მოსწავლეებს ასაკისთვის შესაფერისი წიგნის წაკითხვას“. ექიმები, ფსიქოლოგები დამაჯერებლად უნდა განუმარტავდნენ მოზარდებს ადამიანებზე კითხვის ზეგავლენას და რა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მას ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბებაში.

სკოლამ უნდა უზრუნველყოს სასკოლო ბიბლიოთეკების გამართული მუშაობა, ღონისძიებების ჩატარება, მკითხველთა კონფერენციების, დისკუსიების, შეჯიბრებების, კონკურსების ორგანიზება. მასწავლებელი ვალდებულია შეიმუშაოს კონკრეტული კლასისთვის ადაპტირებული გეგმა მოსწავლეთა გააზრებული კითხვისათვის. დაწეროს პროექტები ამ საკითხზე, შექმნას მკითხველთა თეატრი... ამ პროცესში დადებით როლს თამაშობს კითხვის გაკვეთილები, რომლებიც უკვე სავალდებულო გახდა სკოლებში. რაც უფრო უშუალო და არაფორმალურ გარემოში ჩაატარებს პედაგოგი იმ გაკვეთილებს, შედეგი მით უკეთესი ექნება. ფორმატი შეიძლება იყოს როგორც წრეში ბავშვებთან ერთად ჯდომა, ისე ბუნებაში გაყვანა, გარემოს შეცვლა და ა.შ.

კარგ შედეგს გამოიღებს სასკოლო (საქალაქო, რესპუბლიკური) ტურების მოწყობა წიგნიერების დონის გამოსავლინებლად და გამარჯვებულთა სტიმულირება; ძველი და ახალი თაობის შეჯიბრება საპროგრამო მასალის ცოდნაში...

მსგავსი ღონისძიებები გააღვივებენ ჯანსაღი შეჯახების სურვილს, საკუთარ შესაძლებლობათა რეზერვების ამოქმედების წყურვილსა და ინტერესს.

საზოგადოება – და როგორია თვითონ საზოგადოება, რომელიც ჩივის, ახალგაზრდებს წიგნი არ უყვართო? თვითონ კითხულობენ მოზრდილები? სამაგიეროდ, მათ ძალიან უყვართ საუბარი - კომენტატორობა, ინტერპრეტატორობა, ანალიტიკოსობა, კრიტიკოსობა, ბიოგრა-

ფობა. ამით ვითომდა წიგნის უზენაესობას უსვამენ ხაზს. არის კი მათი დაკვეთა ის, რომ ახალგაზრდებმა იკითხონ? თვითონ რა სიხშირით კითხულობენ, აცნობიერებენ იმას, რომ მწერლები წიგნებს ხალხისთვის წერენ და არა საკუთარი თავისთვის? PIRIS -ის კვლევებმა ხომ აჩვენა, რომ ის ახალგაზრდები არ კითხულობენ, რომელთა მშობლებიც არ კითხულობენ, და განსაკუთრებით საქართველოში, სადაც გამოიკვეთა, რომ მშობლები შვილებს ჰგვანან და რომ, საზოგადოდ, საქართველოში წიგნის კითხვა პრესტიჟი არაა.

სამწუხარო ის არის, სწორედ ის უფროსები, რომლებიც მუდმივად უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ ახალგაზრდებს, არავითარ პირად მაგალითს არ აძლევენ მათ. უსაქმურობა, „ძველბიჭობა“, ნაცარქექიობა, ქვეგამხედვარობა, შური, ღირნობა და ღიზლობა (აღარ განვადრძობ) აი, რას სწავლობს მათგან მოზარდი.

საბედნიეროდ, არსებობს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც კითხულობს იმისთვის, რათა ამაღლდეს საკუთარ ცხოვრებაზე და ჩასწვდეს სხვისას. ლიტერატურაში წვრილმანიც ხომ მკითხველისათვის აშკარა და ნათელი ხდება. ავტორი ამაყობს თავისი შემოქმედებით, მას სურს, რომ თავისი ტკივილი, ადამიანური ყოფის გაუსაძლისობა თუ ზოგადი ეროვნული ტრაგედია სხვებისთვის საცნაური გახადოს: თვითონ „შენუხებული“ და ეს ნუხილი ერმა გაიზიაროს, გაიზაროს.

ამ განცდით წერდა მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნებს“, ფიქრობდა, რომ საზოგადოებას მთავარ სათქმელს ეტყოდა - სიმართლეს, როგორ იღუპებოდა უპატრონო საქართველო. ასე წერდა ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებს“, ხოლო დავით კლდიაშვილი „სამანიშვილის დედინაცვალს.“ ასე იქმნებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ეროვნული თუ ზნეობრივი ნარატივი.. ისინი ბედნიერი იყვნენ, რადგან ხვდებოდნენ, რომ მათი ნაწარმოები საზოგადოების დიდმა ნაწილმა შეიყვარა. როცა ადამიანები ერთხელ ნაკითხულს კვლავ უბრუნდებიან ხოლმე, ეს უკვე მწერლის გამარჯვებაა, რევანშია. წიგნი, რომელიც ორჯერ ნაკითხვის ღირსი არ არის, არც ერთხელ ნაკითხვის ღირსი ყოფილა, რადგან როცა წიგნი მოგწონს, გხიბლავს, როცა მისი კითხვისას უდიდეს სიამოვნებას განიცდი, ლოგიკურია, გიჩნდება სურვილი, დაუბრუნდე განვლილ წუთებს და კვლავ განმეორდეს ის თრთოლვა, ნაკითხვამ რომ მოგგვარა ერთხელ.

მით უფრო სასიამოვნო იყო ჩემთვის ის ჩანაწერები, რომლებიც ერთ-ერთ ინტერნეტ-ფორუმზე ვნახე. ახალგაზრდები ასე წერენ: „არსებობენ ადამიანები, რომლებიც კითხვას კომპიუტერთან დროის უაზრო ფლანგვას ამჯობინებენ და მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ინფორმაციას იღებენ, იქიდან მინიმალური თუა ნამდვილად გამოსადეგი და სასარგებლო მათთვის. ეს არის ერთ-ერთი თვისება, რაც ამ ორ ფენომენს ერთმანეთს სამუდამოდ აშორებს... ასეთი ადამიანის სიცოცხლე ყოველდღიურად უფრო და უფრო ემსგავსება ზომბის ცხოვრებას და საბოლოოდ კიდევ ხდება ოფიციალური „კომპიუტერული ზომბი.“ ...ასეთი ადამიანები ჩაკეტილნი და მარტოსულნი ხდებიან, რადგან არა აქვთ ურთიერთობა წიგნთან, არ გაულრმავებიან თვალსაწიერში, არ გასცნობიან ადამიანებს, არ მომკვდარან სიყვარულისთვის, არ უცინიათ აცრემლებამდე და კიდევ უამრავი ასეთი არ...არ...არ... რაც შეეძლოთ წიგნისგან მიელოთ და არ მიიღეს, თუ ვერ მიიღეს...“

„დიდხანს ვფიქრობდი, რატომ იყო წიგნი ერთადერთი და არა ერთ-ერთი საშუალება. ერთ დღესაც, როდესაც ჩემი ძვირფასი დრო დავუთმე კომპიუტერს და დავინყე „სამოსელი პირველის“ ამონარიდის კითხვა, მივხვდი, რომ კარგი წასაკითხი იქნებოდა, მაგრამ ამონარიდის კითხვამ ორ საათს გასტანა. არ არის რთული მისახვედრი, თუ - რატომ, რათქმაუნდა, ერთი ბმულიდან სრულიად სხვა შინაარსის ბმულზე გადავდიოდი. მაცდურ, ერთმანეთზე საინტერესო ბმულებს რა გამოლევს, მაგრამ ხშირად ხდება ისე, რომ საბოლოოდ ვერც ერთის შინაარსს ვერ ვიგებთ კარგად. ახლაც სწორედ ასე მომივიდა – ამ ორი საათის განმავლობაში ვერაფერი გავიგე, სწორედ მაშინ მივხვდი, რომ შეუძლებელია ჩაულრმავდე ნაწარმოებს და მის არსს, თუ შენს თავთან მარტო არ ხარ. განმარტოებისთვის კი წიგნი, მართლაც ერთადერთი საშუალება აღმოჩნდა.“

აშკარაა, რომ წიგნიერების თვალსაზრისით კატასტროფული მდგომარეობა არ გვაქვს, მაგრამ ვერც თავს მოვიწონებთ.

საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრომ, რომელმაც გაანალიზა PIRIS



-ის კვლევის შედეგები, განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი ხედვა შეიმუშავა. ანალიტიკური დოკუმენტი მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა დონეს – სკოლამდე, ზოგად და უმაღლეს განათლებასა და მეცნიერების განვითარებას. შესაბამისად, შეიტანა ცვლილებები ეროვნულ სასწავლო გეგმაში და კონკრეტული ღონისძიებები დასახა. შედეგებს მომავალი გვიჩვენებს.

პრობლემის გადასაჭრელად საქართველოში რამდენიმე საინტერესო პროექტი განხორციელდა, მაგალითად „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხოთ, სანამ ცოცხალი ხარ,“ „მოხეტიალე წიგნები“... საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II კი, შაბათი წიგნის დღედ გამოაცხადა... პროექტებმა, გარკვეულწილად „იმუშავა“ და ხალხმა წიგნის შეძენა დაიწყო, მაგრამ როგორც სპეციალისტები ამბობენ, უკვე მეორე პრობლემამ იჩინა თავი – წიგნი იქცა აქსესუარად, რომელიც აუცილებლად უნდა გვექონდეს სახლში, წაიკითხავ თუ არა მნიშვნელობა არ აქვს, ან კონკრეტული მწერალი და ნაწარმოები შემოდის მოდაში და ყველა მას კითხულობს „ისტერიულად“. ასე იყო მოდაში პაოლო კოელიო და სტივ ლარსონი, ახლა კი თურქი მწერლის, ორჰან ფამუქის ჯერია. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზოგი წიგნს მხოლოდ იმიტომ კითხულობს, გემოვნებიანი მკითხველის იმიჯი შეიქმნას, თუმცა, ცხადია, საზოგადოებაში „წიგნის ჭიებიც“ უხვადაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ დამოკიდებულება წიგნისადმი მრავალგვარია.

ამკარაა, რომ წიგნიერების პრობლემა მხოლოდ დეკლარირებითა და დოკუმენტებით ვერ მოგვარდება, ვერც ერთჯერადი ღონისძიებები გამოიღებს შედეგს, ვერ გვიშველის სხვადასხვა სკოლის, დანესებულების, უნივერსიტეტისა და გამომცემლობის ცალკეული ღონისძიებები... აქ ხანგრძლივი მეთოდური მუშაობაა საჭირო. წიგნის კითხვა საზოგადოების ნორმა, კულტურა და პრესტიჟი უნდა გახდეს. სახელმწიფოებრივ რანგში უნდა აიყვანონ, ცხოვრების წესად უნდა დამკვიდრდეს. საზოგადოებას მუდამ უნდა შევახსენოთ, რომ წიგნიერება ერის სავიზიტო ბარათია, რომ სირცხვილია რუსთაველის სამშობლოში ამაზე საუბარი. მოსაფიქრებელია ის ხერხები და მეთოდები, თურა გზებით უნდა მოვახერხოთ ამ პრობლემებზე პედალირება ისე, რომ ესმომქანცველი და მოსაბეზრებელი არ გახდეს. მიზანს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივალნიოთ, თუმცა დრო ბევრი აღარ გვაქვს, თაობები უწიგნურობის ჭაობში თანდათან ეფლობიან.

ახლა ესპანეთის მაგალითი გამახსენდა:

არსებობს ერთი არაჩვეულებრივად ლამაზი კალენდარული დღე, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წიგნებისა და ავტორებისადმი პატივისცემას გამოხატავენ. ეს ყველაფერი 1923 წლის 23 აპრილს კატალონიაში დაიწყო. ძველი კატალონიური ტრადიცია ყოფილა: ერის მფარველი წმინდანის, წმ. გიორგის სახელობის დღეს, ბარსელონელები და ქალაქის ირგვლივ მცხოვრებნი ერთმანეთს ვარდებს ჩუქნიდნენ. ცხადია, იმ დღეს მეზალებსა და ვარდების გამყიდველებს უამრავი მუშტარი ჰყავდათ. წიგნით მოვაჭრეთა გილდიას ეს ძალიან მოეწონა – როგორც ჩანს, ამ სფეროში მომუშავე ხალხი ყოველთვის განსაკუთრებით გონება გახსნილი იყო და 1923 წლის 23 აპრილს, წმ. გიორგისა და ვარდების სახალხო დღესასწაულზე მათ კატალონიაში მცხოვრებლებს ვარდებთან ერთად წიგნებიც აჩუქეს. თავისი ინიციატივა გილდიამ ძალიან ლოგიკურად დაასაბუთა, ხომ არ იტყოდნენ ვარდებს ვასალებთო! ამიტომ გაიხსენეს, რომ 1616 წლის 23 აპრილი მიგელ სერვანტესისა და უილიამ შექსპირის გარდაცვალების დღეცაა, და საზოგადოდაც, ხომ შექსპირის გარდაცვალების დღის აღნიშვნა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ ჯერ კიდევ 1771 წელს გადაწყვიტა!

მოკლედ საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ 23 აპრილს კატალონელები დაახლოებით, 4 მილიონ ვარდს ყიდულობდნენ, ამ მხარეში ყოველწლიურად გაყიდული წიგნების 10% 23 აპრილზე მოდიოდა. 1995 წელს კატალონია იუნესკოს თავისი შესანიშნავი დღესასწაულების შესახებ მოახსენა, მის ინიციატივას გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციაც შეუერთდა და გენერალური კონფერენციის გადაწყვეტილებით 23 აპრილი მსოფლიო წიგნის დღედ გამოცხადდა – „წიგნის მიმართ პატივისცემის ნიშნად და ახალგაზრდებისთვის კითხვის შესაყვარებლად.“

იუნესკოს 1995 წლის 15 ნოემბრის 28-ე სესიაზე 23 აპრილი ოფიციალურად დასახელდა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღედ, 1996 წლიდან კი დაიწყო მისი აღნიშვნა. გადაწყვეტილება მიიღეს განათლების გავრცელების, კულტურული ტრადიციების შეგნების ამაღლების მიზნით. იუნესკოს რეზოლუციაში ნათქვამია: „ვინაიდან წიგნი ცოდნის გავრცელების ყველაზე ხელმისაწვდომი და მისი დაცვის საუკეთესო საშუალებაა, 23 აპრილი ყოველწლი-



ურად ნიგნისა და საავტორო უფლებების დღედ ცხადდება.“

იუნესკოს გადამწყვეტილება მსოფლიომ დიდი ძალისხმევით მიიღო. განსაკუთრებით იაქტიურა ორმა ქვეყანამ: ნიდერლანდებმა, სადაც დღესასწაულს „თეთრი ნიგნის კვირეულით აღნიშნავენ“ და დიდმა ბრიტანეთმა, სადაც „ნიგნის მსოფლიო დღე“ დიდ დღესასწაულად იქცა.

ნიგნის დღეს ზეიმობენ ავსტრალიაში, კანადაში, ესპანეთში, საბერძნეთში, შვედეთში, იტალიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, სპილოს ძვლის სანაპიროზე, მოზამბიკში, პორტო რიკოში, კუბაზე, სად აღარა...

23 აპრილს კაცობრიობა კიდევ ერთხელ ამბობს ხმამაღლა, რომ ნიგნი ახალგაზრდების განვითარებისათვის აუცილებელია. ნიგნის მსოფლიო დღედ გამოცხადებით, თავის დროზე იუნესკომ, პირველ რიგში, ახალგაზრდებს მოუწოდა ნიგნში ეძებნათ ბედნიერება და სიამოვნება.

2003 წელს საქართველოც შეუერთდა იმ 80 ქვეყანას, სადაც ნიგნის დღე აღინიშნება. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში იმართება ნიგნის ფესტივალები, საჯარო კითხვები, ნიგნის გამოფენა - გაყიდვები „ღია კარის დღეები“, ლიტერატურული საღამოები, პრეზენტაციები, ავტორთა იუბილეები...

მით უფრო გასაკვირია, რატომ ვართ ასეთ არასასურველ პოზიციაზე ჯალში -ის კვლევების მიხედვით... ბევრი მიზეზის გამო, ერთ-ერთი ალბათ, ნიგნიერების მართვის სწორი პოლიტიკის უქონლობაა...

გაგრძელება იქნება შემდეგ ნომერში

**ოპარ გაგუნია**

ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი

**საბაქდავი ბეჭდები ვანის ძველიდან**

1961 — 1969 წლებში აღმოჩენილი მდიდარი სამარხების მიხედვით

როგორც მეცნიერების მიერ დადასტურებულია ძვ. წ. VI — III საუკუნეები გლიპტიკის განვითარების ისტორიაში ორ მეტედ საგულისხმო და საინტერესო პერიოდს მოიცავს - არქაულსა (ძვ.წ. VI — V სს) და კლასიკურს (ძვ.წ. V — IV სს). ამ ორი დიდი ეპოქის ნახელავის გაერთიანება ნაშრომში იმითაა საინტერესო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით ხსენებული პერიოდის მასალები მცირე რაოდენობითაა მოპოვებული, მხოლოდ მათი ერთიანი განხილვა შეგვიქმნის მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას კოლხეთის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ.

ძვ.წ. VIII საუკუნიდან ბერძნული ხელოვნების დარგები სხვადასხვა ფორმით აღმოსავლური გავლენის ქვეშ ექცევიან. ბერძნული ხელოვნება ერთიანად ითვისებს და ბაძავს უცხო — აღმოსავლურ სტილს, დროის ეს მონაკვეთი აღმოსავლური სტილითაა წოდებული. ამავე დროს ჩაისახა საკუთარი ბერძნული მხატვრული სტილი, რომელიც ძვ.წ. VII საუკუნიდან ჩამოყალიბდა.

ხსენებული სტილის ჩამოყალიბებაში წვლილი იმ ბერძენ ოსტატებს მიუძღვით, რომელთაც შესძლეს მათ მიერ შეთვისებული უცხო მხატვრული ელემენტების ბერძნულ საფუძველზე დამუშავება. ძვ.წ. VI საუკუნიდან ელინიზმის ეპოქამდე ბერძნული ხელოვნება უკვე თვით ახდენს გავლენას აღმოსავლეთის ხელოვნებაზე.

აღმოსავლეთის გავლენითვე ხსნიან იმ ვითარებას, რომ რკინის ხანის საბერძნეთში, კვლავ აღიძრა ინტერესი საბეჭდავთა კვეთის ხელოვნებისადმი .

ჭრილაფარაკიანი ლითონის ბეჭდების შესწავლა დიდმნიშვნელოვანი პრობლემატური საკითხია დღესაც. სახელდობრ, ანტიკური ხანის ფასაკიანი ბეჭდების შესწავლას ცნობილმა ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ ბორდმანმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა. ამ ნაშრომში ავტორს წამოყენებული აქვს ახალი თეორია საბეჭდავი ბეჭდების კლასიფიკაციისა და წარმომავლობის შესახებ. ავგუფებს რა, დაწვრილებით ბეჭდებს მრავალი სახის ფორმის მიხედვით, იხილავს წარმომავლობისა და ევოლუციის საკითხებს და გამოყოფს ქრონოლოგიურ ჯგუფებს. მისი მიზანია არქაული პერიოდის ხელოვნებაში განასხვავოს და ერთმანეთისაგან გამოყოს ბერძნული და ეტრუსკული ნახელავი.

ჯ. ბორდმანმა თავის ნაშრომში, აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, შესძლო არა მარტო ზემოთ აღნიშნული საკითხების გადაჭრა და სავსებით, აბსოლიტურად, ახლებურად გაშუქება, არამედ მასალის ყოველმხრივ ანალიზის შედეგად (სტილი, ტექნიკა, მასალა, ფორმა) გამოავლინა და დაადგინა მთელი რიგი ახალი სკოლისა და სახელოსნოების არსებობა.

ჩვენი მიზანია, გავეცნოთ ვანის ქვეყანაში აღმოჩენილ საბეჭდავებს და განვსაზღვროთ მათი სტილი, ტექნიკა, მასალა და ფორმები, რომ შევძლოთ ამ სფეროში დაინტერესებულ საზოგადოებას გავაცნოთ კოლხეთში მათი გავრცელებისა და დამუშავების შესაძლებლობები.

ვანში აღმოჩენილი გლიპტიკური მასალისა და ლითონის საბეჭდავი ბეჭდების შესწავლას მეცნიერებმა სპეციალური გამოკვლევები მიუძღვნეს.

ვანის სამარხებში აღმოჩენილი საბეჭდავები განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს, საყურადღებოა იგი შინაარსობრივადაც და შესრულების თვალსაზრისითაც.

ძეგლების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ საბეჭდავი ბეჭდების ერთი ჯგუფი იონური სახელოსნოებიდანაა, რომლის ერთ წყებას არქაული ფორმა აქვს. ბოლოწანვეტებული ოვალური ფარაკი, ხოლო მეორე რიგი კი, კლასიკურ ხანაში გავრცელებული ტიპი — დიდფარაკიანი ბეჭდებითაა წარმოდგენილი.

როგორც უკვე მეცნიერებმა დაადასტურეს, ვანში აღმოჩენილმა გლიპტიკურმა ძეგლებმა ნათლად დაგვანახეს, თუ როგორ იყო დაკავშირებული ვანისა და ბერძნული ქვის საჭრელი სახელოსნოები. მათ მიერ შექმნილი მატერიალური ღირებულებები ხელმისაწვდომი იყო მაღალი ფენის, მხოლოდ დიდი შესაძლებლობების მქონე წამომადგენლებისათვის.

ვანში აღმოჩენილ ყველაზე ადრეულ გლიპტიკური ძეგლები იმპორტული ნახელავია, რომ-

ლის ძირითადი ნაწილი VI უბანზე 1961 წლის N6 მდიდრულ სამარხიდანაა წარმოდგენილი. სამარხში მრავალ ოქროს ნივთს შორის, რომელიც ჭედური ხელოვნებისა და ოქრომჭედლობის მაღალი შედეგია, წარმოადგენს, ოქროს ოთხი საბეჭდავი ბეჭედი და ქარვის ერთი ორმხრივი ინტალიონა<sup>1</sup> ნაპოვნი. ბეჭდები ტიპიური არქაული ფორმისაა, როგორც მას ქალბატონი მარგალიტა ლორთქიფანიძე განსაზღვრავს, ოვალური ბოლონანვეტებული ფარაკი<sup>2</sup> ოდნავ განზიდული და ქვედა ნაწილში განსხვავებული რკალით გამოირჩევა.

მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდები ერთი ფორმისა და სხვადასხვა ზომისაა, რომელსაც ქალბატონი მარგალიტა ლორთქიფანიძე თავის ნაშრომში აღწერს. ის აღნიშნავს, რომ სამი მათგანი დიამეტრის მიხედვით ჩანს სხვადასხვა თითებზე სატარებლად უნდა ყოფილიყო გამიზნული, ხოლო მეოთხე მათგანი მკვეთრად აღემატება აღნიშნულ სამ საბეჭდავს, რის გამოც აშკარად ის მამაკის სამკაულს წარმოადგენდა.

პირველი ბეჭედი — ინტალიონ ფარაკიანი, ღია ყვითელი ფერის ოქროსაგანაა გაკეთებული. პირზე შემდეგი კომპოზიციისაა გამოხატული. წვეროსან — ადამიანისებურ არსებას, რომელიც მუცელზეა გართხმული, თავს ესხმის მტაცებელი. არსებაც და მტაცებელიც პროფილით არიან მარცხნივ მიმართული. წვეროსანი ფიგურა ისეთ მდგომარეობაშია გამოხატული, რომ მოცურავე ადამიანად ან წყლის ღვთაებად უნდა იქნას მიჩნეული, აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე. რაც შეეხება შესრულების მანერას, ის პროფესიონალი ოსტატის მიერაა დამზადებული და ფორმის მიხედვით კარგად თარიღდება ძ.წ. V ს. დასაწყისით.

რაც შეეხება მეორე ფარაკიან საბეჭდავს, ანალოგიურად ისიც ოქროსაგანაა დამზადებული, შედარებით სქელ ოქროს ფირფიტისაგან, ზედაპირის კვეთა არაღრმადია შესრულებული. მასზედ ცხოველის ფიგურაა გამოსახული, რაც არქაული ხანის გლიპტიკისათვისაა დამახასიათებელი და ის ანალოგიურად პირველი საბეჭდავის მიხედვით ძ.წ. V ს. დასაწყისით თარიღდება.

მესამე საბეჭდავი ასევე შესანიშნავი ნახელავია, რომელიც ყვითელი მაღალხარისხოვანი ოქროთია დამზადებული. ბეჭედი ოვალური და ბრტყელია. ფორმა ჩამოსხმული უნდა იყოს, ხოლო შემდეგ ის ჭედვითაა დამუშავებული. პირზე წინა ფეხებზე წამოჩოქილი ნიამოსია გამოსახული. კვეთა არაღრმაა და მკაფიოაა შესრულებული. ოსტატის მიერ ჩანს რამოდენიმე სახის საჭრისის კვალი. საბეჭდავი როგორც წინა ორი ძ.წ. V ს. დასაწყისით თარიღდება.

საინტერესოა, აგრეთვე, სამარხში მოპოვებული მეოთხე ინტალიონ ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭედიც, რომელიც ყვითელი მაღალხარისხოვანი ოქროთია დამზადებული, მრგვალი და საკმაოდ სქელი რკალითაა წარმოდგენილი, ფარაკის მიმართულებით რკალი შეუმჩნეველად წვრილდება.

პირზე გარეული თხა არის გამოხატული გახსნილი რქით, მოზრდილი წვერით, ხოლო რელიეფური წერტილი დიდი ზომის თვალს წარმოადგენს. შესრულება, როგორც წინა ინტალიონ ბეჭდები, მკაფიოა ზუსტად და ფაქიზადაა. ანალოგიურად ის ერთი ცენტრიდან გამოსული უნდა იყოს. მათი მჭრელი კი იგივე პიროვნებაა. საბეჭდავი ბეჭედი ძ.წ. VI ს. ბოლოთი თარიღდება.

1969 წელს ვანის ნაქალაქარზე იპოვნეს წარჩინებული კოლხი ქალის სამარხში ბეჭედი, რომელიც არქაულ ბერძნულ გლიპტიკას უკავშირდება შესრულების სტილითა და მანერით.

ფარაკის პირზე, როგორც ქალბატონი მ. ლორთქიფანიძე აღწერს, ფანტასტიკურ — სინკრეტული არსებაა ამოჭრილი, ლომკაცი. ლომკაცში შერწყმულია ლომის პროტომა<sup>1</sup>, წინა კიდურებითურთ და ადამიანის ტორსის ფეხებითურთ. არსება კუზიანია, წინა კიდურებისა და ფეხების მიხედვით ისახება, რომ ლომკაცი მიცურავს. მჭრელ ხელოსანს რამოდენიმე იარაღი აქვს გამოყენებული მის სრულყოფისათვის ვანის საბეჭდავ ბეჭედზე ამოჭრილი გამოხატულების გასარკვევად, განაგრძობს მეცნიერი ქალბატონი, ძველი ბერძნული თქმულების გათვალისწინება დაგვიჩვენებს, კერძოდ, გრძნულ ქალად ცნობილ კირკეს, მზის ასულისა და კოლხეთის მეფის ასულ აიეტის დას გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი, როგორც „ოდისეაში“ ასევე არგონავტების შესახებ თქმულებაში.

კირკეს გარემოს აღწერისას აპოლონიოს როდოსელი იხსენებს ადამიანთა და სხვადასხვა

<sup>1</sup> ფარაკი – 2 ინტალიონ ინტალიონ - ფარაკიანი ნიშნავს თითზე წამოსაგებ საბეჭდავ ბეჭედს, რომელზეც მჭრელის მიერ ამოჭრილია ესა თუ ის ფიგურა.

ცხოველთა შერწყმულ სხეულებს. ამ შერწყმულ სხეულებიანი არსებებით იყო გარშემორტყმული გრძნეული ქალი, როდესაც ის პირველად იხილეს არგონავტებმა.

თქმულების მიხედვით კირკე – „მბრძანებელი აიეტის და არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასთან უშუალოდაა დაკავშირებული, რაც საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მის წრეში მოქცეული სახეები შეიძლებოდა თანამედროვე მეცნიერთა მოსაზრებით კოლხეთის სახვითი ხელოვნების ძეგლებზეც ასახულიყო.

ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც 1947 წლიდან მოეწვინა ვანის უძველეს ნაქალაქარს და დაიწყო მისი გეგმაზომიერი შესწავლა, უამრავი საინტერესო მასალები აღმოაჩინა, იმ მრავალ უძვირფასეს ექსპონატებში, რომელიც დღეისათვის მსოფლიოს საოცრების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილია, დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო გლიპტიკურ საბეჭდავ ბეჭდებს, რომლებიც მთელი ანტიკური სამყაროს თანაცხოვრებაში ვლინდება, როგორც კოლხური უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ვანის საბეჭდავი ბეჭდების, მცირე, მაგრამ მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფის კლასიკურ ხანას მიაკუთვნებენ მეცნიერები, ამ ჯგუფის ბეჭდები 1969 წლის N9 მეომრის მდიდრულ სამარხში აღმოაჩინეს, მათ შორის იყო საბეჭდავი ოქროსი, ხოლო ორი ვერცხლის. ამ საბეჭდავებს შორის უფრო მეტ ყურადღებას ოქროს საბეჭდავები იპყრობენ, რომელთაგან ერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამ ბეჭდის ფარაკზე მეცნიერთა აზრით გრძელსახელოებიანი კვართითა და ჰიმატიონით შემოსილი ხანში შესული, ულამაზო, გოროზი და მედიდური იერის ქალია გამოხატული, რომელიც ტახტზე ზის. მას ჰიმატიონში გახვეული მარჯვენა ხელში ფილა უჭირავს, მუხლზე დადებულ მარცხება ხელში პალმის ტოტი, მის ზურგს უკან ასეთივე ჯიშის მცენარეა აღმართული, დასძენს მეცნიერი. მაღალ კისერს გრძელსაკიდიანი საყურე უკეთია, ხოლო ფეხებზე სანვივე რგოლები აქვს შეცმული. სირაკუზელი ქალების მსგავსად აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, დავარცხნილ თმას ბადურა თავსამკაული უმშვენებს. ქალის ფიგურის უკან ამოჭრილია ერთ სტრიქონად ბერძნული წარწერა „დედატოს“.

იმის შესახებ, თუ ვინ არის გამოხატული ბეჭედზე, მეცნიერი წერს, რომ ერთი უდავოა — საბეჭდავ ბეჭედზე არაბერძენი ქალია წარმოდგენილი, სახე არაუბრალო მომაკვდავისა, არამედ გარკვეული სახე ღვთაებისა, ანდა ღმერთქალთან გატოლებული დიდგვაროვანისა. ერთ-ერთი ატრიბუტის — მცენარის ტოტების მიხედვით იგი მცენარეულ სამყაროსთან დაკავშირებული ღვთაება უნდა იყოს. მჭრელს რამოდენიმე სახის საჭრისი გამოუყენებია ნახელავში, აშკარად ჩანს მისი მისწრაფება ნატურალიზმისაკენ. ოსტატი არ აღამაზებს მის მიერ შექმნილი ქალის სახეს, რაც დამახასიათებელია ბერძნული წარმოშობის ბეჭდებისათვის. მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს კი ბეჭედზე გამოსახული ქალი „დედატოსის“ მოსიყვარულე ქალად მიაჩნიათ, რომ მან სიცოცხლეშივე დაამზადებინა ბეჭედი მისი სურვილის მიხედვით საყვარელი ქალისა, ბეჭედს სიცოცხლეშივე ატარებდა, ხოლო სიკვდილის შემდეგ ბეჭედი გაატანეს სამუდამო სასუფეველში.

წარწერა „დედატოსი“ დასტურდება, რომ ჩვენ მამაკაცის სახელთან გვაქვს საქმე, იგი მეცნიერთა აზრით, არაბერძნული წარმოშობისაა. მრავალრიცხოვან სახელებში მსგავსი სახელი არ დასტურდება, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, არც მჭრელის სახელს არ უნდა ნიშნავდეს, ის მხოლოდ მფლობელის სახელს უნდა გულისხმობდეს, რადგან მისი სახელი დასმულ ბეჭედზე ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ამრიგად, საბეჭდავის მფლობელი ვინმე დედატოსი ყოფილა, როგორ ჩანს დედა წარჩინებული და უფლებამოსილი პირი. რომ სამარხში დაკრძალული პირი კოლხი მეომარი დედატოსია, რომელიც დათარიღებულია ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით. აკადემიკოს ლორთქიფანიძის მიერ სამარხში ნაპოვნია, აგრეთვე, ალექსანდრე მაკედონელის მამის ფილიპე მეორის ოქროს მონეტა, რომელიც სამარხს კარგად ათარიღებს და უტყუარ საბაბს გვაძლევს მისი თარიღის დასადგენად.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მეცნიერები ათარიღებენ სამარხს და ასკვნავენ ბეჭედურს, რომლებიც აღმოჩენილია სამარხში, აშკარად ადგილობრივ სახელოსნოში კოლხი ოსტატის მიერაა შექმნილი.

მეორე საბეჭდავი იმავე სამარხიდან მუქი ყვითელი ფერის ოქროსგანაა გაკეთებული. საბეჭდავის პირზე გამოხატულია მხედარი, რომელსაც მარჯვენა ხელში შუბი მოუმარჯვებია სარტყორცნელად, იგი რქოსან ცხენზე ზის, მარცხენა ხელი ავშარისთვის წაუვლია, ცხენი ოთხით მიდის, ზედ ამხედრებული მხედარი კი თითქოს შეტევაზეა გადასული. ცხენს კისერზე



შეზღუდული აქვს უცნაური ატრიბუტი, რომელიც პირველი შეხედვით შეიძლება მივიჩნიოთ დიდი ზომის ეყვნად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს = ეყვნის დაკავშირების შედეგად ირკვევა, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო სამკაულთან, ან ნივთთან, არამედ გარკვეულ ატრიბუტთან, კერძოდ, იგი წარმოადგენს ფართოშუბლიანი მელოტი მამაკაცის დიდი თავის ნიღაბს, პაჭუა ცხვირით, გრძელი უღვაშებით, წინ წამოწეული წაწვეტილებული ყურით.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე თავისებური შესრულებით უნაგირი, მას უზანგი არ ახლავს, მხედრის ფეხის ტერფი ცხენის მუცლის ქვეშაა ამოღებული, ხოლო საძუე-გავაზე დამაგრებული. ერთიანად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხედარი უბრალო ცხენზე ზის. მხედარს დიდი თავი აქვს, მოკლე მხრებში ჩავარდნილი კისერი, მოზრდილი ცხვირი და მძიმე ნიკაპი. მას კონუსური მოყვანილობის თავსაბური ახურავს, შესაძლებელია, იყოს მუზარადი.

ინტალო – ბეჭედზე გამოსახული რქოსანი – ცხენია თუ ვირი, დავის საგანია, ხოლო კისერზე შეზღუდული ნიღაბი დიონისეს ამალის ერთ-ერთი პერსონაჟის სახით, მეღვინეობის უზენაეს ღვთაებას, გასაოცარი მისტერიების წინამძღოლს – დიონისეს უკავშირდება. ამავე სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის ორი ინტალო ბეჭედი, მათ შორის ერთ-ერთ ბეჭედი, რომლის ზედაპირი ოვალური მოყვანილობისაა, ამობურცულ ზურგიან დანახნაგებულ ფარაკს უერთდება, ფარაკი ბრტყელპირიანია, პირზე გამოსახულია მტაცებლის და ცხოველის ბრძოლა. ხარირემს ჯიქი კბილებით ჩაფრენია ზურგში და გაგლეჯას უპირებს, ორივე ჯიქიცა და ირემიც პროფილში მარცხნივ არიან წარმოდგენილი.

გამოხატულება არათანაბარი სიღრმითაა ნაკვეთი, მჭრელს ძირითადად გამოყენებული აქვს მომრგვალებული საჭრელი წვერით და ბრინჯაოს ნემსი, ხოლო ჯიქის თათების ამოსაჭრელად ნახმარია საჭრისი სწორკუთხოვანი წვერით (მ. ლორთქიფანიძე). ბეჭედი თავისი ფორმით ბერძნული ბეჭედების იმ ტიპს იმეორებს, რომელიც ძვ.წ. V საუკუნიდან ჩნდება და IV საუკუნისთვის, ოდნავ სახეშეცვლილი ფარაკის ოვალური უცვლის გარემოხაზულობას.

სახეშეცვლილი ბეჭდის ფორმა უნდა მოწმობდეს, აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე თავის კვლევებში, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა ხსენებული ტიპი თავის გემოვნების მიხედვით „გადაამუშავეს“. ჩანს ადგილობრივი მომხმარებლის გემოვნებებს შეუფარდეს.

მეორე ვერცხლის ინტალო ბეჭედზე კი გამოხატულია დედალ-მამალი, ერთი მეორის უკან მიმავალი – პროფილში მარცხნივ, გამოხატულება ღრმადაა ნაკვეთი. შინაური ფრინველები, კერძოდ, მამალი და ქათამი სხვადასხვა კომპოზიციაში ცალ-ცალკე, ერთად თუ სხვა ცხოველებთან დამოკიდებულებაში, საკმაოდ გავრცელებული მოტივი იყო ანტიკურ გლიპტიკაში.

ორივე ბეჭდის ტიპი ერთია, განსხვავება მხოლოდ ზომაშია, ცხოველების გამოსახულებით ბეჭედი უფრო დიდია, ორივე ვერცხლის საბეჭდავი მისი სტილის მიხედვით ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახვლედიანების ეზოში შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი ბეჭედი, რომელზეც აფროდიტეა გამოხატული.

ბეჭედი ყვითელი ოქროსაგან არის გაკეთებული. აღწერის მიხედვით, ბეჭდის ვიწრო რკალი მხრებთან მკვეთრად ფართოვდება და ოვალურ — მრგვალ ფარაკში გადადის. ფარაკის პირზე თიმიატერონის წინ მჯდომარე აფროდიტეა ამოტიფრული ეროტისა და მისი საღმრთო ფრინველებით – გედითა და ყანჩით გარშემორტყმული. აფროდიტე უზურგო სკამზე – ტაბურეტზე ზის, სხეულის ნაწილი წამოსასხამში აქვს გახვეული, მარცხენა ხელი ღვთაების თიმიატერონისაკენ გაუნვდია. ქალღმერთთან მოფრენილ ეროტს მისთვის გვირგვინი მოაქვს.

გამოხატულება ზედმინეებით ფაქიზად და მაღალი ოსტატობით არის ამოჭრილი, პროპორციები იმას მოწმობს, რომ მჭრელი ადამიანის სხეულის ანატომიას სრულყოფილად იცნობს. მას გამოყენებული აქვს ალმასის ნემსი საჭრისი მომრგვალებული წვერით. ბეჭედს ტიპური ბერძნული ფორმა აქვს. ის იმ სერიის ბეჭედებს მიეკუთვნება, რომელიც ძვ.წ. V საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. კვეთის თავისებურებების და სტილის მიხედვით ვანის ამ შესანიშნავ საბეჭდავ ბეჭედს მეცნიერები კლასიკური ეპოქის ანტიკურ ნახელავად მიიჩნევენ.

1971 წელს ვანის მკვიდრმა ირაკლი ცაბაძემ, რომელიც დღეისათვის ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე მოსახლეობს, იპოვა ბრინჯაოს რკალგახსნილი ჭილაფარაკიანი ბეჭედი, გარეგნული ფორმითა და ზომით ნივთი თითზე შესაცმელ ბეჭედს არ წარმოადგენს, იგი როგორც ჩანს ხელში დასაჭერი საბეჭდავია, რომელიც რკალგახსნილი ბეჭედის ტიპისაა, ამგვარი ფორმის

ლითონის საბეჭდავი საქართველოში ჯერ-ჯერობით სხვა არ გაგვაჩნია.

ფარაკის პირზე გამოხატულია ირემი რბოლის მდგომარეობაში, მის წინ მკერდის გასწვრივ ნახევარი მთვარეა ამოჭრილი. ზურგს უკან მცენარე, ირმის გვერდით თითქმის ფეხთ შორის ნუკრი დგას. ირემს დიდი, მეჩხერტოტებიანი რქები აქვს, გრძელი დრუნჩი, მაღალი ფეხები, მკვეთრად ხაზგასმული ჩლიქები, მკაფიოდ აღნიშნული კუდი, ბეჭედი ადგილობრივი მჭრელის ნამუშევარია, რომელიც სტილის მიხედვით ელინისტური პერიოდის შუახანას უნდა მიეკუთვნებოდეს.

1969 წელს სამარხში ვერცხლის საბეჭდავ ბეჭედთან აღმოჩნდა ბრინჯაოს თხელი ფირფიტისაგან გაკეთებული საბეჭდავი. ფარაკს მცირედ ამოზნექილი პირი აქვს, პირზე ცენტრში გამოხატულია ხე, რომელსაც აქეთ-იქით არნივები უდგას, არნივები ერთმანეთის პირისპირ დგანან პროფილში. სავსებით ერთნაირები არიან, ხის სიმალლე ფრინველებს მცირედ აღემატება, ფრინველებს ფრთებზე დახრილი რელიეფური ხაზები დაუყვება, თითო ფეხი არნივებს წინ წაუდგამთ და ხის ძირს ებჯინებიან. ფრინველებს კუნთიანი სხეული აქვთ, კობტა თავ-კისერი და ლამაზად მომრგვალებული ძლიერი ნისკარტები. გამოხატულება მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. ფრინველებს შუა ხე, მოყვანილობის მიხედვით ნაძვს უნდა წარმოადგენდეს, ხის კულტი ისევე როგორც ღმერთების კულტი ყველა ხალხის პრიმიტიულ რელიგიაში ფართოდ იყო გავრცელებული. როგორც მეცნიერთა შეხედულებიდან ირკვევა, მსგავსი საბეჭდავები ძვ.წ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ამრიგად, მეცნიერთა გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ ვანში ან მის ახლო მდებარე ტერიტორიებზე, სპეციალური სახელოსნოს არსებობის შესახებ, სადაც ადგილობრივი მომხმარებლისათვის საბეჭდავები კეთდებოდა, კარგად ადასტურებს ახალი მასალები, მათი ვარაუდით სახელოსნოებში თავდაპირველად ბერძენი მჭრელები მოღვაწეობდნენ. შემდეგ მათი უშუალო ხელმძღვანელობით ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც ეუფლებიან ამ რთულ ხელოვნებას და გარკვეული წვლილი შეაქვთ ძველი ქართული გლობტიკის განვითარების ისტორიაში.

მეცნიერთა კვლევა-ძიებამ შესაძლებელი გახადა დაედგინათ ის, რომ ძველ ვანში საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულება სხვადასხვა იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობის უფლებრივი საბეჭდავი – ინსიგნია, – ოფიციალური საბეჭდავი და პერსონალური საბეჭდავები, რომელთაც მათი მფლობელი პირად, ყოველდღიურ საქროებისათვის იყენებდა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ კოლხების განსხვავებულმა და თავისებურმა, სულიერმა სამყარომ, ერთგვარად ასახვა ჰპოვა ადგილობრივ ოსტატთა შემოქმედებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ლორთქიფანიძე – არქაული და „არქაიზირებული“ საბეჭდავი ბეჭდები „ვანიდან“. ვანი II 1976 წელი.
2. მ. ლორთქიფანიძე – კოლხეთის ძველი წ.აღ. V — III საუკუნეების საბეჭდავი ბეჭდები.
3. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული და მოსახლეობაში შექცნილი მასალები.
4. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული 1917 წლის შემთხვევით აღმოჩენილი ოქროს საბეჭდავი ბეჭედი.
5. 1969 წლის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დავთარი.

## სოფელი გადილი

(დამუშავებულია ოლეგ მიქელთაძისა და გიგა ქიმუცაძის მიერ)

ვანის მუნიციპალიტეტის გადილის თემი შედგება ორი სოფლისაგან, თვით გადილი და ონჯოხეთი, ტერიტორია 700 ჰექტრამდეა. გადილი სამხრეთით იმერეთის მთისწინეთში, მდინარე ლელესყურის შუა დინებაში მდებარეობს. ზღვისდონიდან 360 მეტრზე, ონჯოხეთი კი მდინარე ჭიშურას სათავეში. იგი მცირემინიან სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელშიდაც სასოფლო სამეურნეო მიწები, საძოვართა ჩათვლით 502 ჰექტარს შეადგენს. აქედან კერძო მფლობელობაშია 198 ჰექტარი, სახელმწიფო საკუთრებაში ჯერჯერობით დარჩენილია 304 ჰექტარი, მრავალწლოვანი ნაყოფის მომცემი მცენარეებით დაფარულია 44 ჰექტარი.

გადილის თემს ესაზღვრება 5 სოფელი: ჩრდილოეთით ზედავანი და სალხინო, სამხრეთ-დასავლეთით — მუქედი, ყუმური, აღმოსავლეთით — სულორი. საავტომობილო გზა აქვს მხოლოდ ორ სოფელთან, ზედავანთან და სულორთან.

აღნიშნული სოფლის წარმოშობის ისტორია უძველეს წარსულში უნდა ვეძებოთ, მართალია ამასთან დაკავშირებით ნივთმტკიცება არ არსებობს, მაგრამ მისი გამორიცხვაც შეუძლებელია. რადგან, როგორც სოფელში, ასევე მის მომიჯნავე ტერიტორიაზე მეცნიერული კვლევა-ძიება არასოდეს ჩატარებულა. შესაძლებელია სოფლის წარმოშობა ანტიკური ან მომდევნო პერიოდს უკავშირდება, რადგან დღევანდელი ქალაქ ვანის ტერიტორიაზე ე.წ. ახვლედიანების გორაზე აღმოჩენილი ანტიკური ხანის უდიდესი მნიშვნელობის მქონე ნაქალაქარის არსებობა, შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ ნაქალაქარიდან შვიდი კილომეტრით დაშორებული ტერიტორია, ამ შემთხვევაში სოფელი გადილი, ათვისებული უნდა ყოფილიყო. ამ თემაზე საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ისტორიკოსს თამაზ ბერაძეს. მისი მსჯელობით დღევანდელი ვანის რაიონი (გვიანფეოდალური ნომენკლატურის საჩინო) პირდაპირი მაგისტრალით იყო დაკავშირებული სამცხესთან. მკვლევარის ცნობით აღნიშნული მაგისტრალი მეფის წყაროს გადასასვლელის გავლის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით მიემართება, ჯაჯის ანუ ჭაჭეთის ტბას ჩრდილოეთიდან უვლის, აქედან ერთი ბილიკი სუფსის ხეობისაკენ ეშვება, მთავარი მაგისტრალი კი ჩრდილოეთის მიმართულებას იღებს. ამ გზით სარგებლობდა ადამიანთა მრავალი თაობა უძველესი დროიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ გზაბოძალიდან (გზაბოძალი გზათა შესაყარს ნიშნავს) ეს მაგისტრალი რამდენიმე სოფელს უკავშირდება: უხუთს, ძულუხს, სულორს, ყუმურსა და გადილს. აქედან ყველაზე მოსახერხებელი და მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით სოფელ გადილზე გამავალი გზა უნდა ყოფილიყო.“

სოფლის აღმოსავლეთით გაედინება მდინარე ლელესყური, რომელიც უერთდება მდინარე სულორს. დასავლეთით ოთხი ლეღე თავს იყრის ე.წ. მერეში და ქმნიან მდინარე ჭიშურას. რომელიც ქალაქ ვანში უერთდება მდინარე სულორს. აღნიშნულ მდინარეებს არავითარი მნიშვნელოვანი სამეურნეო ფუნქციური დატვირთვა არა აქვთ.

სოფლის კლიმატური პირობები ხელს უწყობს თითქმის ყველა კულტურული ჯიშის მცენარეების გაშენებას. გაზაფხული - ზაფხული ზომიერად თბილია, შემოდგომა - ზამთარი ზომიერად ცივი.

სოფელი რკალივით გარშემორტყმულია მთებით. გადილის მწვერვალზე ლამაზად მოჩანს ნაძვნარი, ხოლო მთელ ჩრდილო დასავლეთით განოლილ ე. წ. მთაწმინდას მთებზე ბუნებრივად არსებული ნაძვნარი ტყეებია, რომელიც ჩვენში სწრაფ მზარდი კატრების სახლწოდებით არის ცნობილი და იძლევა ხე-ტყის მრეწველობისათვის საუკეთესო მერქანს. სამხრეთით მთიანი სისტემა შემდეგი სახითაა განლაგებული: არწიოული, კალო, საგანო, ჯიხური, ჭალსასირე, საკანაფო, ლანგირი, წყარო, იოური, ქვასაყური, დიდალმართი, სახადი, ბოსტანიე, ბეჟიე, დათვსანოლი, ჩიხნარი, ლობოროტი, ლამაზი გორა, ულეველა, ქვაჭიშკარა, ქვაბილეღე, ჯაჯის ტბა. აღნიშნული მთები წარსულში სოფლის მოსახლეობის მიერ ხე-ტყის მისაპოვებლად გამოიყენებოდა, თანამედროვე პირობებში კი საზაფხულო საძოვრებადაა ათვისებული.

გვიანფეოდალურ ხანაში გადილის თემი ვანელ ლორთიფანიძეთა სათავადოში შედიოდა. დღეისათვის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ძირითადად განაპირობებს სოფლის გეოგრაფიული მდებარეობა და რელიეფი. მთები იცავს სოფელს საპირისპირო ქარების მავნე ზემოქმედებისაგან. რის გამოც იქმნება საუკეთესო პირობები კულტურული ჯიშის მცენარეების გასაშენებლად. განსაკუთრებით აღსანიშნავია თხილის, კაკლის ვაზის სხვადასხვაგვარი უნიკალური ჯიშების არსებობა, ხეხილის უხვი მოსავალი, მესაქონლეობა და მეფუტ-



კრეობა, ზოგ ადგილას მოჰყავთ ციტრუსიც. ადრეულ წლებში მოყავდათ ღომი, ფეტვი, ბამბა და აწარმოებდნენ აბრეშუმის პარკს.

სოფელში მრავლად არის ძველი ციხე-სიმაგრეები და ეკლესიები, აქ მნიშვნელოვანია გადიდის წმინდა გიორგის სახელობის ქვის ეკლესია, რომელიც ბაზილიკური ტიპისაა და XII საუკუნეში არის აგებული. ასეთივე იყო ონჯოხეთშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ ეკლესია ხის ნაგებობა იყო. დღეს-დღეობით გადიდში მცირედი ნაეკლესიარი ლოდებია შემორჩენილი, ეს ეკლესია დაფიქსირებული აქვთ ვახუშტი ბატონიშვილსა და გიულდენშტედტსაც, როგორც აღინიშნა გადიდის თემში ორი სოფელი შედის: გადიდი და ონჯოხეთი. ამ სოფლების ტოპონიმებს ასეთი ახსნა აქვთ, ერთ-ერთი ასეთია „გა“, რომელიც მეგრულ-ჭანურად გორას ნიშნავს, „დიდი“ დიდა ე.ი. გადიდი დიდი გორა. „ჯოხ“ მეგრულ ჭანურად საყივარს ანუ დასაძახებელ ადგილს ნიშნავს და რაკი ეს სოფელიც მაღლობზეა, თითქმის სოფლის სახელწოდებაც— ონჯოხეთიც აქედან წარმოიშვა, ასეთია ცნობილი არქეოლოგის პროფესორ ოთარ ლორთქიფანიძის შეხედულება ამ საკითხზე.

გადიდის თემი შედგება 12 უბნისაგან: ქალის, დაკიბულას, ორჯუმალის, არწიოულის, კოპინოურის, მხეიძეების, კალოპირას, მიქელთაძეების, ორმოცაძეების, ბარგალოურის, გუგუციძეების და წიქედას უბანი.

XIX საუკუნის შუახანებიდან გადიდი იყო ქუთაისის მაზრის დვალიშვილების თემში შემავალი ერთ-ერთი სოფელი, ასეთად დარჩა იგი მენშევიკების მმართველობის დროსაც, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების პირობებში 1933 წელს სოფელში შეიქმნა სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი (შემოკლებით გადიდის სოფლის საბჭო), რომლის პირველი თავმჯდომარე იყო ბეხუ გოგოიშვილი, შემდეგ წლებში აქ თავმჯდომარეობდნენ: გიორგი ჭკუასელი, იოველ შარაშენიძე, ივანე გოგინაძე, ნიკოლოზ კორძაძე, ლადიკო შარაშენიძე, გიორგი (ჟორა) ხარძეიშვილი, სერგო გურგენიძე, შოთა სანადირაძე, ამბროსი შარაშენიძე, ოლეგ მიქელთაძე. 1990 წლიდან საკრებულოს ხელმძღვანელობდა: ქეთევან დვალიშვილი, მურთაზ თოდუა, დუშიკო ორმოცაძე, ჯენერი ბელთაძე, ამჟამად გადიდის თემის გამგებელია ომარ მხეიძე.

გადიდის თემის მოსახლეობას მასიურად ქართველები წარმოადგენენ, სამწუხაროდ გადიდი იმ მაღალმთიან სოფელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც ყველაზე უღმობლად შეეხო მიგრაციის მწარე ხელი. 1950 წლამდე სოფელში 600-მდე კომლი იყო 1900-ზე მეტი მცხოვრებით, ესლა კი, 250 კომლია 600 მცხოვრებით. თუ წინათ სოფელში არსებულ ორ საჯარო სკოლაში 400-მდე ბავშვი სწავლობდა, ესლა ორივე სკოლაში 20 მოსწავლე სწავლობს. არასასიამოვნო სანახავია უპატრონოდ მიტოვებული ეზო-კარმიდამოები და ბალ-ვენახები. ძნელია გულგრილად უცქირო ეკალ-ბარდებით დაფარულ, მოუვლელით გაველურების პირად მისულ საკარმიდამოებს.

დაჩქარებულ მიგრაციას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, უმუშევრობა და აგრარულ სექტორში სეზონური სამუშაო, დღეისათვის სოციალურ-კულტურული პირობების არაჯეროვანი დონე, რომლის მონესრიგება შესაძლებელია. 1. ცენტრალური და შიდა საუბნო გზების მშენებლობით, ბუნებრივი აირის მოსახლეობაში შეყვანით. 2. ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე მცირე სიმძლავრის საწარმოების გახსნით. 3. სოფლად აუცილებელი კულტურულ-სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების შექმნით.

როგორც ითქვა გადიდის თემის მოსახლეობა ქართველებია. წიქედასა და ბარგალოურის უბნები ძირითადად დასახლებულია შერეული გვარებით, სადაც ბელთაძეები სჭარბობენ, მათი საგნებელი კვინტრაჩეებია, გუგუციძეების უბანში — გუგუციძეები და კიკვაძეები ცხოვრობენ, მათი საგნებელი შესაბამისად არის ალიონი და ბანჯალე, ორმოცაძეების უბანში ორმოცაძის გვარი ჭარბობს, მათი საგნებელია: გოჭისჭამიები, კერპები, გადრეკილები, გაპარსულები, ბუსკაიები, ბლიგვები, ძგიბურიები. ამ უბანში ცხოვრობს დვალიშვილის გვარიც, საგნებელი ურიეშვილი, ქიმუცაძეები — საგნებელი თავწონიე, აბულაძე, დეკანაძე. მიქელთაძეების უბანი მომეტებულად დასახლებულია მიქელთაძეების გვარის წარმომადგენლებით, მათი საგნებელია: ბოცრები, კოლბოხუნები, მაჩვები. ამ უბანში ცხოვრობენ გიორგაძეები, სოხანეიშვილები, ორმოცაძეები, საგნებელია — კოპრანე, ბუსკაიე.

კალოპირას უბანი შერეული გვარებითაა დასახლებული. კიკუტაძეები საგნებელი არის ბლუზურიები. თოდუების, ბელთაძეების, საგნებელია კვინტრაჩე, გვირაბელე. ხარძეიშვილების-ყურცქვიტები. კოპინოურის, არწიოულის და ორჯუმალის უბნები ძირითადად შარაშენიძეებით არის დასახლებული, მათი საგნებელია: ბუნდლიანები, ბზუალები, კოჭორიეშვილები, გვერდე-მხეიძეების უბანში მხეიძის გვარი სჭარბობს, მათი საგნებელია ძვეტიები, ქალისა და დაკიბუ-



ლას უბნები ქიმუცაძეებით, მსხილაძეებით და ლაგაძეებით არის დასახლებული, მათი საგნებელი შესაბამისად არის: მწყალობელი, თავნონიე, ჩიყლოყელი, ჩიტოგვრიტები და მურიელები. ამავე უბანში ცხოვრობენ ნამიჭიშვილისა და ცხვარაძეთა რამდენიმე კომლიანი გვარებიც.

სოფელ გადიდში საუკუნეების მანძილზე ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ (ე.ი. ძირძველი გვარებია) ბელთაძეები, ორმოცაძეები, მიქელთაძეები, შარაშენიძეები, ქიმუცაძეები, ხარძიშვილები, მხეიძეები, გუგუციძეები, ლაგაძეები, მსხილაძეები. გადმოსული გვარებია: დვალიშვილი, ადეიშვილი, კიკვაძე, სოხანიშვილი, თოდუა, გიორგაძე, მახარაძე, ნამიჭიშვილი. 1989 წლიდან სოფელში ცხოვრობენ აჭარიდან შემოსახლებული ეკომიგრანტების რამდენიმე ოჯახი აბულაძის, დეკანაძის, ბოლქვაძის გვართა წარმომადგენლები. რიგი პროცესებისა და ზოგჯერ მაღალმთიან სოფლებთან არასწორი დამოკიდებულების გამო XX საუკუნის 50-იან წლებში ქვეყნის ზემდგომ ინსტანციებში მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგად სოფლის მოსახლეობას უპირებდნენ ხობის რაიონის აუთვისებელ ტერიტორიებზე ჩასახლებას, რომელიც ხალხის წინააღმდეგობისა და მთელი რიგი აუცილებლად გასათვალისწინებელი პირობების საფუძველზე ვერ განხორციელდა. სოფლიდან ჩასახლეს მხოლოდ 24 კომლი ხობისა და ოჩამჩირის რაიონებში, ხოლო 70-იან წლებში, იმის გამო, რომ ზამთრის პერიოდში რაიონის 11- მაღალმთიან სოფელში განვითარდა მენყერული მოვლენები, იმდროისათვის გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე გადიდში საეჭვო ზონად გამოცხადდა, რის გამოც საცხოვრებელი ადგილებიდან ამოასახლეს რამდენიმე კომლი და მათი ჩასახლება მოხდა ვანის რაიონის ტერიტორიის უსაფრთხო ადგილებზე, ძირითადად ბარის ზონაში.

გადიდის თემში ორი სკოლა ფუნქციონირებს, გადიდისა და ონჯოხეთის საჯარო სკოლა, გადიდის სამრევლო სკოლა სოფლის მღვდელმსახურს ვიქტორ გერსამიას დაუარსებია 1900 წელს, მისივე ძალისხმევით აუგიათ შენობა და ყურადღების ქვეშ ყოფილა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაც, განსაკუთრებით საღმრთო სჯულის სწავლება. სოციალისტურ ეპოქაში სკოლის მატერიალური პირობები გაუმჯობესდა. მოგვიანებით სკოლის ხელმძღვანელობავერ ღირსეულს ხვდა წილად: ილია ჯულაყიძეს, გიორგი სვანაძეს, გიორგი თევზაძეს, ვანო უღრელიძეს, ევგენ ბელთაძეს, ზაურ ხარძიშვილს. ორიათეული წელია სკოლის დირექტორი ოლეგ მიქელთაძე.

1900 წელს სამრევლო სკოლაში 34 მოსწავლე სწავლობდა, 1960-იან წლებში — 182, ხოლო ამჟამად 13 მოსწავლე შემორჩა.

საინტერესო ისტორია აქვს ონჯოხეთის საჯარო სკოლას. პირველი ოთხკლასიანი კერძო სკოლა აქ 1901 წელს ესიკა ორმოცაძის სახლში გაუხსნია ტყელვანელ მღვდელს კირილე ნამიჭიშვილს. იგი ყოფილა ამ სკოლის მასწავლებელიც და დირექტორიც. 2 წლის შემდეგ ეს სკოლა სახელმწიფოს ჩაუბარებია და დირექტორად ზესტაფონიდან ვანში მასწავლებლად მოსული ვარლამ უკლება დაუნიშნავთ. შემდეგ წლებში სკოლის დირექტორები იყვნენ ვლადიმერ ივანიაძე, ლავრენტი უღრელიძე, გიორგი თევზაძე, გალინა ბელთაძე, მიხეილ აბრამიძე, მურმან მიქელთაძე, მინდია მიქელთაძე, მაია გოგლაძე. ამჟამად სკოლის დირექტორი დუმიკო ორმოცაძეა. 1900 წელს ონჯოხეთის სკოლაში 25 მოსწავლე იყო. 1960-იან წლებში — 160. ამჟამად 5 მოსწავლე სწავლობს.

სოფლის 600 მოსახლიდან 120 პენსიონერია, რაც შრომის უნარიანი მოსახლეობის 20%-ს შეადგენს, სამწუხაროდ სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას, რაც ასახულია მოსწავლეთა კონტინგენტზე სოფელში არსებულ ორივე სკოლაში.

სახელმწიფოდან სოციალურ დახმარებას გადიდ-ონჯოხეთში 57 ოჯახი იღებს. ამ კუთხით, როგორც მაღალმთიანი სოფელი, მეტი ყურადღებაა საჭირო შესაბამისი სამსახურებისაგან.

სოფლად ახალგაზრდული შემადგენლობის დინამიკა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

- 1-დან 10-წლამდე — 41
- 10-დან 18-წლამდე — 60
- 18-დან 40-წლამდე — 200

1941-45 წლებში მიმდინარე მეორე მსოფლიო ომში გადიდ-ონჯოხეთიდან 300 კაცი მონაწილეობდა, საიდანაც ნახევარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სოფელი ამაყობს ლეგენდარული კაპიტნით გენადი ხარძიშვილით, მისი საფლავი და მემორიალური დაფა გადიდშია, რომელსაც მზრუნველობა არ აკლია თანასოფლელებისაგან.

კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელი სოფელში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან არსებობს, გადიდისა და ონჯოხეთის ბიბლიოთეკების სახით. სასოფლო კლუბი 1970 წლიდან ფუნქციონირებდა. დღეისათვის სოფელში არც ბიბლიოთეკა და არც წიგნადი ფონდი არ

არსებობს. მატერიალური ბაზა მათი სიძველის გამო მოიშალა, ხოლო წიგნადი ფონდი ორივე ბიბლიოთეკიდან ვანის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში იქნა გადატანილი. რაც შეეხება სასოფლო კლუბს დღეისათვის დაცარიელებულია და უმოქმედოდაა მიტოვებული. სოფლად არ ფუნქციონირებს არცერთი სახის კულტურის კერა და ცხადია კულტურის მუშაკებიც არ არიან.

სოფლის ინტელიგენცია ძირითადად გადიდისა და ონჯოხეთის სკოლის პედაგოგებით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება სამედიცინო დაწესებულებას, სოფელში ის ცალკე ერთეულად არ არის წარმოდგენილი. სამედიცინო მომსახურებით სოფლის მოსახლეობა უკმაყოფილოა, ვინაიდან ექიმი რაიონიდან დადის დროგამოშვებით, სამედიცინო სამსახურისაკრებულოს შენობის ერთ ოთახშია განთავსებული.

სოფელ გადიდში ფუნქციონირებდა, რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესო, მოსწავლე-ახალგაზრდობის დასასვენებელი ბანაკი „მზიანეთი“, რომელიც პირობებით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, საკუთარი კორპუსებითა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი პირობებით ცნობილი იყო საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, სადაც ზაფხულობით ისვენებდა და ჯანმრთელობას იკაჟებდა არა მარტო ქართველი, არამედ მოსკოველი, პეტერბურგელი, კიეველი, ვოლგოგრადელი ბავშვები. ამჟამად ნანგრევებია მხოლოდ შემორჩენილი, უმოქმედოდ და გაძარცვულია საბაგირო გზა, რომელიც ერთ-ერთი უგრძესი იყო ევროპაში. მომზადებული იყო ყველა პირობა ბანაკის მთელი წლის მანძილზე უწყვეტი ფუნქციონირებისათვის, პროექტები დამუშავებული დაექსპერტიზა გავლილი იყო, დაძიებული იყო სამუშაოთა განხორციელების გზები და საშუალებანი, რომელიც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებულ მოვლენებს ემსხვერპლა, ასევე ვერ განხორციელდა გადიდის როგორც მაღალმთიანი სოფლის, სკოლა-პანსიონატის მშენებლობაც, თუმცა დაფინანსება გამოყოფილი და სამუშაო პირობები მოგვარებული იყო, ხოლო სამშენებლო მასალა ადგილზე მიტანილი და დალაგებული.

სოფლის მოსახლეობა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩაბმულია ოჯახური იჯარის ფორმით, რაც სოფლად არსებულ პირობებში შრომის ორგანიზაციის შედარებით ეფექტურ ფორმად არის მიჩნეული. თხილის კულტურა არის ოჯახების რჩენის ძირითადი წყარო, მოსახლეობა ოდითგანვე მისდევს სიმინდის, ლობიოს, კარტოფილის, ვაზის კულტურის წარმოებას, განვითარებულია მესაქონლეობა, რომელიც მოსახლეობის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ახალგაზრდების დასაქმება იყო და რჩება გადაუჭრელ საკითხად, ახალგაზრდობა სამუშაოს პოვნის მიზნით მიედინება სოფლიდან ქვეყნის დიდ ქალაქებში და საზღვარგარეთ. სოფელს არ გააჩნია არცერთი სახის დამხმარე საწარმო. ყოველგვარი სამუშაოს შესრულება რაც მიწასთან არის დაკავშირებული, მოსახლეობას ხელით უხდება.

სოფელს არააქვს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. სოფელში დღევანდელი მდგომარეობით 32 მიტოვებული ოჯახია, რომელთა პატრონი საძიებელია, 40-მდე ნასახლარია.

სოფელში არის ორი ყოფილი სავაჭრო ობიექტი. გადიდის მაღაზია, რომელიც ავარიულ მდგომარეობაშია და უმოქმედოდაა ორი ათეული წელია, ასევე უმოქმედოდაა ონჯოხეთის მაღაზიაც, რომელიც პრივატიზებულია კონკრეტულ პიროვნებაზე და სურვილისამებრ ყიდულობს პირველადი მოთხოვნილებების საქონელს და ყიდის მოსახლეობაში. სოფელს არააქვს პურის საცხობი, ელექტრო წისქვილები სოფლად საკმაოდაა. სოფელ ონჯოხეთში მოქმედებს მოსახლეობის მიერ აგებული ელექტრო წისქვილი, ხოლო გადიდში ქალის უბანში წისქვილი, რომელიც სეზონურად მუშაობს.

გზა არის ის საშუალება რითაც ხდება სოფელში სიმდიდრის შეტანაც და გამოტანაც. ამ მხრივ სოფელი გადიდი რაიონის სხვა სოფლებს დიდად ჩამორჩება. რაიონის ცენტრიდან სოფელზე დავანამდე გზის ორ კილომეტრიანი მონაკვეთი არის მხოლოდ ასფალტირებული, დანარჩენი ექვს კილომეტრიანი საავტომობილო გზის მონაკვეთი, რომელიც გადიდსა და ონჯოხეთში თანაბრად ნაწილდება, ძნელად სავალია ტრანსპორტისთვის, განსაკუთრებით შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, უვარგისია სოფელში არსებული რამდენიმე ბოგირი, რაც შეეხება საუბნო გზებს თითქმის თხუთმეტ კილომეტრიან მონაკვეთს, იგი დასახრეშია. ამჟამად დაწყებულია გზის სამუშაოები და შეიძლება ითქვას რომ საკითხი დადებითად გადაწყდება. რაიონის ცენტრს, გადიდში მცხოვრებლები, ალექო მსხილაძის სამარშუტო მანქანით უკავშირდება, რომელიც მხოლოდ პარასკევსა და კვირას მუშაობს, დანარჩენ დღეებში მოსახლეობა ძვირადღირებული ტაქსებით სარგებლობს.

სატელეფონო მომსახურება სოფლად ნორმალურია, რაც განპირობებულია გადიდის გორზე ჯეოსელის, მაგთის და ბილაინის სატელეფონო ანძების დამონტაჟებით. გაუმჯობესებულია მოსახლეობის ტელეგადაცემებით უზრუნველყოფა, რომელიც მოსახლეობის ძალისხმევით

განხორციელდა. სოფელი ელექტროფიცირებულია 1968 წლიდან. აღნიშნული პერიოდიდან გადამცემი ბოძები არ შეცვლილა, ბოძების შეცვლა ხდებოდა და ხდება მოსახლეობის ძალისხმევით. რაც შეეხება გამრიცხველიანებას, საკითხი დღემდე მოუგვარებელია. სოფლის გაზომ-მარაგება ბუნებრივი აირით ჯერჯერობით გადაუწყვეტელია.

გადიდში აღიზარდა არაერთი წარმატებული და ცნობილი მამულიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ვიშნევსკის მედლის კავალერი შოთა თოდუა, რომელიც ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოს. მანვე შესძლო სამუშაოდ ადგილობრივი კადრების მოზიდვა და საავადმყოფოს მატერიალური ბაზის მონესრიგებაც. გადიდის მცხოვრებნი არიან და-ძმა დოდო და თენგიზ ბელთაძეები, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, მათი მამა გენადი ბელთაძე თავის დროზე იყო ნოე ჟორდანიას მდივანი, განათლებული პიროვნება, რომელიც ნოე ჟორდანიას გუნდს საფრანგეთში არ გაჰყვა.

გადიდელია მეორე მსოფლიო ომში დაღუპული გენადი ხარძიშვილი, 22 წლის ასეულის მეთაური, ხოლო მისი ძმა მიხეილ ხარძიშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ვანის რაიონის არაერთ სკოლას, მთლიანად განათლების სისტემას, შემდეგში კი ვეტერანთა საბჭოს. ლევან შარაშენიძე ყოფილი პარტიის ვანის რაიკომის მდივანი. წარმოშობით გადიდელები არიან (ონჯოხეთიდან) სოსო მიქელთაძე აჭარის საგუნდო კაპელის მთავარი დირიჟორი (1977-88 წლებში) და მისი ძმა არჩილ მიქელთაძე გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ მთავარი რედაქტორი, რომელიც ასევე ლექციებს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო საქართველოს ჟურნალისტიკა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე. გადიდელი იყო ქუთაისის სპორტსკოლის დირექტორი თემურ ქიმუცაძე. წამყვან ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობდნენ ვანის რაიონულ მმართველობაში სიმონ ხარძიშვილი, თამაზ ქიმუცაძე, ალექო ბელთაძე.

გადიდელები არიან: ცნობილი მედიკოსი, პროფესორი რაიბულ თოდუა, აკადემიკოსი მედიცინის დარგში ომარ ხარძიშვილი, აკადემიკოსი მათემატიკის დარგში გურამ ბელთაძე, ჯემალ შარაშენიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, პროფესორი თინათინ შარაშენიძე. ქვეყნის სახალხო დამცველის მოადგილეა პაატა ბელთაძე. მისი ძმა გია ბელთაძე, ვანის საკრებულოში რესპუბლიკელების ფრაქციის თავმჯდომარეა, ლაშა მიქელთაძე ვანის პოლიციის სამმართველოს დეტექტივების უფროსი, მინდია მხეიძე სამშენებლო ორგანიზაცია „ორბის“ დირექტორი, იაგო მხეიძე სამშენებლო ორგანიზაცია „რეტროს“ დირექტორი, ქვეყნის თავდაცვას წარმატებით ემსახურებიან სამხედრო დარგის მოღვაწეები: ჯენერი ბელთაძე, მაია ორმოცაძე, ალექო ორმოცაძე, ძმები ნიკა და კობა ორმოცაძეები, მინდია თოდუა, გოგი შარაშენიძე, გენადი მხეიძე.

წლების მანძილზე არაერთი თაობა აღზარდეს გადიდსა და ონჯოხეთის სკოლაში მოღვაწე პედაგოგებმა: ოლეგ მიქელთაძემ, ნონა ბელთაძემ, გიგა ქიმუცაძემ, გოდერძი კიკუტაძემ, ინგა ქარდავამ, ზემინარ შარაშენიძემ, თამარ შარაშენიძემ, ნატო შარაშენიძემ, ნონა ხარძიშვილმა, ჟატუა მხეიძემ, ლამზირა მიქელთაძემ, ამირან შარაშენიძემ, დუშიკო ორმოცაძემ, რობერტ ხარძიშვილმა, მამუკა ორმოცაძემ, იმედა ბელთაძემ, თემურ პაიჭაძემ, ომარ აბრამიძემ, გულნაზი მუმლაძემ, ირინა ბაიაჯანმა.

ვანის თითოეულ სოფელს ქრისტიანული დღესასწაულების აღნიშვნის თავისებური ინტერპრეტაცია ახასიათებს, ამ მხრივ არც გადიდია გამონაკლისი. რათქმაუნდა ყველა დღესასწაული აღინიშნება ტრადიციულად, მაგრამ არსებობს ისეთებიც, რომლებსაც, სოფელი განსაკუთრებულად აღნიშნავს: კერძოდ, კიკუტაძეების გვარი წმინდა გიორგის დღესასწაულს ექვს მაისს აღნიშნავს, როგორც გვარის მფარველი ანგელოზის დღეს. ამისათვის აქვთ ცალკე ჭური, რომელსაც სანირავს ეძახიან, ყოველ შემოდგომაზე ივსება აღნიშნული ჭური იზაბელას სუფთა წვენი და გიორგობის დღეს ხდიან, იღებენ ღვინოს, შემდეგ ოჯახის უფროსი სამჯერ ატრიალებს ხონჩას რომელზეც აწყვია შემწვარი გოჭი, სამი ხაჭაპური, სამი მოხარშული კვერცხი და აუცილებლად ანთია სამი სანთელი, თან ჩუმად წარმოთქვამს ლოცვას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. შემდეგ ქვევრს ირგვლივ შეკრებილი კიკუტაძეები სვამს სამ სადღეგრძელოს: 1. წმინდა გიორგის სადიდებელს. 2. უფლისა და ქრისტეანობის სადიდებელს. 3. გვარისა და ყველა ქართველის დღეგრძელობის სადღეგრძელოს. ამის შემდეგ ბრუნდებიან ძირითად ოჯახში და იწყება ტრადიციული ქართული სუფრა, სადაც ნებისმიერი გვარის ადამიანს დაუპატიჟებლად შეუძლია მისვლა.

რედაქტორი **ომარ კაპანაძე**

**სარედაქციო კოლეგია:**

**ამირან ნიკოლეიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ურჩა დვალისხილი** – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ომარ ძაგნიძე** – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი  
**ზაურ თათვიძე** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი  
**ოლეგ ალავიძე** – ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ბეჟან ნაქაძე** – რედაქტორ-გამომცემელი  
**აკაკი თევზაძე** – პასუხისმგებელი მდივანი

კორექტორი – **თამილა მჟავანაძე**  
კომპიუტერულ ვერსიაზე მუშაობდა – **ბელა ცაბაძე**

„მატიანის“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე  
ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძის**



დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
შპს „მშმ-პოლიგრაფის“ მიერ  
ქ. ქუთაისი, წერეთლის 186  
ტელ.: 0 431 23 45 54